

ISSN 2667-9485

# ვანის რაიონის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრის კრებული

## ЛЕТОПИСЬ

Сборник центра исследований историй, этнографии и фольклора  
Ванского района

## Chronicle

The Collection of Vani History, Ethnography and Folklore  
Research Centre

№19

ვანი  
Vani  
2020 წ.

## სარჩევი

<b>1. ლიტერატურული კონკურენცია</b>	3
ვანის არქეოლოგიური მუზეუმი ახალ სიცოცხლეს იწყებს	
<b>2. ომარ გაპუნია</b>	6
მოგზაურობა ვანის სიძველეების გარშემო	
<b>3. მანანა ვაჟაფავა</b>	12
არგონავტები და ძველი კოლხეთი.	
<b>4. გია კვაშილავა</b>	17
„კავკასიური“ ანუ „თეთრი მოდგმა“ ბლუმენბახისა და სხვა სწავლულთა მიხედვით (მოკლე მიმოხილვა)	
<b>5. ივანე მამუშოვია</b>	20
ვანის მუნიციპალიტეტის 2020-2021 წლების ბიუჯეტით განხორციელებული და მიმდინარე პროგრამები.	
<b>6. იაკობ მესხია</b>	30
რეგიონული ეკონომიკა	
<b>7. ვანის რაიონის (მუნიციპალიტეტის) ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრისგან (განეული საქმიანობის აგენტოში)</b>	48
<b>8. ავთალიშვილის მიერთება</b>	66
არტურ ლაისტი და საქართველო. წერილი პირველი	
<b>9. ლუკა დვალიშვილი</b>	75
ქართულ -პოლონური ურთიერთობები ქართველ მოღვაწეთა მოგონებებში.	
<b>10. დავით შავიანიძე</b>	80
სუფრა ქართველთა კულტურული ტრადიციების ნაწილი, ერთ-ერთი საიდენტიფიკაციო ნიშანი	
<b>11. ომარ კაპანაძე</b>	87
1905-1907 წლების რევოლუციის შემდგომი პერიოდი, ზოგიერთი ცვლილებანი ვანის თემ-საზოგადოებების ცხოვრებაში.	
<b>12. თეიმურაზ აღეიშვილი</b>	104
სტალინის პიროვნება და საქართველო (დასასრული).	
<b>13. ომარ კაპანაძე, თამიშა მაჟავანაძე</b>	112
დემოგრაფიული პრობლემები და მისი გავლენა ვანის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო სისტემაზე	
<b>14. დარეჯან ადერიძე</b>	124
ტყვეთა სყიდვა, ერის ტოტალური დაცემის ნიშანი.	
<b>15. თამუნა ჩხერიელი</b>	130
თაობა, რომელმაც შექმნა ისტორია – გივი ანდრიაძე – აკადემიკოსი	
<b>16. ინდირა გოგოძე</b>	135
კოვიდ 19 – საუკუნის გლობალური დაავადება და მტკიცნეული გამოწვევა ვანის მუნიციპალიტეტის რეალობაში	

## ვაის არქეოლოგიური მუზეუმი ახალ სიცოცხლეს იწყებს

საქართველოს ეროვნული მუზეუმის, ოთარ ლორთქიფანიძის სახელობის, ვანის არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალი 2020 წლის 22 ოქტომბრიდან სრულიად განახლებული სახით, ახალ სიცოცხლეს იწყებს.

ვანის ნაქალაქარზე, რომლის არქეოლოგიური გათხრების შედეგად, ძვ.წ. VIII-I საუკუნეების ისეთი არტეფაქტები გამოვლინდა, რომლებიც მსოფლიოს უდიდესი მუზეუმების სიამაყე იქნებოდა. აქედან გამომდინარე, მუზეუმი, ისევე როგორც ნაქალაქარი, მაღალ დონეზე უნდა იყოს მოწყობილი, რათა შესარულოს ის ამოცანები, რომლებსაც თანამედროვე ეპოქა უყენებს.

რა არის ეს ამოცანები? უპირველეს ყოვლისა ესაა ძეგლების გამოვლენა და მათი გადარჩენა თანამედროვე და მომავალი თაობებისათვის. ამ მიზნით უშუალოდ ნაქალაქარის ტერიტორიაზე განახლდა და ზოგან დაემატა უძრავი ძეგლების დამცავი ნაგებობები. ასევე გარდაიქმნა მუზეუმის შენობა – მასში მოძრავი ძეგლებისათვის, ხელახლა გაკეთდა ფონდები და სარესტავრაციო-საკონსერვაციო ლაბორატორიები და სხვა.

XX საუკუნის ბოლოს და განსაკუთრებით XXI საუკუნეში არქეოლოგია იქცა მასობრივი კულტურის მნიშვნელოვან ნაწილად – ახალი აღმოჩენებისა და გამოკვლევების შესახებ კეთდება ტელეგადაცემები, ტარდება საჯარო ლექციები ინერება სამეცნიერო-პოპულარული წიგნები და სხვა. მაგრამ ყველაზე უფრო დიდი მნიშვნელობისაა ძეგლების უშუალო მონახულება. შესაბამისად ვანის მუზეუმ-ნაკრძალის მეორე მნიშვნელოვან ამოცანას, მისი იმდაგვარად მოწყობა წარმოადგენს, რომ შესაძლებელი გახდეს რაც შეიძლება მეტი მნახველის მოზიდვა და მათთვის საინტერესო და კომფორტული გარემოს შექმნა. ამის ერთ-ერთი პირობა იყო მუდმივმოქმედი ექსპოზიციის განახლება, რომლის კურატორი და იდეის ავტორი ნინო ლორთქიფანიძეა.<sup>1</sup> ძველი ვანის ისტორია სხვადასხვა თვალსაზრისით შეიძლება წარმოჩნდეს. სადღეისოდ ესაა მისი განსილვა საქართველოს ისტორიის კონტექსტში და მსოფლიო კულტურულ-ისტორიული განვითარების ფონზე. აქედან პირველი მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ძველი ვანი, მისი რვა საუკუნოვანი ისტორიით, არაა ნახსენები ქართულ წერილობით წყაროებში. ბერძნობრმაელ ავტორებთანაც – ზოგადად კოლხეთიც, ძალზე ფრაგმენტულად არის აღნერილი. ამიტომ ვანის ნაქალაქარის არქეოლოგიური შესწავლა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, საქართველოს ისტორიის იმ პერიოდისათვის, რომელთა შესახებ წერილობითი წყაროები არ გაგვაჩნია და რომ არა არქეოლოგიური გათხრები, ამ უმნიშვნელოვანესი ეპოქის შესახებ ძალზე ცოტა რამ გვეცოდინებოდა. XIX-XX საუკუნის დასაწყისის ქართველ ისტორიკოსთა შრომებში კოლხეთი ძალზე მნირად არის აღნერილი. მოვინაონ ხანის, საქართველოს ისტორიის ამსახველი ზოგადი ხასიათის ნაშრომებსა და სახელმძღვანელოებში, ძველი ვანის ისტორია მხოლოდ არქეოლოგიური წყაროების საფუძველზეა წარმოდგენილი. რაც შეეხება ძველი ვანის და ზოგადად კოლხეთის ისტორიის განსილვას მსოფლიოს კულტურულ-ისტორიული განვითარების კონტექსტში, ამ საკითხს მრავალი მეცნიერის ნაშრომი და სამეცნიერო სიმპოზიუმი მიეძღვნა. ეს თემებია: კოლხეთი და დიდი ბერძნული კოლონიზაცია, კოლხეთი და ელინიზმი, კოლხეთი და აქემენიდური ირანი, კოლხეთი და სკვითური სამყარო. ბოლო დროს არის მცდელობა კოლხეთის განსილვა ეკოლოგიური ცვლილებების კონტექსტშიც. ვანის მუზეუმის ექსპოზიციაში ძველი ვანის ისტორია ოთხ ფაზად არის დაყოფილი: პირველი – ძვ.წ. VIII-VII სს., მეორე – ძვ.წ. V ს. – IV ს-ის პირველი ნახევარი, მესამე – ძვ.წ. IV – საუკუნის მეორე ნახევარი – ძვ.წ. III ს-ის დასაწყისი და მეოთხე – ძვ.წ. III ს-ის მეორე ნახევარი – ძვ.წ. I ს-ის პირველი ნახევარი. პირველი ფაზა წარმოდგენილია სამლოცველოს ნაშთებით – ფანტასტიკურ ცხოველთა

1. ნინო ლორთქიფანიძე – ცნობილი არქეოლოგის, აკადემიკოს ოთარ ლორთქიფანიძის ქალიშვილი

ფიგურებით და დიდი რაოდენობით თიხის ჭურჭლით; მეორე ფაზა ძირითადად – ამ პერიოდის სამარხებით; მესამე ფაზა – ასევე ამ პერიოდის სამარხებით; მეოთხე ფაზა – არქიტექტურული დეტალებით და ბრინჯაოს პლასტიკის ნიმუშებით. ცალკეა გაკეთებული გამოფენები, რომელიც აჩვენებენ ძველი ვანის ურთიერთობას გარე სამყაროსთან, მისი მცხოვრებლების რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებს და სხვა. ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი არტეფაქტები, რაც ვანის მუზეუმში არის დაცული და რაც მას საერთაშორისო მნიშვნელობას ანიჭებს, არის ძვ.წ. V-III სს-ის კოლხური ოქრომჭედლობის ორიგინალური და ბრწყინვალე ნიმუშები და ელინისტური ხანის ბრინჯაოს პლასტიკა.

ცალკე განხილვის საგანია მუდმივმოქმედი ექსპოზიციის დიზაინი, რომელიც სამუზეუმო საქმის უცხოელი და ქართველი დიზაინერების მიერ არის შექმნილი, თანამედროვე ტექნოლოგიების და ინსტალაციების გამოყენებით და ცალკე ხელოვნების ნიმუშს წარმოადგენს.

მუზეუმში მუდმივმოქმედი ექსპოზიციის გარდა, განთავსებულია დროებითი საგამოფენო დარბაზი, სადაც პერიოდულად სხვა მუზეუმების კოლექციები იქნებიან წარმოდგენილნი. ასევე შეიქმნა საზოგადოებრივი სივრცეები - კაფე, მუზეუმის მაღაზია, ვერანდები.

გარდა მუზეუმისა, უშუალოდ ნაქალაქარზე მოეწყო საინფორმაციო სტენდები, დამონტაჟდა მოსასვენებელი სკამები, გაკეთდა ბილიკები, ხიდები და სხვა.

თანამედროვე მუზეუმის მნიშვნელოვან ამოცანას მისი საგანმანათლებლო საქმიანობა წარმოადგენს. სხვაგან აღნიშნული გვქონდა, რომ 2015 წელს გაეროს 193 ქვეყანა შეთანხმდა მდგრადი განვითარების დღის წესრიგის დოკუმენტზე, სათაურით – „ჩვენი სამყაროს გარდაქმნა: 2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისათვის“. ამასთან დაკავშირებით 2016 წელს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ ჩამოაყალიბა კულტურის სტრატეგია, რომლის უმნიშვნელოვანები მიმართულებაა ცოდნაზე, შემოქმედებითობასა და ინოვაციებზე დაფუძნებული საზოგადოების შექმნა. ამ სტრატეგიის მნიშვნელოვან ნაწილს საგანმანათლებლო საქმიანობაც წარმოადგენს, რომელიც მათ შორის სამუზეუმო სივრცეში უნდა განხორციელდეს. ერთ-ერთ ასეთ სივრცედ ვანის მუზეუმ-ნაკრძალი წარმოგვიდგება. ჩვენი აზრით, აქ საგანმანათლებლო საქმიანობა სამი მიმართულებით უნდა წარიმართოს: პირველი – სამუზეუმო კადრების გადამზადება – რათა მათ შეძლონ, ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით, სამუზეუმო საქმიანობის განხორციელება; მეორე – არქეოლოგიით დაინტერესებული სტუდენტებისათვის, (ქართველი და უცხოელი) სწავლების ჩატარება, როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული ცოდნის მისაღებად; მესამე – სწავლებაში ფართო საზოგადოების ჩართვა – საბავშვო, მოზარდთა და უწყვეტი განათლების პროგრამების მეშვეობით. ყოველივე ამისათვის მუზეუმში მოწყობილია სააქტო დარბაზი და ბიბლიოთეკა-მედიათეკა.

ვანის მუზეუმ-ნაკრძალის უმნიშვნელოვანება ამოცანას წარმოადგენს იმ სამეცნიერო პოტენციალის შენარჩუნება, რომელიც ძველი ვანის და კოლხეთის ისტორიის შესწავლისადმი იყო მიძღვნილი. ესაა არქეოლოგიური გათხრები; ამ გათხრების შედეგად მოპოვებული მასალის პუბლიკაცია; მოპოვებული მასალის შესწავლის საფუძველზე ისტორიის რეკონსტრუქცია და სხვა.

ასევე ვანს უკავშირდება სიმპოზიუმები, რომლებიც შავიზღვისპირეთის ძველი ისტორიისა და არქეოლოგიის კვლევას ეძღვნებოდა და საერთაშორისო სარბიელზე ჰპოვა აღიარება. საქმე ისაა, რომ XX ს-ის სამოცდაათიანი წლებისათვის კოლხეთის არქეოლოგიაში დიდალი მასალა დაგროვდა. ამ აღმოჩენების მსოფლიო ასპარეზზე გატანა, ფართო სამეცნიერო საზოგადოებისათვის ჩვენება, კოლხეთის ძეგლებისა და მათ შორის ვანის მნიშვნელობის წარმოჩენა ძველი მსოფლიოს ცივილიზაციათა რიგში, იყო უმნიშვნელოვანესი ამოცანა, რომელიც იმ პერიოდის ქართული არქეოლოგიის წინაშე იდგა. მისი გადაწყვეტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გზას სამეცნიერო შეკრებები წარმოადგენდა, რომლებიც ჯერ წყალტუბოს, ხოლო შემდეგ ვანის სიმპოზიუმების სახელით არის ცნობილი. ამ საქმიანობის სულისჩამდგმელი და მოთავე აკადემიკოსი

ოთარ ლორთქიფანიძე გახლდათ. ამ დროისათვის მეცნიერთა წიაღში სულ უფრო და უფრო იკვეთებოდა მოსაზრება, რომ ანტიკური ხანის შავიზღვისპირეთის ისტორიასა და არქეოლოგიაში არსებული მრავალი საკითხი მოითხოვდა ახლებურ გაშუქებას.

სულ ჩატარდა თერთმეტი სიმპოზიუმი:

I – 1977 წ. – „ჩრდილო და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ბერძნული კოლონიზაციის პრობლემები“;

II – 1979 წ. – „დემოგრაფიული სიტუაცია შავიზღვისპირეთში დიდი ბერძნული კოლონიზაციის პერიოდში“;

III – 1982 წ. – „შავიზღვისპირეთი ელინიზმის ეპოქაში“;

IV – 1985 წ. – „შავიზღვისპირეთის ადგილობრივი ეთნო-პოლიტიკური გაერთიანებები ძვ.წ. VII-IV სს-ში“;

V – 1987 წ. – „შავიზღვისპირეთი ძვ.წ. VII-V სს-ში: წერილობითი წყაროები და არქეოლოგია“;

VI – 1990 წ. – „არგონავტების ნაკვალევზე“;

VII – 1994 წ. – „შავი ზღვა – კონტაქტების ზონა“;

VIII – 1997 წ. – „რელიგია შავიზღვისპირეთში“;

IX – 1999 წ. – „ვაჭრობა შავ ზღვაზე არქაულსა და კლასიკურ ხანაში: აბრეშუმის გზის ისტორიული პერსპექტივა“;

X – 2002 წ. – „ურბანიზმი შავიზღვისპირეთში არქაულსა და კლასიკურ ხანაში“;

XI – 2005 წ. – „შავიზღვისპირეთი ელინისტური სამყაროს სისტემაში“.

ასეთი მნიშვნელოვანი წარმატება წარმოუდგენელია, იმ გამოცდილების გარეშე, რომელიც საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში, ვანის ნაქალაქარზე მიმდინარე სამუშაოების შედეგად დაგროვდა. როგორც ცნობილია აქ არქეოლოგიური გათხრები ჯერ კიდევ XIX საუკუნეში დაიწყო ექვთიმე თაყაიშვილის თაოსნობით. შემდგომში – 1947 წლიდან იქმნება ვანის არქეოლოგიური ექსპედიცია ნინო ხოშტარიას ხელმძღვანელობით. 1969 წლიდან მას სათავეში ოთარ ლორთქიფანიძე უდგება, ხოლო 2002 წლიდან – დარეჯან კაჭარავა. სწორედ ამ პერიოდში იქნა მოპოვებული ვანის ნაქალაქარის უმდიდრესი არქეოლოგიური მასალა. თავდაპირველად ეს მასალა შენახულ და ექსპონირებულ იქნა საქართველოს სიმონ ჯანაშიას სახელობის ისტორიულ მუზეუმსა და ვანის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. 1977 წლიდან, ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის ბაზის აგების შემდეგ, ნაქალაქარზე აღმოჩენილი მასალა ინახებოდა ბაზაზე მოწყობილ ფონდებში, აქვე გაკეთდა მცირე ექსპოზიცია, ხოლო ძვირფასი ლითონებისაგან დამზადებული ნივთები ისევ თბილისში, საქართველოს ისტორიულ მუზეუმში იგზავნებოდა. 1985 წელს, ოთარ ლორთქიფანიძის თაოსნობით და არქიტექტორ გიორგი ლეჟავას პროექტით, გაიხსნა ვანის არქეოლოგიური მუზეუმი, სადაც მოეწყო ძველი ვანის ისტორიის ამსახველი ექსპოზიცია, საგანძური, ფონდები, ბიბლიოთეკა, კერამიკის სარესტავრაციო ლაბორატორია, სააქტო დარბაზი.

2010 წლის 28-31 ოქტომბერს, საქართველოს ეროვნულ მუზეუმში, გაიმართა საერთაშორისო კონფერენცია თემაზე „საქართველოს არქეოლოგია საუკუნეთა მიჯნაზე, შედეგები და პერსპექტივები“. კონფერენცია ეძღვნებოდა აკადემიკოს ოთარ ლორთქიფანიძეს დაბადებიდან 80 წლის იუბილეს. გახსნით სხდომაზე, რომელიც ვანში მოეწყო, კომპანიის „Ellis Williams Architects“-ის მომზადებული „ვანის მუზეუმის განვითარების გეგმა“ წარადგინა ავტორმა – გერმანელმა არქიტექტორმა დიტერ პფანენშტილმა. წარმოდგენილმა კონცეფციამ მსმენელთა დიდი მოწონება დაიმსახურა.

ზუსტად ათი წლის შემდეგ – 2020 წლის ოქტომბერში „ვანის მუზეუმმა ახალი სიცოცხლე დაიწყო“.

## მოგზაურობა ვანის სიძველეების გარშემო

ვანი, რომელიც დღეისათვის საყოველთაოდ აღიარებულია, როგორც უძველესი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაქალაქარი, სადაც ანტიკურ ხანაში გადიოდა მსოფლიო მნიშვნელობის სავაჭრო-საქარავნო მაგისტრალი (იგივე აბრეშუმის გზა), რომელიც ძველ აღმოსავლეთს, მაშინდელ დასავლეთის ქვეყნებთან აკავშირებდა, წარმოადგენს მეტად საინტერესო სამეცნიერო საკითხს (ფენომენს) არა მარტო ჩვენი ქვეყნის, არამედ მსოფლიო ისტორიის შესწავლისათვის.

ვანის სიძველის შესწავლა XIX საუკუნის ბოლოს ბატონ ექვთიმე თაყაიშვილის მიერ დაიწყო. მან საამისოდ შეისწავლა არსებული ტერიტორია, დაადგინა მისი საზღვრები, რომელიც სივრცით 12-ჰა-ს წარმოადგენდა და შეუდგა მისთვის სადაზვერვო ჭრილების გაკეთებას. მან იმ სეზონის განმავლობაში, რომელიც არ აღემატებოდა თვენახევარს – შვიდი სამეცნიერო ჭრილი გააკეთა, საიდანაც უამრავი, არქეოლოგისათვის საინტერესო მასალა აღმოაჩინა. ექვთიმე თაყაიშვილმა ვანის ნაქალაქარზე აღმოჩენილი მასალების მიხედვით განსაზღვრა მისი ასაკი და დაადგინა, რომ ეს გახლდათ ანტიკური ხანის ნაქალაქარი, რომელიც უაღრესად საინტერესო კულტურულ ფენას წარმოადგენდა და აღნიშნა, რომ თუ შემდეგში ვანი იქნება გეგმაზომიერად გათხრილი და შესწავლილი, აღმოჩენები გააოცებენ არა მარტო ქართველ, არამედ მსოფლიო სამეცნიერო საზოგადოებასო. ექვთიმე თაყაიშვილის ეს წინასწარმეტყველება, რომელიც მან ჯერ კიდევ 1896 წელს ემიგრაციაში წასვლამდე განაცხადა, გამართლდა. დღეისათვის ვანის აღმოჩენებმა მართლაც მიიპყრო მსოფლიო სამეცნიერო წრეების დიდი ყურადღება.

ბატონი ექვთიმეს მიერ ჩატარებული ექსპედიციის შემდეგ, გარკვეული დროით მინელდა ვანის სიძველეებისადმი ყურადღება. დროდადრო მხარეთმცოდნები თუ ესტუმრებოდნენ ვანს, ისიც იმ შემთხვევაში თუ რაიმე გამოჩენდებოდა შემთხვევითი აღმოჩენების გამო.

ვანის ნაქალაქარი იმ დროისათვის, უკვე ორ საუკუნეზე მეტი წელი მანძილზე მოქმედი მოსახლეობის მიერ იყო დაკავებული. აქ XVII საუკუნის მეორე ნახევარში ლეჩეუმიდან მოსული ახვლედიანები დასახლდნენ. მათ მიერ სამუშაოების წარმოებისას ხშირად ჩნდებოდა სხვადასხვა დასახელების საინტერესო არქეოლოგიური მასალები, რომელიც ხშირ შემთხვევაში უპატრონობის გამო იკარგებოდა.

მხოლოდ XX საუკუნის ორმოციან წლებში, კერძოდ, 1947 წელს მოავლინეს ვანის სიძველეების შესასწავლად პირველი მუდმივმოქმედი ექსპედიცია რითაც საფუძველი ჩაეყარა არქეოლოგიური კვლევების ინტენსივობას ვანში. ხელმძღვანელი გახლდათ ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, პირველი ქართველი არქეოლოგი, ქალბატონი ნინა ხოშტარია. ასე დაიწყო მუდმივმოქმედმა ექსპედიციამ ნაქალაქარის მეცნიერულად შესწავლა.

1966 წელს კი ოთარ ლორთქიფანიძეს, შესაბამის ორგანოთა გადაწყვეტილებით, ჩამოყავს სამუშაოდ არქეოლოგთა ჯგუფი, შემთხვევით აღმოჩენილი კარიბჭის კომპლექსის შესასწავლად. 1969 წელს, ქალბატონ ნ. ხოშტარიას გარდაცვალების შემდეგ, ბატონი ოთარ ლორთქიფანიძე ხდება მუდმივმოქმედი არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი, რომლის მუშაობის პერიოდში და შემდეგშიც ვანის აღმოჩენებმა მოლოდინს გადააჭარბა.

ჩვენ შევეცდებით ვიმოგზაუროთ ნაქალაქარისა და განახლებული მუზეუმის სიძველეების, ექსპონატების გარშემო, რომელიც XIX საუკუნის ბოლოდან დაწყებული დღემდეა აღმოჩენილი ვანში.

ვანი, ჯერ კიდევ ნეოლითის ხანიდან ყოფილა დასახლებული, რაც აქ აღმოჩენილი არტეფაქტების მიხედვით განისაზღვრება. ამდენად ჩვენს მიზანს ისიც წარმოადგენს, რომ ფართო საზოგადოებას და დამთვალიერებლებს გავაცნოთ, ჯერ კიდევ იმ შორეულ წასულიდან, თუ როგორ იზრდებოდა და ვითარდებოდა ადამიანთა პირველყოფილი საზოგადოება ჩვენს ტერიტორიაზე და დასტურდებოდა, რომ ინტენსიური ცხოვრების მიმდინარეობამ ხელი შეუწყოვანის ტერიტორიაზე თანდათან საქალაქო ცხოვრების აღმოცენებას და შემდეგში მის განვითარებას.

ვანის სიძველეების გაცნობა ნაქალაქარის ტერიტორიიდან იწყება. მოსული დამთვალიერებლი გაეცნობა აქ აღმოჩენილი ძვ.წ.აღ IV – I საუკუნის ძეგლებს და იმ ღირსშესანიშნავ ადგილებს, საიდანაც ნაპოვნი და მუზეუმში დაცული ექსპონატებია ნარმოდგენილი. სტუმრები გაეცნობიან კარიბჭეს, მის არქიტექტურას, ძვ.წ.აღ II – I ს. ქვაფენილს, რომელიც ერთ-ერთი უძველესია საქართველოში და კარიბჭიდან მის სამხრეთით მიემართება. იქვე, საკმაოდ თვალსაჩინოდაა შემორჩენილი გალავნის თუ სამსხვერპლო ნაგებობის კედლები, რომლის არქიტექტურა უნიკალურია. კარგად ჩანს მისი ოსტატის მაღალი პროფესიონალიზმი და ქვის „ზუსტი“ დამუშავების ტექნიკა. კარიბჭის შემდეგ საკმაოდ საინტერესოდაა აგრეთვე შემორჩენილი სამხრეთ ტერასაზე არსებული მოზაიკურ იატაკიანი ნაგებობა და სამსხვერპლო. XX საუკუნის 70-იან წლებში ამ უბანზე აღმოჩენილი იქნა კორინთული ტიპის ქვის კაპიტელი, ბრინჯაოს ქანდაკებები, ნიკე, არიადნე, დიონსპანი, სახემშვერნიერი მენადები და ფრთაგაშლილი არწივები. აქვე სამსხვერპლო – მოედანთან, რომელიც მოკირწყლულ იატაკს ნარმოადგენს, ნაპოვნია საკურთხეველი და კედლის საგანგებო სანგრევი იარაღი – ურნალი. აქვე, ზედა ტერასაზე აღმოჩენილია საზეიმო საკურთხევლის ქვა ყუთ-ბავშვის სამარხისა და სამაროვნების ადგილსამყოფელი, სადაც უამრავი ოქროსა თუ ვერცხლის განძია აღმოჩენილი, რომლებიც ძვ.წ.აღ V – III საუკუნეებით თარიღდებიან.

მოკლედ, ვანი სატაძრო ქალაქს მოგვაგონებს, რო-  
მელიც წამოადგენს წარსულის სარკეს, სადაც ანტიკური  
კოლხეთის რვასაუკუნოვანი ისტორია ცოცხლდება. აქ  
ყველა მოსული ტურისტი თუ დამთვალიერებელი, თავი-  
სი თვალით ნახავს უდიდებულეს არტეფაქტებს და მოის-  
მენს ისტორიებს არგონავტების ლაშქრობაზე, მედეაზე,  
აიეტზე, გამარჯვების ქალღმერთ ნიკეზე, დიონისეზე თუ  
აპოლონზე, საკუთრივ კოლხეთზე, კოლხებსა და მათ ქვეყ-  
ანაზე.

ვანის აღმოჩენებმა თავიდანვე დაგვანახა რომ კოლხეთი ანუ დღევანდელი საქართველო, თავიდანვე იყო ევროპული ცივილიზაციის წამყვანი ნაწილი და ამავე დროს ინდივიდუალური, თვითმყოფადი კულტურის მატარებელი, რაზეც თავად ვანის ნაქალაქარზე აღმოჩენილი არტეფაქტები ლაპარაკობენ და მუზეუმის საგამოფენო სივრცეებში დაცული ექსპონატების მოულოდნელი ინტერპრეტაცია, ცნობისმოყვარეობას გააღვიძებს და თავგადასავლებში გამოგზაურებთ.

ნაქალაქარის ტერიტორიიდან საჰაერო სიღის სამუალებით, რომელიც დაკავშირებულია განახლებულ მუზეუმთან, ხელისგულზე ჩანს მომზიდლავი პანორამა კოლექტის დაბლობისა, მდინარე ფაზისის ნაპირები, იქ სადაც ანტიკურ ხანაში იყო არსებული ქალაქის სახელოსნოები თუ სანაოსნო პორტი, სადაც ჩერდებოდნენ ვანის ქალაქში შემოსასვლელი იალქნიანი გემები. ტერიტორია, რომელზეც ჩვენ ვსაუბრობთ, ბოლომდე შესწავლილი არ არის. ლიტერატურაში კი საყანჩიას სახელწოდებითაა მოხსენიებული.

მუზეუმის ექსპოზიცია, რომელიც პირველ კორპუსის მე-3 სართულიდან იწყება, გამორჩეული არქეოლოგიური ექსპონატებითა წარმოდგენილი. ბრინჯაოს ცული დასაწყისშივე გაგინევთ მეგზურობას, რომელიც საკავილაშია (სოფ. სულორი) აღმოჩენილი და ძ.წ. აღ VIII – VII საუკუნითაა დათარიღებული. მეცნიერები თვლიან, რომ ცული საკულტო მნიშვნელობისაა, რომლის თავზეც მამაკაცები ამხედრებული არიან ცხენებზე ხელში ჩირალდნითა თუ კაპარჭით. იქვე გვერდით გამოფენას ამდიდრებს „თამადა“ ყანწით ხელში, მასთან ერთად იხილავთ ექვთიმე თაყაიშვილის მიერ აღმოჩენილი ბრინჯაოს დიადემას.

ამ შეგრძნების შემდეგ უზადო მომზიბვლელობით გამოიჩინევა სარკეებიანი დარბაზი, რომლის საგამოფენო ვიტრინინებში განთავსებულია ფანტასტიკური (ჰერციგლიბის, ასევე ფანტასტი-



თამაზი ყანით

ურად შესრულებული ფიგურები, რომლებიც ძვ.წ.აღ. VIII – VII საუკუნითაა დათარიღებული. ეს გახლავთ ხელოვნების უიშვიათესი ნიმუშები, რომლებიც ვანის ქალაქის საწყის ეტაპზე დიდი ოსტატურობით შეუქმნიათ ჩვენს წინაპრებს – კოლხებს. ეს არის თვითმყოფადი კულტურისათვის დამახასიათებელი ხელოვნების შედევრები, იგი ორიგინალური, კოლხურია და არაფერი აქვთ საერთო ბერძნულ თუ აღმოსავლურ ხელოვნებასთან, რომლებიც 28 – საუკუნის განმავლობაში ინარჩუნებენ უნიკალურობას.

მუზეუმის საგამოფენო სივრცეებში, რომლებიც ორ სართულზეა განლაგებული, ექსპონატთა მრავალფეროვნება, ნაკეთობათა ნაირსახეობა და სიმრავლეც გაგაოცებთ. საგამოფენო კონცეფცია ისეთ განცდას შეგიქმნით, რომ თითქოს ისევე მოულოდნელად წააწყდით მდიდრულ ნივთებით სავსე სამარხებს, ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოსაგან დამზადებულ ძვირფას ნაკეთობებს. კოლხურ თუ იმპორტულ ამფორებს, ოქროს თუ ვერცხლის მონეტებს, საკულტო ხასიათის, მამაკაცისა თუ ქალის ფიგურებს, ჩაგაფიქრებთ თუ ვისთვის ან რისთვის იყო შექმნილი, ან განკუთვნილი ეს ნივთები, თუ ქანდაკებები. ვინ იყო ოსტატი? ან რა კავშირი ჰქონდა ვანსა და მის შემოგარენს მაშინდელ ზღაპრულ ცივილიზაციასთან საბერძნეთთან, აქამენიდურ ირანთან თუ მცირე აზიასთან. ან რა რელიგიის მატარებლები იყვნენ ამ ადგილას მცხოვრები ადამიანები.



სარკვეპიანი დარბაზი

აქ განლაგებული თითოეული ექსპონატი თავისი არსით დოკუმენტია კოლხეთში მიმდინარე პროცესებისა. მნახველი თავად მიხვდება, რომ ვანის ქალაქი ძვ.წ.აღ. I ათასწლეულის განმავლობაში კოლხეთის პოლიტიკურ და საკულტო ცენტრს წარმოადგენდა, ხოლო ელინისტურ სამყაროში კი ერთ-ერთი გამორჩეული სატაძრო ქალაქი იყო, ასევე გამორჩეული თავისი უზადო და ზეანეული ორიგინალურობით.

განახლებულ მუზეუმში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს კოლხური ოქრომჭედლობის ნიმუშების დამზადების ტექნოლოგიის წარმოჩნდას. ოქრომჭედლის, ერმილე მალრაძის მიერ ჩატარებული ექსპერიმენტების მიხედვით, მუზეუმში მნახველი გაეცნობა ძველ კოლხების ცოდნას ოქროს მოპოვებისა და მისი დამუშავების შესახებ. აქვეა წარმოდგენილი ბრინჯაოს ნაღვენთები, ჩასართები და ყალიბები, რომლებიც მნახველს არწმუნებს მისი ადგილზე ჩამოსხმის უტყუარობაში, კულტურის დიდ განზომილებას დიდოსტატობაში.

საგამოფენო სივრცეში მრავლადაა აგრეთვე წარმოდგენილი არქიტექტურული დეტალები, განსაკუთრებით დამთვალიერებლები გაოცებულნი დარჩებიან ქვის კაპიტელების, მრგვალი ფორმის საყრდენი ბაზებისა და ლომების სკულპტურის მონაცემებით. მნიშვნელოვანია კოლხური კრამიტებისა და ალიზის აგურების ექსპოზიციაც, რომლებიც ადგილობრივ სახელოსნოებშია დამზადებული, რასაც მასზე არსებული სანარმოო დამლები ადასტურებენ.

დამთვალიერებლები მოინახულებენ ქალაქის კარიბჭეს და მასზე მიშენებულ სამსხვერპლო ნაგებობას. გაეცნობიან აქ აღმოჩენილ, ქვაზე შესრულებულ ძველ ბერძნულენოვან დამწერ-

ლობას, რომელზეც განთავსებულია შემდეგი შინაარსის წარწერა: „გევედრებით მეუფეო ქალ-დმერთო“. წარწერა მიუთითებს, რომ შესასვლელშივე აღმართული უნდა ყოფილიყო ქალლმერთის ქანდაკება, რასაც ქვის ჭრილში შემორჩენილი კალის წარჩენებიც ადასტურებს.

საგამოვენო სივრცეში დიდ ინტერესს იწვევს ბრინჯაოს ბერძნულენოვანი 28 სტრიქონით შემორჩენილი ფილა, რომელიც ქალაქის ცენტრალურ ნაწილშია ნაპოვნი. წარწერის დიდი ნაწილი დაკარგულია, თუმცა აღმოჩენილი წარწერა მნიშვნელოვანია არა მარტო კოლხეთის, არამედ შავი ზღვის ქვეყნების ისტორიის შესწავლისათვის. ფილა აღმოჩენილია ნაქალაქარის ცენტრალური ტერასის დასავლეთ ნაწილში, თორმეტ საფეხურიანი საკურთხევლის კლდოვან დედაქანში ნაკვეთ სარიტუალო საკურთხეველთან ახლოს.

ფილის მარჯვენა კიდეზე ჩარჩოს სახით შემორჩენილი ნახევრადსვეტის ფრაგმენტის საფუძველზე შეიძლება ვარაუდი, რომ ელინისტურ ეპოქაში ფართოდ გავრცელებული საკანონმდებლო წარწერებისათვის განკუთვნილი სტელების მსგავსად, ეს ფილაც ნახევარსვეტებს შორის უნდა ყოფილიყო მოქცეული, რომელთა კაპიტელებს კარნიზი ან ფრონტონი ეყრდნობოდა. ვანში აღმოჩენილი ბრინჯაოს ფილა, რომელიც საკანონმდებლო წარწერიანი სტილის ფრაგმენტს წარმოადგენს, არა მხოლოდ კოლხეთის, არამედ ელინური სამყაროსათვისაც მნიშვნელოვანი საკრალური დოკუმენტია. პალეოგრაფიული ნიშნებით წარწერა ძვ.წ.აღ. IV საუკუნის დასასრულით ან ძვ.წ.აღ. III ს. დასაწყისით თარიღდება.

ფრაგმენტულად შემორჩენილ სატაძრო კანონმდებლობაში ოთხი პუნქტი კლაუზულა – გამოიყოფა და სხვადასხვა ტიპის ბერძნული ეპიგრაფიკული დოკუმენტებიდან ცნობილი ფორმულირების საფუძველზე, შესაძლებელია შემდეგი ინფორმაციის აღდგენა: 1. წყევლა მათ, ვინც არ შეასრულებს ამ სტელაზე დაწერილ პირობებს; 2. იმ პირთა ვალდებულებები, ვინც უფლებამოსილი არიან თვალყური ადევნონ კანონის აღსრულებას, მათ არ უნდა დაუშვან სტელის ტაძრიდან გატანა და უზრუნველყონ მისი ხელშეუხებლობა; 3. უფლებამოსილ პირთა ჩამონათვალი ქურუმი, რომელიც არის ტაძარში; 4. კიდევ ერთი წყევლა მათ, ვინც წესებს დარღვევს, წყალობისათვის მოხმობილნი არიან ღვთაებები „მინა და მზე“ და „მთვარე“. დასაწყისში მოხსენიებულ ტოპონიმს „სუსის“-ს უკავშირებენ კლავდიუს პტოლემაიოსს და პლინიუსის მიერ კოლხეთში ლოკალიზებულ „სურიონ“-ს, „სურიუმ“-ს, რომელიც სხვადასხვა ადგილთან არის გაიგივებული. პლინიუსის ცნობა, რომ კოლხეთის ქალაქებიდან მის დროს, ე.ი. ახ.წ.აღ. I საუკუნეში იდგა მხოლოდ სურიუმი, უნდა გამორიცხავდეს მის ვანთან გაიგივების შესაძლებლობას, რადგან ვანი ძვ.წ.აღ. I საუკუნეში, კერძოდ, მის მეორე ნახევარში უკვე დანგრეულია.

მუზეუმის მეოთხე სართული თავისი სცენოგრაფიით მთლიანად ტაძრის იმიტაციას ქმნის. ელინისტური ეპოქისათვის დამახასიათებელი არქიტექტურული დეტალები, ღვთაებათა და მითოლოგიურ პერსონაჟთა გამოსახულებები, ძვირფასი შენირულობები საკურთხევლები. აქ წარმოდგენილია აგრეთვე პროფესორ დიმიტრი ახვლედიანის მიერ გათხრების უბანზე აღმოჩენილი ბრინჯაოს სატაძრო ინვენტარი, რომელიც ძვ.წ.აღ. I საუკუნითაა დათარილებული. აქ აღმოჩენილი ბრინჯაოს ტორსი, ჭრაქები, სირინოზის ქანდაკება, საკულტო ხასიათის ჭურჭლები და სხვა ნაკეთობანი, დღესათვის ვანის განახლებული მუზეუმის სავიზიტო ბარათს წარმოადგენს.

გამოფენაში მნახველი იხილავს ბრინჯაოს ქალღმერთ ნიკეს ფრთაგაშლილი არწივების, ახალგაზრდა სატირის, დიონისეს, პანის, არიადნეს სახეშვენიერი მენადის გამოსახულებებს, რომელიც მთელი მაღალი ოსტატობითაა შექმნილი ბრინჯაოსგან. დამთვალიერებლები აგრეთვე გაეცნობიან ბრინჯაოს ქანდაკებების სხვადასხვა საინტერესო დეტალებს.

მოკლედ, როგორც ჩანს ვანის ქალაქი მდიდრულად იყო თავის დროზე წარმოდგენილი. იგი შემკული ყოფილა ქანდაკებებითა და რელიგიური სატაძრო ნაგებობებით, როგორც კოლხეთის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სატაძრო ცენტრი, რომელიც ძვ.წ.აღ. I საუკუნის მეორე ნახევარში მტრის შემოსევების შედეგად დაინგრა. ქალაქი რომ გადამწვარია, ამას ადასტურებს კულტურულ ფენებში დიდი რაოდენობით აღმოჩენილი ხის დანახშირებული ძელები – თიხის დამწვარი, წილად ქცეული ალიზის კედლები და აგურები. ასევე მრავლადაა წარმოდგენილი ხანძრისაგან გამომწვარი ქვის კედლები და კრამიტები. გამოფენაში მნახველი გაეცნობა და იხილავს საბრძოლო ჭურვებს – შურდულს, ქვების და კედლის სანგრევ რკინის ურნალს, რომლის საშუალებითაც ანგრევდნენ გალავნის სასიმაგრო კედლებს.

მუზეუმშია გამოფენილი მაშინდელი მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან შემოტანილი მონეტები. მათ შორისაა დარიოს დიდის, მილეტის, ლიზიმაქეს, მარკუს ავრელიუსის, ლიდიის, მითონიდატე პონტოელის, ალექსანდრე მაკედონელის, ფილიპე II ათენური, პანტიკაპიური ამისოს და სხვა მრავალი სახის მონეტები, რომელებიც ნათლად ადასტურებენ იმდროინდელი ქვეყნების სავაჭრო ურთიერთობებს. მათ შორის მრავლადაა წარმოდგენილი კოლხური თეთრის ნომინალები. ხოლო იმ მონეტათა რაოდენობა, რომელიც არც თუ ისე ცოტაა, განუსაზღვრელია მისი სიძველისა და დაზიანების გამო. თუ მსგავსი მონეტები აღმოჩნდება უკეთეს მდგომარეობაში, შესაძლებელია ამ მონეტების საბოლოოდ განსაზღვრაც და დადგენა მათი მიმოქცევის სადაურობისა.



გამოფენაში დიდი რაოდენობითაა მელვინეობასთან დაკავშირებული სასმისები, რომელიც მელვინეობისადმი მიძღვნილ დიდ რიტუალებზე მიუთითებს და გაზაფხულობით იმართებოდა. გამოფენაში იხილავენ სილენის, დიონისეს ყალიბებსა და ნიღბებს. სწორედ რიტუალის შესრულების დროს იკეთებდნენ ნიღბებს და წარმოადგენდნენ რიტუალისათვის საჭირო სახეებს. ამ ყველაფერს, რაზეც აქ ვისაუბრეთ, ამასთანავე კიდევ სხვა არაერთ უაღრესად საინტერესო ექსპონატებსაც, დეტალურად გაცნობიან მუზეუმის ვიზიტორები.

ამრიგად, აკადემიკოს ოთარ ლორთქიფანიძის სახელობის ვანის არქეოლოგიური მუზეუმის რეკონსტრუქცია, როგორც იქნა 2020 წელს, ეროვნული მუზეუმის გუნდის 10 წლიანი მუშაობის შემდეგ დასრულდა. განახლებულმა შენობამ შეინარჩუნა ძველი იერსახე. ის მართლაც ტაძარს ჰგავს თავისი არქიტექტურული ფორმებითა და აგებულებით.

მუზეუმს მისტიკურობის შეგრძნებას აძლევს ექსპოზიცია, თითოეული ნივთის მხატვრული ინტერპრეტაცია, თანამედროვე ინსტალაციები, შუქრდილების მონაცვლეობა, ბუნებრივი და ხელოვნურად შექმნილი განათების სინთეზი, ეს ყველაფერი კი მეცნიერულ კვლევებზე წლების განმავლობაში დაგროვილ ცოდნაზე დაყრდნობითაა წარმოდგენილი.

საგამოფენო პროცესში ამოსავალი წერტილი თავად ნივთი და მისი ისტორიაა. ანტიკური ვანის 2800 წლიანი ნაქალაქარის მასშტაბი კი დროსა და სივრცეში მოგზაურობის შესაძლებლობას იძლევა. ვანის განახლებულ მუზეუმს, საექსპოზიციო დიზაინსა და თითოეული ნიმუშის საგამოფენო სივრცეში განლაგებისას, ფრანგ დიზაინერ ლიანა ლოპესთან ერთად ჩართული იყვნენ რესტავრატორები და ინსტალატორები: ფრიდონ ლობუანიძე, ვატო ხოშტარია, ლევან და გიორგი მინდორაშვილები, ნინო თავართქილაძე, თეა კინწურაშვილი, სალომე ახალაძე, სესილი სორდია და თემურ ფარჯანაძე.

განახლებული მუზეუმი სამეცნიერო კვლევის მიმართულებით მრავალფეროვან შესაძლებლობას იძლევა. მუზეუმის ლაბორატორიაში წარიმართება ნივთის ისეთი სრულყოფილი კვლევა, როგორც წლების წინ ჩვენთვის, მხოლოდ ოკეანის გადაღმა იყო შესაძლებელი. დღეიდან

ნივთის შესწავლა დაიწყება თვითონ ველზე, არქეოლოგიური აღმოჩენების მომენტიდანვე. შემდეგ კი გაგრძელდება მისი კომპლექსური კვლევა- რესტავრაცია კონსერვაციის სამეცნიერო ლაბორატორიაში.

**ვანის მუზეუმი ანტიკური კულტურის კვლევის საერთაშორისო ცენტრს წარმოადგენს. რითაც ჩანს, რომ საქართველოში სამეცნიერო მიმართულებით ახალი ეტაპი იწყება.**

ლაბორატორიის გარდა, მუზეუმში შეიქმნა ლევონ ლევისა და შელბი ვაითის ბიბლიოთეკა მდიდარი სამეცნიერო ლიტერატურით. მუზეუმში არსებული საკონფერენციო დარბაზი კი საუკეთესო ბაზაა საზოგადოებასთან დიალოგის გასამართვად და წლების წინ დაწყებული საერთაშორისო სიმპოზიუმების გამართვის ტრადიციის გასაგრძელებლად.

მუზეუმში უახლესი სტანდარტების დაცვით მოწყობილია ფონდები, აუდიტორია და საზოგადოებრივი სივრცეები. მათ შორის კაფე – მუზეუმის მაღაზია სუვენირებისათვის და ღია ვერანდები. დიტერ პვანენშტილის ხელმძღვანელობით, არქიტექტორების გუნდმა შეიმუშავა პროექტი, რითაც შეინარჩუნეს ძველი მუზეუმის შენობის იერსახე. ამავე დროს მოარგეს ჩვენს რეალობასა და თანამედროვე მოთხოვნებს. ამ პროცესში ჩართული იყო არქიტექტორი ზაზა იაშვილი, ხოლო ვანის მუზეუმის ინფრასტრუქტურულ განვითარებას ხელმძღვანელობდა მამუკა სალარაძე.

რამდენადაც განყენებული გეჩვენება მუზეუმის შენობა ერთი შეხედვით, იმდენად ღია და ახლოა ის სინამდვილეში საზოგადოებისათვის. მუზეუმი XXI საუკუნის საგანმანათლებლო, სამეცნიერო და ტურისტული ცენტრია, რომელიც ჩვენი ქვეყნის ისტორიის უმნიშვნელოვანეს ფურცელს შლის და აგრძელებს იმ ტრადიციას, რომელსაც საუკუნის წინ ქართველმა არქეოლოგებმა და მეცნიერებმა დაუდეს საფუძველი.

ვანის სიძველეების გაცნობის შემდეგ ან პარალელურად მნახველი დაინტერესდება თუ როგორ და ვისი ინიციატივით შეიქმნა მხარეში ესოდენ დიდი არქეოლოგიური მუზეუმი, ვინ გადადგა ეს ღირსეული ნაბიჯი, რათა მსოფლიოს დაინტერესებულ ტურისტებს და სპეციალისტებს შესაძლებლობა პქონოდათ გაცნობოდნენ ანტიკური პერიოდისა და კიდევ უფრო ძველი კოლხეთის ისტორიის ესოდენ დიდ წარმოჩნდას.

საგამოფენო სივრცეში შესვლამდე, ტურისტებსა და დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობა ექნებათ გაეცნონ აკადემიკოს ოთარ ლორთქიფანიძის მეცნიერულ დამსახურებას არა მარტო ვანის სიძველეების, არამედ კოლხეთის და საქართველოს უძველესი პერიოდის დეტალურად შესწავლის წარმართვისათვის. მეცნიერს, რომლის კალამი შექხო მთლიანად ქართველი ერის წარსულს, მათ ისტორიულ ღირებულებებს, მის მიერვე საფუძველჩაყრილი საქართველოს არქეოლოგიური კვლევის ცენტრის მეოხებით ჩატარებულ სიმპოზიუმებას და სამეცნიერო კონფერენციებს, კვლევებს ქართული კულტურის დიდებისათვის, რომელიც ძირითადად ვანის ბაზაზე ხორციელდებოდა.

უნდა აღინიშნოს საქართველოს მაშინდელი და რაიონული ხელისუფლების გაცნობიერებულ დახმარებასა და გვერდით დგომაზეც.

გარდაცვალების შემდეგ, ოთარ ლორთქიფანიძის სახელი ენოდა მისივე ძალისხმევით დაარსებულ არქეოლოგიურ მუზეუმს. დაფასდა მისი ღვანლი ერის წინაშე. როგორც ითქვა, დღეისათვის კიდევ უფრო გაფართოვდა და განახლდა საგამოფენო სივრცე და ექსპოზიცია. მნახველი გაეცნობა იმ განახლებულ ექსპოზიციას და მათ შორის, იმ ღირსეული, უზადო პატრიოტიზმით განმსჭვალული ადამიანის თავდადებას, ვანის არქეოლოგიური მუზეუმით(და არა მარტო), ქართველთა იდენტობისა და მსოფლიო ცივილიზაციაში მისი წვლილის, ესოდენ დიდ პროფესიონალურ დონეზე წარმოჩნდებისათვის.

## არგონავტები და ძველი კოლხეთი

დასავლეთ საქართველოს შუაგულში, უძველეს ქალაქ ვანში, იქ სადაც ანტიკური ნაქალაქარის დიდებული ნაშთები გადმოჰყურებს კოლხეთის დაბლობის დიდ ნაწილს, ასევე ანტიკური ტაძარივით წამოიმართა ულამაზესი მუზეუმი, რომელიც სარკესავით არეკლილ, მდიდარ და საინტერესო წარსულზე მოგითხოვთ საექსპოზიციო სივრცეებში წარმოდგენილი თავისი უძველესი და უნიკალური არტეფაქტებით.

ოთარ ლორთქიფანიძის მიერ დაარსებული, მისივე სახელობის განახლებული მუზეუმის რეკონსტრუქცია 2020 წლის ზაფხულში დასრულდა. ეს იყო ეროვნული მუზეუმის მიერ გაწეული მეტად რთული, დაუღალავი ფიქრის და 10 წლიანი შრომის საუკეთესო შედეგი.

ძველი ექსპოზიციისაგან განსხვავებული კონცეფციებით, თანამედროვე ტექნილოგიური მიღწევების გამოყენებით, შუქ-ჩრდილთა საოცარი მონაცვლეობით, ინსტალაციებით, ცალკეული ექსპონატის წარმოჩენის უზუსტესი გადაწყვეტით, საერთო ჯამში იმ განუმეორებელ, მისტიკურ შეგრძნებებს გრძელით, რაც წესისმიერ დამთვალიერებელში აღბათ სამუდამოდ რჩება, რომელსაც ვერაფერი გაახუნება.

იდეაში, ვანის განახლებულ მუზეუმს უნდა გადმოეცა მრავალსაუკუნოვანი ისტორიის ფერი და ხასიათი, ეპოქათა მიჯნებზე ამ ქალაქის სუნთქვა და განწყობა, კოლხური გენის ღვთაებრიობა და მისტიკა, რაც ნამდვილად მიღწეულ იქნა კიდეც... მუზეუმის ორ სართულზე, მის საგამოფენო სივრცეებში „მოგზაურობისას“, იხიბლებით მრავალფეროვნებით, სინატიფით და კოლხების გონიერებით. თითქოს იშლება და ქრება მიჯნები, დრო და სივრცე და თქვენ სატაძრო ქალაქის ყველა კუთხე-კუნძულში თამაბად და სიამოვნებით იხედებით.

კოლხები ფლობდნენ დიდ ცოდნას, ჰქონდათ ბრწყინვალე გემოვნება... ამიტომ გასაკვირი არცაა, რომ განახლებულ მუზეუმში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო იმის წარმოჩენას, თუ რა დონეზე და როგორ ცოდნას ფლობდნენ ჩვენი წინაპრები ოქროს, რკინის და ბრინჯაოს დამუშავების ტექნილოგიების გამოყენებისას, მედიცინაში, ხელოვნებაში, საამშენებლო საქმეში.

სიბრძნის, საიდუმლო ცოდნის მარადიული ძიება, ევროპულ კულტურაში ასახვას ჰპოვებს ოქროსთან დაკავშირებულ სიმბოლოებში, როგორებიცაა ოქროს საწმისი, ფილოსოფიური ქვა, გრაალის თასი. ყველაზე კეთილშობილი მეტალი, თავისი თვისებების გამო – მარადიული, მზის ლითონად წოდებული ოქრო იქცა ადამიანის სულიერების, მისწრაფებების გამოსახვის ფიზიკურ საშუალებად. ხოლო მეცნიერული ცოდნა ოქროს შესახებ – თავად სიბრძნის ერთ-ერთ გამოვლინებად.

ამიტომ მოდით დროებით, უფრო შორეულ წარსულში გადავინაცვლოთ და არგონავტების ლაშქრობის ისტორიას და მათი მიზნების რეალურ ზრახვებს დავუბრუნდეთ.

კოლხეთი – კოლხიდა, ასე ჰქვია იმ უძველეს მხარეს, რომელიც ამიერკავკასიის დასავლეთ ნაწილში მდებარეობს და შავი ზღვის სანაპიროებიდან კავკასიონის მთაგრეხილამდეა გადაჭიმული (და წარმოადგენდა და წარმოადგენს კოლხთა (ქართველთა) სამშობლოს). სახელი და დიდება ამ ადგილისა, რომელიც შემკული იყო ბუნების ყოველგვარი სიკეთით, კულტურის სფეროში ბრწყინვალე მიღწევებით, გასცდა ძველი აღმოსავლეთის და ხმელთაშუაზღვისპირეთის ქვეყნების საზღვრებს.

ამავდროულად კოლხეთი ესაა სახელმწიფო, სადაც მითების მიხედვით უძველეს წარსულში დევენდარული ამბები გათამაშდა.

კოლხეთის სიდიადემ ნათელი გამოხატულება ჰპოვა თქმულებაში არგონავტების შესახებ, რომლებიც კოლხეთში ოქროს საწმისის მოსაპოვებლად ჩამოვიდნენ.

მეცნიერთა დაუღალავი კვლევების შედეგად, თქმულებებს არგონავტების შესახებ, თანდათან ეცლება იდუმალი მითის საბურველი და ლეგენდებში აღნერილი გმირები და აიეტის ჯადოსნური ქვეყანაც, როგორც წამდვილი, რეალური ისე წარმოგვიდგება, ხოლო მითში აღნერილი მოვლენები – ისტორიულ ფაქტებად ისახება.

მაინც რა იყო „ოქროს საწმისი“? იყო თუ არა იგი თუმცა ჯადოსნური ცხვრის, მაგრამ მაინც ტყავი, რომელიც ოქროს უზვრილესი ნამცეცებით იფარებოდა, როცა მას იქრო მდინარე წყალში ჩააფენდნენ? ან იქნებ ეს საიდუმლო ცოდნა იყო, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა ფლობდა და იცავდა? ალბათ უფრო მართებული იქნება, თუ ვიტყვით, რომ „ოქროს საწმისის“ უკან კოლხების უდიდესი კულტურა მოიაზრებოდა.

ბერძენი ფილოსოფოსის და მითოგრაფის ევპემეროსის მიმდევრების ინტერპრეტაციის თანახმად, ოქროს საწმისი იყო ეტრატზე აღნუსხული ოქრო დამწერლობის ხერხი, ან წიგნი იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება მიიღო ოქრო ქიმიის საშუალებით. ის სიბრძნე, რომელიც ოქროს მოპოვების, დამუშავებისა და ოქროს მაღალი სულიერი მიზნებისთვის გამოყენების შესახებ ცოდნის სახით კოლხეთსა და საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ათასწლეულების მანძილზე უწყვეტად გადაეცემოდა.

მეცნიერთა დაუღალავი კვლევების შედეგად, თქმულებები არგონავტებზე ჩვენს თვალწინ თანდათან იხსნის ლეგენდის საბურველს და მითში დახატული გმირები, კოლხეთის ჯადოსნური ქვეყანა, რეალობად იქცევა, ხოლო მოვლენები ნამდვილ ფაქტებად ლაგდებიან.

ჩვენამდე მოღწეული ისტორიული წყაროებიდან, რომელიც ადასტურებს აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში კოლხური თემების მსხვილი გაერთიანებების არსებობას, უძველესია ასირიელი დამპყრობელის თიგლატპალასარ I -ის დროინდელ ჩანაწერებში, რომელიც ჩვ. წ. აღ. 12-11 სს. მეფობდა. ასირიულ ნაწერებში მოხსენიებული ქვეყანა ბერძნული კულტურის ძეგლებში, აიეტის უძლიერესი სახელმწიფოს გამოსახულებაა, რომელშიც არგონავტებმა ყველასათვის ცნობილი ლაშქრობა განახორციელეს. ამ ლაშქრობას მკვლევარები ჩვ. წ. აღ. XIII -ს. ათარიღებენ. ამ მოვლენის დათარიღება იმ ცნობილ ფაქტს უკავშირდება, როგორიცაა არგონავტების შვილების ტროას ომში მონაწილეობა. (1235- 1225წწ).

ამ დროისათვის შავი ზღვის სანაპიროზე, სხვა, უფრო მსხვილი პოლიტიკური ერთეული, ქვეყანა, რომელიც ოქროს საწმისის ლეგენდას დაუდებდა საფუძველს – არ არსებობდა.

კოლხეთის სამეფოს მეფობა იყო ძლიერი სახელმწიფოს არსებობა. არც ასირიას, არც ურარტუს, არც მიდიას, არც სპარსეთს არ გამოუვიდათ ამ ქვეყნის საბოლოო განადგურება, რაც მეტყველებს კიდევ მის პოლიტიკურ სიძლიერეზე და იქ ცენტრალიზებული მმართველობის თავმოყრასაც.

არგონავტების შესახებ თქმულებებში, კოლხეთის მეფეს აიეტი ჰქვია და მისი სახელი ძველი ბერძენი ისტორიკოსის და გეოგრაფის სტრაბონის ცნობით – კოლხური სახელია. სტრაბონს კი შეგვიძლია ვერწმუნოთ. იგი ყმაწვილობიდანვე კარგად იცნობდა კავკასიას. სტრაბონის დედა ლაზების ტომიდან იყო, ხოლო კოლხეთის მმართველი მოაფენი, დედის ბიძა გახლდათ. გარდა ამისა, აიეტი აიეტიდების სამეფო დინასტიის დამარსებლადაც ითვლება. აიეტიდების სამეფო დინასტიის მმართველობის ტრადიციების შესახებ ცნობები მოიპოვება ქსენოფონტეს, პლინიუსის, და სხვა ანტიკური ავტორების ნაწერებში.

„ოქროს საწმისის“ მოსაპოვებლად კოლხეთში ჩამოსული არგონავტები მეფე აიეტს გამოეცხადნენ და თავიანთი მოგზაურობის მიზანი მოახსენეს. აიეტის მიერ დაკისრებულ მოვალეობებს ისინი ალბათ, ვერც ვერასდროს შეასრულებდნენ, რომ არა სიყვარულის ქალღმერთი აფროდიტე. ქალღმერთმა თავისი შვილი, ეროსი მიუგზავნა აიეტის ასულ მედეას და მის გულში არგონავტების მეთაურის – იასონის მიმართ, სიყვარული გაუჩინა.

აიეტი მრისხანედ შეხვდა არგონავტების მოთხოვნას „ოქროს საწმისის“ გადაცემის თაობაზე.

ან კი რატომ უნდა დაეთმოთ კოლხებს საწმისი ამ გადამთიელებისთვის?

არგონავტები ყოველნაირად ცდილობდნენ აიეტის დაყოლიებას, იასონი მოთაფლული ენით ელაქუცებოდა და ცდილობდა თავი მოექონა მეფისთვის.

აიეტმა იასონს პირობა წაუყენა: ბერძენ გმირს არესის ველი უნდა მოეხნა.

თუ მითოლოგიური სიუჟეტის იმ სირთულეს, რომელიც იასონის წინაშე დადგა, დროებით თავს დავაღწევთ, ერთ უცნაურობას აღმოვაჩინთ.

აიეტმა „ოქროს საწმისის“ სანაცვლოდ არა რაიმე გმირობის ჩადენა მოითხოვა, არამედ არც მეტი-არც ნაკლები: მიწის დამუშავება. კოლხებისა და მათი მეფის, აიეტის ჩვეული საქმიანობა: მიწის ხვნა.

გაოცება გეუფლება, როცა გებულობ, რომ აიეტი შეიარაღებული ბრძოლისაკენ არ მოუ-

წოდებს იასონს, არამედ მხოლოდ და მხოლოდ მიწის დამუშავებას ავალებს. ეს მხოლოდ აი-ეტს შეეძლო უღელში შექა სპილენძის ფეხებიანი, სპილენძის რქიანი ცეცხლისმფრქვეველი ხარები, ერთ დღეში მოეხნა მიწა, დაეთესა და მოსავალიც აეღო.

სხვათა შორის, არგონავტების ლაშქრობის დროინდელ სამარხებში არ გვხვდება საბრძოლო საჭურველი, სამაგიეროდ უხვადაა სასოფლო-სამეურნეო იარაღები. ამ არტეფაქტების აღ-მოჩენა არა მარტო მეტყველებს კოლხეთის სახელმწიფოს მაღალ კულტურაზე და მათ შრო-მისმოყვარეობაზე, არამედ კოლხი ხალხის მშვიდ ბუნებასაც ადასტურებს.

ერთი შეხედვით კოლხების ჩვეული საქმიანობა ბერძნებისთვის შეუსრულებელ მისიად დარჩებოდა, რომ არა მედეა. მეცნიერული კვლევები ხატავენ სურათს კოლხეთის, როგორც უძველესი მიწათმოქმედი ქვეყნის შესახებ.

ძველ ბერძნებს თვალწინ გადაშლილი კოლხეთი წარუდგათ, როგორც მაღალგანვითარე-ბული, მიწათმოქმედი ქვეყანა. შემთხვევით არ უწოდებენ საქართველოს „გეორგიას“, რაც თარგმანში „მიწათმოქმედს“ ნიშნავს.

მაგრამ დავუბრუნდეთ ადრე ნათქვამს. მითში ყურადღებას იპყრობს ხარის კულტი. აიეტს ჰყავს სპილენძისფეხებიანი და სპილენძისრქებიანი ცეცხლისმფრქვევლი ხარები. კოლხების წარმოდგენით: მეტალურგიისა და მიწათმოქმედების – ცეცხლისა და მზის სიმბოლო.

არქეოლოგიური კვლევების შედეგად კოლხეთში მრავლადაა ნაპოვნი ხარის სკულპტურული გამოსახულებები. მათი ნახვა ვანის მუზეუმშიც შეგიძლიათ, გამოფენაზე, ხარის გამოსახუ-ლი „კოლხური თეთრის“ ერთ მხარეს, ხოლ სვანურ ფოლკლორში, ერთ-ერთ საგალობელში ოქროსრქიანი ხარის ამბავია მოთხოვნილი.

აპოლონიოს როდოსელი წერს: „არესის ველი მდებარეობდა კირკეონის დაბლობზე, ანუ მდინარე რიონის (ფაზისის) აუზის მიმდებარე ვაკეზე, აიეტის დედაქალაქთან ახლოს“.

არესი ომის ღმერთია, ზევსისა და ჰერას შვილი. მკვლევარები ასეთ ვერსიასაც კი განიხილავდნენ: „არესის კულტი სავარაუდოდ არა ბერძნული წარმომავლობის. ცნობილია, რომ არესი ტროას ომში ბერძნების წინააღმდეგაც კი გამოდიოდა. არესის კულტი საბერძნეთში ნაკლებ პოპულარული იყო. წყაროებში თითქმის ვერ ვპოულობთ მის საიდებლად გაშენებულ ადგილებს.

ბერძნული მითები და ლეგენდები როგორც წესი, ძველი ელინელების გმირობებს მოგვითხრო-ბენ, გამარჯვებით დაგვირგვინებულ ბრძოლებზე, ლაშქრობებზე, სხვა ქვეყნების დაპყრობაზე, სიმამაცეზე...

თუ არგონავტების შესახებ ლეგენდას ჩავულრმავდებით, ბერძნებს არც ისე ბევრი რამ შერჩებათ ხელთ და მით უფრო სატრაპახოდ, კოლხეთის მიწაზე ჩადენილი „გმირობებით“. პირიქით: საბერძნეთის ცნობილი გმირები, ნახევრადლმერთები, თვით ღმერთებიც კი, კოლხები საგონებელში ჩააგდეს თავიანთი საიდუმლო ცოდნის სიღრმით და ჯადოქრული ძალებით.

ბევრი მკვლევარი-მეცნიერი თვლის, რომ არგონავტების ლაშქრობის მიზანს კოლხეთში ლითონი და მისი დამუშავების საიდუმლოებანი წარმოადგენდა. ჰეროდოტეს მიხედვით საბერძნეთი სასარგებლო წიაღისეულით მეტად ღარიბ ქვეყანად ითვლებოდა.

ამ დროისათვის შორეულ მხარეში, კოლხეთში იქ მოსახლე ტომები, ხალიბები, ბრწყინვა-ლედ იცნობდნენ ლითონის დამუშავების ტექნოლოგიებს და ფოლადის წრთობის საიდუმლოს. ამიტომაც ადვილი გასაგებია სტრაბონის სიტყვები: „არსებობს თქმულებები ამ ქვეყნის სიმდიდრეზე, რომელიც შედგება ოქროს, ვერცხლისა და რკინისაგან, რაც გიბიძებს არგონავტების ლაშქრობის ნამდვილი მიზანის შეცნობისაკენ...“

მკვლევარები აღნიშნავენ, რომ არგონავტების მითის ყველა დროის ვერსიას წითელ ხაზად გასდევს მინიშნებების სერია, რომელიც ყველაზე მეტადაა დამახასიათებელი კოლხებისთვის. მათ შორის სიმბოლოები, რომლებიც ნათლად მეტყველებენ კოლხების ცოდნაზე, როგორც გამოჩენილ მეტალურგებზე, მჭედლებზე., ხოლო თავად ქვეყანას კი რკინის სამშობლოდ გვიხატავენ. აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკაში“ პირდაპირაა ნათქვამი, რომ ხალიბები ლითონის მოპოვებითა და დამუშავებით იყვნენ დაკავებულნი.

ბერძნი და რომაელი მწერლები ესქილე, ქსენოფონტე, აპოლონიოს როდოსელი, ამიან მარ-ცელინი თვლიდნენ, რომ რკინა ხალიბების შექმნილია. ანტიკური ავტორების ცნობით, ბერძნები ფოლადს „ხალიუს“ ეძახდნენ, ანუ ხალიბი. ასირიელები კი „ხაბალკინას“ – ეს სიტყვა კოლხური წარმომავლობისაა, „კინა“ ლითონის ნიშნავს, ხოლ „ხაბალ“ – ხალიბს, ანუ ხალიბების რკინა.

მოგვიანებით ხალიბები ცნობილი გახდნენ ხალდების სახელით, რომლებიც ჭანების – (ლაზების) სახელით შევიდნენ ქართულ- ნაციონალურ, ეთნიკურ ჯგუფში.

ქართველი არქეოლოგები: გრძელიშვილი, ხახუტაიშვილი, კახიძე და სხვები თვლიან, რომ კოლხეთის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მცხოვრები ტომების მთავარ საქმიანობას სამთო მეტალურგია წარმოადგენდა.

ანტიკური ავტორები წერდნენ, რომ ხალიბები ფოლადის გამოსადნობად განსაკუთრებულ წესს მიმართავდნენ, რომელიც გასაიდუმლოებული ჰქონდათ. აშკარა, ეს საიდუმლოებანი არანაკლებ ფასეული იყო, ვიდრე ოქრო, ამიტომაც წამოიწყეს ბერძნებმა ასეთი ლაშქრობა კოლხეთში.

„... და ასწავლა მას ქალღმერთმა ჰეკატემ წამლების დამზადება ყველა იმ მცენარეულიდან, რაც იზრდება ხმელეთსა და ზღვაში“.

(აპოლონიო როდოსელი, „არგონავტიკა“ III სიმღერა.)

არგონავტების ყურადღებას კოლხეთში აშკარად, არა მარტო ლითონი და მისი დამუშავების ტექნოლოგიების ცოდნა იპყრობდა, არამედ მედიცინაც, რომელიც იმ დროისათვის უდავოდ მაღალ დონეზე იდგა კოლხეთში.

თქმულებების ყველანაირ ვერსიებში, რომელიც კი ბერძნებმა და რომაელმა მწერლებმა არგონავტების ლეგენდას უძღვნეს, მედეას დედა ჰეკატე, ასევე სხვა ვერსიით მამიდა ცირცე (კირკე) და თავად მედეა, წარმოგვიდგებიან როგორც უდიდესი მკურნალები.

მითების მიხედვით, ფაზისის წაპირებთან მედეას და მის დედას, ჰეკატეს სამკურნალო მცენარეების ბალი ჰქონდათ გაშენებული. სავარაუდოდ, ეს ბალი ერთ-ერთი ყველაზე უძველესია მსოფლიოში. შემორჩენილია მცენარეების სახელწოდებებიც კი, რომლებიც იმ ბალში ხარობდნენ. ისტორიულ წყაროებში ასეთი დიდი რაოდენობით სამკურნალო მცენარეების დასახელებების ფიქსაცია, სადაც აღწერილია მათი სამკურნალო თვისებებიც, უდავოდ ადასტურებს ამგვარი ბალის არსებობას. კოლხეთის მდიდარი ფლორა, სამკურნალო წამლებისთვის უსაზღვრო ნედლეულს წარმოადგენდა. ისევე როგორც ლეგენდები იქრომრავალ კოლხეთზე, ასევე ცნობები კოლხეთის სამკურნალო მცენარეების შესახებ გასცდა ამ ქვეყნის ფარგლებს.

წამლების დამზადებით განსაკუთრებით ჰეკატე გამოირჩეოდა. სწორედ მან აღმოაჩინა ზოგიერთი მცენარის სამკურნალო თვისებები. ძველი ბერძნული წყაროების მიხედვით, კოლხეთში იმ დროისათვის ექიმები არა მარტო კურნავდნენ ავადმყოფებს, არამედ სამკურნალო მცენარეებსაც თავად აგროვებდნენ და წამლებსაც თავად ამზადებდნენ.

მცენარეების შეგროვება, მისგან წამლების დამზადება და მერე მკურნალობა ჰეკატემ ცირცეს (კირკე) შემდეგ, მედეას ასწავლა, რომელმაც აჯობა კიდეც მასწავლებელს. აპოლონიოს როდოსელის ცნობით მედეა გასაოცარი ოსტატობით გამოირჩეოდა. რას არ ნახავდით მის სამკურნალო არსენალში: უამრავ ცხოველურ და მცენარეულ ნივთიერებებს, სხვადასხვა მინერალებს.

განსაკუთრებული თვისებების მქონე მცენარეების შეგროვება, მათი დამუშავების მეთოდოლოგია, ნედლეულისაგან წამლების დამზადება და შემდგომ მათი გამოყენების წესები მეზობელ ქვეყნის მცხოვრებლებში ცხოველ ინტერესს იწვევდა. დაწვრილებით აღწერისას, ბერძენი და რომაელი ავტორები ცდილობდნენ თანამოქალაქეებისთვის გაეცნოთ უცხო და უცნობი სამკურნალო ფლორის ნიმუშები და სამედიცინო მიღწევები. ჰიპოკრატე (ძვ.წ.აღ. 460-377წ), რომელიც მედიცინის მამადაა აღიარებული, კოლხეთს ადგილობრივი ფლორის შესასწავლადაც კი ეწვია.

ძველი კოლხური მედიცინა, რომელიც დაკავშირებულია მედეას სახელთან, მედიცინის მკვლევარ, ავტორიტეტულ ისტორიკოსთა აღიარებით, კაცობრიობის ისტორიაში წარმოადგენს სამედიცინო-ბიოლოგიური აზროვნების თანამიმდევრული განვითარების პროცესის მნიშვნელოვან კვანძს.

შემთხვევითი არაა, რომ სიტყვა მედიცინა წარმოადგება მისი შემოქმედის – მედეას სახელიდან.

არქეოლოგიურ მონაპოვარში არა ერთი შემთხვევაა წამლების შესანახი კოლოფების, სამედიცინო ინსტრუმენტების, მინის კოლბების და კერამიკული ჭურჭლის ნიმუშების აღმოჩენისა.

რეინის იარაღის დამუშავების მაღალი ტექნოლოგიები, სამჭედლო გრდემლი, ხელის წისქვილი, მეთუნის ჩარხი, საჭმელი ზეთის დამზადება, მელვინეობა, ხელოვნებაში გადაზრდილი

ლითონის დამუშავება, ხომალდების აგება მორებისა და ფიცრებისაგან, არქიტექტურის ხელოვნების დონეზე არსებობა, ქალაქი გარშემორტყმული ქონგურებიანი კედლებით....

აი ასეთი სურათი გადაეშალათ თვალწინ კოლხეთის მიწაზე მოსულ არგონავტებს. დღესაც ასეთი რეალობა იხატება კოლხური კულტურის ძეგლების გაცნობისას. ძველი სამყაროს ნაშთები, მრავალ საინტერესო ამბებს გვიამბობენ. კაცობრიობის აზროვნების, სულის, შრომის წარმოუდგენელი სიძლიერე გამოჭვივის საუკუნეების ბინდით დაფარული თითოეული არტეფაქტის გაცნობისას.

ახლა ჩვენ დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ და ვამტკიცოთ, რომ კოლხები დახვეწილი მეტალურგები, ბრწყინვალე ოქრომჭედლები, მიწათმოქმედნი, ექიმები, მშენებლები იყვნენ, და ასევე მისდევდნენ მესაქონლეობას. მათ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს რეინისა და ფოლადის წარმოების ტექნოლოგიების ფორმირებასა და სხვა ერებისთვის ამ ტექნოლოგიების ათვისების საქმეში. ეს მათი დამსახურებაა კაცობრიობის წინაშე.

კოლხების ამ თვითმყოფადი კულტურის გაცნობისას სიამაყეც გეუფლება, იმის გამო რომ ასეთი ცოდნის მატარებელი წინაპრები გვყავდა, რომლებიც მარტივად და სწრაფად ქმნიდნენ და ითვისებდნენ იმდროინდელი სამყაროს უახლეს მიღწევებს.

ახალ მუზეუმში განსაკუთრებული სივრცე და ყურადღება ეთმობა კოლხური ოქრომჭედლობის ნიმუშების დამზადების ტექნოლოგიების გაცნობას და შესაბამისად იმ მტკიცებულებების წარმოჩენას, რომ არგონავტებმა კოლხეთიდან „ოქროს საწმისი“ კი არ მოიტაცეს, არამედ ტყავზე დაწერილი წიგნი, სადაც ოქროს მოპოვებისა და დამუშავების წესები ეწერა.

ვანის ახლადგახსნილ, ოთარ ლორთქითანიძის სახელობის არქეოლოგიურ მუზეუმში, მანამდე კი 2018 წელს ეროვნული მუზეუმის მხარდაჭერით, რომლის ერთ-ერთი პრიორიტეტი, კულტურულ მემკვიდრეობის დაცვასთან ერთად ტექნოლოგიური ინოვაციების ისტორიის შესწავლა წარმოადგენს. ერმილე მაღრაძის მიერ განხორციელდა პროექტი „ოქროდ ქცეული სიბრძნე“. ამ კვლევების შედეგად შესაძლებელი გახდა უფრო ღრმად ჩაგვეხედა წარსულში, და ვზიარებოდით იმ ცოდნას, რომელიც ჩვენს კულტურულ მემკვიდრეობას ეფუძნება.

ერმილე მაღრაძის მიერ განსაზღვრულ იქნა კოლხეთის ამ უძველეს ქალაქ – ვანში ძვ. წ. აღ. I საუკუნის სატაძრო კომპლექსში აღმოჩენილი რეინის ნივთის, „კოლხური ხუფის“ – ფუნქცია- და შესაძლებელი გახდა ახალი მიგნებების წარმოჩენა. მისი ექსპერიმენტებით დადგინდა „კოლხური ხუფის“ – დანიშნულება, როგორც საოქრომჭედლო ხელსაწყოსი.

ბრინჯაოს მოოქროება, გრანულაცის, მავთულის დარჩილვა, აპლიკაცია, ფერადი ქვების ინკუსტრაცია, ეს იმ ცოდნის ჩამონათვალია, რომელსაც კოლხი ისტატები ფლობდნენ და იყენებდნენ ლითონის დამუშავებისას.

ვანის არქეოლოგიური მუზეუმის საგამოფენო სივრცეში, უძველეს და ულამაზეს არტეფაქტებთან ერთად, პირველად იქნება წარმოდგენილი საოქრომჭედლო იარაღები, სამუშაო პროცესის შედეგად დარჩენილი საწარმოო ნაშთები ასევე ვიზიტორებს შეუძლიათ მონიტორზე თვალი ადევნონ, თუ როგორ მიმდინარეობს ერმილე მაღრაძის ექსპერიმენტი და რა ხერხებით შეძლო და მოახერხა მან იმ ტექნიკური საკითხების გადაწყვეტა, რომელიც ამ პროცესისას წარმოიშვა.

ოქრო და მათი მოპოვების სიხარბე იყო ალბათ ერთ-ერთი ძირითადი სტიმული, რამაც ბერძნებს ლაშქრობის დაგეგმვა და განხორციელება გადააწყვეტინა. ლეგენდის საბურველში გახვეული „ოქრო მრავალი კოლხეთის“ არსებობა, თავისებური მოწოდება გახდა ლაშქრობის დაგეგმვისა და ქვეყნის კოლონიზაციისაკენ.

მცნებას „ოქროს საწმისს“, მეცნიერები კოლხეთის მაღალ კულტურასთან აიგივებენ, გაერთიანებულს ცოდნასა და გონიერებასთან.

აი, ასეთი საწმისის მოსატაცებლად ჩამოვიდნენ კოლხეთში მრავალი საუკუნის უკან ძველი ბერძენი „არგონავტები“.

### გამოყენებული ლიტერატურა:

- „მიუზეუმი“ -საქართველოს მუზეუმი. № 5 . 2019 წელი
- „По следам аргонавтов“, из, ЦРИБ ,1990 г, В. СИЧИНАВА

**„კავკასიური“ ანუ „თეთრი მოდგმა“ გლუვენებისა  
და სხვა სხავლულთა მიხედვით  
(მოკლე მიმოხილვა)**

**ბლუმენბახის სამეცნიერო მოღვაწეობა**

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ გერმანელი ბუნებისმეტყველი, იოჰან ფრიდრიხის ბლუმენბახი (1752-1840 წწ.) იყო „თავისი დროის ერთ-ერთი ყველაზე ბრწყინვალე გონების ადამიანი, ეთნოლოგიის ფუძემდებელი“ (რ.ჰელეტი), ანთროპოლოგიის მამამთავარი, შედარებითი ანატომიის პირველი სპეციალისტი და ყოველმხრივ განსწავლული მეცნიერი. იგი იყო გიოტინგენის უნივერსიტეტის პროფესორი და მედიცინის დოქტორი.

ბლუმენბახი იყო გიოტინგენის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, ლონდონის სამეფო საზოგადოების წევრი, ამერიკის ხელოვნებათა და მეცნიერებათა აკადემიის წევრი, ბავარიის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, პრუსიის სამეფოს მეცნიერებათა აკადემიის წევრი, შვედეთის სამეფო აკადემიის წევრი, ედინბურგის სამეფო საზოგადოების წევრი, ლეოპოლდინას მეცნიერებათა აკადემიის წევრი, სანკტ-პეტერბურგის მეცნიერებათა საიმპერატორო აკადემიის წევრი, ნიდერლანდების სამეფოს მეცნიერებათა და ხელოვნებათა აკადემიის წევრი, პარიზის მეცნიერებათა სამეფო აკადემიის წევრი და სხვა სამეცნიერო საზოგადოების წევრი.

გიოტინგენის უნივერსიტეტში ბლუმენბახი სამოც წელზე მეტსანს ეწეოდა სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას და ხელმძღვანელობდა სახელგანთქმულ მეცნიერებს: კარლ კილმაიერს, იოჰან ლინკს, კარლ ზიბოლდსა და სხვ. მისი კოლეგები და მეგობრები იყვნენ იოჰან ვოლფგანგ გოეთე, ალექსანდრე ჰუმბოლდტი და სხვ.

ბლუმენბახი იკვლევდა ადამიანისა და ცხოველების ორგანოების ფორმასა და აგებულებას. მან კვლევა-ძიება ანარმოა პალეონტოლოგიაში, მინერალოგიაში, ეთნოლოგიაში, შედარებით ფიზიოლოგიაში, შედარებით ანატომიაში, კრანიოლოგიასა და სხვა დარგებში.

1772-1817 წლებში მან დაამუშავა დაახლოებით 300 ადამიანის თავის ქალა, მათ შორის, სამი ქართველის (მამაკაცისა და ორი ქალის) თავის ქალები, რომლებიც დეტალურად შეისწავლა და სისტემატურად აღნისა თავის ხელნაწერ კატალოგებში, რომელთა ნაწილი, სამწუხაროდ, მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისას დაინვა. გადარჩენილი ოთხი კატალოგი და ორი მოკლე სია თავის ქალების შესახებ ინახება გიოტინგენის ქვემო საქსონიის სახელმწიფო და საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკაში. 1790-1873 წლებში გამოქვეყნდა რვა ბუკლეტი, რომლებშიც დაწვრილებით აღნერილია სამოცდაათი თავის ქალა.

1775 წლის 16 სექტემბერს გიოტინგენის უნივერსიტეტში ბლუმენბახმა ლათინურ ენაზე დაბეჭდა თავისი 101-გვერდიანი სადოქტორო დისერტაცია, რომელსაც უწოდა „ადამიანთა მოდგმის ბუნებრივი სახესხვაობების შესახებ“ (ლათ. De generis humani varietate nativa). ხუთ წელიწადში თავისი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა გააღრმავა და 1781 წელს 128-გვერდიანი წიგნი, მეორე გამოცემა გამოაქვეყნა. 1795 წლის 11 აპრილს გიოტინგენში გამოსცა მესამე გაფართოებული, 336-გვერდიანი წიგნი, რომელიც მნიშვნელოვნად გადააამუშავა და შეავსო მსოფლიოს ხალხთა ისტორიულ ეთნოგრაფიული მასალით. მესამე ლათინური გამოცემა ითარგმნა და დაიბეჭდა გერმანულ, ნიდერლანდურ, ფრანგულ და ინგლისურ ენებზე.

ბლუმენბახის სამეცნიერო წიგნები, ბუკლეტები, სტატიები და წერილები, რომლებითაც საფუძველი ჩაეყარა ფიზიკურ ანთროპოლოგიას, შედარებით ანატომიას, ეთნოლოგიასა და მეცნიერების სხვა დარგებს, სპეციალისტებმა სისტემაში მოიყვანეს, აღნუსხეს, მოკლედ მიმოიხილეს და საცნობარო ბიბლიოგრაფიული ნაშრომის სახით გამოსცეს გიოტინგენის უნივერსიტეტში.

## ადამიანთა თავის ქალების კლასიფიკაცია ბლუმენბახის მიხედვით

1808 წელს გამოცემულ ბუკლეტში ბლუმენბახი აღნიშნავდა: „როდესაც პირველად გადავწყვიტე, რომ შემეგროვებინა დედამიწის ზურგის ყოველი კუთხიდან ადამიანთა თავის ქალები, ყურადღებით განვჭრიტე ადამიანის მოდგმის ბუნებრივი ისტორია,...“

ვიმედოვნებდი, რომ ადამიანთა რასები განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან, შედეგის იმედმა და წარმატებამ მოლოდინს გადააჭარბა“ (ლ. ჩოთალიშვილის თარგმანი).

1775 წელს ბლუმენბახმა თავისი წიგნის („ადამიანთა მოდგმის ბუნებრივი სახესხვაობების შესახებ“) პირველ გამოცემაში ადამიანთა მოდგმა ოთხ სახესხვაობად დაჰყო. 1781–1790 წლებში მან ეს სისტემა დახვენა და მეორე გამოცემაში ადამიანები ხუთ სახესხვაობად დააჯგუფა და გამოიყენა შემდეგი ტერმინები:

- ა) „ევროპული“ (გერმ. Europäer);
- ბ) „აზიური“ (გერმ. Asiaten);
- გ) „აფრიკული“ (გერმ. Africaner);
- დ) „ამერიკული“ (გერმ. Americaner);

ე) „სამხრეთი ზღვის კუნძულების ხალხი“ (გერმ. Südseeinsulaner). 1793–1795 წლებში ბლუმენბახმა ზემოდასახელებული ტერმინების მოდიფიცირება მოახდინა და მესამე გამოცემში ადამიანთა თავის ქალების განმასხვავებელი ნიშნების მიხედვით, საბოლოოდ წარმოადგინა შემდეგი კლასიფიკაცია:

ა) „კავკასიური“ (ლათ. Varietas Caucasica) ანუ „თეთრი“, რომელსაც საფუძვლად დაუდო ახალგაზრდა ქართველი ქალის თავის ქალა (საქართველო);

ბ) „მონღოლური“ (ლათ. Varietas Mongoplica) ანუ „ყვითელი“, რომელსაც საფუძვლად დაუდო ტუნგუსელი კაცის თავის ქალა (ბურიატიის რესპუბლიკა, ციმბირი);

გ) „ეთიოპიური“ (ლათ. Varietas Aethiopica) ანუ „შავი“, რომელსაც საფუძვლად დაუდო გვინეის აფრიკელი ქალის თავის ქალა;

დ) „ამერიკული“ (ლათ. Varietas Americana) ანუ „სპილენძისფერი“, რომელსაც საფუძვლად დაუდო კარიბელი კაცის თავის ქალა (სენტ-ვინსენტის კუნძული);

ე) „მალაიური“ (ლათ. Varietas Malaica) ანუ „ყავისფერი“, რომელსაც საფუძვლად დაუდო ტაიტიელი ქალის თავის ქალა (ტაიტის კუნძული).

1923 წლის 12–15 აგვისტოს გერმანიაში, ტიუბინგენის ანთროპოლოგიურ სამეცნიერო კონგრესზე ბლუმენბახის ამ კლასიფიკაციის შესახებ მოხსენება წაიკითხა ქართველმა პროფესორმა, დოქტორმა გიორგი ნიორაძემ. იგი არკვევდა: „თუ რად იხმარა ბლუმენბახმა... ტერმინი „კავკასიური რასა“... ბლუმენბახს ჰქონდა შეგროვილი აუარებელი თავის ქალა... ამ უთვალავ „თავის ქალებში“ ბლუმენბახის ყურადღება მიიპყრო ახალგაზრდა ქართველი ქალის თავის ქალამ, რომლის სილამაზე ყველა დანარჩენი ტომების „თავის ქალებს“ სჯობდა, ამიტომ ბლუმენბახმა იხმარა... ტერმინი „კავკასიური რასა“ და ამ რასას მიაკუთვნა ყველა თეთრკანიანი... როდესაც... მან კაცობრიობა ხუთ რასად დაჰყო,.. სარჩულად ამ კლასიფიკაციას ახალგაზრდა ქართველი ქალის „თავის ქალა“ დაუდო...“

ბლუმენბახის კვლევის მიხედვით, ტერმინი „კავკასიური“ (ლათ. „Varietas Caucasica“, გერმ. „Kaukasische Varietät“ – „კავკასიური მოდგმა“), რომელიც „თეთრკანიან ადამიანს“ აღნიშნავს, ამერიკის შეერთებულ შტატებში დღემდე გამოიყენება. მაგ., ამერიკის პრეზიდენტის, ბარაკ ობამას ოფიციალურ დოკუმენტში, შესაბამის გრაფაში დედის კანის ფერი წერია „ჩაუცასიან“ – „კავკასიური“ („თეთრკანიანი“, „ევროპერიოდული“). აქვე აღვნიშნავ, რომ ტერმინი „კავკასიური“ (გერმ. „Kaukasisch“) 1785 და 1793 წლებში პირველად გამოიყენა გერმანელმა ფილოსოფოსმა კრისტოფ მაინერსმა.

## ახალგაზრდა ქართველი ქალის მშვენიერი თავის ქალის შესახებ

1795 წელს ბლუმენბახი თავის შრომებში წერდა, რომ 1787–1791 წლების რუსეთ-თურქეთის ომში ახალგაზრდა ქართველი ქალი რუსმა სამხედროებმა დაატყვევეს და ჩაიყვანეს მოსკოვში, სადაც იგი მოულოდნელად გარდაიცვალა; სიკვდილის ნამდვილი მიზეზის დასადგენად

მისი ცხედარი შეისწავლა მოსკოვში მომუშავე გერმანელმა სამხედრო ექიმმა, პროფესორმა იოჰან ჰილტებრანდტმა, რომელმაც საგანგებოდ შეინახა ახალგაზრდა ქართველი ქალის თავის ქალა მისი ფორმის უზომო სილამაზისა და სინატიფის გამო. დაახლეობით 1793 წელს ი. ჰილტებრანდტმა ახალგაზრდა ქართველი ქალის თავის ქალა სანკტ-პეტერბურგში გაუგზავნა რუსეთის არმიის გენერალუფელდმარშალს, გენერალური შტაბის ექიმს, გერმანელ ბარონ გეორგ აშ. 1793 წლის 29 მაისს აშმა ახალგაზრდა ქართველი ქალის თავის ქალა, მეცნიერული შესწავლის მიზნით, გიოტინგენის უნივერსიტეტში გააგზავნა, რომელიც 1793 წლის 9–11 აგვისტოს ბლუმენბახმა მიიღო.

1794–1808 წლებში ბლუმენბახი თავის ხელნაწერ კატალოგებსა და შრომებში წერდა: „კალ-მით ნახატი პროპორციული ახალგაზრდა ქართველი ქალის თავის ქალა...“

ნატიფია... მაქსიმალურად სიმეტრიული და შევენიერი... მისი შუბლი ზომიერად გამოკვეთილი, ყვრიმალის ძვლები ვიწრო, მაღარის გამო შუბლის ძვლები ოდნავ ორივე მხრიდან დაქანებულია და უკან გადახრილი, წარბის რკალი თანაბარია და უერთდება კეხიანი ცხვირის ქედს... თავის ძვლების წყობის მიხედვით, ის ყველაზე იდეალურია და ლამაზი... ქართველი ქალის თავის ქალის ძვლები სიმეტრიულია და დახვენილი, მისი სილამაზე შეიძლება შევადაროთ ქალების ძველ გამოსახულებებს, ანტიკურ ბერძენთა ღვთაებრივი ხელოვნების ქმნილებებს... ეს თავის ქალა, ის-ევე როგორც ზოგადად მთელი ქართული ტომი, ცნობილი იყო ხალხში მშვენიერებით... მისი თავის ქალა იმდენად გრაციოზულია და დახვენილი, რომ იგი თვალს ჭრის თავისი პროპორციულობის ამაღლებული სილამაზით“ (ლ. ჩიოთალიშვილის თარგმანი); „თავის ქალის ნამდვილად ულამაზესი მოყვანილობის განსაზღვრის დროს,, ჩემი ახალგაზრდა ქართველი ქალის ლამაზი ტიპიური თავი ყოველთვის იზიდავს ყველა მნახველის თვალს“.

ბლუმენბახმა ახალგაზრდა ქართველი ქალის თავის ქალა განსახილველად გაუგზავნა მაინის ფრანკფურტში გერმანელ ექიმს, პროფესორს, დოქტორ სამუელ ზიომერინგს. 1795 წლის 28 ნოემბერს ზიომერინგი მადლობას უძღვნის ბლუმენბახს და წერილში აღნიშნავდა: „განსაკუთრებით მომენტა ახალგაზრდა ქართველი ქალის თავის ქალის შუბლის საუცხოო თაღი და მარგალიტებივით ჩამწკრივებული კბილები“. 1815 წლის 12 თებერვლს ბლუმენბახი ზიომერინგს აღტაცებით წერდა ქართველი ქალის შესახებ: „ჩემი ლამაზი ახალგაზრდა ქართველი ქალი“, „მშვენიერი“ (ინგლ. „Besuty“) და სხვა.

ახალგაზრდა ქართველი ქალის თავის ქალისა და მისი ასლის ადგილსამყოფლები

1793 წლიდან გიოტინგენის უნივერსიტეტში ინახება ბლუმენბახის რასეპის ტიპოლოგის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნიმუში – ახალგაზრდა ქართველი ქალის თავის ქალა. ამჟამად ის გამოფენილია გიოტინგენის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის ანატომიისა და ემბრიოლოგიის ცენტრის ბლუმენბახის სახელობის ადამიანის თავის ქალების კოლექციაში. სამეცნიერო-საგანმანათლებლო საზოგადოება „პრომეტეოსის“ ფინანსური მხარდაჭერით, გერმანელი მეცნიერის, დოქტორ ფილიპ ამონისა (ბერლინის უნივერსიტეტი) და ქართველი მეცნიერის, დოქტორ ნიკოლოზ ციკოლიას (გიოტინგენის უნივერსიტეტი) ორგანიზებით, 2019 წლის 9 მაისს მოეწყო სამეცნიერო-კვლევითი ექსპედიცია თემაზე „ბლუმენბახის სამეცნიერო მოღვაწეობის შესახებ“ გიოტინგენის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის ანატომიისა და ემბრიოლოგიის ცენტრში, სადაც შედგა ბლუმენბახის კოლექციის კურატორის, გერმანელი პროფესორის, დოქტორ მიხაელ შულცისა და ქართული სამეცნიერო-კვლევითი ექსპედიციის მონაწილეების, პაატა ეჯიბიას, ეკატერინე წივწივაძისა და ამ წერილის ავტორის შეხვედრა. ჩვენ ვისაუბრეთ ბლუმენბახის სამეცნიერო მოღვაწეობისა და 230 წლის წინანდელი კალმით ნახატი ახალგაზრდა ქართველი ქალის მშვენიერი თავის ქალის შესახებ. საუბრის შემდეგ პროფესორმა შულცმა საგამოფენო სტენდიდან გამოაპრძანა ახალგაზრდა ქართველი ქალის თავის ქალა და მოგვმართა სიტყვებით: „უფლებას გაძლევთ, რომ რამდენიმე წუთი ხელში დაიჭიროთ“. პირველად მოგვეცა შესაძლებლობა – ასე ახლოს თვალი შეგვევლო ქართველი ქრისტიანი დიდგვაროვნის, ტყვეობაში ნატანჯის, ახალგაზრდა ქალის თავის ქალისთვის, რამაც ჩვენზე დიდი ემციური ზეგავლენა მოახდინა.

## ვანის მუნიციპალიტეტის 2020-2021 წლების ბიუჯეტის განხორციელები და მიმღინარე პროგრამები

მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტი მოქმედი კანონმდებლობისა და მარეგულირებელი ნორმების შესაბამისად, 2020 წლის 28 დეკემბერს დამტკიცდა. მოქმედი რედაქციით, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები განისაზღვრება 10108,0 ათასი ლარის, გადასახდელები 11391,0 თასი ლარის, ხოლო ნაშთის ცვლილება 1283,0 ათასი ლარის ოდენობით.

დასახელება	2020 წლის ფაქტი			2021 წლის გეგმა		
	სულ	სახელმ-წიფო ბიუჯეტით	საკუთარი შემოსავ-ლებით	სულ	სახელმ-წიფო ბიუჯე-ტით	საკუთარი შემოსავ-ლებით
შემოსულობები	15,881.5	8,327.0	7,554.5	10,108.0	3,353.0	6,755.0
გადასახადები	6,033.4	0.0	6,033.4	6,164.1	0.0	6,164.1
გრანტები	9,327.0	8,327.0	1,000.0	3,353.0	3,353.0	0.0
სხვა შემოსავლები	413.9	0.0	413.9	440.9	0.0	440.9
არაფინანსური აქტივების ზრდა	107.2	0.0	107.2	150.0	0.0	150.0
გადასახდელები	15,923.1	8,552.1	7,371.0	11,391.0	3,935.0	7,456.0
ხარჯები	7,066.6	340.7	6,725.9	7,238.7	168.8	7,069.9
შრომის ანაზღაურება	1,793.5	67.5	1,726.0	1,850.0	70.0	1,780.0
საქონელი და მომსახურება	876.1	199.9	676.2	854.7	33.8	820.9
ძირითადი კაპიტალის მომსახურება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
პროცენტი	36.0	0.0	36.0	27.0	0.0	27.0
სუბსიდიები	3,403.2	59.6	3,343.6	3,673.0	65.0	3,608.0
გრძელები	11.7	0.0	11.7	10.0	0.0	10.0
სოციალური უზრუნველყოფა	801.2	0.0	801.2	700.0	0.0	700.0
სხვა ხარჯები	144.9	13.7	131.2	124.0	0.0	124.0
არაფინანსური აქტივების ზრდა	8,800.9	8,211.4	589.5	4,096.3	3,766.2	330.1
ფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ვალდებულებების კლება	55.6	0.0	55.6	56.0	0.0	56.0
ნაშთის ცვლილება	-41.6	-225.1	183.5	-1,283.0	-582.0	-701.0

აღსანიშნავია, რომ ამჟამინდელი მდგომარეობით ბიუჯეტის შესრულების 2020 წლის ფაქტი 2021 წლის გეგმას აღემატება, მაგრამ წლის განმავლობაში დაგეგმილია სხვადასხვა დანიშნულების მიზნობრივი ტრანსფერების გამოყოფა, რის შედეგადაც 2021 წლის გეგმიური მაჩვენებელი 2020 წლის ფაქტის ფარგლებში განისაზღვრება.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები 10108,0 ათასი ლარია. საკუთარი შემოსავლების ძირითად წყაროს გადასახადები შეადგენს, რომელიც 6164,1 ათასი ლარითაა დაგეგმილი. მნიშვნელოვანი წყაროა ასევე გრანტები 3353,0 ათასი ლარით, რომელიც ძირითადად ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლადაა გამოყოფილი. პრივატიზებიდან მისაღები შემოსულობების გეგმა 150,0 ათასი ლარითაა განსაზღვრული, ხოლო სხვა შემოსავლები 440,9 ათასი ლარით დაიგეგმა.

დასახელება	2020 წლის ფაქტი			2021 წლის გეგმა		
	სულ	სახელმ-წიფო ბიუჯეტით	საკუთარი შემოსავ-ლებით	სულ	სახელმ-წიფო ბიუჯე-ტით	საკუ-თარი შემოსავ-ლებით
შემოსავლები	15,774.3	8,327.0	7,447.3	9,958.0	3,353.0	6,605.0
გადასახადები	6,033.4	0.0	6,033.4	6,164.1	0.0	6,164.1
საშემოსავლო გადასახადი	0.0			0.0		
ქონების გადასახადი	330.3	0.0	330.3	300.0	0.0	300.0

დასახელება	2020 წლის ფაქტი			2021 წლის გეგმა		
	სულ	სახელმ-წიფო ბიუჯეტით	საკუთარი შემოსავ-ლებით	სულ	სახელმ-წიფო ბიუჯე-ტით	საკუ-თარი შემოსავ-ლებით
დამატებული ღირებულების გადასახადი	5,703.1		5,703.1	5,864.1		5,864.1
გრანტები	9,327.0	8,327.0	1,000.0	3,353.0	3,353.0	0.0
დელეგირებული ტრანსფერი	145.0	145.0		145.0	145.0	
მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა	136.2	136.2		0.0		
რეგიონები განასახორციელებული პროექტების ფონდი	6,438.1	6,438.1		3,208.0	3,208.0	
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	570.0	570.0		0.0		
საჯარო სკოლების რეაბილიტაცია	815.8	815.8		0.0		
ინტეგრირებული განვითარების პროგრამა	221.9	221.9		0.0		
სპეციალური ტრანსფერი	1,000.0		1,000.0	0.0		
სხვა შემოსავლები	413.9	0.0	413.9	440.9	0.0	440.9
შემოსავლები საკუთრებიდან	244.9	0.0	244.9	330.9	0.0	330.9
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	46.6	0.0	46.6	40.0	0.0	40.0
ჯარიმები, სანქციები და საურავები	13.8		13.8	30.0		30.0
ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარეშე	0.0			0.0		
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	108.6		108.6	40.0		40.0
არაფინანსური აქტივების კლება	107.2	0.0	107.2	150.0	0.0	150.0
ფინანსური აქტივების კლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ვალდებულებების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

მუნიციპალიტეტის მთავარი ფინანსური დოკუმენტით ექვსი ძირითადი პრიორიტეტული მიმართულებაა გამოკვეთილი: ინფრასტრუქტურის განვითარება; დასუფთავება და გარემოს დაცვა; განათლება; კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი; ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა; მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები.

#### (02 00) ინფრასტრუქტურის განვითარება

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და იგი ვანის მუნიციპალიტეტისათვის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. აქედან გამომდინარე, 2021 წლის განმავლობაში გაგრძელდება მუნიციპალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, გზების მშენებლობა, რეკონსტრუქცია და მოვლა შენახვა, სანიაღვრე-საწრეტი არხებისა და ნაპირსამაგრი ნაგებობების მშენებლობა, გარე განათებისა და წყლის სისტემის რეაბილიტაცია, კეთილმოწყობის ღონისძიებები.

ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის 2021 წლის ასიგნება 4146,0 ათასი ლარითაა განსაზღვრული, ხოლო 2020 წლის ფაქტობრივი შესრულება 6963,4 ათასი ლარია.

კოდი	დასახელება	2020 წლის ფაქტი			2021 წლის გეგმა		
		სულ	სახელმ-წიფო ბიუჯეტით	საკუთარი შემოსავ-ლებით	სულ	სახელმ-წიფო ბიუჯე-ტით	საკუ-თარი შემოსავ-ლებით
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	6,963.4	6,377.3	586.1	4,146.0	3,735.7	410.3
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	6,031.5	5,727.6	303.9	3,942.9	3,699.1	243.8
02 02	სანიაღვრე და ნაპირსამაგრი სისტემის რეაბილიტაცია	90.0	87.2	2.8	9.7	9.7	0.0
02 03	წყლის სისტემის განვითარება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
02 04	გარე განათების უზრუნველყოფა	125.4	0.0	125.4	110.0	0.0	110.0

02 05	მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები	96.8	0.0	96.8	56.5	0.0	56.5
02 06	სოფლის განვითარების ხელშეწყობა	619.7	562.5	57.2	26.9	26.9	0.0

### საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება

მგზავრთა შეუფერხებელი, კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილების, სტანდარტებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის მიღწევის მიზნით, მუნიციპალიტეტი განაგრძოს საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებებს. ამ მიმართულებით 2020-2021 წლების ბიუჯეტიდან ჯამურად 11109,4 ათასი ლარი გამოიყო.

2020 წელს განხორციელებული სამუშაოებიდან აღსანიშნავია სალხინო-დიხაშხოს, დიხაშხო-ბზვანის, შუამთა-ტობანიერის, ამაღლება-საპრასის, ზეინდარის და სალომინაოს დამაკავშირებელი, ციხესულორის, ზედავანი-ტყელვანის, დიხაშხო-ბზვანის, ასევე ქ. ვანში, სულორის და გორას ადმინისტრაციულ ერთეულებში შიდა საავტომობილო გზის რეაბილიტაცია. სოფელ სულორში ხედელიძეების უბანში ხიდის რეაბილიტაცია.

2021 წელს უკვე დასასრულს უახლოვდება ქ. ვანში შიდა საავტომობილო გზების რეაბილიტაცია ტაბიძის, სოლომონ მეორის და დიასამიძე-ნაფეტვარიძის ქუჩებზე, სალხინო-ზენობნის საავტომობილო გზის რეაბილიტაციის მეორე ეტაპი. დაგეგმილია ზეინდრის, დიხაშხოს, ციხესულორის და ქ. ვანის შიდა საავტომობილო გზების რეაბილიტაცია.

### გარე განათების უზრუნველყოფა

ღამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო გადაადგილებისა და კომფორტული გარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გამართული გარე განათების ქსელის ფუნქციონირებას. მუნიციპალურ ბიუჯეტში წარმოდგენილი პროგრამის ფარგლებში გარე განათების სისტემის განვითარებისა და ექსპლოტაციისათვის საჭირო ხარჯები ფინანსდება. დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელი ფუნქციონირებს ქ. ვანში და 20 ადმინისტრაციულ ერთეულში. პროგრამის ასიგნებები მოხმარდება მოხმარებული ელექტროენერგიის ანაზღაურებას.

### მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები

პროგრამის ფარგლებში ქალაქ ვანში მიმდინარეობს თავისუფლების 63-65 მიმდებარედ სკვერის რეაბილიტაციის სამუშაოები.

### სოფლის განვითარების ხელშეწყობა

სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებითა და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, მოსახლეობის ინტერესებისა და გადაწყვეტილების შესაბამისად, 2020 წელს განხორციელდა – 71 პროექტი, 2021 წლის ასიგნება 2020 წლის ასიგნების ფარგლებში გამოიყოფა.

### (03 00) დასუფთავება და გარემოს დაცვა

ვანის მუნიციპალიტეტში დასუფთავების ღონისძიებების განხორციელება ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს. ამ მიზნით მუნიციპალიტეტი ნაყოფიერად თანამშრომლობს მუნიციპალური განვითარების ფონდთან, რომლის ფარგლებშიც მუნიციპალური განვითარების ფონდის მხარდაჭერით განხორციელდა ნაგვის ურნების შეძენა. ასევე, მუნიციპალიტეტს გადმოეცა ნაგავმზიდი მანქანები. პროგრამის ფარგლებში კომუნალური გაერთიანება ახორციელებს ქალაქისა და მუნიციპალიტეტში შემავალ ადმინისტრაციული ერთეულებიდან ნაგვის ნარჩენების მოგროვებას და გატანას, რომელსაც ემსახურება 3 ერთეული ნაგვის გამტანი ავტომობილი. სამუშაოები ხორციელდება მუნიციპალიტეტის კულტურული ადმინისტრაციულ ერთეულში. შეგროვებული ნარჩენები გადის სამტრედის ნაგავსაყრელზე. პროგრამისთვის გამოყოფილ ასიგნებები ასევე მოიცავს ა(ა)იპ – ვანის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანების ადმინისტრაციულ ხარჯებს და პერსონალის ხელფასებს. ამ მიმართულებით 2020 წელს 479,2 ათასი ლარი დაიხარჯა, ხოლო 2021 წლის ასიგნება განსაზღვრულია 500,0 ათასი ლარით. 2020 წელს ძენილი იქნა 100 ერთეული სანაგვე კონტეინერი.

კოდი	დასახელება	2020 წლის ფაქტი			2021 წლის გეგმა		
		სულ	სახელმ-წიფო ბიუჯეტით	საკუთარი შემოსავ-ლებით	სულ	სახელმ-წიფო ბიუჯეტით	საკუ-თარი შემოსავ-ლებით
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	533.2	0.0	533.2	500.0	0.0	500.0
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	479.2	0.0	479.2	500.0	0.0	500.0
03 02	დასუფთავების ღონისძიებები	54.0	0.0	54.0	0.0	0.0	0.0

#### (04 00) განათლება

მოქმედი კანონმდებლობით, სკოლამდელი განათლების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის ექსკლუზიურ უფლებამოსილებებს განეკუთვნება. 2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში ახორციელებს საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფასა და შენობა ნაგებობების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოებს.

განათლების პრიორიტეტის დაფინანსების ასიგნების მოცულობა 2020 წელს 2796,2 ათას ლარს, ხოლო 2021 წელს 1654,2 ათას ლარს შეადგენს.

კოდი	დასახელება	2020 წლის ფაქტი			2021 წლის გეგმა		
		სულ	სახელმ-წიფო ბიუჯეტით	საკუ-თარი შემოსავ-ლებით	სულ	სახელმ-წიფო ბიუჯეტით	საკუ-თარი შემოსავ-ლებით
04 00	განათლება	2,796.2	1,364.2	1,432.0	1,654.2	51.4	1,602.8
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	1,426.5	0.0	1,426.5	1,600.0	0.0	1,600.0
04 02	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია	145.5	145.5	0.0	10.6	7.8	2.8
04 03	ზოგადი განათლების ხელშეწყობა	1,224.2	1,218.7	5.5	43.6	43.6	0.0

#### სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მიხედვით, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის ექსკლუზიურ უფლებამოსილებას წარმოადგენს. ამავე კანონის მიხედვით, ასევე აკრძალულია მუნიციპალიტეტის მართვაში არსებულ ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულებებში სასწავლო-აღმზრდელობითი მომსახურებისა და კვებითი მომსახურებისათვის გადასახადის, ტარიფის ან სხვა საფასურის შემოღება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო ფინანსების გამოყოფა და ყველა სხვა ღონისძიების გატარება. ვანის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს სწორედ მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბაგა-ბალის ასაკის ბავშვებისათვის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელმისაწვდომობა წარმოადგენს. დღეის მდგომარეობით ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 26 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება, სადაც სააღმზრდელო პროცესს გადის 700-ზე მეტი ბავშვი. „სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირების“ პროგრამის მიზანია: საბავშვო ბალებში სრულფასოვანი სააღმზრდელო გარემოს შექმნა, სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვა, მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება; კვების ორგანიზებისა და რაციონის ნორმების დაცვა, ძირითადი აქტივების მიმდინარე შეკეთება და მოვლა-შენახვა; დასაქმებული პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება. ა(ა)იპ საბავშვო ბალების გაერთიანების თანამშრომელთათვის სამუშაო პირობების შექმნა.

## სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების სრულყოფილი და სრულფასოვანი ფუნქციონირების უზრუნველყოფის მიზნით, აუცილებელია სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების რეაბილიტაცია, რომელიც მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ უმთავრეს მიმართულებას წარმოადგენს. 2020 წელს 11 საბავშო ბაღში დასრულდა სველი წერტილების რეაბილიტაცია. სამუშაოები რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან შესრულდა და 134,6 ათასი ლარი შეადგინა. ამჟამად, ბოლო წლებში განხორციელებული სამუშაოების შედეგად, მუნიციპალიტეტის 26 საბავშვო ბაღი სრულადაა რეაბილიტირებული.

### ზოგადი განათლების ხელშეწყობა

სრულყოფილი ზოგადი განათლების მიღების ხელშეწყობის მიზნით, განათლების სამინისტროსა და ვანის მუნიციპალიტეტს შორის უფლებამოსილებათა დელეგირების საფუძველზე, მუნიციპალიტეტი 2020-2021 წლებში ახორციელებს მოსწავლეთა ტრანსპორტირებისა და საჯარო სკოლების რეაბილიტაციის ღონისძიებებს. პროგრამის 2020-2021 წლის ჯამური ბიუჯეტი 1267,8 ათასი ლარია.

2020 წელს სხვადასხვა სარეაბილიტაციო სამუშაოები განხორციელდა ისრითის, ინაშაურის, ფერეთას, ქვედა გორას, უხუთის, ციხესულორის, ძულუხის, საპრასის, მთისძირის, ზედა გორას, მუქედის, სალხინოს, დუცხუნის, ყუმურის, გადიდის, ონჯოხეთის, შუამთის და ბზვანის საჯარო სკოლებში. 2021 წელს დახლოებით იმავე მოცულობის სამუშაოები შესრულდება, საჭირო თანხა ცენტრალური ბიუჯეტიდან თანხა მეორე კვარტალში გამოიყოფა.

### (05 00) კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და მათ ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურის და სპორტის დაწესებულებების ფინანსურ მხარდაჭერას, კულტურისა და სპორტის სფეროს ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას და გაუმჯობესებას. კულტურის, ახალგაზრდობის და სპორტის პრიორიტეტის ასიგნების 2021 წლის მოცულობა განსაზღვრულია 1508,9 ათასი ლარით, ხოლო 2020 წელს ამ მიმართულებით 2174,7 ათასი ლარი გამოიყო.

კოდი	დასახელება	2020 წლის ფაქტი			2021 წლის გეგმა		
		სულ	სახელმწიფო ბიუჯეტით	საკუთარი შემოსავა-ლებით	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტით	საკუთარი შემოსავა-ლებით
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	2,174.7	650.5	1,524.2	1,508.9	2.9	1,506.0
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	1,264.5	650.5	614.0	578.9	2.9	576.0
05 01 01	სპორტული ღონისძიებების ორგანიზება	4.2	0.0	4.2	5.0	0.0	5.0
05 01 02	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა	186.8	0.0	186.8	200.0	0.0	200.0
05 01 03	ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა	198.5	0.0	198.5	210.0	0.0	210.0
05 01 04	რაგბის განვითარების ხელშეწყობა	158.7	0.0	158.7	160.0	0.0	160.0
05 01 05	სპორტული ობიექტების რეაბილიტაცია	716.3	650.5	65.8	3.9	2.9	1.0
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	836.2	0.0	836.2	855.0	0.0	855.0
05 02 01	კულტურის ღონისძიებების ორგანიზება	403.3	0.0	403.3	420.0	0.0	420.0
05 02 02	სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა	337.9	0.0	337.9	340.0	0.0	340.0

კოდი	დასახელება	2020 წლის ფაქტი			2021 წლის გეგმა		
		სულ	სახელმწიფო ბიუჯეტით	საკუთარი შემოსავალებით	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტით	საკუთარი შემოსავალებით
05 02 03	კულტურის ობიექტების რეაბილიტაცია	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
05 02 04	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	95.0	0.0	95.0	95.0	0.0	95.0
05 03	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	22.8	0.0	22.8	15.0	0.0	15.0
05 04	ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა	51.2	0.0	51.2	60.0	0.0	60.0

### სპორტული ღონისძიებების ორგანიზება

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება სახის სპორტული ღონისძიებების და აქტივობების ორგანიზება, მასში მონაწილე სპორტსმენებისა და ახალგაზრდების დაჯილდოება, წახალისება ფულადი და ფასიანი საჩუქრებით; სპორტულ ღონისძიებებზე სპორტსმენებისა და მწვრთნელების ტრანსპორტირებაში დახმარება; პროექტები: სასკოლო სპორტული ოლიმპიადა და სპორტი ბარიერების გარეშე, რომლებშიც მონაწილეობას ღებულობენ ვანის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლები. პროგრამის მიზანია ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია; მოზარდების ჩართვა მასობრივი სპორტის სახეობებში;

### სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა

სასპორტო დაწესებულებების გაერთიანება აერთიანებს სხვადასხვა სპორტულ მიმართულებას, ესენია: თავისუფალი, ქართული და ბერძნულ-რომაული ჭიდაობა, ჭადრაკი, კალათბურთი, სამბო, ძიუდო, ველოსპორტი. აღსაზრდელები მონაწილეობას ღებულობენ სპორტულ შეჯიბრებები და ტურნირებში როგორც საქართველოს მასშტაბით ასევე საზღვარგარეთ. ქვეპროგრამის მიზანია: ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, მეტი მოზარდის ჩართვას სპორტში, სპორტული შედეგების წარმოჩენას ქვეყნის მასშტაბით.

### ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა

საფეხბურთო კლუბი პროგრამის ფარგლებში უზრუნველყობს სამი ასაკობრივი კლუბის აღსაზრდელების ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილეობის ხარჯებს, ასევე ცენტრალური სტადიონის პერსონალისა და შენახვის ხარჯების დაფინანსებას.

### რაგბის განვითარების ხელშეწყობა

სარაგბო კლუბი პროგრამის ფარგლებში უზრუნველყობს სამი ასაკობრივი და პროფესიული კლუბის მორაგბეების ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილეობის ხარჯებს, ასევე სარაგბო სტადიონის პერსონალისა და შენახვის ხარჯების დაფინანსებას.

### სპორტული ობიექტების რეაბილიტაცია

სპორტსმენთათვის და მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის სპორტული ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობის მიზნებიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტი აგრძელებს ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებებს. 2020 წელს ქ. ვანში თავისუფლების ქუჩაზე მინი სპორტული მოედნების, აგრეთვე აღნიშნული ქუჩის №78-ში მდებარე სპორტული კომპლექსის რეაბილიტაციის სამუშაოები.

### კულტურის ღონისძიებების ორგანიზება

ქვეპროგრამა გულისხმობს ა(ა)იპ კულტურული ღონისძიებების ორგანიზებისა და მართვის ცენტრის დაფინანსებას, რომლის მიზანია ითანამშრომლოს ხელოვნების სხვადასხვა დარგის მოღვაწეებთან, კულტურის სფეროს დაწესებულებებთან, შემოქმედებით კოლექტივებთან და ცალკეულ ხელოვანებთან. შეიმუშაოს კულტურული პროგრამები თავისი საქმიანობის სფეროში, უზრუნველყოს სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა კულტურული ღონისძიებების ჩატარება. ქართული ხალხური სიმღერის პოპულარიზაციისა და შენარჩუნების მიზნით დააფინანსოს ხალხური სიმღერის ანსამბლები. ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი სამი კულტურის სახლი, კარლო საკანდელიძის

სახელობის ვანის სახალხო თეატრი. კულტურის სახლებში გაერთიანებულია სხვადასხვა მიმართულებები, ქორეოგრაფიული წრეები, ფოლკლორული ანსამბლები, ბავშვთა საესტრადო წრეები. მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების ხელშეწყობის ქვეპროგრამის მიზანია მოსახლეობაში ტრადიციული კულტურის პოპულარიზაცია, შემოქმედებითი უნარების განვითარება, თეატრალური სფეროსადმი ჩართულობის გაზრდა.

### **სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა**

ქვეპროგრამა გულისხმობს ა(ა)იპ სახელოვნებო, განათლებისა და ტურიზმის განვითარების ცენტრის დაფინანსებას. ორგანიზაცია აერთიანებს სამუსიკო სკოლას, მოსწავლე ახალგაზრდობის სახლს, ბიბლიოთეკებს, კორნელი კეკელიძის, კალისტრატე ცინცაძის, გიორგი ძიგვაშვილისა და სახვითი ხელოვნების მუზეუმებს, ვანის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრს. ქვეპროგრამის მიზანია მიეცეს სამუსიკო სკოლის მოსწავლეებს შესაბამისი საფეხურისა და სახელოვნებო პროფილის განათლება. ხელი შეუწყოს მოსწავლე ახალგაზრდობის სახლში გაერთიანებულ მოსწავლეებში პიროვნების ინდივიდუალური შემოქმედებითი მიღრეკილების განვითარებას, ისტორიული კულტურული მემკვიდრეობის შესწავლას, ხელოვნების საფუძვლების ზიარებას, ეროვნული მემკვიდრეობის შესწავლას. სამუზეუმო ფონდის შევსებისა და სრულყოფის მიზნით, შეიძინოს ან შემოწირულობა-საჩუქრის სახით, შეკრიბოს ნივთები, კულტურის საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციები, ეთნოგრაფიული მასალები, სახვითი ხელოვნების ნიმუშები და სხვა. უზრუნველყოს ყველა ასაკის მკითხველი საინფორმაციო და ბიბლიოგრაფიული მომსახურეობით. იზრუნოს საბიბლიოთეკო ფონდების დაკომპლექტებასა და ბიბლიოთეკებთან წიგნგაცვლითი ურთიერთობის დამყარებაზე. ვანის რაიონის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრის მიზანია გამოიკვლიოს, შეისწავლოს დაა გააანალიზოს ის მნიშვნელოვანი მოვლენები, რომლების განვითარდა დღევანდელი ვანის ტერიტორიულ სივრცეში, ძველი, ახალი და უახლესი ისტორიის მონაკვეთში. მატიანის ფორმით შემოინახოს, გაასაჯაროოს და გადასცეს მომავალ თაობას

### **ახალგაზრდობის მხარდაჭერა**

პროგრამის ფარგლებში ხორციელდება შემდეგი პროექტები: შშმ პირთა უფლებების დაცვის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება საქართველოში; დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება; ახალგაზრდული პროექტები მომართვიანობის მიხედვით; ქვეპროგრამის მიზანია ვანის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდების მიერ წარმოდგენილი სხვადასხვა პროექტის ფინანსური მხარდაჭერა, თავისუფალი დროის ეფექტურად და შინაარსიანად ხარჯვის ორგანიზება, მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის ინტელექტუალური, ფიზიკური და სულიერი პოტენციალის გამოვლენა, ინოვაციური იდეების მქონე საინიციატივო ჯგუფების ხელშეწყობა.

### **ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა**

ცენტრი საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, ახორციელებს სახელმწიფო პოლიტიკას ტურიზმის განვითარების საკითხებში. პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების პოლიტიკის ჩამოყალიბება და განხორციელება, მდგრადი და შიდა ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა, ცნობადობის ამაღლება ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე.

### **(06 00) ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა**

საყოველთაო ჯანდაცვისა და სხვა სახელმწიფო პროგრამების განხორციელების პარალელურად, ვანის მუნიციპალიტეტი კვლავ უზრუნველყოფს ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური დაცვამარებების მიწოდებას მოსახლეობისთვის. ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტისათვის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც მთლიანობაში უზრუნველყოფს მოსახლეობის სოციალურ დაცვას. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის 2020 წელს 791,7 ათასი ლარი გამოიყო, ხოლო 2021 წლის გეგმა 795,0 ათას ლარს შეადგენს.

კოდი	დასახელება	2020 წლის ფაქტი			2021 წლის გეგმა		
		სულ	სახელმ-წიფო ბიუჯეტით	საკუ- თარი შემოსავ- ლებით	სულ	სახელმ-წიფო ბიუჯეტით	საკუ- თარი შემოსავ- ლებით
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	791.7	84.9	706.8	795.0	65.0	730.0
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	92.6	76.5	16.1	90.0	65.0	25.0
06 01 01	საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა	75.7	59.6	16.1	83.0	65.0	18.0
06 01 02	ჯანდაცვის ობიექტების რეაბილიტაცია	16.9	16.9	0.0	7.0	0.0	7.0
06 02	სოციალური დაცვა	699.1	8.4	690.7	705.0	0.0	705.0
06 02 01	ახალშობილთა ოჯახების დახმარება	78.3	0.0	78.3	90.0	0.0	90.0
06 02 02	მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება	25.2	0.0	25.2	23.0	0.0	23.0
06 02 03	სამედიცინო დახმარება	298.1	0.0	298.1	300.0	0.0	300.0
06 02 04	დიალიზის პროგრამში ჩართულთა დახმარება	54.6	0.0	54.6	55.0	0.0	55.0
06 02 05	შშმ პირთა დახმარება	76.7	0.0	76.7	72.0	0.0	72.0
06 02 06	შზრუნველობამოკლებულთა პვებით უზრუნველყოფა	43.6	0.0	43.6	40.0	0.0	40.0
06 02 07	სტიქით დაზარალებულთა დახმარება	35.4	8.4	27.0	30.0	0.0	30.0
06 02 08	დღეგრძელთა დახმარება	9.0	0.0	9.0	7.0	0.0	7.0
06 02 09	ვეტერანთა დახმარება	13.7	0.0	13.7	13.0	0.0	13.0
06 02 10	მარჩენალგარდაცვლილ პირთა დახმარება	21.8	0.0	21.8	23.0	0.0	23.0
06 02 11	სტუდენტთა დახმარება	16.0	0.0	16.0	16.0	0.0	16.0
06 02 12	ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა დახმარება	0.0	0.0	0.0	2.0	0.0	2.0
06 02 13	უსახლეობის თავშესაფრით უზრუნველყოფა	1.7	0.0	1.7	5.0	0.0	5.0
06 02 14	სარიტუალო დახმარება	12.9	0.0	12.9	24.0	0.0	24.0
06 02 15	სხვა სოციალური ღონისძიებები	12.1	0.0	12.1	5.0	0.0	5.0

### საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა

მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის წინაშე მდგარი ამოცანების შესრულება არსებული რეალობებისადმი მიდგომების ახლებურად გააზრებას და რადიკალურ გარდაქმნებს ითხოვს. საზოგადოებრივი ჯანდაცვის პრობლემათა გადაჭრა მოსახლეობის მომსახურების მრავალფეროვნებაში, არსებულ პირობებთან ადაპტირებაში, ჯანმრთელობისათვის მოსალოდნებლი საფრთხეებისა და რისკების თავიდან აცილებაში მდგომარეობს. თვითმმართველი ერთეულების უფლებამოსილებები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში არის: ა) საგანმანათლებლო და სააღმზრდელო დაწესებულებებში სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა; გ) საგანმანათლებლო და სააღმზრდელო დაწესებულებებში პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა; დ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა, მათ შორის, საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების განმახორციელებელ დაწესებულებებში ინფექციების პრევენციისა და კონტროლის სანიტარიული ნორმების დავის კონტროლი; ე) პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრით განსაზღვრული იმუნოპროფილაქტიკისათვის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მიწოდებული მასალების მიღების, შენახვისა და განაწილების უზრუნველყოფა სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლებისათვის; ვ) პრევენციული და ეპიდემიოლოგიური კონტროლის ღონისძიებების გატარება ეპიდსაშიშროებისას; ზ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირველადი ეპიდკვლევის

ხელშეწყობა; თ) „ტუბერკულოზის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონით მათთვის განსაზღვრული უფლებამოსილებების განხორციელება.

### **ჯანდაცვის ობიექტების რეაბილიტაცია**

ჯანდაცვის დაცვის სფეროში უდიდესი როლი ენიჭება პირველად ჯანდაცვას, ამბულატორიულ მომსახურებას. ამბულატორიული მომსახურების ხელშეწყობის მიზნით, მუნიციპალიტეტმა სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ასიგნებებით, 2019 წელს განახორციელა სულორის, ტობანიერის, სალხინოს, ზედა ვანისა და ბზვანის ამბულატორიის რეაბილიტაცია.

### **ახალშობილთა ოჯახების დახმარება**

პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აფინანსებს ახალშობილთა ოჯახებს: პირველი შვილის შეძენისას 300 ლარის, მეორე შვილის შეძენის შემთხვევაში 350 ლარის, მესამეზე 400, მეოთხეზე და ყოველ მომდევნო შვილის შეძენისას 500 ლარის, ხოლო ტყუპების შეძენისას თითოეულ ახალშობილზე 500 ლარის ოდენობით. თუ ახალშობილის ოჯახის სარეიტინგო ქულა შეადგენს 1 დან 70 000 მდე, მაშინ მისალები ფინანსური დახმარების მოცულობა იზრდება 20%-ით. პროგრამით 2020 წელს 207 ბენეფიციარმა ისარგებლა.

### **მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება**

მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მრავალშვილიანი ოჯახები რომელთაც ჰყავთ 4 და მეტი 18 წლამდე ასაკის შვილი, ყოველწლიურად თითოეულ ბავშვზე იღებენ 100 ლარს. 2020 წელს დახმარებით 60 ოჯახმა ისარგებლა.

### **სამედიცინო დახმარება**

პროგრამა ითვალინებს ავადმყოფი პირის მიერ სამედიცინო დანესებულებაში გადასახდელი თანხის თანადაფინასებას, სხვადასხვა კატეგორიისა და ლიმიტის გათვალისწინებით. 2020 წელს მუნიციპალიტეტის დახმარებით 802 პირმა ისარგებლა.

### **დიალიზის პროგრამაში ჩართულთა დახმარება**

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული ვანის მუნიციპალიტეტში მცხოვრები და რეგისტრირებული ბენეფიციარების მგზავრობის ღირებულებისა და მკურნალობისათვის აუცილებელი მედიკამენტების შესაძენად ყოველთვიური ფულადი დახმარება 200 ლარის ოდენობით. პროგრამაში 23 პირია ჩართული.

### **შშმ პირთა დახმარება**

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ა) შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე 18 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის ერთჯერადი ფულადი დახმარების გაწევა 500 ლარის ოდენობით. ბ) მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ერთჯერად ფინანსურ დახმარების გაწევა 200 ლარის ოდენობით და გ) 18 წლამდე ასაკის არომატული ამინომჟავების მეტაბოლიზმის დარღვევებით (ფენილკეტონურია და სხვა ჰიპერფენილალანინემიები) დაავადებული ბავშვთა ოჯახებისათვის ყოველთვიურად დახმარების გაწევა 200 ლარის ოდენობით.

### **მზრუნველობამოკლებულთა კვებით უზრუნველყოფა**

ქვეპროგრამა ითვალისწინებს შეჭირვებულ მდგომარეობაში მყოფი პირების ყოველდღიური კვებით უზრუნველყოფას. პროგრამით 2020 წელს 50, ხოლო 2021 წელს 40 ბენეფიციარი დაკმაყოფილდება.

### **სტიქით დაზარალებულთა დახმარება**

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ერთჯერადი ფულადი დახმარების გაწევას დაზარალებული ოჯახებისათვის, რომელთაც ხანძრის შედეგად დაეწვათ საცხოვრებელი სახლი ან სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალდნენ. დახმარების ოდენობა განისაზღვრება ხანძრის შედეგად დაზარალებულ ოჯახზე არაუმეტეს 3000 ლარის, ხოლო სტიქითი შედეგად დაზარალებულ ოჯახზე არაუმეტეს 2000 ლარისა, კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე. პროგრამით 2020 წელს 13 ბენეფიციარმა ისარგებლა.

### **დღეგრძელდა დახმარება**

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ასი და მეტი წლის უხუცესთათვის ერთჯერადი ფინანსური დახმარების გაწევა, თითოეულ ბენეფიციარზე 1000 ლარის ოდენობით. პროგრამით 2020 წელს 9 ბენეფიციარმა ისარგებლა.

### **ვეტერანთა დახმარება**

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია: ა) საქართველოს ტერიტორიული

მთლიანობისათვის საბრძოლო მოქმედებებსა და სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედებებში დაღუპულთა ოჯახებისათვის ერთჯერადი ფინანსური დახმარების განევა 500 ლარის ოდენობით. ბ) საბრძოლო მოქმედებებში მონაწილე, სოციალურად დაუცველ ვეტერანთათვის ერთჯერადი ფინანსური დახმარების განევა 300 ლარის ოდენობით. გ) მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებზე 500 ლარის ოდენობით. დ) ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის ავარიის სალიკვიდაციო სამუშაოების მონაწილეებისათვის 300 ლარის ოდენობით. ე) 1989 წლის 9 აპრილის დაზარალებულთათვის 500 ლარის ოდენობით. პროგრამით 2020 წელს 37 ბენეფიციარმა ისარგებლა.

#### **მარჩენალგარდაცვლილ პირთა დახმარება**

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ერთჯერადი ფინანსური დახმარების გაცემა: ა) სოციალურად დაუცველ მარჩენალგარდაცვლილ ოჯახებზე, რომელიც ღებულობენ მარჩენალის გარდაცვალების გამო სოციალურ პაკეტს, ამავე დროს რეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში და მინიჭებული აქვთ 100 000-მდე სარეიტინგო ქულა, ერთ ბენეფიციარზე 250 ლარის ოდენობით. ბ) მარჩენალგარდაცვლილ ოჯახებზე, რომელიც ღებულობენ მარჩენალის გარდაცვალების გამო სოციალურ პაკეტს, ერთ ბენეფიციარზე 150 ლარის ოდენობით. გ) დედ-მამით ობიექტს, რომელიც ღებულობენ მარჩენალის გარდაცვალების გამო სოციალურ პაკეტს, ერთ ბენეფიციარზე 500 ლარის ოდენობით. პროგრამით 2020 წელს 68 ბენეფიციარმა მიიღო დახმარება.

#### **სტუდენტთა დახმარება**

ქვეპროგრამის ფარგლებში ერჯერადი ფინანსური დახმარება გაეწევა ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ბოლო ერთი წლის მანძილზე უწყვეტად რეგისტრირებულ, უმაღლესი საგანმანათლებლო სასწავლებლის სტუდენტებს, რომელთა ოჯახები მიეკუთვნება სოციალურად დაუცველთა კატეგორიას და სარეიტინგო ქულა არის 1-დან – 100000-ჩათვლით. დახმარების მოცულობა განისაზღვრება თითოეულ სტუდენტზე 500 ლარის ოდენობით. დახმარება 2020 წელს 32 პირმა მიიღო.

#### **ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა დახმარება**

ქვეპროგრამა ითვალისწინებს „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების „შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად მოქალაქეზე (მსხვერპლზე), რომლის უფლებები დაირღვა და სტატუსი განუსაზღვრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისმა სამსახურმა, სასამართლო ორგანომ ან/და გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორის კომისიასთან არსებულმა ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის განმსაზღვრელმა – მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფმა, ფინანსური დახმარების გაწევას 200 ლარის ოდენობით.

#### **უსახლკაროთა თავშესაფრით უზრუნველყოფა**

ქვეპროგრამა ითვალისწინებს „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული „ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირთა რეგისტრაციისა და მათი დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფის წესი“-ს საფუძველზე რეგისტრირებული პირების/ოჯახების ბინის ქირით უზრუნველყოფას. ბინის ქირის ოდენობა, უძრავი ქონების ადგილმდებარეობის გათვალისწინებით, განისაზღვრება შემდეგნაირად: ა) ქ. ვანის ტერიტორიაზე – არაუმეტეს 100 ლარი თვეში; ბ) მთისძირის, შუამთის, ტობანიერის, ციხესულორის, ზედავანის, სალხინოს, დიხაშხოს, ბზვანის, ამაღლების, ზეინდრის, გორას ადმინისტრაციულ ერთეულებში – არაუმეტეს 80 ლარი თვეში; გ) ყუმურის, მუქედის, გადიდის, სულორის, ძულუხის, საპრასიის, ფერეთას, სალომინაოს, უხუთის ადმინისტრაციულ ერთეულებში – არაუმეტეს 60 ლარი თვეში;

#### **სარიტუალო დახმარება**

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია: ა) სოციალურად დაუცველი გარდაცვლილის ოჯახის დახმარება 300 ლარის ოდენობით. ბ) ჩერნობილის ავარიის მონაწილის გარდაცვალების შემთხვევაში 250 ლარის ოდენობით. გ) გარდაცვლილი ომის ვეტერანის ოჯახის დახმარება 250 ლარის ოდენობით. დ) გარდაცვლილი იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის ოჯახის დახმარება 250 ლარის ოდენობით. ე) უჭირისუფლო გარდაცვლილის დაკრძალვის ხარჯის გამდებ პირზე ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაცემა 250 ლარის ოდენობით. დახმარება 2020 წელს 43 ოჯახს გაეწია.

მკითხველს ვთავაზობთ ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, აკადემიკოს იაკობ მესხიას უაღრესად საინტერესო ნაშრომს „რეგიონული ეკონომიკა. იგი 2012 წელს გამოაქვეყნა კრებულმა „საქართველოს ეკონომიკამ“, რომლის რედაქტორიცაა პროფესორი, ქალბატონი როზეტა ასათიანი (ვანელების რძალი აკადემიკოსისა და საზოგადო მოღვაწის გიორგი ადეიშვილის მეუღლე).

მითითებული კრებულის გამოცემა მიძღვნილია საქართველოს კათალიკოს პატრიარქის უწმინდესისა და უნეტარესის ილია II აღსაყდრების 35-ე წლისთავისადმი.

ვანის რაიონის (მუნიციპალიტეტის) ისტორიისა და ეთნოგრაფიის კვლევის ცენტრის კრებული „მატიანე“, სარედაქციო კოლეგია ამ საინტერესო ნაშრომის გამოქვეყნებით პატივს მიაგებს პატივცემული აკადემიკოსის ხსოვნას და მადლობას უხდის ქალბატონ ლია ელიავას ბატონ იაკობ მესხიას მეუღლეს, რომ დაგვრთო ნება ამ ღირსეული კვლევის გამოქვეყნების თაობაზე.

მიუხედავად იმისა, რომ ამ ნაშრომის მითითებულ კრებულში გამოქვეყნებიდან გასულია რვა წელი და ზოგიერთ მონაცემში შეიძლება იყოს უმნიშვნელო ცვლილება. იგი თავისი აქტუალობით, შინაარსობრივი დატვირთვით, მსჯელობის სილრმისეულობით ინტერესთა სფეროდან არ გასულა.

რაც შეეხება ავტორს: როგორც მიუვთითეთ ბატონი იაკობი იყო საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, ნლების მანძილზე ხელმძღვანელობდა ქალაქ თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის კათედრას, კითხულობდა ლექციებს საქართველოს ქალაქებისა და რაიონების უმაღლესი თანამდებობის პირთათვის კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე, იყო არაერთი მონოგრაფიის, შრომისა და სტატიის ავტორი.

## იაკობ მესხია – აკადემიკოსი

### რეგიონული ეკონომიკა

საქართველოს კონსტიტუციით ჯერჯერობით არ არის განსაზღვრული სახელმწიფოს ტერიტორიული (რეგიონული) მოწყობა. იგი განხორციელდება ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ცენტრალური ხელისუფლების იურისდიქციის აღდგენის შემდეგ. მიუხედავად ამისა, დღეისათვის, სხვადასხვა საკანონმდებლო აქტების საფუძველზე, საქართველო დაყოფილია შემდეგ ტერიტორიულ ერთეულებად: ავტონომიური რესპუბლიკები (აფხაზეთი, აჭარა), ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი (სამაჩაბლო), რეგიონები (გურია, იმერეთი, კახეთი, მცხეთა-მთიანეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი, სამეგრელო-ზემო სვანეთი, სამცხე-ჯავახეთი, ქვემო ქართლი, შიდა ქართლი), თვითმმართველი ქალაქები(თბილისი, ქუთაისი, ბათუმი, რუსთავი, ფოთი) და რეგიონებში გაერთიანებული 67 მუნიციპალიტეტი, რომლებიც გაერთიანებულია რეგიონებში.

საქართველოში მოქმედ არც ერთ ოფიციალურ დოკუმენტში არ არის განმარტებული „რეგიონის“ ცნება, თუმცა, ფაქტობრივად, დღევანდელ სინამდვილეში „რეგიონი“ წარმოდგენილია, როგორც თვითმმართველი ერთეულების (მუნიციპალიტეტების) ტერიტორიების ერთობლიობა, რომელზეც ვრცელდება გუბერნატორის იურისდიქცია. 2007 წელს, სახელმწიფო რჩმუნებულის-გუბერნატორის ინსტიტუტის შემოღებით და მისი საკანონმდებლო უზრუნველყოფით, დაიწყო ქვეყნის რეგიონული სისტემის ინსტიტუციური ფორმირება. ეს ინსტიტუტი უკვე კონსტიტუციური ორგანოა. გუბერნატორი უზრუნველყოფს საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს მთავრობის წარმომადგენლობას ქვეყნის ადმინისტრაციულ ერთეულებში.<sup>1</sup> გარდა მხარეებისა, რეგიონებად განიხილება აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკები და საქართველოს დედაქალაქი – თბილისი.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს რეგიონული მოწყობისა და რეგიონული ეკონომიკის

1. საქართველოს რეგიონული განვითარება. დიაგნოსტიკური მოხსენება. თბილისი, 2010, გვ. 31.

თეორიულ-გამოყენებით პრობლემებზე ქართველი მეცნიერ-ეკონომისტების მიერ ადრე დაწყებული დისკუსია არ დამთავრებულა და იგი გრძელდება.<sup>1</sup>

**ზოგადი მიმოხილვა.** საქართველოს რეგიონების პუნქტორივ-რესურსული, დემოგრაფიული, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული მახასიათებლები ამგვარია:

**აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა.** ოკუპირებულია რუსეთის ფედერაციის მიერ 2008 წლიდან. მოიცავს გაგრის, გალის, ოჩამჩირის, გუდაუთის, გულრიფშისა და სოხუმის მუნიციპალიტეტებს, თუმცა, 1997 წელს სეპარატისტულმა ხელისუფლებამ გალისა და ოჩამჩირის და მუნიციპალიტეტების ტერიტორიების გაერთიანებით შექმნა ტყვარჩელის მუნიციპალიტეტი. ადმინისტრაციული ცენტრია ქ. სოხუმი, ფართობი – 8700 კმ<sup>2</sup> (საქართველოს ტერიტორიის 12,5%), მოსახლეობა – 180-200 ათასი კაცი. დევნილთა რაოდენობა აჭარშებს 300 ათას კაცს. დევნილობაში მყოფი აფხაზეთის მთავრობის სტატისტიკით, ამჟამად აფხაზეთში 167 ათასამდე მცხოვრებია. ძირითადი ბუნებრივი რესურსებიდან აღსანიშნავია ქვანახშირი, ხე-ტყე და მარმარილო. მდიდარია წყლის რესურსებით, ყველაზე დიდ მდინარეებად ითვლება ბზიფი და კოდორი. რეგიონში აღრიცხულია 186 ტბა, რომელთა შორის აღსანიშნავია რინის ტბა, რომელიც ტურისტებისთვის მიმზიდველია იმით, რომ იგი მდებარეობს მთაზე და მისი ზედაპირი გაზაფხულზე მომწვანო ფერისაა, ხოლო ზამთარში – მოცისფრო-მოლურჯო. რეგიონში სასოფლო-სამეურნეო კულტურებიდან გავრცელებულია ლიმონი, მანდარინი, ფორთოხალი, ჩაი, წყავი, ზეთისხილი, თამბაქო და სხვა ძვირფასი მცენარე; მრეწველობის დარგებიდან განვითარებული იყო: კვების მრეწველობა, ქვანახშირის წარმოება, ჩაის დამზადება და გადამუშავება, ხე-ტყის მრეწველობა და ა.შ. რეგიონის ტერიტორიაზე მდებარეობს ბუნების, არქიტექტურისა და კულტურის მრავალი ძეგლი, რომელთა შორის აღსანიშნავია: ახალი ათონის მღვიმე და მონასტერი, კელასურის კედელი, ბიჭვინთის მონასტერი, დრანდის და ილორის ეკლესიები, თამარის ხიდი, სოხუმის ბოტანიკური ბაღი, გეგის ჩანჩქერი და სხვ. აფხაზეთი შავი ზღვის აკვატორიაზე ერთ-ერთი საუკეთესო ტურისტულ-რეკრეაციული რეგიონია.<sup>2</sup>

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა. მოიცავს ქ. ბათუმს, ქედის, ქობულეთის, შუახევის, ხელვაჩაურის, ხულოს მუნიციპალიტეტებს. მოსახლეობა 386,9 ათასი კაცია (2010 წ.), ტერიტორია – 2900 კმ<sup>2</sup> (4,2 %). ადმინისტრაციული ცენტრია ბათუმი.

ავტონომიური რესპუბლიკის ძირითადი ბუნებრივი რესურსებიდან აღსანიშნავია სპილენძის, ტყევის, თუთიისა და სხვა ლითონების მარაგები, ფერადი სამშენებლო ქვების სხვადასხვა სახეობა. მდიდარია წყლის რესურსებით. რეგიონი უზრუნველყოფილია ელექტროენერგიით. ფუნქციონირებს ადგილობრივი ხუთი ჰიდროელექტროსადგური. 2011 წლის მარტის მდგომარეობით, რეგიონში რეგისტრირებულია 22 ათასზე მეტი ეკონომიკური სუბიექტი. მსხვილი საწარმოებიდან აღსანიშნავია: შპს „ბათუმის საზღვაო სავაჭრო ნავსადგური“, შპს „ბათუმის წყალი“, შპს „აჭარის ბუნებრივი აირი“, შპს „ბათუმიტექსი“ (ტანსაცმლის წარმოება), შპს „ნარინჯი“ (ხილის გადამუშავება), შპს „ურეხი“ (ფქვილის წარმოება) და სხვ. რეგიონში მოქმედებს კომერციული ბანკების 25-მდე ფილიალი და 5 მიკროსაფინანსო ორგანიზაცია. აჭარის ინვესტირებას ახორციელებენ ფრანგული, რუსული, ავსტრიული, თურქული, დანიური და სხვა კომპანიები. ინარმოება სოფლის მეურნეობის შემდეგი პროდუქტები: ციტრუსი, ჩაი, სიმინდი, ხილი, ყურძენი, თამბაქო, ბოსტნეული და ა.შ. სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ფართობი შეადგენს 72 862 ჰა-ს. ბათუმსა და ქობულეთში მიმდინარეობს თავისუფალი ტურისტული ზონების მშენებლობა. ზღვისპირა კურორტებიდან აღსანიშნავია ბათუმი, მახინჯაური, ქობულეთი, ბობიყვათი, გონიო-სარფი, ფიჭვნარი, ბეჭუმი, ციხისძირი

1. მელქაძე ვ. საქართველოს სსრ საზოგადოებრივი პროდუქტისა და ეროვნული შემოსავლის რეგიონული

სტრუქტურა. თბილისი, „საბჭოთა საქართველო“, 1978; მიქელაძე ი. ტერიტორიული დაგეგმვის პრინციპები. თბილისი, „მეცნიერება“, 1980; ჩიქავა ლ. სკრინფელოს ეკონომიკა. თბილისი, „მერიდანი“, 1995; პაპავა კ. საგადასახადო ფულერალიზმი: თანხმობა თუ სეპარატიზმი. თბილისი, 2000; ჭითანავა ნ. გარდამვალ პრიორიტეტის სოციალურ-ეკონომიკური პრიორიტეტები. ნანილი III. თბილისი, 2001; მოურავიძე დ. საქართველოს რეგიონულ ეკონომიკურ პოლიტიკის ძირითადი პრინციპები და პრიორიტეტები. კონფერენციის მასალები. ბათუმი, 2001; ბარათაშვილი ე. ჯავახიძე შ. რეგიონული ეკონომიკურ პოლიტიკა.

თბილისი „ვერუე“, 2002; ბარათაშვილი კ., ზარანდია ჯ., აბრალვა ა. რეგიონალური მთავრობის და პრაქტიკა. თბილისი, „სოცეუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომკამლობა“, 2009; მესხია ი. ე. Вопросы методологии регионального прогнозирования. М., «Наука», 2003 და ა.შ.

2. აქ და შემდგომ, ტეკსტში გამოყენებული ინფორმაციის წყაროება: საქართველოს კონსომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მონაცემები; საქართველოს სტატისტიკურის ეროვნული სამსახურის მასალები.

და სხვ. რეგიონში შექმნილია ხელსაყრელი ეკონომიკური გარემო უცხოური ინვესტიციების მოზიდვისათვის, მდიდარია კულტურული და ისტორიული ძეგლებით (გონიოს ციხე, სხალთის ხუროთმოძღვრული კომპლექსი, ბათუმის ბოტანიკური ბაღი, დენდროპარკები და ა.შ.).

**თბილისი.** საქართველოს დედაქალაქი მოიცავს ძველ თბილისს, ვაკე-საბურთალოს, გლდანი-ნაძალადევის, ისანი-სამგორის, დიდუბე-ჩუღურეთის მუნიციპალიტეტებს. მოსახლეობა – 1152,5 ათასი კაცია (2010 წ.), ტერიტორია – 350 კმ<sup>2</sup>.

ქალაქის მინერალურ-რეკრეაციული რესურსებიდან აღსანიშნავია ძველ უბნებში მრავალ ადგილას გამომავალი გოგირდნებადიანი თერმული მინერალური წყალი, რომლის ბაზაზე ფუნქციონირებს აბანოები და ბალნეოლოგიური კურორტი. დიღმის ტერიტორიაზე არის თიხის საბადოები, ორხევში – გაჯისა და ავჭალის კვარცის სილის საბადოები. მდიდარია წყლის რესურსებით. ქალაქში გამავალი მდინარე მტკვრის შენაკადებია დიღმისწყალი, ვერე, წავკისწყალი, გლდანისხევი და ლოჭინა. ქალაქის ტერიტორიაზეა ლისის ტბა, ე.წ. თბილისის ზღვა. საგურამოს ნაკრძალის ბაზაზე შექმნილი თბილისის ეროვნული პარკი ქალაქიდან 26 კმ-ით არის დაშორებული.

დედაქალაქის ტექნიკური ინფრასტრუქტურა პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს (ციფრული ტექნოლოგიები, უსადენო რადიოშეღწევის სისტემები, მობილური ქსელები და ა.შ.).

დედაქალაქის საგზაო ინფრასტრუქტურა მოიცავს მეტროპოლიტენის ორ ხაზს, ავტობუსების ქსელს, სარკინიგზო სადგურებს, საერთაშორისო აეროპორტს და ა.შ.

თბილისში ფუნქციონირებდა ათასზე მეტი სამშენებლო ორგანიზაცია, რომელთა შორის აღსანიშნავია შემდეგი მსხვილი კომპანიები: „არსი“, „აქსისი“, „კალასი“, „სასკო“, „მოდული“ და სხვ. კარგადაა განვითარებული ფინანსური სექტორი, ფუნქციონირებს 19 კომერციული ბანკი. 16 ბანკში მონაწილეობს უცხოური კაპიტალი. ქვეყნის ყველა ბანკის სათაო ოფისი მდებარეობს თბილისში. მსხვილი ბანკებიდან აღსანიშნავია: „საქართველოს ბანკი“, „თიბისი ბანკი“, „ბანკი რესპუბლიკა“, „ლიბერტანიკი“, „პროკრედიტბანკი“, „ბაზის ბანკი“ და სხვ.

2010 წლის 1 მარტის მდგომარეობით, თბილისში დარეგისტრირებულია 159,7 ათასი ეკონომიკური სუბიექტი. დედაქალაქში ფუნქციონირებს ქვეყნის მსხვილი საწარმოების 80%-ზე მეტი. ამ საწარმოებიდან აღსანიშნავია: შპს „ბაგრატიონი“ (ლვინის წარმოება), შპს „დავით სარაჯიშვილი და ენისელი“ (ალკოჰოლიანი სასმელების წარმოება), შპს „პირამიდა“ (ბეტონის წარმოება), შპს „ჯორჯიან ექსპრესი“ (ტვირთების გადაზიდვა), შპს „ზარაფხანა“ (საიუველირო ნაკეთობების წარმოება), შპს „ახალი ქსელები“ (კავშირგაბმულობა), შპს „გუდვილი“ (საცალო ვაჭრობა) და ა.შ. ტურისტებისათვის მიმზიდველია თბილისის ღირშესანიშნაობები: ძველი თბილისის ქვისა და აგურის სახლები, ნარიყალას ნანგრევები, პანთეონები, გოგირდის აბანოები და სხვ. ქალაქში 100-მდე ტაძარი და ამდენივე სასტუმროა, ფუნქციონირებს 22 თეატრი და 28 მუზეუმი.

**გურია.** მოიცავს ლანჩხეთის, ოზურგეთის, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებს. ადმინისტრაციული ცენტრია ქ. ოზურგეთი, ტერიტორია 2030,1 კმ<sup>2</sup> (2,9%), მოსახლეობა – 139,8 ათასი კაცი (2010 წ.). მოიპოვება: წითელი რკინა, აოლინი, აპატიტი, თიხა, ოქრო, ტუფი, გრანიტის ქვა, კირქვა, ტორფი და სხვ.

გურია მდიდარია წყლის რესურსებით (მდინარეები – სუფსა, ნატანები, ბჟუჟი და ა.შ.), სამკურნალო მინერალური და ბალნეოლოგიური წყლებით. რეგიონის თითქმის ერთი მესამედი უკავია ტყის რესურსს. განვითარებულია ენერგეტიკული, საავტომობილო და სარკინიგზო ინფრასტრუქტურა. რეგიონის ძირითად ეკონომიკურ საქმიანობას წარმოადგენს სუბტროპიკული კულტურებისა და ჩაის მოყვანა, მეხილეობა და მევენახეობა. სუფსის ტერიტორიაზე მდებარეობს ნავთობის ტერმინალი. გურია მდიდარია საინვესტიციო პოტენციალით: ხე-ტყე, აგროსამრენველო და სასურსათო, საკურორტო-რეკრეაციული რესურსები. რეგიონის შავიზღვისპირეთის კურორტებია: ურეკი, შეკვეთილი, გრიგოლეთი, მაღალმთიან ალპურ ზონაში – ბახმარო, გომისმთა. რეგიონი გამოირჩევა ბუნების, ისტორიულარქიტეტურული და საეკლესიო ძეგლებით (ბუკის ციხე, ასკანის ციხე, უდაბნოს მონასტერი, შემოქმედის სამონასტრო კომპლექსი, აჭის ეკლესია და სხვ.).

იმერეთი. მოიცავს ქ. ქუთაისს, ბალდადის, ვანის, ზესტაფონის, თერჯოლის, სამტრედიის,

საჩხერის, ტყიბულის, წყალტუბოს, ჭიათურის, ხარაგაულისა და ხონის მუნიციპალიტეტებს. ადმინისტრაციული ცენტრი – თვითმმართველი ქ. ქუთაისი. მოსახლეობა – 700,4 ათასი კაცი (2010 წ.), ტერიტორია 6 518,8 კმ<sup>2</sup> (9,4%).

რეგიონის მინერალური რესურსებია: მანგანუმი, ქვანახშირი, ბარიტი, დიატომიტის საშენი მასალები, თიხის მარაგები, მარმარილო, კირქვები, ბაზალტის საბადოები და სხვ. რეგიონში ფუნქციონირებს 5 ჰიდროელექტროსადგური. მდიდარია წყლის რესურსებით (მდინარეები – რიონი, ყვირილა, ცხენისწყალი, წყალწითელა, ხანისწყალი და სხვ.), სასმელი, სამკურნალო მინერალური და ბალნეოლოგიური წყლებით. ტყის ფონდს უკავია რეგიონის ტერიტორიის 51,8%, გავრცელებულია სამრეწველო დანიშნულების ჯიშები: მუხა, წაბლი, რცხილა, აკაცია, ცაცხვი და სხვ. რეგიონი მდიდარია ფაუნით: კავკასიური დათვი, ტახი, ირემი, შველი, მელა და ა.შ. მრავლადაა ტურისტებისთვის საინტერესო ბუნებრივი ობიექტი: დაცული ტერიტორიები – სათაფლის, ყუმისთავის, ხომულის, ნავენახევის და სხვა მღვიმეები, ბორჯომ-ბაკურიანის ეროვნული პარკი, ტბები, წყალსაცავები და ა.შ.

იმერეთში მდებარეობს ბაგრატის ტაძარი და გელათის სამონასტრო ანსამბლი (იუნესკოს მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები); გარდა ამისა, იმერეთი გამოირჩევა ისეთი კულტურულ-ისტორიული და არქიტექტურული ღირსშესანიშნაობებით, როგორიცაა ვანის ნაქალაქარი, გეგუთის ციხე-დარბაზი, მონამეთის ეკლესია და მისი სიძველეები, კაცხის ტაძარი, ანტიკური პერიოდის შორაპნის ციხე-სიმაგრე და ა.შ. რეგიონში იწარმოება სხვადასხვა სახის სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია (ბოსტნეული, სიმინდი, ლობიო, ხილი, ყურძენი და ა.შ.). რეგიონის მრეწველობის მსხვილი საწარმოებია: შპს „ჯორჯიან მანქანები“, სს „საქვაბელი“, შპს „ავტომექანიკური ქარხანა“, შპს „მუნლეიკუორჯია“, შპს „საქნახშირი“, შპს „ვარციხე“ და სხვ. განვითარებულია საჰაერო, საავტომობილო და სარკინიგზო სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა. რეგიონში 50-ზე მეტი საკურორტო და დასასვენებელი ბაზაა (საირმე, წყალტუბო, სიმონეთი, ზვარე, ამაღლება სულორი და სხვ.). მიმდინარეობს სამუშაოები სათაფლის ნაკრძალის ასაღორძინებლად, სადაც მდებარეობს უნიკალური კარსტრული გამოქვაბული.

**კახეთი.** შედგება ახმეტის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, თელავის, ლაგოდეხის, საგარეჯოს, სიღნაღის და ყვარელის მუნიციპალიტეტებისაგან. ადმინისტრაციული ცენტრია ქ. თელავი. მოსახლეობა – 404,5 ათასი კაცი (2010 წ.), ტერიტორია – 11,4 ათ. კმ<sup>2</sup> (16,2 %). რეგიონში არის მარმარილოს მსგავსი კირქვის, სააგურე თიხის, ნავთობის, გაზის, მინერალური წყლის („უჯარმა“), დიაბაზის და სამშენებლო გაჯის მარაგები. მდიდარია წყლის რესურსებით, მდინარეებია: ალაზანი, იორი, ილიტო, სტორი, დურუჯი, გომბორი და ა.შ.

ფუნქციონირებს 4 ჰიდროელექტროსადგური. ყველა მუნიციპალური ცენტრი და ზოგიერთი სოფელი უზრუნველყოფილია ბუნებრივი აირით. განვითარებულია თანამედროვე ინტერნეტ-მომსახურება და ციფრული სატელეფონო ქსელი. კარგადაა განვითარებული საავტომობილო და სარკინიგზო ტრანსპორტი, აშენდა ახალი საავტომობილო გზა (თელავი-გურჯაანი-თბილისი) გომბორის ქედის შემოვლით. ფუნქციონირებს 200-ზე მეტი მსხვილი და საშუალო, და 3 ათასამდე მცირე საწარმო.

კახეთში განსაკუთრებით განვითარებულია ღვინის და ხილის წარმოება, მეცხოველეობა. უკანასკნელ წლებში რეგიონში მსხვილი, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები განახორციელეს გერმანიის, ჩინეთის, იტალიის, ბულგარეთის, რუსეთის, ისრაელის და სხვა ქვეყნების ინვესტორებმა. დიდი რეზერვები არსებობს ინვესტირებისათვის საშენმასალათა და ხე-ტყის წარმოების, ჰესების მშენებლობის, სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამუშავებისა და სხვა სფეროებში. კახეთს კურორტებისა და ტურიზმის, მათ შორის, რეკრეაციული, სათავეგადასავლო, ეკო და აგროტურიზმის განვითარების დიდი პოტენციალი აქვს. მიმდინარეობს ახალი სასტუმროების მშენებლობა და დაცული ტერიტორიების კეთილმოწყობა. რეგიონში ფუნქციონირებს 2 თეატრი და 19 მუზეუმი.

**მცხეთა-მთიანეთი.** მოიცავს ახალგორის, დუშეთის, თიანეთის, მცხეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტებს. ადმინისტრაციული ცენტრია ქ. მცხეთა, მოსახლეობა – 108,8 ათასი კაცი (2010 წ.), ფართობი – 6,8 ათასი კმ<sup>2</sup> (9,2%).

რეგიონში არსებობს შემდეგი მინერალური რესურსების საბადოები: გრანიტი, ტუფი, დიაბაზი,

ანდეზიტი, ტორფი, მარმარილო, კირქვა, ინერტული მასალები და სხვ. მდიდარია წყლის რესურსებით. მდინარეებია: არაგვი, მტკვარი, თერგი, იორი, აგრეთვე მდიდარია მინერალური სამკურნალო წყლებით. აღსანიშნავია ბუნებრივი ტბები და წყალსაცავები: ბაზალეთის, ლისის, კუს და ყელის ტბები, უინვალის წყალსაცავი. რეგიონში ფუნქციონირებს შვიდი ჰიდროელექტროსადგური. ტერიტორიის 37,8% დაფარულია ტყით. დაცული ტერიტორიებია: ლიახვის სახელმწიფო ნაკრძალი, ყაზბეგის ეროვნული პარკი. სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგებია: მეხილეობა, მევენახეობა, მემარცვლეობა, მეფრინველეობა, მეცხვარეობა, მეთევზეობა, მებოსტნეობა და სხვ. რეგიონში ფუნქციონირებს 30-ზე მეტი მსხვილი, 45-მდე საშუალო და 600-მდე მცირე სანარმო. რეგიონს აქვს სამთო-სათხილამურო ტურიზმის განვითარების დიდი რესურსი. მნიშვნელოვანი ტურისტული ობიექტებია გუდაური, ბაზალეთი, ხევსურეთი, თრუსოს ხეობა და ა.შ.

მცხეთა-მთიანეთში სულ 40-მდე ტურისტულ-საკურორტო ობიექტია, ფუნქციონირებს სასტუმროები, დასასვენებელი სახლები. რეგიონის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებიდან აღსანიშნავია: სვეტიცხოველი, ჯვრის მონასტერი, სიონის ეკლესია, სნოს ციხე, ბოჭორმის ციხე-სიმაგრე, სხვადასხვა მუზეუმი და სხვა საინტერესო ისტორიული ძეგლები. მცხეთა, თავისი ისტორიულ-არქიტექტურული ღირებულებით, გამოცხადებულია ქალაქ-მუზეუმად, ხოლო სვეტიცხოველი და ჯვრის მონასტერი იუნესკოს მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაშია შეტანილი.

**რაჭა-ლეჩებუმი და ქვემო სვანეთი.** შედგება ამბოლაურის, ლენტეხის, ონისა და ცაგერის მუნიციპალიტეტებისაგან. ადმინისტრაციული ცენტრია ქ. ამბოლაური, მოსახლეობა – 47,6 ათასი კაცი (2010 წ.), ტერიტორია – 4,6 ათ. კმ<sup>2</sup> (6,6%). მინერალურ-რეკრეაციული რესურსებია: რკინა, სპილენძი, თუთა, მოლიბდენი, ტყვია, დარიშხანი, ვერცხლისწყალი, ქვიშრობული ოქრო, მოსაპირკეთებული ქანები, კირქვები, თაბაშირი, მინერალური სასუქები და სხვ.

რეგიონი მდიდარია უნიკალური მინერალური და წყაროს წყლებით. მიედინება მრავალი მდინარე: რიონი, ცხენისწყალი, ზესხო, ლეკოტარეში, ლასკადურა, ლაჯანური და სხვ. ფუნქციონირებს შპს „რთცეულპესი“ და სს „ლაჯანურპესი“. ტერიტორიის 53,3% ტყითაა დაფარული. რეგიონში მოქმედებს 400-მდე მსხვილი, საშუალო და მცირე სანარმო. განვითარებულია მეცხოველეობა, მეხილეობა და მევენახეობა.

რეგიონი განთქმულია უნიკალური და ორიგინალური ნახევრად ტკბილი და მშრალი ღვინოებით (უსახელოური, ხვანჭყარა, ალექსანდროული, ტვიში, ორბელური ოჯალეში და სხვ., რომლებიც მზადდება ადგილობრივი ალექსანდროულის, უსახელოურის, მუჯურთეულისა და ა.შ. ჯიშის (სულ 50-მდე ვაზის ჯიში) ყურძნისაგან. მრეწველობის წამყვანი დარგია ხე-ტყის დამზადება და გადამუშავება. მნიშვნელოვანი კურორტებია შოვი და უნერა, ბალნეოლოგიური კურორტი „ლაშიჭალა“.

რეგიონში 160-ზე მეტი ისტორიული და კულტურული ძეგლია. მათ შორის აღსანიშნავია წმინდა მაქსიმე აღმსარებლის სახელობის ეკლესია, ნიკორწმინდის ეკლესია, ბარაკონის ტაძარი, ხოტევის ციხე, მრავალძალის ეკლესია და სხვ. რეგიონში ფუნქციონირებს 5 მუზეუმი და 80-ზე მეტი ბიბლიოთეკა. რეგიონი ტურისტებისათვის ძალიან საინტერესო და მიმზიდველი ადგილია.

**სამეგრელო-ზემოსვანეთი.** მოიცავს თვითმმართველ ქ. ფოთს, აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, ნალენჯიხის და ხობის მუნიციპალიტეტებს. ადმინისტრაციული ცენტრია ქ. ზუგდიდი. ტერიტორია – 7,4 ათასი კმ<sup>2</sup> (10,6%), მოსახლეობა – 471,1 ათასი კაცი (2010 წ.).

რეგიონში არის ტორფის, ფერადი ლითონების – ოქროს, სპილენძის, ვერცხლის, კობალტის საბადოები, მოსაპირკეთებული ქვები და მაგმური ქანები, საკირე კირქვები, თაბაშირისა და სხვა მინერალური რესურსების საბადოები.

რეგიონი მდიდარია წყლის რესურსებით (მდინარეები: ხობისწყალი, ტეხური, ენგური, ცხენისწყალი და ა.შ.), აგრეთვე ბუნებრივი სამკურნალო-მინერალური წყლებით, თერმული წყლების საბადოებით. განსაკუთრებით აღსანიშნავია ცაიშის კურორტი, რომელიც განთქმულია თერმული წყლებითა და სამკურნალო ტალახით. რეგიონში მდებარეობს ქვეყნის უდიდესი ენგურის ჰიდროელექტროსადგური, დაწყებულია ახალი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა

სოფელ ხუდონში. რეგიონის ტყის ფონდი ქვეყნის ტყის ფონდის 10,2%-ია. სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგებია: მეხილეობა, მევენახეობა, მარცვლეული კულტურები, მეფუტკრეობა, მეფრინველეობა, მეცხოველეობა. მოქმედ საწარმოთა რაოდენობა შეადგენს 3 ათასზე მეტს, მათ შორის, 100-მდე მსხვილი და 200-ზე მეტი საშუალო საწარმოა. ქ. ფოთში ფუნქციონირებს შპს „ფოთის საზღვაო ნავსადგური“. მიმდინარეობს ფოთის თავისუფალი ეკონომიკური ზონის მშენებლობა. მესტიაში აშენდა სამთო-სათხილამურო კომპლექსი. დაინტენის საკურორტო კომპლექსის მშენებლობა. პირდაპირი უცხოური ინვესტიციებით ხობში აშენდა „აზერბაიჯან-სოკარი-კომპანიის“ ნავთობტერმინალი, ფოთში – სს „ფოთიმაცივარკომპინატი“, ზუგდიდში – თხილის გადამამუშავებელი შპს „არგონატსი“ და ა.შ.

უახლოეს მომავალში რეგიონის ერთ-ერთი წამყვანი დარგი გახდება ტურიზმი (სვანეთი, ანაკლია). არსებობს სამონადირეო, სათევზაო, საცხენოსნო და აქტიური ტურიზმის განვითარების პოტენციალი. სამეგრელო-ზემო სვანეთი მდიდარია არქიტექტურული და ისტორიული მნიშვნელობის მქონე უნიკალური ძეგლებით: ხობისა და მარტვილის სამონასტრო კომპლექსები, ძველი ხიბულის ციხე-სიმაგრე „ჯიხა“, აბედათის ციხე-სიმაგრე, კოლხეთის ეროვნული პარკი და სხვ. რეგიონში ფუნქციონირებს 3 თეატრი და 11 მუზეუმი.

**სამცხე-ჯავახეთი.** მოიცავს ადიგენის, ასპინძის, ახალქალაქის, ახალციხის, ბორჯომის და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებს. ადმინისტრაციული ცენტრია ქ. ახალციხე. მოსახლეობა შეადგენს 211,3 ათას კაცს (2010 წ.), ტერიტორია – 6,4 ათას კმ<sup>2</sup>-ს (9,2%).

რეგიონის მინერალური რესურსებიდან აღსანიშნავია: მურა ნახშირი, დიატომიტი, ბეტონიტური თიხები, ანდეზიტი, ტორფი, სანაკეთო და მოსაპირკეთებელი ქვები, სამშენებლო თაბაშირი და სხვ. წყლის რესურსებია: მდინარეები (მტკვარი, ფოცხოვი, ქვაბლიანი, ფარავანი, ურაველი, ბორჯომულა და სხვ), ტბები (ფარავანი, ტაბაწყური, საღამო, კარწახი და ა.შ. სულ 80-მდე ტბა). რეგიონში მრავლადაა სუფთა წყაროს წყლები, მიწისქვეშა სასმელი მტკვარი წყლები, სამკურნალო მინერალური და ბალნეოლოგიური წყლები. რეგიონის ტერიტორიის 25% ტყითა დაფარული. განვითარებულია საავტომობილო ტრანსპორტი, რომლითაც დამყარებულია სატრანზიტო კავშირი სომხეთსა და თურქეთთან. მიმდინარეობს დამაკავშირებელი რკინიგზის მშენებლობა თურქეთთან.

რეგიონში ფუნქციონირებს ათასზე მეტი საწარმო – მათ შორის, მსხვილი საწარმო 25-ზე მეტი, საშუალო – 90-მდე, დანარჩენი მცირე საწარმოა. რეგიონის მრეწველობიდან აღსანიშნავია ხე-ტყის დამზადება და გადამუშავება, მინერალური წყლებისა და უალკოჰოლო სასმელების წარმოება, ელექტროენერგიის წარმოება, ასფალტ-ბეტონის წარმოება და სხვ. სოფლის მეურნეობის პრიორიტეტული მიმართულებებია: მეკარტოფილეობა, მებოსტნეობა, მარცვლეული კულტურები, მეხილეობა, მეცხოველეობა, მეფუტკრეობა, ერთწლიანი საკვები კულტურების წარმოება.

სამცხე-ჯავახეთი მდიდარია კურორტებით (ბორჯომი, ბაკურიანი, წალვერი, ცემი, აბასთუმანი, ვარძია) და პოტენციური საკურორტო ადგილებით. ტურისტული თვალსაზრისით რეგიონის კულტურულ-ისტორიული ღირშესანიშნაობებია: სამცხის საეკლესიო ცენტრი სოფ. აწყურში, საფარა – სამონასტრო კომპლექსი, კულტურულ-ისტორიული ძეგლები ადიგენში – ზარზმა, ჭულე, ზანავი, ოქროს ციხე და სხვ., პეტრეს და გოგიას ციხეები ბორჯომში, ხერთვისი – ასპინძაში, ციხე-ქალაქი თმოგვი, ვარძია, ფოკის დედათა მონასტერი. ბორჯომის ხეობაში 200-ზე მეტი ისტორიული ძეგლია აღრიცხული. სამცხე-ჯავახეთს დიდი პოტენციალი აქვს სამკურნალო, სამთო და ეკოტურიზმის განვითარებისათვის. რეგიონში ფუნქციონირებს 3 თეატრი და 6 მუზეუმი.

**ქვემო ქართლი.** მოიცავს ქ. რუსთავს, ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, თეთრიწყაროს, მარნეულისა და წალკის მუნიციპალიტეტებს. ადმინისტრაციული ცენტრია რუსთავი. მინერალური რესურსებიდან აღსანიშნავია: ოქრო, სპილენძი, ბარიტი, ვერცხლი, მადნეული, ვოლფრამი, ნიკელი, რკინა, თუთია, ტუფი, მარმარილო და სხვ. მაგნიუმითა და კალციუმით მდიდარი მიწა იძლევა ეკოლოგიურად სუფთა სურსათის წაშუალებას. რეგიონში გამავალი მდინარეებია: მტკვარი, ალგეთი, იორი, ჯანდარი, კუმისი, მაშავერა, ფოლადაური, ხრამი და სხვ. რეგიონში არის წყალსაცავები და ბუნებრივი ტბები. მოქმედებს 100-ზე მეტი

მსხვილი საწარმო, რომელთაგან აღსანიშნავია: სს „ენერჯი-ინვესტი“ (მინერალური სასუქების წარმოება), სს „რუსთავცემენტი“, შპს „ვაგონშემკეთებელი კომპანია“, შპს „ქართული ცემენტი“, სს „ყაზბეგი“ (ლუდის წარმოება), სს „ქართული ფოლადი“, სს „მადნეული“, შპს „კვარციტი“, სს „თბილსრესი“, შპს „მტკვარი-ენერგეტიკა“, სს „ხრამჭესი-1“ და სხვ. რეგიონის სოფლის მეურნეობაში პრიორიტეტული მიმართულებებია: მეცხოველეობა, მემარცვლეობა, მებოსტნეობა და მევენახეობა. ნოყიერი ნიადაგი და არსებულიკლიმატი რეგიონის მთელ რიგ ტერიტორიაზე იძლევა წელიწადში მოსავლის რამდენჯერმე აღების საშუალებას.

ქვემო ქართლში არსებობს პოტენციალი ექსტრემალური ტურიზმის განვითარებისათვის (სწრაფდაშვება მდინარე ხრამზე, პარაშუტით ხტომა, საცხენოსწო და სამონადირეო ტურიზმი). რეგიონი მდიდარია ტურისტებისათვის საინტერესო სანახაობითი ადგილებით, აგრეთვე რეკრეაციული ტურიზმის განვითარებისათვის ხელსაყრელი ტერიტორიებით, ბუნებრივი სამკურნალო წყლებით. ქ. დმანისში აღმოჩენილმა სამარხებმა მნიშვნელოვნად გაზარდა უცხოელ დამთვალიერებელთა რიცხვი. რეგიონის ლირშესანიშნაობებია: ბოლნისის სიონი, ფიტარეთის მონასტერი, ბირთვისის ციხე-სიმაგრე, დმანისის ნაქალაქარი, სამშვილდე (ციხე-სიმაგრე) და სხვ.

**შიდა ქართლი.** მოიცავს ქ. ცხინვალს, გორის, ერედვის, თიღვის, კასპის, ქარელის, ქურთის, ხაშურის და ჯავის მუნიციპალიტეტებს. აქედან ქ. ცხინვალი, ერედვის, თიღვის, ქურთის და ჯავის მუნიციპალიტეტების ტერიტორია დღესათვის ოკუპირებულია რუსეთის ფედერაციის მიერ. რეგიონის ადმინისტრაციული ცენტრია ქ. გორი. მოსახლეობა (ოკუპირებული ტერიტორიების გარეშე) შეადგენს 310,6 ათას კაცს (2010 წ.). რეგიონის ტერიტორია 6200 კმ<sup>2</sup>-ია (მათ შორის ცენტრალური ხელისუფლების იურისდიქციის ქვეშა 4807 კმ<sup>2</sup> (9,2%).

შიდა ქართლის მინერალური რესურსებიდან ცნობილია: რკინა, სპილენძი, ოქრო, ტყვია, თუთია, დოლომიტი, კირქვა, მოსაპირკეთებელი ქვები, მაგმატური ქანები, ბეტონის მსუბუქი შემავსებლები, სააგურე თიხა და სხვ. რეგიონის ტერიტორიაზე მიედინება მდინარეები: მტკვარი, დიდი და პატარა ლიახვი, მექულა, ტანა, ქსანი, ტორტლა, ფრონე, ლეხურა და სხვ. რეგიონი მდიდარია ბუნებრივი სამკურნალო მინერალური და ბალნეოლოგიური წყლებით, სუფთა წყაროს და მინისქვეშა სასმელი მტკნარი წყლებით, ტყის რესურსებით.

სულ გორის, კასპის, ქარელისა და ხაშურის მუნიციპალიტეტებში ტყით დაფარულია 110 ათასი ჰა, ხოლო ცხინვალში – 36 ათასი ჰა. კარგადაა განვითარებული ტექნიკური ინფრასტრუქტურა (საერთაშორისო საქალაქო-სატელეფონო ციფრული ქსელი, მობილური სატელერფონო კავშირი, ინტერნეტი). რეგიონი მნიშვნელოვანი სატრანსპორტო კვანძია. გადის საერთაშორისო საავტომობილო და ცენტრალური სარკინიგზო მაგისტრალი. საგზაო ინფრასტრუქტურა მოწესრიგებულია. აშენდა „თბილისი-გორი-ხაშური“ ახალი საავტომობილო ბეტონსაფრიანი გზა. რეგიონში ფუნქციონირებს 45 მსხვილი, 120 საშუალო და 1500-მდე მცირე სანარმო. მსხვილი სანარმოებიდან აღსანიშნავია: შპს „პორტე“ (ფერების წარმოება), სს „სამშენებლო ტრესტი №3“, სს „გორი-გაზი“, შპს „ევროცემენტი“, სს „მეტეხის კერამიკა“, შპს „ქართული შაქარი“, სს „გორის სპირტისა და არაყის კომპანია“ და სხვ. სოფლის მეურნეობის ძირითადი მიმართულებებია: მეხილეობა (ვაშლი, ატამი, გარგარი და სხვ.), მარცვლეული კულტურების წარმოება, მეფუტკერეობა, მეფრინველეობა, მეცხოველეობა. რეგიონში ინარმოება ხორბლის ფერები, ხილის კონსერვები, შაქარი, ალკოჰოლური სასმელები, ცემენტი, რკინიგზის შპალები, თიხის აგური და სხვ. შიდა ქართლში მრავლადაა კურორტები და პოტენციური საკურორტო ადგილები, რომელთაგან აღსანიშნავია: გორისჯვერი, ფელი, ატენი, სურამი, ქვიშხეთი და ა.შ. რეგიონი მდიდარია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებით: წრომის ტაძარი, ქვათახევი, გორის ციხე, ატენის ტაძარი, სამთავისის ეკლესია, ი. სტალინის სახლ-მუზეუმი, ყინწვისის სამონასტრო კომპლექსი, სურამის ციხე, რკონის მონასტერი, უფლისციხე და სხვ.

**რეგიონების ეკონომიკა.** თანამედროვე ეტაპზე (ისევე როგორც წარსულში იყო) საქართველოს რეგიონული ეკონომიკური განვითარების დონე არაერთგვაროვანი და დიფერენცირებულია. ეს განპირობებულია რიგი ფაქტორებით, მათ შორის მნიშვნელოვანია ქვეყნის ბუნებრივ-გეოგრაფიული, ისტორიული და სოციალურ-ეკონომიკური თავისებურებები, რაც გამოიხატება რელიეფითა და კლიმატური პირობებით ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებული ბარის,

მთის, მაღალმთიანი და ზღვისპირა რეგიონების, აგრეთვე რესურსებით მდიდარი და ლარიბი რეგიონების, დეპრესიული, განუვითარებელი, შედარებით განვითარებული და პრობლემური (კონფლიქტური) რეგიონების არსებობით. ამას ემატება ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებული რეგიონები, რომელთა დემოგრაფიული, ისტორიული, საწარმოო და კულტურული ტრადიციები სპეციფიკური მახასიათებლების მატარებელია და საჭიროებს განსხვავებულ, დიფერენცირებულ მიდგომას, ზოგიერთ შემთხვევაში პროტექციონისტული პოლიტიკის გატარებასაც კი.<sup>1</sup>

გარდა აღნიშნულისა, რეგიონული განვითარების დონეთა უთანაბრობა განპირობებულია საბჭოურ პერიოდში რეგიონულ ქრილში (შექმნილი), განლაგებული საწარმოო პოტენციალის გარდამავალ ეტაპზე მოშლითა და ადრე შედარებით განვითარებულ რეგიონებში ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის დაუსაქმებლობით. ამასთან, საბაზრო ურთიერთობებმა ახალი ამოცანები და პირობები დააყენა ცალკეული რეგიონების წინაშე, თუმცა, ბევრი მათგანის მეურნეობრივი პირობები არ აღმოჩნდა ხელსაყრელი საბაზრო ურთიერთობების დამკვიდრებისა და განვითარებისათვის. ამას დაემატა ის გარემოებაც, რომ საგარეო-ეკონომიკური კავშირების ზღვარგადასულმა ლიბერალიზაციამ და ეკონომიკური საზღვრების გახსნილობამ, გარკვეული თვალსაზრისით, მნიშვნელოვნად დააზარალა საქართველოს რეგიონები, რომელთა ეკონომიკის სტრატეგიული მიმართულება იყო სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება და გადამუშავება. საზღვრების გახსნილობამ და იაფი აგრძოსამრენველო პროდუქციის უცხოეთიდან შემოდინებამ სტიმული დაუკარგა ადგილობრივ მეურნეობას, რამაც კიდევ უფრო გაზარდა უმუშევრობის დონე და რეგიონთაშორისი უთანაბრო განვითარება.

რეგიონებში წარმოებულმა ტრადიციულმა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციამ (ჩაი, ლვინო, ციტრუსები, ხილი და ა.შ.) სათანადოდ ვერ შეაღწია მსოფლიო ბაზარზე, რის გამოც შემცირდა ბიზნესაქტიურობა და ადრინდელი ტრადიციული დარგები როულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. სოფლიდან დაიწყო მოსახლეობის მიგრაცია ქვეყნის მსხვილ ქალაქებში და იმიგრაცია უცხოეთის ქვეყნებში სამუშაო ადგილების საძებნელად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ბოლო პერიოდში საქართველოში დაიწყო რეგიონული ეკონომიკის აღორძინებისა და განვითარების სხვადასხვა მიზნობრივი პროგრამის შემუშავება და რეალიზაცია, რომელმაც უნდა უზრუნველყოს მოკლე დროში რეგიონების წინაშე მდგარი პირველი რიგის, გადაუდებელი ამოცანების პრაქტიკული განხორციელება.

საქართველოს გარდამავალ ეკონომიკაში ძირეული ცვლილებები მოხდა საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში, მათ შორის, განსაკუთრებით წარმოების ფაქტორების დინამიკასა და სტრუქტურაში. მაგალითად, მოსახლეობის, როგორც სამუშაო ძალის წყაროს, კვლავწარმოების ტემპები შენელდა გასული საუკუნის 80-90-იან წლებთან შედარებით. კერძოდ, 1989 წელს საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობა 5400,4 ათას კაცს შეადგენდა, ხოლო 2000 წლისათვის იგი შემცირდა 17,87%-ით და 4435,2 ათასი კაცი შეადგინა. მხოლოდ ბოლო 10 წლის განმავლობაში შეინიშნება მოსახლეობის რიცხოვნობის უმნიშვნელო ზრდა მთლიანად ქვეყნის მასშტაბით და ზოგიერთ რეგიონში. 2000-2010 წლებში საქართველოში მოსახლეობის რიცხოვნობა გაიზარდა 0,1%-ით\*, მათ შორის, თბილისში 0,5%-ით და 2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეადგინა 4436,4 ათასი კაცი, აქარის არ-ში – 0,1%-ით, სამეგრელო-ზემო სვანეთში – 0,4%-ით. ქვეყნის დანარჩენ რეგიონში ამ დროის მონაკვეთში ადგილი ჰქონდა მოსახლეობის რიცხოვნობის შემცირებას.

2010 წლის მონაცემებით, მოსახლეობის სტრუქტურაში ყველაზე დიდი წილი მოდის თბილისზე (25,9%), შემდეგაა იმერეთი (15,7%), ქვემო ქართლი (11,2%), სამეგრელო-ზემო სვანეთი (10,6%), კახეთი (9,1%) და ა.შ., ხოლო ბოლო ადგილებს იკავებენ მცხეთა-მთიანეთი (0,2%) და გურია (0,1%).

საქართველოს რეგიონებში, ჯერ კიდევ შენარჩუნებულია უმუშევრობის მაღალი და

1 მესხია ი., გველესიანი ე. რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკა. თბილისი, „ინოვაცია”, 2010, გვ. 5.

\* 1994-2010 წლების მოსახლეობის რიცხოვნობა მოცემულია აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების მოსახლეობის გარეშე.

დასაქმების დაბალი დონე, რაც განპირობებულია სამუშაო ადგილების დეფიციტით. ოფიციალური მონაცემებით, 2010 წელს საქართველოში სულ ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა (სამუშაო ძალა) შეადგენდა 1944,1 ათას კაცს, აქედან, დასაქმებული იყო 1628,1 ათასი კაცი, უმუშევართა რიცხვი შეადგენდა 316,9 ათას კაცს. უმუშევრობის ყველაზე მაღალი დონე დაფიქსირდა თბილისში (29,1%) და აჭარის არ-ში (21,1%).

2000-2009 წლებში დასაქმებულთა რიცხოვნობა მნიშვნელოვნად შემცირდა რეგიონების მრეწველობაში. მხოლოდ თბილისის, აჭარის არ-ის, კახეთისა და შიდა ქართლის მრეწველობაში დაფიქსირდა დასაქმებულთა უმნიშვნელო ზრდა. ამავე პერიოდში დასაქმებულთა რაოდენობის ზრდას ჰქონდა ადგილი მთლიანად საქართველოში და ცალკეული რეგიონების მშენებლობის დარგში. თბილისში 2000 წელს მშენებლობაში დასაქმებულთა რაოდენობა შეადგენდა 10437 კაცს, ხოლო 2009 წელს – 24487 კაცს (ზრდა 233,1%). ამავე პერიოდში აჭარაში ზრდამ შეადგინა 413,5%, გურიაში – 257,1%, იმერეთში – 284,1%, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთში – 201,1%, სამეგრელო-ზემო სვანეთში – 226,5%, სამცხე-ჯავახეთში – 178,2%, შიდა ქართლში – 329,6%. მშენებლობის დარგში დასაქმებულთა ზრდის ტემპი შედარებით დაბალი იყო იმერეთში (113,3%) და მცხეთა-მთიანეთში (108,7%). მთლიანად საქართველოს მასშტაბით მშენებლობაში დასაქმებულთა რიცხოვნობა 2000 წლის 20066 კაციდან 2009 წელს 43452 კაცამდე, ანუ 2,1-ჯერ გაიზარდა.

ქვეყნის მასშტაბით ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში დასაქმებულთა რაოდენობა 2000 წლის 56470 კაციდან, 2009 წლისათვის 51395 კაცამდე შემცირდა, თუმცა, თბილისში თითქმის 200%-ით გაიზარდა, სხვა დანარჩენ რეგიონში მნიშვნელოვან შემცირებას ჰქონდა ადგილი.

ქვეყნის რეგიონების მიხედვით დასაქმებულთა რიცხოვნობის შემცირების ტენდენციას ადგილი ჰქონდა ვაჭრობაში, ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტის საწარმოებში, ზოგიერთ რეგიონში (აჭარის არ, გურია, იმერეთი, მცხეთა-მთიანეთი, სამცხე-ჯავახეთი) კი შემცირდა 2-3-ჯერ.

სასტუმროებსა და რესტორნებში დასაქმებულთა ზრდას ადგილი თბილისში (135,35%), აჭარის არ-ში (119,5%), გურიაში (131,8%), სამეგრელო-ზემო სვანეთში (170,5%), სამცხე-ჯავახეთში (153,8%), ხოლო სხვა დანარჩენ რეგიონში ეს მაჩვენებელი 2-3-ჯერ შემცირდა.

რეგიონების მიხედვით დასაქმებულთა რაოდენობის ანალიზიდან აშკარად ჩანს, რომ რიგი დარგებისა და სფეროების მიხედვით, 2000-2009 წლებში, ადგილი ჰქონდა ამ მაჩვენებლის შემცირების ტენდენციას, რაც უნდა აიხსნას, ერთი მხრივ, წარმოების ტექნოლოგიური დონის ამაღლების შედეგად დასაქმებულთა გამოთავისუფლებით, ხოლო, მეორე მხრივ, ინვესტიციური დეფიციტის გამო სამუშაო ადგილების უქონლობით.

პროდუქციის გამოშვება საქართველოსა და მისი რეგიონების მიხედვით, 2000-2010 წლებში, ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა (იხ. ცხრილი 1).

#### ცხრილი

**პროდუქციის გამოშვება საქართველოში და მისი რეგიონების მიხედვით 2000-2010 წლებში (მლნ ლარი)**

	2000	2005	2006	2007	2008	2009	2010	2010/2000 %-ობით
საქართველო, სულ მათ შორის:	2388,9	5838,3	7412,6	9645,4	10248,4	11033,1	12203,0	510,8
თბილისი	1223,5	3255,5	4583,6	5212,8	6615,7	7467,6	7914,4	646,8
აჭარის არ	209,1	289,9	405,3	518,4	584,4	613,9	642,7	307,3
გურია	17,3	36,4	62,1	79,2	96,2	74,6	91,3	527,7
იმერეთი	190,5	357,2	418,1	512,7	701,0	479,5	747,9	392,5
კახეთი	34,7	130,4	138,9	154,0	152,1	181,7	195,3	562,8
მცხეთა- მთიანეთი	42,0	97,8	120,5	114,4	125,3	138,3	167,0	397,6

რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	12,5	17,1	20,5	18,8	19,9	19,4	17,8	142,4
სამეგრელო- ზემო სვანეთი	134,8	294,0	352,2	516,9	379,0	473,7	548,6	406,9
სამცხე- ჯავახეთი	16,5	130,5	103,2	107,9	134,7	118,2	177,0	1072,7
ქვემო ქართლი	290,9	511,1	833,6	977,0	991,9	1119,4	1322,9	454,7
შიდა ქართლი	95,5	238,6	310,7	391,8	402,8	273,8	318,6	333,6

გამოშვებული პროდუქციის სტრუქტურაში რეგიონების ხვედრითი წონა 2010 წლისათვის შეადგინდა: თბილისში – 64,8%-ს, ქვემო ქართლში – 10,8, იმერეთში – 6,1, აჭარის არ-ში – 5,2, სამეგრელო-ზემო სვანეთში – 4,4, შიდა ქართლში – 2,6%-ს. დანარჩენი რეგიონების წილი მერყეობს 0,5-2%-ის ფარგლებში.

ქვეყნის მრეწველობაში 2010 წელს გამოშვებული პროდუქციის სტრუქტურაში ყველაზე დიდ ადგილს იკავებს თბილისი – 50,1%, შემდეგ მოდის ქვემო ქართლი – 25,2% და იმერეთი – 7,7%. დანარჩენი რეგიონების ხვედრითი წონა მერყეობს 0,1-5%-ის ფარგლებში. განსხვავებული სურათია რეგიონების მიხედვით მშენებლობის პროდუქციის სტრუქტურაში. პირველ ადგილს აქაც იკავებს თბილისი – 72,7%, მეორე ადგილზეა აჭარის არ (10,89%), მესამეზე – სამეგრელო-ზემო სვანეთი (4,9%). დანარჩენი რეგიონების ხვედრითი წონა ერთად შეადგინს 11,6%-ს. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ მშენებლობის დარგი კონცენტრირებულია ძირითადად 2-3 რეგიონში, რაც მიუთითებს ქვეყნის უმეტეს რეგიონებში დაბალ ინვესტიციურ აქტიურობაზე.

რეგიონების მიხედვით ინვესტიციები ფიქსირებულ აქტივებში (ძირითად კაპიტალში) საკმაოდ მაღალი ტემპებით იზრდებოდა 2008 წლამდე, თუმცა, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომისა და მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის გავლენის შედეგად, ამ ბოლო პერიოდში ინვესტიციური აქტიურობა მნიშვნელოვნად შენელდა. 2006-2009 წლებში ფიქსირებულ აქტივებში ინვესტიციები გაიზარდა თბილისში (145,6%), იმერეთში (123,8%), სამცხე-ჯავახეთში (176,9%) და შიდა ქართლში (170,1%), ხოლო შემცირდა აჭარის არ-ში (თითქმის 3-ჯერ), გურიაში (2-ჯერ), კახეთში (უმნიშვნელოდ), სამეგრელო-ზემო სვანეთში (1,5 ჯერ), ქვემო ქართლში (2-ჯერ).

რეგიონების მიხედვით ინვესტიციების სტრუქტურაში, 2009 წლის მონაცემებით, წამყვანი ადგილი უკავია თბილისს, იმერეთს, სამეგრელო-ზემო სვანეთსა და ქვემო ქართლს. დანარჩენი რეგიონების ხვედითი წონა უმნიშვნელოა (ცხრილი 2).

(ცხრილი 2

ინვესტიციები ფიქსირებულ აქტივებში საქართველოს რეგიონების მიხედვით 2006-2009 წლებში (მლნ ლარი)

	2006	2007	2008	2009	2009/2006 %-ობით	სტრუქტურა %-%-ობით (2009)
საქართველო, სულ მათ შორის:	2054,7	2 588,4	2 220,0	2157,8	105,0	100,0
თბილისი	1381,8	2027,7	1498,6	1718,5	124,3	79,7
აჭარის არ	183,1	77,4	93,2	67,3	-272,1	3,2
გურია	6,6	22,7	4,3	2,3	-286,9	0,1
იმერეთი	67,1	43,0	112,3	83,1	123,8	3,9
კახეთი	15,2	15,0	33,0	15,5	101,9	0,8
მცხეთა-მთიანეთი	23,1	16,2	4,4	39,7	171,8	1,9

რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	0,6	3,3	0,6	2,0	333,3	0,1
სამეგრელო-ზემო სვანეთი	124,4	166,4	115,1	74,2	-167,6	3,5
სამცხე-ჯავახეთი	11,3	5,9	6,4	20,6	182,3	0,9
ქვემო ქართლი	153,2	124,0	238,2	74,8	-205,5	3,5
შიდა ქართლი	29,1	53,9	118,9	49,5	170,1	2,4

სოფლის მეურნეობას, როგორც საქართველოს რეგიონული განვითარების ერთ-ერთ წამყვან დარგს, გარდამავალ ეტაპზე სერიოზული პრობლემები შეექმნა. ბოლო პერიოდში ინარმოებოდა ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის მხოლოდ 9-9%, რაც საბჭოურ პერიოდთან შედარებით 30-35 პროცენტული პუნქტით ნაკლებია. უკანასკნელ 10 წელიწადში მოსახლეობის 1 სულზე შემცირდა თითქმის ყველა სახის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის წარმოება (მათ შორის: ხორბლის, სიმინდის, კარტოფილის, რძის, ხორცისა და ა.შ.).

საქართველოს რეგიონებში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების შემცირების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნათესი ფართობების თანდათანობითი შემცირებაა. მაგალითად, 1999 წელს ქვეყანაში ნათესი ფართობები შეადგინდა 594,7 ათას ჰა-ს, ხოლო 2009 წელს შემცირდა თითქმის 2-ჯერ და შეადგინა 308,3 ათასი ჰა, მათ შორის, იმერეთში შემცირდა 79,2 ათ. ჰა-დან 49,1 ათ. ჰა-მდე, სამეგრელო-ზემო სვანეთში – 59,8 ათ. ჰა-დან 46,2 ათ. ჰა-მდე, შიდა ქართლში – 64,4 ათ. ჰა-დან 33,4 ათ. ჰა-მდე, კახეთში – 171,2 ათ. ჰა-დან 98,1 ათ. ჰა-მდე, ქვემო ქართლში – 108,0 ათ. ჰა-დან 34,8 ათ. ჰა-მდე, სამცხე-ჯავახეთში – 53,9 ათ. ჰა-დან 21,9 ათ. ჰა-მდე, სხვა დანარჩენ რეგიონებში – 62,2 ათ. ჰა-დან 24,8 ათ. ჰა-მდე.

2009 წელს საქართველოს რეგიონებში სასოფლო-სამეურნეო ნათესი ფართობების ხვედრითი წონის შესახებ იხილეთ გრაფიკი 1.

გრაფიკი 1

#### საქართველოში ნათესი ფართობების რეგიონული სტრუქტურა 2009 წელს

იმერეთი – 15,9%

სამეგრელო-ზემო სვანეთი – 14,9%

შიდა ქართლი – 10,8%

კახეთი – 31,8%

ქვემო ქართლი – 11,2%

სამცხე-ჯავახეთი – 7,2%

დანარჩენი რეგიონები – 8,2%

უკანასკნელ წლებში საქართველოს რეგიონებში ადგილი ჰქონდა როგორც ნათესი ფართობების, ისე საშუალო მოსავლიანობის შემცირებას. მაგალითად, 2006-2009 წლებში ხორბლის წარმოება შემცირდა კახეთსა და ქვემო ქართლში თითქმის 2-ჯერ. გამონაკლისია შიდა ქართლის რეგიონი, სადაც იგი თითქმის 2,5-ჯერ გაიზარდა. ასევე მნიშვნელოვნად შემცირდა რეგიონებში ქერის ნათესი ფართობების წარმოების და მოსავლიანობის მაჩვენებლები (მაგალითად, კახეთში – 3-ჯერ). რაც შეეხება სიმინდის წარმოებას, ამ მხრივ, მდგომარეობა სტაბილურია და თანდათანობით გაუმჯობესების ტენდენცია იკვეთება რიგ რეგიონებში. მაგალითად, აღნიშნული კულტურის ნათესი ფართობების, წარმოებისა და საშუალო მოსავლიანობის მნიშვნელოვან ზრდას აქვს ადგილი სამეგრელო-ზემო სვანეთის, გურიის, კახეთის და სხვა რეგიონებში. ქვემო ქართლში, მართალია, შემცირდა ნათესი ფართობების მოცულობა, მაგრამ მნიშვნელოვნად გაიზარდა საშუალო მოსავლიანობის სიდიდე. კარტოფილის წარმოების მხრივ მდგომარეობა თანდათანობით უარესდება. ქვემო ქართლში კარტოფილის ნათესი ფართობი 2006 წლის 9,4 ათასი ჰა-დან 2009 წელს შემცირდა 4,5 ათასი ჰა-მდე, წარმოება დაეცა 69,8 ათასი ტონიდან 35,3 ათას ტონამდე. ამ მხრივ მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სამცხე-ჯავახეთში, სადაც კარტოფილის წარმოების მოცულობა და მოსავლიანობა გაიზარდა თითქმის 4-ჯერ და 2009 წლისათვის შესაბამისად 144,1 ათასი და 17,7 ტონა შეადგინა. უკანასკნელ წლებში რეგიონის მიხედვით ბოსტნეულისა და ბალჩეულის

წარმოება თითქმის ყველა სახეობის მიხედვით მეტ-ნაკლებად ზრდის ტენდენციით ხასიათდება.

ხილის წარმოება ქვეყნის უმეტესი რეგიონების მიხედვით შემცირების ტენდენციით ხასიათდება. სულ საქართველოში 2000 წელს ყველა კატეგორიის მეურნეობაში იწარმოებოდა 250,0 ათასი ტონა ხილი, ხოლო 2009 წელს შეადგინა 181,2 ათასი ტონა. აჭარის არ-ში ამ მაჩვენებელმა, შესაბამისად, შეადგინა 19,2 და 8,2 ათასი ტონა, იმერეთში – 54,8 და 17,4 ათასი ტონა, სამეგრელო-ზემო სვანეთში – 40,5 და 25,9 ათასი ტონა. შიდა ქართლში ხილის წარმოება გაიზარდა და 2009 წელს, ნაცვლად 2000 წლის 56,8 ათასი ტონისა, 66,8 ათასი ტონა შეადგინა. ამ პერიოდში სხვა რეგიონებში ხილის წარმოებას შემცირების ტენდენცია ჰქონდა.

საქართველოსათვის დამახასიათებელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კულტურის — ყურძნის წარმოებამ აშკარად გამოკვეთილი კლების ტენდენცია მიიღო. სულ საქართველოში 2000 წელს წარმოებულ იქნა 210,0 ათასი ტონა ყურძნი, ხოლო 2009 წელს მისი მოცულობა დაეცა 150,1 ათას ტონამდე. იმერეთში, ყურძნის წარმოებამ, შესაბამისად, შეადგინა 52,5 და 30,3 ათასი ტონა (შემცირდა 1,7-ჯერ), კახეთში – 105,0 და 82,7 ათასი ტონა. შიდა ქართლში ყურძნის წარმოების ზრდის ტენდენცია დაფიქსირდა. კერძოდ, 2009 წელს მან შეადგინა 16,5 ათასი ტონა, ნაცვლად 10,5 ათასი ტონისა 2000 წელს. დანარჩენ რეგიონებში ყურძნის წარმოებამ მნიშვნელოვნად იკლო.

უკანასკნელ წლებში რეგიონების მიხედვით მეცხოველეობის განვითარებაში შემდეგი სიტუაციაა: საქართველოში მსხვილფეხა პირუტყვის სულადობა 2000 წლის ბოლოსათვის 1177,0 ათას სულს შეადგენდა, 2009 წელს შემცირდა 1014,7 ათას სულამდე. აჭარის არ-ში, შესაბამისად, შემცირდა 123,2 ათასიდან 87,5 ათასამდე, იმერეთში – 267,7 ათასიდან – 192,7 ათასამდე, შიდა ქართლში – 84,6 ათასიდან 75,0 ათასამდე, კახეთში – 117,8 ათასიდან 82,8 ათასამდე. სამცხე-ჯავახეთში დაფიქსირდა ზრდის ტენდენცია: 2000 წლის 98,6 ათასიდან, 2009 წელს გაიზარდა 103,0 ათას სულამდე, სამეგრელო-ზემო სვანეთში შენარჩუნდა სტაბილური მდგომარეობა (192,2 ათასი სული), დანარჩენ რეგიონებში ეს მაჩვენებელი უმნიშვნელოდ შემცირდა. აღსანიშნავია, რომ უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში ქვეყნის ყველა რეგიონში შემცირდა ლორის სულადობა. სულ საქართველოში 2000 წლის 443,4 ათასი სულიდან 2009 წელს შეადგინა 135,2 ათასი სული, რაც ძირითადად აიხსნება ამ პერიოდში გავრცელებული ავადმყოფობით („ლორის გრიპი“).

რეგიონების მიხედვით 2000-2009 წლებში მეტ-ნაკლები შემცირების ტენდენცია ჰქონდა ცხვრისა და თხის სულადობას. გამონაკლისია კახეთი, სადაც თხის სულადობა გაიზარდა

თითქმის 20%-ით და 2009 წელს შეადგინა 15,7 ათასი სული, ხოლო ცხვრის სულადობა გაიზარდა 2%-მდე და შეადგინა 269,4 ათასი სული. უკანასკნელ წლებში ქვეყნის ყველა რეგიონში ადგილი აქვს ფუტკრის ოჯახების რაოდენობის ზრდას. კახეთში იგი თითქმის 2-ჯერ გაიზარდა და 2009 წელს შეადგინა 52,9 ათასი სკა.

ხორცის წარმოებას რეგიონების მიხედვით 2000-2009 წლებში შემცირების ტენდენცია ჰქონდა. საქართველოში ამ პერიოდში ხორცის წარმოება თითქმის 2-ჯერ შემცირდა: 2000 წელს იგი შეადგენდა 107,9 ათას ტონას, ხოლო 2009 წელს – 54,3 ათას ტონას. ხორცის წარმოების შემცირებას ჰქონდა ადგილი იმერეთში (თითქმის 2-ჯერ), სამეგრელო-ზემო სვანეთში (ასევე 2-ჯერ), შიდა ქართლში (3-ჯერ), ქვემო ქართლში (0,5-ჯერ), სამცხე-ჯავახეთში (3-ჯერ) და ა.შ.

2000-2009 წლებში საქართველოს რეგიონებიდან რძის წარმოების შემცირებას ადგილი ჰქონდა აჭარაში – თითქმის 2-ჯერ, სამეგრელო-ზემო სვანეთში – 30%-ით, იმერეთში – 10%-ით, კახეთში – 20%-ით. ქვემო ქართლში დაფიქსირდა სტაბილური მდგომარეობა, ხოლო სამცხე-ჯავახეთში რძის წარმოება გაიზარდა თითქმის 30%-ით.

2009 წელს საქართველოში კვერცხის წარმოებამ შეადგინა 430,6 მლნ ცალი, მაშინ როდესაც 2000 წელს იგი 361,4 მლნ ცალს შეადგენდა. ზრდა დაფიქსირდა ქვემო ქართლში (5-ჯერ), კახეთში (15%-ით), ხოლო სამეგრელო-ზემო სვანეთში შემცირდა თითქმის 2-ჯერ, იმერეთში 1,5-ჯერ და უმნიშვნელოდ სხვა რეგიონებში.

**ოკუპირებული რეგიონების ეკონომიკა.** 1918-1921 წლებში აფხაზეთი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში ავტონომიის სახით იყო წარმოდგენილი. 1921 წელს ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს სახელმწიფოს ანექსიისა და საქართველოს

საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად გამოცხადების შემდეგ, აფხაზეთის სტატუსი არ შეცვლილა. 1991 წელს საქართველოს სახელმწიფო ბრივი დამოუკიდებლობის აღდგენისა და საქართველოს რესპუბლიკის შექმნის შემდეგ, კონსტიტუციის თანახმად, მის შემადგენლობაში აფხაზეთი ფართო ავტონომიური უფლებებით შევიდა. თუმცა, რუსულმა იმპერიულმა ძალებმა შეძლეს აფხაზეთის მოსახლეობის ნაწილში სეპარატისტული განწყობის შექმნა და 1992-1993 წლებში მოახდინეს რუსეთ-საქართველოს ომის ინსპირირება, რის შედეგად საქართველოს ამ ძირძველი მინიდან განიდევნა სხვადასხვა ეროვნების დაახლოებით 80%-მდე მოსახლეობისა, მათ შორის უმეტესი ნაწილი ქართველები იყვნენ.

2008 წლის 26 აგვისტოს რუსეთის ხელისუფლებამ, ფაქტობრივად, მოახდინა აფხაზეთის სრული ანექსია და ფორმალურად სცნო აფხაზეთის სახელმწიფოს დამოუკიდებლობა, სინამდვილეში კი განახორციელა აფხაზეთის ტერიტორიის მიტაცება, სადაც მრავალრიცხოვანი რუსული სამხედრო შენაერთები აკონტროლებენ პოლიტიკურ ვითარებას, თუმცა, სამართლებრივად, აფხაზეთი საქართველოს სახელმწიფოს შემადგენელი ნაწილი და მისი ავტონომიური რესპუბლიკა.

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (დსთ) მიერ 1996 წელს ოფიციალურად გაფორმდა აფხაზეთის ბლოკადა, აიკრძალა ეკონომიკური საქმიანობა. მიუხედავად ამისა, 2000 წლიდან რუსეთმა ნელ-ნელა ეკონომიკური სანქციები გააუქმა, რასაც ვაჭრობის გამოცოცხლება მოჰყვა. ოკუპირებულ აფხაზეთში, მიახლოებითი გაანგარიშებებით, 2003 წლისთვის, მთლიანი შიდა პროდუქტი დაახლოებით 70-80 მლნ აშშ დოლარის ეკვივალენტი იყო ანუ 350 აშშ დოლარი მოსახლეობის ერთ სულზე, რაც საქართველოს მაჩვენებელზე 2-ჯერ ნაკლებს შეადგენდა. 2003 წლის შემდეგ ეს სხვაობა ოკუპირებული ავტონომიასა და დანარჩენ საქართველოს შორის კიდევ უფრო გაიზარდა. დღეს, სხვადასხვა შეფასებით, ოკუპირებული აფხაზეთის მშპ-ის 60%-ს ვაჭრობა შეადგენს, მხოლოდ 10%-ს – ტურიზმი, რაც ამჟამინდელი ბიუჯეტის შემოსავლების მესამედს ავსებს.

საბჭოურ საქართველოში გამოშვებული პროდუქციის 12% აფხაზეთში იწარმოებოდა. 1985-1990 წლებში ავტონომიაში 500-მდე საწარმო მუშაობდა, სადაც 30 ათას კაცამდე იყო დასაქმებული. 1990 წლისთვის აფხაზეთის არ-ში წამყვანი ადგილი კვების მრეწველობას ეკავა (წარმოების 56%), მეორე ადგილზე მსუბუქი მრეწველობა იყო (12%), მესამეზე – ენერგეტიკა (10%), მეოთხეზე კი მანქანათმშენებლობა – (8%-მდე).<sup>1</sup>

აფხაზეთის ეკონომიკა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში ექსპორტზე იყო მთლიანად ორიენტირებული. შესაბამისად, სსრკ-ის დაშლის შემდეგ, დსთ-ის სანქციებმა მას სერიოზული პრობლემები შეუქმნა. თუმცა დღეისათვის აფხაზეთიდან უკანონო ექსპორტი რუსეთსა და თურქეთში პრაქტიკულად არ შეჩერებულა.

ამჟამად აფხაზეთში სასოფლო-სამეურნეო მიწების 60% დაუმუშავებელია. მართალია, მცირე რაოდენობით იწარმოება ღვინო, ღიქიორი და კონიაკი, მაგრამ აფხაზეთის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას სერიოზულ კონკურენციას უწევს სამხრეთ რუსეთში საკმაოდ განვითარებული სასოფლო-სამეურნეო კომპლექსი.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ზრდა ძირითადად გალის რაიონში შეიმჩნევა. აქ მოყვანილი თხილის ექსპორტი შემოსავლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა. აფხაზური მთავრობა გალში თითოეული ქართული ოჯახისგან 70-80 კილოგრამი თხილის მათ მიერ დადგენილი ფასებით ჩაბარებას მოითხოვს.

აფხაზეთის ეკონომიკის ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული სფერო იყო ხე-ტყის დამზადება. აფხაზეთის ტყეები უნიკალური ჯიშებით გამოირჩევა, რომელთა მოჭრა 1978 წელს აიკრძალა, თუმცა, 90-იანი წლებიდან ხის ჭრა ინტენსიურად გაგრძელდა. მასალა ძირითადად რუსეთის და თურქეთის ავეჯის ქარხნებს მიენოდება.

2007-2009 წლებში სოხუმში, გაგრასა და ბიჭვინთაში ანუ ტურისტულ ზონაში სამშენებლო სამუშაოები გამოცოცხლდა. აფხაზეთში ღია პრივატიზაცია პრაქტიკულად არ ხორციელდება, წლების მანძილზე აფხაზეთის ქონება ძირითადად რუსეთის მოქალაქეებზე იყიდება.

არენდით გაცემულ ან რეალურად გაყიდულ ობიექტთაგან უმეტესობა ტურისტული სფეროდანაა, თუმცა, აფხაზეთის ეკონომიკის მთავარი ორიენტირი – ტურიზმი დღეს საოკუპაციო რეჟიმისთვის მოსალოდნელ შემოსავლებს ვერ იძლევა.

1980-იან წლებში აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში 103 დასასვენებელი სახლი, სანატორიუმი და სასტუმრო იყო, 220-250 ათას ტურისტამდე ისვენებდა. ტურისტული ბუმი იყო 1990 წელს, როცა აფხაზეთში 550 ათასი ტურისტი დაფიქსირდა, უკანასკნელ წლებში კი აფხაზეთს წლიურად 200-300 ათასზე ნაკლები სტუმრობს, იმ ერთდღიანი ტურისტების ჩათვლით, ვინც აქ მხოლოდ ათონის მღვიმისა და რინის ტბის სანახავად ჩამოდიან. რუსეთის მოქალაქეებს, უსაფრთხოების გარანტიების არქონაზე მეტად, ხელი ტურისტული მომსახურების არაადეკვატურად მაღალმა ფასებმა ააღებინა.

ოკუპირებული აფხაზეთის ეკონომიკაში ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშეა რუსული სახელმწიფო კომპანია „როსნეფტი“, რომელსაც აფხაზეთში ბენზინგასამართი სადგურების ქსელი აქვს. 2009 წელს ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე შეიქმნა ერთობლივი სანარმო „რნ-აფხაზია“, რომლის 51% რუსული კომპანიის კუთვნილებაა. ამ ერთობლივ კომპანიას შევი ზღვის აფხაზეთის შელფზე ნავთობის მოძიებისა და საბადოების განვითარების უფლება გადაეცა.

გასულისაუკუნის 80-90-იანი წლებისაფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განვითარებული ენერგოსექტორიდან დღეს მხოლოდ მცირე ნაწილია დარჩენილი. ტყვარჩელის ქვანახშირის საბადოები თურქი ბიზნესმენების ხელშია. საბადოზე ინვესტიციები არ ხორციელდება და, შესაბამისად, ქვანახშირის მოპოვების მოცულობა ძალიან მცირეა. გაჩერებულია სოხუმისა და სხვა მცირე ჰესები. არ მუშაობს ტყვარჩელის თეზი. რეგიონის ენერგეტიკა მთლიანად ენგურჰესზეა დამოკიდებული, რომლის რეაბილიტაციასა და ფუნქციონირებასაც საქართველოს მხარე უზრუნველყოფს.

ოკუპირებული რეგიონის საბანკო სისტემა რუსეთის საბანკო სისტემის ნაწილია. ტერიტორიაზე 15 ბანკია რეგისტრირებული, თუმცა, მათი ჯამური საწესდებო კაპიტალი საქართველოს ერთი ბანკის მინიმალურ საწესდებო კაპიტალზე მნიშვნელოვნად ნაკლებია.

რუსეთის შემდეგ აფხაზეთში რიგით მეორე ეკონომიკური მოთამაშე თურქეთია. აფხაზეთში წარმოებული ხე-ტყის, ქვანახშირისა და დამზადებული ჯართის ნახევარზე მეტი თურქეთში გადის. თურქეთიდან აფხაზეთში სიგარეტის და საკვები პროდუქტის იმპორტირება ხდება. თურქი ინვესტორები კაპიტალს დებენ აფხაზეთის ეკონომიკის თითქმის ყველა სფეროში, დაწყებული კაფეებიდან ტყვარჩელის მაღაროთი დასრულებული. ოჩამჩირის რაიონში მიწების ნაწილი თურქებს აღებული აქვთ თხილის პლანტაციების გასაშენებლად, თუმცა, 2008 წლის „აღიარების“ შემდეგ რუსეთმა თურქელი ეკონომიკური ინტერესების შევიწროება დაიწყო და დამატებითი ინვესტიციების განხორციელება პრაქტიკულად შეჩერებულია.

ოკუპირებული რეგიონის 2011 წლის ბიუჯეტი სულ 4 მლნ რუსულ რუბლს შეადგენს, რაც დაახლოებით 150 მლნ-მდე აშშ დოლარია. ბიუჯეტის თითქმის 70%-მდე რუსულ დახმარებაზე მოდის. საშუალო პენსია ოკუპირებულ აფხაზეთში 500 რუსული რუბლი, ანუ დაახლოებით 16-18 დოლარია. ბიუჯეტის 30%-ზე მეტი კი რუსეთის საჯარისო ნაწილების (5000-ზე მეტი სამხედრო მოსამსახურე) შენახვაზე იხარჯება. საკუთარი შემოსავლებით, ოკუპირებული ეკონომიკა მნირი ბიუჯეტის ხარჯების მხოლოდ 30%-ის დაფინანსებას ახერხებს.<sup>1</sup>

ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის (სამჩხაბლოს) ტერიტორია 3,8 ათასი კმ<sup>2</sup> (საქართველოს ტერიტორიის 5,4%) და იყოფა ზნაურის, ახალგორის, ცხინვალისა და ჯავის ადმინისტრაციულ რაიონებად. საოლქო დაქვემდებარების ქალაქია ცხინვალი. საქართველოში მცხოვრებ ოსთა რაოდენობა 1990 წლამდე 164 ათასი იყო. 2002 წლის აღწერით, 38 ათასი დარჩა (სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის გამოკლებით).

1990 წელს სეპარატისტულმა ძალებმა გამოაცხადეს დამოუკიდებლობა სახელწოდებით – „სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიული რესპუბლიკა“. საქართველოს უზენაესი საბჭოს მიერ ოლქის სტატუსი გაუქმებულ იქნა 1990 წლის 10 დეკემბერს, ხოლო ტერიტორია გადანაწილდა ახალგორის, გორის, ჯავის, ქარელის, ონისა და საჩხერის რაიონებზე.

<sup>1</sup> <http://7days.ge/index2.php?newsid=1685>

1991-1992 წლებში რეგიონში საომარი მოქმედებები დაიწყო, 1992 წლიდან განთავსდა სამშვიდობო შერეული ძალები (სოჭის ხელშეკრულება). 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ რეგიონის მთელ ტერიტორიას აკონტროლებს რუსეთის საოკუპაციო ჯარები, კერძოდ, რუსეთის არმიის მე-4 ბრიგადა, რომელშიც ოფიციალურად 3800 სამხედროა.

ამჟამად რეგიონში ოსი ეროვნების 30 ათასი მცხოვრებია, აქედან, ცხინვალში – 17 ათასი. ამასთან, რეგიონში 2500-მდე ქართველი ცხოვრობს.

სამხრეთ ოსეთის ეკონომიკა მთლიანად რუსეთზეა დამოკიდებული. 2008 წლის აგვისტოდან რუსეთმა რეგიონს 840 მლნ აშშ დოლარი გამოუყო, თუმცა, სარეაბილიტაციო სამუშაოების ტემპი ძალზე დაბალია. სამხრეთ ოსეთში ყველაზე მსხვილი საწარმოებია „ბაგიათის“ და „ვიბრომანქანის“ მიწერალური წყლის ქარხნები, რომელთა საწარმოო სიმძლავრე მხოლოდ მეხუთედითაა ათვისებული. პროდუქციის 90% რეგიონში რუსეთიდან შემოდის და, სულ მცირე, 20-ჯერ უფრო ძვირია, ვიდრე იგივე პროდუქცია რუსეთის სამხრეთ რაიონებში. სამხრეთ ოსეთში ფუნქციონირებს ორი „სახელმწიფო“ ბანკი. მიმოქცევაში მხოლოდ რუსული რუსულია.

ერთადერთი პროგრესი სამართალდამცველი ორგანოებისა და მასწავლებლების ხელფასების ზრდის მიმართულებით შეიმჩნევა, თუმცა, მოსახლეობის მსყიდველობითუნარიანობა დაბალია. სამხრეთ ოსეთის მოქალაქეები სამკურნალოდ რუსეთში მიდიან, უფასო სამედიცინო დახმარების მიღება შეუძლიათ მათ, რომლებსაც შიდა რუსული პასპორტი აქვთ.<sup>1</sup>

2008 წლის 23 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“. ამ კანონის საფუძველზე შემუშავებული სტრატეგია გამოხატავს საქართველოს ურყოვ გადაწყვეტილებას მიაღწიოს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების (სამხრეთ ოსეთის) სრულ დეოკუპაციას, უკუაქციოს რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებული ტერიტორიების ანექსის პროცესი და მშვიდობიანი გზით მოახდინოს მათი რეინტეგრაცია საქართველოს კონსტიტუციურ სივრცეში. საქართველოს ხელისუფლება მიისწრაფვის მიაღწიოს დასახულ მიზნებს მხოლოდ დიპლომატიური გზით და იგი გამორიცხავს სამხედრო ძალებით კონფლიქტის გადაწყვეტის შესაძლებლობას.

**სახელმწიფო მხარდაჭერა რეგიონული განვითარებისადმი.** რეგიონული ეკონომიკის აღორძინება-განვითარებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყნის სახელმწიფო ბიუჯეტიდან ტრანსფერის სახით განვითარებაში მნიშვნელოვან რეგიონში შემავალი მუნიციპალური ტერიტორიული წარმონაქმნები სახელმწიფო ბიუჯეტიდან ყოველწლიუად იღებენ გათანაბრებით ტრანსფერს, რომელიც განკუთვნილია მათი ექსკლუზიურ უფლებამოსილებათა განხორციელებისათვის, აგრეთვე მიზნობრივ ტრანსფერს ცენტრალური ხელისუფლების მიერ დელეგირებულ უფლებამოსილებათა განხორციელების მიზნით. ქვეყნის

ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტებიდან გამომდინარე, ზოგიერთ რეგიონზე ან რაიონში შემავალ ტერიტორიულ ერთეულზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხდება სპეციალური ტრანსფერის გაცემა, რომელიც ითვალისწინებს ამა თუ იმ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის პროექტის რეალიზაციას. უკანასკნელი 4 წლის განმავლობაში რეგიონების მიხედვით გათანაბრებითი ტრანსფერის განაწილების დინამიკის შესახებ იხილეთ ცხრილში 3.

### ცხრილი 3

გათანაბრებითი ტრანსფერის განაწილება საქართველოს რეგიონების მიხედვით (ათასი ლარი)

	2008 ფაქტ.	2009 ფაქტ.	2010 ფაქტ.	2011	ზრდის ტემპი 2008-2011 წწ.-ში	%-ობით 2010=100
სულ ტრანსფერი, მათ შორის:	320 982	276 619	522 553	627 787	195,5	100,0
აჭარის არ	19 391	17283	30701	70259	362,3	5,8
თბილისი	226 701	152 495	323 037	349 892	154,3	61,8

გურია	4438	5768	7558	10626	239,4	1,5
იმერეთი	18064	23 557	46692	60496	334,8	8,9
კახეთი	7918	14680	20811	22570	285,0	3,9
მცხეთა-მთიანეთი	4512	5368	7087	8549	189,4	1,4
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	3586	3643	6948	7392	206,1	1,3
სამეგრელო-ზემო სვანეთი	10859	16445	26385	30782	283,4	5,3
სამცხე-ჯავახეთი	6251	8532	10993	12368	197,8	2,2
ქვემო ქართლი	8850	14955	24852	32102	362,7	4,8
შიდა ქართლი	9949	13018	16771	21977	220,8	3,2

ადგილობრივი ბიუჯეტებისათვის გამოყოფილი გათანაბრებითი ტრანსფერის მოცულობის ზრდა, აგრეთვე მათი მაღალი ხვედრითი წონა ადგილობრივი ბიუჯეტების შემოსულობებში მიუთითებს იმაზე, რომ ჯერ კიდევ დაბალია ადგილობრივი ბიუჯეტების ფინანსური დამოუკიდებლობა, პირიქით, იზრდება მათი ცენტრალიზაციის დონე, რაც გარკვეულწილად ზღუდავს თვითმმართველობის ორგანოების ავტონომიურ რეჟიმში ფუნქციონირებას და, შესაბამისად, არ ასტიმულირებს რეგიონული ეკონომიკის განვითარებას. აღნიშნული მდგომარეობა დროებითა, რადგან პერსპექტივაში გათვალისწინებულია რეგიონული ფინანსური და ეკონომიკური დამოუკიდებლობის დონის ამაღლება და რეგიონის სამეურნეო საქმიანობაში ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან ჩარევის მინიმუმამდე დაყვანა.

თავისებურებებით ხასიათდება სპეციალური ტრანსფერის გამოყოფა. კერძოდ, იგი 2010 წლამდე ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების უმეტესობას გამოყოფოდა იმ სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების განსახორციელებლად, რომლისთვისაც არ იყო საკმარისი ადგილობრივი ბიუჯეტების სახსრები. მაგალითად, ამ მიზნით სპეციალური ტრანსფერის სახით გამოყოფილმა თანხამ 2008 წელს შეადგინა 154,3 მლნ ლარი, ხოლო 2009 წელს – 200,9 მლნ ლარი. დაწყებული 2010 წლიდან სპეციალური ფინანსური დახმარების ობიექტია მხოლოდ რამდენიმე წერტილოვანი რეგიონი, სადაც მიმდინარეობს საერთო-სახელმწიფოებრივი პროექტების რეალიზაცია. მაგალითად, 2010 წელს ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია-მშენებლობისათვის თბილის გამოეყო 196 მლნ ლარი, ბათუმს – 100 მლნ ლარი, ასევე, აფხაზეთის არ-ს (დევნილობაში მყოფ აფხაზეთის ხელისუფლებას) – 7,5 მლნ ლარი.

გარდა სატრანსფერო პოლიტიკისა, რეგიონულ ეკონომიკურ განვითარებაზე სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა ხორციელდება პროგრამულ-მიზნობრივი მიდგომით, ასევე, უცხოური ფინანსურ-ინვესტიციური დახმარებების გზით. 2008 წლიდან საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში შეიქმნა „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების“ ფონდი (შემდგომში „ფონდი“), საიდანაც მთავრობის გადაწყვეტილებით ხდება რეგიონებიდან წარდგენილი პროექტების დაფინანსება. აღნიშნული რეგიონული პროექტების ფონდის მოცულობამ 2008 წელს 336,9 მლნ ლარი შეადგინა. შემდგომ წლებში მისი მოცულობა მნიშვნელოვნად შემცირდა და 2009 წელს 19,9 მლნ ლარი შეადგინა, ხოლო 2010 წელს – 66,0 მლნ ლარი.

2010 წელს რეგიონული პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხების მოცულობისა და ხვედრითი წონის შესახებ იხილეთ გრაფიკი 2.

გრაფიკი 2

საქართველოს რეგიონული პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხების  
მოცულობა და ხვედრითი წონა 2010 წელს

გურია – 3 მლნ

იმერეთი – 15 მლნ

კახეთი – 9 მლნ

მცხეთა-მთიანეთი – 4 მლნ

ქვემო ქართლი – 10 მლნ  
 რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი – 3 მლნ  
 სამცხე- ჯავახეთი – 5 მლნ  
 სამეგრელო-ზემო სვანეთი – 10 მლნ  
 შიდა ქართლი – 7 მლნ

რეგიონული პროექტების პრიორიტეტებია სანიაღვრე არხების, სკოლების, სკოლამდელი დაწესებულებებისა და ბაგა-ბალების, გზებისა და ხიდების, გარე განათების, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების, ნაპირსამაგრი ნაგებობების, კულტურის სახლებისა და ინფრასტრუქტურის სხვა ობიექტების რეაბილიტაცია-მშენებლობა.

აღსანიშნავია, რომ 2009 წლიდან ამოქმედდა „სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“, რომლის მთავარი მიზანია საქართველოს სოფლების პირველი რიგის ამოცანების გადაწყვეტა, თვითმმართველობის განხორციელებაში მოსახლეობის გააქტიურება, თვითმმართველობის დამოუკიდებლობის გაძლიერება და ადგილობრივი თვითმმართველობის როლის ზრდა რეგიონული სამეურნეო პრობლემების გადაწყვეტაში. ამ პროგრამით გათვალისწინებული თანხა გამოიყენება ადგილობრივი ინფრასტრუქტურის ობიექტების აღდგენა-რეაბილიტაციისა (მაგალითად, ხიდების აღდგენა, სოფლის გზების შეკეთება, სასმელი წყლის სისტემების შეკეთება, სარწყავი არხების რეაბილიტაცია და ა.შ.) და სოფლის კეთილმოწყობის სამუშაოების ჩატარებისათვის (მაგალითად, სოფლის წყაროს მოწყობა, სტადიონის შეკეთება, კლუბის მოწყობა და ა.შ.).

უკანასკნელ წლებში საქართველოსათვის უცხოელების მიერ განეული ფინანსური დახმარებიდან ერთ-ერთი უმსხვილესია „ათასწლეულის გამოწვევის პროგრამა“. აშშ-ის მიერ საქართველოსათვის გამოყოფილი 395,3 მლნ აშშ დოლარის ღირებულების გრანტის რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება 2 მიმართულებით და მოიცავს: 1. ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის – სამცხე-ჯავახეთის გზის რეაბილიტაციის პროექტს; ენერგონფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტს, რეგიონული ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტს; 2. სანარმოთა განვითარებისათვის – საქართველოს რეგიონული განვითარების პროექტს და აგრობიზნესის განვითარების პროექტს. 5-წლიანი შეთანხმება მიზნად ისახავს სოციალურად დაუცველი ფენების დახმარებასა და საქართველოს რეგიონებში ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობას. კერძოდ:

სამცხე-ჯავახეთის გზის რეაბილიტაციის პროექტის (203,5 მლნ აშშ დოლარი) მიზანია რეგიონში საგზაო-სატრანსპორტო ქსელის აღდგენა. პროექტი ითვალისწინებს დაახლოებით 220 კმ გზის რეაბილიტაციას ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებში. სამუშაოების 90% უკვე შესრულებულია. კერძოდ, განხორციელდა გზის მშენებლობა-რეაბილიტაცია ნადრევანი-სათხეს, სათხე-ნინონმინდა-სომხეთის საზღვრისა და ახალქალაქი-თურქეთის საზღვრის მონაკვეთზე; თელეთი-კოდა-ასურეთის საგზაო მონაკვეთზე; ხერთვისი-ვარძის გზის მონაკვეთზე; სალდა-კარწახი-თურქეთის საზღვრის მონაკვეთზე და ა.შ.

ენერგონფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტის (49,5 აშშ დოლარი) ძირითადი მიზანია ქვეყნის ჩრდილოეთ-სამხრეთის გაზის მაგისტრალური მილსადენის რეაბილიტაცია და გაზის მინისქვემა საცავის მშენებლობისათვის საინჟინრო პროექტის მომზადება. გაზისადენის 22 მონაკვეთზე სამშენებლო სამუშაოები დასრულებულია, მიმდინარეობს ნინონმინდის გაზისაცავის წინასამშენებლო სამუშაოები;

რეგიონული ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტი (57,5 მლნ აშშ დოლარი) ითვალისწინებს მუნიციპალური მომსახურების გაუმჯობესებას. კერძოდ, წყალმომარაგების სისტემის აღდგენას ფოთში, ქობულეთში, ქუთაისში, ბაკურიანისა და ბორჯომში. აქედან, სამუშაოების დიდი ნაწილი შესრულებულია;

რეგიონული განვითარების პროექტის (32,1 მლნ აშშ დოლარი) მიზანია მცირე და საშუალო ბიზნესისადმი ხელშეწყობა, ინვესტიციების განხორციელება ტურიზმსა და სხვა სექტორებში. იგი ითვალისწინებს საინვესტიციო კომპანიების გაძლიერებასა და განვითარებას;

აგრობიზნესის განვითარების პროექტის (20 მლნ აშშ დოლარი) მიზანია რეგიონებში წვრილი ფერმერული მეურნეობების გარდაქმნა მომგებიან ბიზნესერთეულებად. გრანტები გაიცემა

პირველადი საწარმოების (სანერგე მეურნეობა, მეცხოველეობის ფერმა, საფუტკრე მეურნეობა და სხვ.), ფერმერთა მომსახურების ცენტრისა და მცირე გადამმუშავებელი საწარმოების შესაქმნელად. ამ პროექტის ფარგლებში დაფინანსდა თხილის გადამმუშავებელი საწარმოების მშენებლობა სამეგრელო-ზემო სვანეთის, იმერეთის, გურიისა და მცხეთამთიანეთის რეგიონებში.

უახლოეს პერსპექტივაში (2011-2014 წწ.) დაგეგმილია ქვეყნის შიგა რეგიონული საგზაო-სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია-განვითარება, ძირითადი სამაგისტრალო, მეორადი და ადგილობრივი გზების მდგომარეობის გაუმჯობესება, ვაჭრობის ხელშეწყობა, აღმოსავლეთ-დასავლეთის საგზაო დერეფნის მშენებლობის გაგრძელება, ზესტაფონი-ქუთაისი-სამტრედის მონაკვეთის ბეტონსაფარისი ავტომაგისტრალის, ქობულეთისა და ბათუმის შემოვლითი გზების მშენებლობა. დამთავრებულია ვაზიანი-გომბორი-თელავის საავტომობილო მაგისტრალის მშენებლობა.

დაიწყო საქართველოს რკინიგზის მოდერნიზაცია თბილისი-ბათუმი ჩქაროსნული მატარებლის შექმნის მიზნით. მიმდინარეობს ყარსი-ახალქალაქის რკინიგზისა და თბილისის შემოვლითი სარკინიგზო ხაზის მშენებლობა.

გაიზრდება ენერგოსისტემის მდგრადიობა, დასავლეთ საქართველოში განხორციელდება ელექტროგადამცემი ხაზების რეაბილიტაცია. კერძო ინვესტიციებით დაფინანსდება 500 მეგავატზე მეტი ჰიდროენერგეტიკული სიმძლავრის მშენებლობა. გათვალისწინებულია რიგი რეგიონების გაზიფიცირება, მათ შოროს, დასავლეთ საქართველოს დამაკავშირებელი გაზსადენის მნიშვნელოვანი სეგმენტების აღდგენა-მშენებლობა, ჩრდილოეთ-სამხრეთის გაზსადენის რეაბილიტაცია-მშენებლობის სამუშაოების დასრულება. განხორციელდება საირიგაციო და სამელიორაციო სისტემის რეალიზაციის პროექტი, გაგრძელდება ურბანული ინფრასტრუქტურის განვითარება: განხორციელდება მყარი ნარჩენების გადამუშავების პროექტები, წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის მშენებლობა.<sup>1</sup>

შემუშავებულია „საქართველოს რეგიონული განვითარების 2010-2017 წწ.-ის სახელმწიფო სტრატეგია“, რომლის ძირითადი მიზანია რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა და მოსახლეობის ცხოვრების სტანდარტებისა და პირობების გაუმჯობესება.<sup>2</sup>

<sup>1</sup> ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2011-2014 წლებისთვის (საბოლოო ვარიანტი). საქართველოს მთავრობა. თბილისი, 2011.

<sup>2</sup> საქართველოს რეგიონული განვითარების 2010-2017 წწ.-ის სახელმწიფო სტრატეგია. თბილისი, 2010.

## ვანის რაიონის (გურიაში) ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრისაგან

ვანის რაიონის მუნიციპალიტეტის „ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის „კვლევის ცენტრი“ თავს ვალდებულად მიიჩნევს მკითხველთა ფართო საზოგადოებას, რაიონის ხელისუფლებას, მეცნიერებას, მეცნიერებას, რომელთა მხარდაჭერასაც მუდმივად ვგრძნობთ, პერიოდულად მიაწოდოს სრული ინფორმაცია განხორციელებული კვლევების, კვლევის მასალების გასაჯაროების შესახებ. მნიშვნელოვანია „კვლევის ცენტრის“ საქმიანობაში მეცნიერების უმაღლესი რანგის წარმომადგენელთა ჩართულობა, რომელთა რიცხვიც თანამიმდევრულად იზრდება და რომელთა ძალისხმევასაც ვაფასებთ და ვუფრთხილედბით კიდევაც.

გვაქვს სიახლეც, ჩვენი ქვეყნის სათანადო სამსახურის მიერ „კვლევის ცენტრის“ კრებულ „მატიანეს“ მიენიჭა სამეცნიერო უურნალის სტატუსი, გაფორმდა ხელშეკრულება და ასევე მოგვენიჭა „კოდი“, რაც ჩვენთვის უდიდესი პატივია, ასევე უდიდესი ნდობაც მთელს სარედაქციო კოლეგიას გაზრდილი გამოწვევისა და პასუხისმგებლობის წინაშე გვაყენებს.

ვანის რაიონის, ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის „კვლევის ცენტრი“, რომელიც 2014 წლის იანვარში იქნა დაფუძნებული ვანის რაიონის (მუნიციპალიტეტის) გამგეობასთან, ხანგრძლივი ფიქრის, შესაბამისი დონისა და ინტელექტუალური მონაცემების მქონე ადამიანებთან აზრთა შეჯერებისა და განსჯის შედეგია, იმ კეთილშობილური მიზნით, რომ ვიკილიოთ, შევისწავლოთ, გავაანალიზოთ, ის ყურადსალები მოვლენები და ფაქტები, რომლებიც განვითარდა დღევანდელი ვანის რაიონის ტერიტორიულ სივრცეში, როგორც ძველ, ასევე ახალი და უახლესი ისტორიის მონაკვეთზე. მატიანის ფორმით შემოვინახოთ ისინი, შეძლებისდაგვარად გავასაჯაროთ, გადავცეთ მომავალ თაობას, შევუქმნათ მათ შესაძლებლობა მშობლიური რაიონის ისტორიაში უფრო ღრმა წვდომისათვის, მოვიზიდოთ ამ საქმით დაინტერესებული ახალგაზრდები, ჩავრთოთ კვლევებში და გადავცეთ მათ ესტაფეტა“. ასე, რომ ეს დევიზი მუდმივმოქმედია და ამ სიტყვებით დავიწყეთ კრებულ მატიანეს პირველ ნომერში გამოქვეყნებული სარედაქციო სტატია, რომელიც ვანის რაიონის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრის დაფუძნების მიზნებსა და ამოცანებს ეხებოდა „ცხადია, ეს საქმიანობა სამუშაო პროცესში მოითხოვს მოპოვებული მასალების არაერთგანზომილებიან, მშვიდ გააზრებას, ფართო თვალსაწირიდან გაკეთებულ საფუძვლიან შეფასებებს, ინტენსიურ ძიებას, ჯეროვან ხელშეწყობას, ბაზასაც, რადგანაც „ვანი“ ვერც საუკუნეთა მიღმა და ვერც დღევანდელობაში ვერ იქნება შესწავლილი და განხილული ცალკე, სრულიად ქართულ სივრცეში განვითარებული მოვლენებისაგან დისტანცირებულად.

როგორც წინა მიმოხილვაში მივუთითეთ ვანი ერთ-ერთი ხიბლიანი რაიონია საქართველოსა და იმერეთის რეგიონში, თავისი უბრნებინვალესი ანტიკურ-ისტორიული წარსულით, ნაკლებად შესწავლილი ადრეული და გვიანი ფეოდალური ხანის ისტორიით, მეოცე საუკუნის ზიგზაგობრივი პერიოდებით, რამდენადმე დამძიმებული დღევანდელობითა და უკეთესი მომავლის რწმენით. ვანი ლამაზია არა მარტო თავისი მომზიბლავი კოლორიტით, არამედ იმ ადამიანების პლეადით, რომლებიც, ასევე ისტორიულ რეალობაში განსაკუთრებულად, მე-20 საუკუნის მთელს მონაკვეთზე, ქართველობასთან ერთად ქმნიდა ქართული კულტურის, განათლებისა და მეცნიერების, ქვეყნის ინდუსტრიული სოფლისა და სამრეწველო პოტენციალის სახეს. როგორც ჩანს, ამიტომაც ვანი წარსულიდან და დღევანდელობიდან მოქცეულია მკვეთრი თვალთახედვის არეში. ვფიქრობ, ალბათ, ნებისმიერი რაიონი იშვიათადაა განებივრებული, მისადმი მიძღვნილი სპეციალური კვლევებითა და გამოცემებით, ისე როგორც ვანი. ფუნდამენტური ნაშრომებია შექმნილი ანტიკურ ვანზე და მერე როგორი მეცნიერების მიერ. სასურველია, რომ ეს სამუშაო ჩვეული ინტენსივობით გრძელდებოდეს და არაერთი ახალ აღმოჩენებით ველოდებით მას. მითუმეტეს, აქამდე შესწავლილმაც შექმნა საფუძველი სულ სხვა რაკურსით დანახულიყო ჩვენი ქვეყნის ისტორიის შესაბამისი პერიოდი და პრაქტიკულად სხვა ასპექტში წარმოჩენილიყო საქართველოსა და ქართველი ერის ისტორია. ამ მხრივ, ჩვენ, ვანე-

ლებს ნამდვილად გვაქვს საამაყო და მადლობაც უნდა ვთქვათ ყველა იმ თაობის მეცნიერთა მისამართით, რომლებმაც შეისწავლეს და თავიანთი შრომები მიუძღვნეს, წარმოაჩინეს ვანიც და სრულიად საქართველო. რომ არაფერი ვთქვათ ამ საქმეში საზღვარგარეთის ქვეყნების ცნობილ მეცნიერ-არქეოლოგთა ჩართულობაზე და იმ ტრადიციულ სამეცნიერო სიმპოზიუმებზე, რომლებიც აქ, ვანის გათხრების ბაზაზე იმართებოდა და წარმოადგენს ქართველი ერის ძირდველი კულტურისა და მსოფლიო ცივილიზაციაში მისი წვლილის მეცნიერულ დასაბუთებას, მის მკვეთრ პროპაგანდას, რომელიც ახალ სიმაღლეზე იქნა აყვანილი აკადემიკოს ოთარ ლორთქიფანიძისა და მისი გუნდის მეცნიერთა მიერ.

მორიდებულად უნდა ვთქვა: „კვლევის ცენტრის“ საქმიანობაც ორგანულად უკავშირდება ვანს და ვცდილობთ შესაძლებლობათა დიაპაზონში ვიკვლიოთ დღემდე შეუსწავლელი, ვანთან დაკავშირებული, ახალი და უახლესი ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის საკითხთა წრე, რომლებიც ბოლო დრომდე ჯეროვანი ყურადღების ქვეშ არ მოქცეულა. ეს კეთდება რამდენადმე ენთუზიაზმის ხარჯზეც. თუმცა, საპედნიეროდ, ამ გზაზე მარტონი არა ვართ და გვერდით გვიდგანან ცნობილი მეცნიერები და მეცენატ მეგობართა ჯგუფი, რომლებიც მუნიციპალიტეტის მერიასთან ერთად ზრუნავენ „კვლევის ცენტრის“ საქმიან იმიჯზე და კრებულ „მატიანეს“ პერიოდულად გამოცემაზეც. წინამდებარე ნომრის ჩათვლით უკვე გამოცემულია 19 ნომერი, აქედან ექვსი ნომრის გამოცემა უზრუნველყო ვანის რაიონის (მუნიციპალიტეტის) ყოფილმა გამგეობამ (შემდეგში მერიამ); ექვსი ნომრის ბატონმა ზაურ თათვიძემ – ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატმა და ბიზნესმენმა, ხუთი ნომრის ბატონმა ბეჟან წაქაძემ, დღეს უკვე საქართველოს ახალი მოწვევის პარლამენტის წევრმა, რომელიც დღეიდან კვლევის ცენტრის დაფუძნებისა გვერდით გვიდგას; ორი ნომრის ახალგაზრდა ბიზნესმენმა ბატონმა ბიჭიკო პაიკიძემ. ქედს ვიხრით თითოეული მათგანის კაცურ საქმეთა წინაშე და გამსჭვალულნი ვართ დიდი მადლიერების გრძნობით.

„კვლევის ცენტრი“ დაკავებულია არქივებში, კერძო კოლექციებში, მუზეუმებში, ცალკეულ ოჯახებში და ა. შ. არსებული მასალების მოძიებით, მათი თავმოყრით, დაცვითა და შესწავლით, გასაჯაროებით. არსებულ პირობებში ეს სამსახური თავის თავზე იღებს დამატებით ფუნქციასაც, რადგან ამ საქმიანობისათვის 1951 წელს შექმნილი მხარეთმცოდნეობის მუზეუმი პრაქტიკულად დანგრეული და გაუქმებულია. ეს მაშინ, როდესაც იმ რაიონებში, სადაც ანალოგიური მუზეუმები არ იყო, ან მოუკლელი ჩანდა, დღეს აფუძნებენ და უკეთეს სამუშაო პირობებს უქმნიან მას. მუშაობის შეწყვეტამდე (დანგრევამდე) ვანის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში რაიონის ყოფისა და ისტორიის მნიშვნელოვანი მასალები იყო მოძიებული და 4000-ზე მეტ ექსპონატს ითვლიდა, მათ შორის 3000-მდე წერილობითს. ყოველივე ამას დღეისათვის თავშესაფარი არ გააჩნია, ნაწილი დაკარგულია.

საინტერესო ამბების, მოვლენათა განვითარების თავისებურებების მომსწრენი გახდნენ ჩვენი წინაპრები, ჩვენი თაობაც და პარადოქსების სიმცირეს არც მე-20 საუკუნის მიწურული და არც XXI საუკუნის საწყისი წლები განიცდიდა. საქმე ისაა, რომ რაიონმა დღიდან მისი შექმნისა, 1930 წლიდან, გაიარა (და გადის) ორი უკიდურესად საპირისპირო ეტაპი, იგი აღმოცენდა სოციალისტურ სისტემაში და თანამიმდევრულად განვლო გზა, მემკვიდრეობით მიღებული სოციალურ-ეკონომიკური, კულტურულულად საგრძნობი და მტკიცნეული ჩამორჩენილობიდან, წერა-კითხვის საფუძვლიანი უცოდინარობიდან, მოწესრიგებულ აგრარულ-ინდუსტრიულ, კულტურულ რაიონად ჩამოყალიბებამდე, რასაც პერმანენტულად ახლდა მასების მდგომარეობის თანამიმდევრული გაუმჯობესება, ხოლო 1960-იანი წლების მეორე ნახევრიდან, მას შემდეგ, რაც 1963 წელს გაუქმებული რაიონი 1964 წლის ბოლოს აღადგინეს, იგი გავიდა აღმშენებლობის თვისობრივად ახალ ეტაპზე, რომელსაც თავისუფლად შეიძლება ენოდოს აღმავლობითი (თუ არ ვიხმართ სიტყვა რენესანსულს).

ცხადია, რაიონის განვითარების ისტორიის კონკრეტულ პერიოდს (1930-1990წწ) ახლდა მტკიცნეული გაკვეთილებიც, ადამიანურ რესურსებში მეორე მსოფლიო ომით გამოივეული დანაკარგებიც, მაგრამ ამ დროის არცერთი მონაკვეთი არ მიანიშნებს აღმშენებლობისა და მასების მდგომარეობის გაუმჯობესების შეწყვეტაზე, მასობრივ დეგრადირებით – ნგრევით პროცესებზე, რისი უტყუარი დასტურიც იყო რაიონის წარმოჩინება საქართველოს მასშტა-

ბით, რომელიც ეყრდნობოდა ეკონომიკურ-სოციალურ-კულტურულ და აქედან ყოფითი პირობების გაუმჯობესების შედარებით მოწესრიგებულ ბაზას. ამის დასტურია რეალურად ასახული ცხოვრების მაგალითებიც.

1990-იანი წლების დასაწყისს ემთხვევა საბჭოთა კავშირის სივრცეში, მათ შორის საქართველოშიც, არსებული სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური ფორმაციის ცვლა, კვლავ კაპიტალისტურ სისტემაზე გადასვლის ეტაპები. ქართველთა მიერ „საკავშირო“ სივრციდან გასვლაც და ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვება, რომლითაც რაიონის ისტორიაშიც იწყება მეორე, შინაარსობრივი დატვირთვის მიხედვით უმშვენიერესი, მაგრამ განვითარებულ პროცესთა გამო უმტკივნეულესი პერიოდი. ნგრევისა და უპასუხისმგებლობის ფაქტორმა რამდენადმე გააფერმკრთალა ეროვნული დამოუკიდებლობის, ამ უპირველესი ოცნების, ხიბლი.

გარდა ზემოთქმულისა, XX საუკუნის მთელი მონაკვეთი რაიონის ისტორიისათვის საინტერესო და მნიშვნელოვანია იმითაც, რომ მან სრულიად საქართველოსთან ერთად განვლო ყველა ეტაპი, გადაიტანა 1905-1907 წლების რევოლუციის სიმძიმეც და ალიხანოვა-ავარსკის სადამსჯელო რაზმების სისასტიკეც, სტოლიპინის რეფორმებიც, შემდეგ 1917 წლის რევოლუციის შედეგად აღმოცენებული პირველი დამოუკიდებელი რესპუბლიკის ხიბლიც და ჩავარდნებიც, 1921 წელიც, 1924 წლის აჯანყება, რომელშიც, კონკრეტულ სიტუაციათა გამო, ვანში მოქმედ აჯანყებულთა არც თუ მრავალრიცხოვან ჯგუფს დაკისრებული ჰქონდა განსაკუთრებული მისია, შემდეგ ქუთაისის მაზრიდან, ოლქიდან გამოყოფა და რაიონულ, ადმინისტრაციულ ერთეულად ფორმირება, 1963 წელს რაიონის გაუქმება და 1965 წლის დასაწყისში კვლავ აღდგენა. 1990 წლის ბოლოდან, როგორც ითქვა კვლავ სოციალურ-პოლიტიკური სისტემის ცვლა თავისი დამახასიათებელი ნიუანსებითა და შედეგებით და ა.შ. ასე რომ, მარტო მეოცე საუკუნე იძლევა არაერთ თემას, რომლის შესწავლა-დამუშავება, ობიექტური გაანალიზება და მომავალი თაობისათვის გადაცემა საჭირო და საშურ საქმედ ჩავთვალეთ.

„კვლევის ცენტრისათვის“ ძალზე საინტერესოა XIX საუკუნის მთელი მონაკვეთიც, მნიშვნელოვან სიახლეთა, მოვლენების განვითარებათა ზოგიერთი ფაქტორებით, ქართულ-ფეოდალური სამყაროს კონსერვატიზმით და სამწუხაროდ, დისკრიმინაციული პოლიტიკის გამოვლინებითაც. ინტერესს იწვევს 1865 წელს ქუთაისის გუბერნიაში განხორციელებული რეფორმები, ბატონიშვილის გაუქმება, გლეხთა თვითმმართველი ორგანოების (თემსაზოგადოებების) ჩამოყალიბება, ეკონომიკური პოზიციების ცვლა, ყოფილი თავადაზნაურული სამყაროს ფუნქციების დაქვეითება, ლოკალურ სივრცეში სავაჭრო ურთიერთობათა ახლებური ფორმით წარმოჩინება და ა. შ. ყველა ეს პროცესი განვლო ვანმა, ამაზე მასალებიც არსებობს, ბევრიც კიდევ მოსაძიებელია, ოლონდ სჭირდება საფუძვლიანი არატენდენციური შესწავლა. დიდი ილია თავის დროზე ბრძანებდა: „აღადგინა ისტორიისა ერის გამოცოცხლება და გამომხვევება, აწმყოს გაგება და წარმართვა, მერმისის გამორკვევაა სიბრძლიდან.“

მინდა დავაზუსტო: რომ მეცნიერ მკვლევართა ის კორპუსი, რომელიც იკვლევს ანტიკურ ვანს, აქცენტებს აკეთებენ გლობალურად, შესაბამის ეპოქასა და მასში განვითარებულ პროცესებზე, ანტიკური ვანის ადგილზე მაშინდელ სამყაროსა და მის ცივილიზაციაში. იმაზე, თუ რა სოციალურ-ეკონომიკური-პოლიტიკური გარემო და ურთიერთობანი ედო საფუძვლად ისეთი მაღალგანვითარებული კულტურის შექმნას, რომლითაც ანტიკური ვანი გამოირჩევა და ქართულ ისტორიულ არეალში და მაშინდელ ცივილიზებულ სამყაროში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს.

რაც შეეხება „კვლევის ცენტრს“ ვცდილობთ მოპოვებული მასალების შესწავლა-ანალიზი დაეფუძნოს სანდო, დოკუმენტურ წყაროებს. ყველა კვლევა, როგორც წესი, უნდა იყოს მაქსიმალურად ობიექტურ საწყისებზე აგებული და თავისუფალი ხელოვნურად შეთხზული ფანტაზიებისაგან, რაც არასაფუძვლიანი, დაუზუსტებელი ცნობების შემცველია და ასეთ მაგალითებს წავნებოდივართ ზოგიერთა მიერ ვანთან დაკავშირებული არაერთი ფაქტის გაცნობა, შესწავლისას. ზუსტად ამან გვიბიძგა ნებისმიერ მოპოვებულ მასალას მოვეკიდოთ სიფრთხილით. აქედან: „კვლევის ცენტრის“ საქმიანობაში მთავარია სიმართლის ძიება, განვითარებული მოვლენების ეპოქასთან შეჯერება, პროცესთა წარმოქმნის მიზეზშედეგობრივი კავშირების დადგენა, შედეგის ანალიზი.

ჩვენ არა მარტო მოვიძებთ და შევისწავლით მასალებს, არამედ საყურადღებო საკითხებზე იქმნება ნარკევები, სტატიები და ა.შ. და როგორც ითქვა, ვცდილობთ მათ გასაჯაროებას. ამ მხრივ ადგილობრივი ხელისუფლებაც გვთავაზობს ურთიერთანამშრომლობას. პარალელურად, როგორც ითქვა, გვერდით დაგვიდგნენ ნიჭიერი ბიზნესმენები, ბატონები ბეჟან წაქაძე, ზაურ თათვიძე და ბიჭიკო პაკიძე. ამ პიროვნებებს არა ერთი სიკეთე აქვთ გაკეთებული ვანისათვის. მათთან მეგობრობამ და პიროვნულმა დამოკიდებულებამაც გაგვიხსნა გზა გადაგვედგა ნაბიჯები „კვლევის ცენტრის“ კრებულ „მატიანეს“ საგამომცემლო საკითხის გადაჭრაში. ამ მხრივ ჩავარდნა არ გვქონია.

საქმიანობის მთავარ, პერსპექტიულ ღერძად მიგვაჩნია: კვლევებში მოვიწვიოთ და ჩავრთოთ ახალგაზრდობა, საჯარო სკოლების მაღალი საფეხურების პერსპექტიული მოსწავლეებიც, სტუდენტებიც. გავუდვივოთ მათ ინტერესი რაიონის ისტორიის კვლევა-შესწავლისათვის, აქედან უფრო ღრმად ჩასწოდნენ და გააცნობიერონ საკუთარი ერისა და რაიონის ისტორია.

ასეთი არის და იქნება საპროგრამო ხედვა „კვლევის ცენტრის“ საქმიანობის შესახებ, რომელიც ბოლო ექვსწლიან ციკლში თანდათან შეყვანილი იქნა მოქმედებაში და საქმიანობა გრძელდება დღესაც.

**როგორც ითქვა, საბედნიეროდ, კვლევებსა და საკითხთა შესწავლაში მოხერხდა უმაღლესი დონისა და მონაცემების მქონე ადამიანების ჩართვა, რომელთაც ხელენიფებათ და აქვთ გამოცდილება იკვლიონ საკითხების, პრობლემათა წყება, გაანალიზონ და როგორც მაღალი რანგის პროფესიონალებმა მისცენ მათ ობიექტური შეფასება, თითოეული მათგანი გახმაურებული შრომების, არაერთი მონოგრაფიის ავტორია და ცნობილი არიან ქვეყანაში თავისი სამეცნიერო პოტენციალით. კვლევებში ჩართულ მეცნიერთა და ცალკეულ მკვლევართა 80% ვანელია, რითაც ხაზგასმა კუთხეურობაზე კი არ კეთდება, არამედ მათ დაინტერესებასა და ენთუზიაზმზე, გვერდით დაუდგნენ მშობლიურ რაიონს და საერთო საქმეს, ამ უაღრესად კულტურულ საგანმანათლებლო განზომილების სამსახურის სრულყოფასა და ქმედუნარიანობაში, რისთვისაც უდიდეს მადლიერების გრძნობას გამოვხატავთ მათ და იმ არავნელი, ქვეყანაში ცნობილი სწავლულების მიმართ, რომელიც დღიდან „კვლევის ცენტრის“ დაფუძნებისა ჩვენს გვერდით დგანან და დახმარების ხელს გვიწვდიან, ხოლო როგორი რანგის პიროვნებები არიან ესენი, მკითხველი ადვილად დარწმუნდება ცალკეულ ნომერთა შინაარსობრივ ჩამონათვალში, რომელიც ამ ანგარიშს თან ახლავს.**

ამჟამად, მოძიებული, შესწავლილი და გასაჯაროებულია 268 სხვადასხვა მიმართულების საკითხი. აქედან 175 უშუალოდ ეხება ვანის რაიონის ეკონომიკურ-სოციალურ-კულტურულ ცხოვრებას, რომელთაც კალამი ამ პროცესამდე არ შეხებია. კონკრეტულ პიროვნებებს, რომელთა ღვაწლიც მნიშვნელოვანია ქვეყნისა და რაიონის წინაშე, 93 საკითხი ზოგადქართულია, მაგრამ მასთან შემხებლობა გააჩნია ვანს, როგორც ძველი, ანტიკური, ასევე სხვა მომდევნო პერიოდებიდან.

უდიდესი საქმე გაკეთდა საგამომცემლო საკითხის მოგვარებით, კრებული „მატიანე“ კვლევის ცენტრის ორგანო, რომლის სარედაქციო კოლეგიასაც წარმოადგენენ „კვლევის ცენტრის“ დამფუძნებლები:

**ავთანდილ ნიკოლეშვილი –** ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ქალაქ ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი, აკადემიკოსი.

**თეიმურაზ ადეიშვილი –** პროფესორი, საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, რომელიც მიმდინარე წლის თებერვალში იქნა არჩეული ამ პოსტზე და ვულოცავთ მას ამ დიდ აღიარებას.

**ომარ ძაგნიძე –** ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

**უჩა დვალიშვილი –** ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

**ლუკა ღვალიშვილი –** პროფესორი. ქალაქ ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი.

**გურამ ყიფიანი –** ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ილიას სახელმწიფო

უნივერსიტეტის პალეოლიტიკული არქეოლოგიის ლაბორატორიის ხელმძღვანელი, სოფელ ციხესულორის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი.

**ომარ გაბუნია** – ვანის არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალის დირექტორი.

**ომარ კაპანაძე** ამ სტრიქონების ავტორი... „კვლევის ცენტრის“ ხელმძღვანელი, კრებულ „მატიანეს“ რედაქტორი.

სამწუხაროდ, დროს თავისი დარტყმები გააჩნია და ასეთი, რამდენიმე სამწუხარო, მოულოდნელი დარტყმა კვლევის ცენტრსაც არ ასცდა. პირველი ჩვენგან წავიდა, პროფესორი ამირან ნიკოლეიშვილი, კვლევის ცენტრის თანადამფუძნებელი, ცნობილი პიროვნება, მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე. პროფესორი თორნიკე ეფრემიძე – კვლევის ცენტრის თანადამფუძნებელი, დიდებული პიროვნება. ხოლო ახლახან დავკარგეთ, ასევე ნიჭიერი მეცნიერი, პროფესორი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, ქ. ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტურის განყოფილების უფროსი ბატონი თემურაზ სურგულაძე. ბატონი თემურაზი განეკუთვნებოდა არცთუ მრავალრიცხვან იმ ქართველ მეცნიერთა რიცხვს, რომლებმაც დაამთავრეს ქ. მოსკოვის მ. ლომონოსოვის, მსოფლიოში ცნობილი უნივერსიტეტის ასპირანტურა და აქვე დაიცვა საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები. ამ რანგს ფლობდა მეორე ვანელიც, ბატონი გურამ ლორთქიფანიძე, აკადემიკოსი, ცნობილი არქეოლოგი, „კვლევის ცენტრის“ გულშემატკივარი და გვერდით მდგომი. გამეცებულმა პანდემიამ, რომელიც „კორონა ვირუსის“ უბედური სახელითაა ცნობილი იმსხვერპლა ბატონი თემურაზი. უფრო მეტიც, უბედურება ისაა, რომ ბატონი თემურის ცხედართან ლირსული გამოთხვებაც ვერ შევძლით, პატიებას ვთხოვთ მას ამისათვის და მადლობას ვუხდით გვერდით დგომისათვის.

ჩვენთვის დანაკლისია ქუთაისის „მბმ“ პოლიგრაფიის დირექტორი, მეგობარი და დიდებული პიროვნება მამუკა ფოფხაძე, იგი ტრაგედიის მსხვერპლი გახდა.

სარედაქციო კოლეგიის არაერთი წევრი ვანის საპატიო მოქალაქეა, ცდილობენ კოორდინირება გაუკეთონ კვლევების ინტენსიურობას და თანამიმდევრულად აამაღლონ კრებულის აკადემიური დონე.

ამ დროისათვის კრებული ეგზავნებათ ქვეყნის მეცნიერებათა აკადემიასა და ეროვნულ ბიბლიოთეკას, სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულებებს, უსასყიდლოდ ურიგდებათ სამეცნიერო წრეებს, ვანის რაიონის საჯარო სკოლებსა და ცენტრალურ ბიბლიოთეკას, მუზეუმებს. აღინიშნა, რომ დღემდე გამოქვეყნებულია 268 ავტორის მიერ მომზადებული შრომა, სტატია, წერილი. ავტორთაგან 67 – მეცნიერებათა დოქტორი-პროფესორია, 191 – სხვადასხვა დარგის წარმომადგენელი, ისტორიკოსი, გეოგრაფი, დაინტერესებული პირი, სერთიფიცირებული პედაგოგი, ვანის არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალისა და გალაკტიონ და ტიციან ტაბიძის მუზეუმების მეცნიერ-მუშაკები, სახელოვანი ექიმები, მაგისტრები და ა.შ. „კრებულის“ (ჟურნალი) არაერთ ნომერში მოცულობითი გვერდები დაეთმო თანამდეროვე ვანელ პოეტებსა და მათ პოეზიას, ბევრი მათგანი დამწყებია და კვლევის ცენტრი ცდილობს ამ გზით ხელი შეუწყოს მათ შემოქმედებითი პოტენციალის გამოვლინებას და შემოქმედებით სრულყოფას – დაოსტატებას. შესწავლილია რაიონის 16 სოფლის ისტორია, თითეული მათგანი გასაჯაროებულია კრებულ „მატიანეში“, მოძიებულია 1400-ზე მეტი ტოპონიმი და ა.შ.

მადლიერების გრძნობა უნდა გამოვხატო ყველა იმ მეცნიერისა და ავტორთა მისამართით, რომლებიც დღიდან დაფუძნებისა გვერდით უდგნენ და უდგანან „კვლევის ცენტრს“ და თავიანთი საქმიანობით და რაიონის პირობებში ამ უდიდესი კულტურული ისტორიული განზომილების საქმის წარმართვას უწყობენ ხელს. ვიტყვით ერთს, რომ ამდაგვარი „კვლევის ცენტრი“ რაიონთა შორის თავისი მოქმედებისა და საქმიანობის შინაარსობრივი დატვირთვით აღბათ თითებზე ჩამოსათვლელია, რაც გარკვეულად ზრდის ჩვენს პასუხისმგებლობას. გავიმეორებთ: მადლიერების გრძნობა უნდა გამოვხატო ვანის რაიონის (მუნიციპალიტეტის) ყოფილ და დღევანდელ ხელმძღვანელთა, ცალკეული სამსახურების მისამართით, რომელთაც კარგად ესმოდათ და ესმით იმ საქმიანობის განზომილება, რომელსაც „კვლევის ცენტრი“ შეუჭიდა და მათგან შექმნილია, თითქმის, ყოველგვარი პირობა, რომ „კვლევის ცენტრმა“ შეუფერხებლად გააგრძელოს საქმიანობა.

მადლიერებას გამოვხატავთ შპს „მბმ“ პოლიგრაფის მისამართით, რომელთანაც ძალიან გვიადვილდება თანამშრომლობა.

**პატივისცემით:** ომარ კაპანაძე – ვანის რაიონის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი კრებულ „მატიანეს“ რედაქტორი, ვანის საპატიო მოქალაქე

\*\*\*

გთავაზობთ, „ვანის რაიონის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრში“ მოკვლეული, შესწავლილი და გამოქვეყნებული ნაშრომების, სტატიების, ნარკვევების სრულ ნუსხას (ჩამონათვალს).

### მატიანე №1

1. ომარ კაპანაძე – „კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი“, კრებულ „მატიანეს“ რედაქტორი ზოგი რამ „ვანის რაიონის ძველი, ახალი და უახლესი ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრის“ (შემდეგში „კვლევის ცენტრის“) მიზნებისა და ამოცანების შესახებ.“
2. გურამ ყიფანი – ილიას უნივერსიტეტის სრული პროფესორი, ციხესულორის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი.  
„ციხესულორის არქეოლოგიური ექსპედიცია“
3. სოსო ჩაჩუა – გაზეთ „საჩინოს“ რედაქტორი.  
„ინტერვიუ ბეჟან წაქაძესთან“
4. თინა ტყეშელაშვილი  
„ვანის რაიონის ფიზიკურ -გეოგრაფიული დახასიათებისათვის.“
5. სერგო ვარდოსანიძე – პროფესორი, ეროვნული სასულიერო აკადემიის წევრი.  
„უწმიდესი კალისტრატე და ქართული საზოგადოება, მისი მეცნიერული მემკვიდრეობა“
6. ამირან ნიკოლეიშვილი – პროფესორი  
„ნუ მოვწყედებით ფესვებს“
7. ომარ გაბუნია – ვანის არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალის დირექტორი  
„ვანის არქეოლოგიური გათხრებისა და მუზეუმ-ნაკრძალის ისტორიიდან“.
8. ავთანდილ ნიკოლეიშვილი – პროფესორი, აკადემიკოსი  
„ძველი ორპირი დანგრეული სანაოები“.
9. მალხაზ ერქვანიძე – ეთნომუსიკოლოგი, სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი.  
„ვანის მუსიკალურ-ფოლკლორული ტრადიციები ზოგად ჭრილში“.
10. აკაკი თევზაძე – „კვლევის ცენტრის“ თანამშრომელი, პოეტი, გალაკტიონ ტაბიძის პრემიის ლაურეატი  
„ხალხური პოეზიის ნიმუშები. ხალხური და ავტორმთქმელები ვანის რაიონის სოფლებიდან“
11. სოფო რამიშვილი – ვანის არქეოლოგიურ მუზეუმ-ნაკრძალის მეცნიერ-თანამშრომელი.  
ვანი – „ახალი არგონავტების“ მასპინძელი (30-წელი ახალი არგონავტების კოლეგიანი მოგზაურობიდან)
12. თეიმურაზ ადეიშვილი – პროფესორი  
„ვანის ობსერვატორიის მოკლე ისტორია“.
13. თეიმურაზ ადეიშვილი – პროფესორი  
„სოფელ ყუმურის ისტორიული მიმოხილვა“
14. ნონა ადეიშვილი  
„ვინ იყო სერგო ამალლობელი“
15. თორნიკე ეფრემიძე – პროფესორი  
„უკანასკნელი შეხვედრა ბუჭუ ბატონთან“

**მატიანე №2**

1. თამაზ ბერაძე – პროფესორი  
„ვანის რაიონის ისტორიული გეოგრაფიიდან“
2. ამირან ნიკოლეიშვილი – პროფესორი  
„ქართველთა წარმომავლობის სათავეებთან“
3. გურამ ყიფიანი – პროფესორი, მადონა მშვილდაძე  
„ვანის მუნიციპალიტეტის სოფ. ზედა ციხესულორის არქეოლოგიური ექსპედიცია“
4. დიმიტრი ახვლედიანი – პროფესორი, დარეჯან კაჭარავა – პროფესორი  
„განძი ვანის ნაქალაქარიდან“
5. ომარ გაბუნია – ვანის არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალის დირექტორი  
„ვაზის უძველესი ფესვები ვანის ნაქალაქარიდან“
6. რამინ ქობალია – ექიმი  
„ზოგიერთი საყურადღებო შტრიხები აკადემიკოს ვლადიმერ ვახანიას წიგნიდან „კოლხ ეთ-საქართველოს ეპოსი“ „ქრისტეს ბოლო სიტყვები“ – „ლაზარეს ალდგენა“
7. ომარ კაპანაძე – „კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი“, კრებულ „მატიანეს“ რედაქტორი  
„ვანელი (საჩინოელი) თავადები 1832 წლის შეთქმულების მონაწილენი“. 1832
8. ელენე მამფორია – გალაკტიონ ტაბიძის სახლ-მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელი  
„გალაკტიონ ტაბიძისა და ტიციან ტაბიძის სახლ-მუზეუმები, როგორც კულტურულ-საგანმანათლებლო კერები“. 1832
9. ქეთევან ძაგნიძე – ფილოლოგი, პოეტი, სერთიფიცირებული პედაგოგი  
„კირილე ლორთქიფანიძე“
10. თეიმურაზ ადეიშვილი – პროფესორი  
„რჩეული მამულიშვილი – კორნელი კეკელიძე – 135“
11. აკაკი თევზაძე – პოეტი, გალაკტიონ ტაბიძის პრემიის ლაურეატი, კრებულ „მატიანეს“ პ/მ მდივანი  
„ყოფნა არყოფნის დილემის ასახვა ვანელ ხალხურ და ავტორმთქმელთა შემოქმედებაში (გაგრძელება)“.
12. ომარ ძაგნიძე – პროფესორი  
„სანადირო თოფის ისტორიიდან“.
13. დოდო ჩახუნაშვილი, ავთანდილ დვალიშვილი, დავით გაბუნია, ლევან დვალიშვილი  
„ვანის მუნიციპალიტეტის სულორის თემი“
14. მურთაზ ივანიაძე – ექიმი  
„ხალხური მედიცინა“

**მატიანე №3**

1. ამირან ნიკოლეიშვილი – პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი  
„ქართველთა წარმომავლობის სათავეებთან“
2. კრებულ „მატიანეს“ რედაქციისგან
3. მერაბ კვაჩიძე – უურნალისტი, უურნალისტთა კავშირის წევრი  
„ვანელები დიდ სამამულო ომში“
4. მურთაზ ივანიაძე – ექიმი  
„ვანელი ექიმები „სამამულო ომის“ ფრონტებზე“
5. ომარ კაპანაძე – „კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი“, კრებულ „მატიანეს“ რედაქტორი  
„გერმანიის „ვერმახტის“ გენერალი ვანიდან – შალვა მალლაკელიძე“
6. როზა დევდარიანი – ფილოლოგის დოქტორი  
„თვის სიმცირეში უზარმაზარი პოეტი“
7. აკაკი თევზაძე – პოეტი, გალაკტიონ ტაბიძის პრემიის ლაურეატი, კრებულ „მატიანეს“ პ/მ მდივანი  
„დიდი სამამულო ომის ექი ვანელ ხალხურ მელექსეთა პოეზიაში“. 1832
8. ომარ კაპანაძე – „კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი“, კრებულ „მატიანეს“ რედაქტორი  
„ზოგი რამ დიდი ომის ორ კონკრეტულ საკითხზე“

9. **უჩა დვალიშვილი** – ხელოვნებათმცედნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი  
„ვანის არქეოლოგია, როკვით განვითილი ქართული გენი“
10. **რამინ ქობალია** – ექიმი  
„ქრისტეს ქართველური წარმოშობააკადემიკოს ვლადიმერ ვახანიას მიხედვით“
11. **ქეთევან ძაგნიძე** – ფილოლოგი, პოეტი, სერთიფიცირებული პედაგოგი  
„ვირჩევთ წიგნს, „ვისაც არ დაუწყია კითხვა, დღეიდან დაიწყეთ“
12. **ომარ გაბუნია** – ვანის არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალის დირექტორი  
„საბეჭდავი ბეჭდები ვანის ქვეყნიდან“
13. **ოლეგ მიქელთაძე, გიგა ქიმუცაძე**  
„სოფელი გადიდი“

#### მატიანე №4

1. **ამირან ნიკოლეიშვილი** – პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი  
„ქართველთა წარმომავლობის სათავეებთან“.
2. **მანანა ვაშაყაძე** – ვანის არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალის მეცნიერ-თანამშრომელი  
„ბრინჯაოს პლასტიკა ვანში“.
3. **გურამ ყიფიანი** – პროფესორი  
„ლაპაჯაურის (ვანი სოფელი დიხაშხი) წმინდა გიორგი“
4. **ავთანდილ ნიკოლეიშვილი** – პროფესორი  
„თურქეთელ ქართველთა ქართულენოვანი პოეზია“.
5. **ომარ კაპანაძე** – „კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი“, კრებულ „მატიანეს“ რედაქტორი  
„საგანმანათლებლო და სასკოლო მშენებლობის ტენდენციები ვანის სოფლების მიხედვით“.
6. **ქრისტინე მეძველია** – პროფესორი  
„წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლები ვანის რაიონში“.
7. **უჩა დვალიშვილი** – ხელოვნებათმცედნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი  
„ექსპედიცია თურქეთში“.
8. **შალვა შარაშენიძე** – ისტორიის მაგისტრი  
„ვანელი ებრაელები“.
9. **რამაზ კილაძე, მზია კვირკველია, ეთერ ბენიძე**  
„კლიმატის გლობალური ცვლილებების ნიშნები იმერეთის რეგიონში“.
10. **აკაკი თევზიაძე** – პოეტი, გალაკტიონ ტაბიძის პრემიის ლაურეატი, კრებულ „მატიანეს“  
პ/მ მდივანი  
„ვანის ხალხური საყოფაცხოვრებო პოეზია“.
11. **ქეთევან ძაგნიძე** – ფილოლოგი, პოეტი, სერთიფიცირებული პედაგოგი  
„ფიქრები კვლევის შემდეგ“.
12. **ომარ ძაგნიძე** – პროფესორი  
„ქართული მათემატიკური ტერმინოლოგიური მუშაობის ისტორიისთვის...“
13. **თამილა მჟავანაძე** – კვლევის ცენტრის სპეციალისტი  
„სადღესასწაულო და ხალხური რიტუალები ვანის რაიონის ზოგიერთი სოფლის  
მიხედვით“.
14. **იური კორძაძე** – მუსიკოსი  
„მუსიკალური შეხვედრები ლენინგრადში“.
15. **ომარ კაპანაძე** – „კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი“, კრებულ „მატიანეს“ რედაქტორი  
„ამ კაცზე ლეგენდები დადიოდა ვანის რაიონში“.
16. **ომარ გაბუნია** – ვანის არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალის დირექტორი  
„დიდი არქეოლოგი – ოთარ ლორთქიფანიძე“.
17. **სოსო ჩაჩუა** – გაზეთ „საჩინოს“ რედაქტორი  
„წრფელი გულითა და დიდი სიყვარულით – ვანის საპატიო მოქალაქე ნოდარ ანდრიაძე“.
18. **სოსო ჩაჩუა**  
„საქმითა და წლებით დატვირთული კაცი, საქართველოს დამსახურებული აგრონომი –  
დუშიკო მებურიშვილი“.

19. **რამინ ქობალია – ექიმი**  
„ცოტა რამ, ვანელ, ცნობილ ქირურგზე, ვიშნევსკის პრემიის ლაურეატ – შოთა თოდუაზე“.
20. **მერაბ კვაჩიძე – უურნალისტი, უურნალისტთა კავშირის წევრი**  
„სოფელი ამაღლება“.
21. **თამაზ ჩიტორელიძე – ისტორიკოსი**  
„სოფელი ზედა ვანი (ზოგადი მიმოხილვა)“.

**მატიანე №5**

1. **ამირან ნიკოლეიშვილი – პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი**  
„ქართველთა წარმომავლობის სათავეებთან“.
2. **მანანა ვაშაყმაძე – ვანის არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალის მეცნიერ-თანამშრომელი**  
„კოლხური თეთრი“ და ძველი ვანი
3. **თორნიკე ეფრემიძე – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი**  
„ისტორიული ცნობები ქვაბულიძეთა შესახებ“.
4. **გურამ ყიფიანი – პროფესორი, შოთა მამულაძე, მადონა მშვილდაძე**  
„აღმოსავლეთ ჭანეთის რამდენიმე ქართული ეკლესია“.
5. **ინტერვიუ ქველმოქმედთან – ბატონი ზაურ თათვიძე**
6. **ომარ კაპანაძე – „კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი“, კრებულ „მატიანეს“ რედაქტორი**  
„1905-1907 წლების რევოლუცია საქართველოში და ვანელთა მონაწილეობა  
რევოლუციურ პროცესებში“.
7. **ინდირა გოგოძე – უურნალისტი, კვლევის ცენტრის სპეციალისტი**  
„შოთა რუსთაველი მსოფლიო რენენსანსული აზროვნების მესაძირკვლე“.
8. **ნანა გონჯილაშვილი – პროფესორი**  
„გალიაში მომღერალი შაშვი თუ მოგისმენია“
9. **აკაკი თევზიაძე – პოეტი, გალაკტიონ ტაბიძის პრემიის ლაურეატი, კრებულ „მატიანეს“**  
პ/ზ მდივანი  
„ვანის საყოფაცხოვრებო პოეზია“.
10. **კობა არაბული – მწერალი, პუბლიცისტი, ფილოლოგი, პროფესორი, ეროვნული  
აკადემიის წევრი, მწერალთა გაერთიანება „ბახტრიონის“ თავმჯდომარე**  
„ტაძართა ტრაგედია და ქვეყნის ბედისწერა გადაჯაჭვულია“
11. **შალვა შარაშენიძე – ისტორიის მაგისტრი**  
„სამედიცინო დარგის განვითარების ტენდენციები „ვანის“ სოფლების მიხედვით“
12. **გურამ ბელთაძე – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, ფიზიკა-  
მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი**  
„თამაშთა თეორია – მათემატიკის დარგი, რომელიც ყველას გვჭირდება ცხოვრებაში“.
13. **ქრისტინე მეძველია – ფილოლოგიის დოქტორი**  
„საარქივო საქმის ვითარება საქართველოში 1937-1939 წლებში“.
14. **ომარ გაბუნია – ვანის არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალის დირექტორი**  
„ზოგი რამ ვანელ ახვლედიანთა წარმომავლობის შესახებ“.

**მატიანე №6**

1. „ვანის რაიონის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრისაგან“
2. **თეიმურაზ ადეიიშვილი – პროფესორი**  
„ქართველთა ეთნოგენეზის პრობლემები“
3. **მანანა ვაშაყმაძე – ვანის არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალის მეცნიერ-თანამშრომელი**  
„ზოგიერთი საკითხები ანტიკური ვანის გარე სამყაროსთან სავაჭრო, ეკონომიკურ-  
კულტურული ურთიერთობების შესახებ“.
4. **გურამ კვირკველია – პროფესორი, არქეოლოგი**  
„ვანის საერთაშორისო სიმპოზიუმები“.
5. **ჯანსულ კეკელია – პროფესორი**  
„საქართველოს ტერიტორიისა და საზღვრების ზოგადისტორიული, გეოგრაფიული  
და კარტოგრაფიული ცნობები“.

6. **სოფო რამიშვილი** – ვანის არქეოლოგიურ მუზეუმ-ნაკრძალის მეცნიერ-თანამშრომელი „წერილობითი არტეფაქტები ვანის არქეოლოგიური გათხრებიდან“.
7. **აკაკი თევზაძე** – პოეტი, გალაკტიონ ტაბიძის პრემიის ლაურეატი, კრებულ „მატიანეს“ პ/მ მდივანი „უკვდავების ბინადარი“.
8. **ინდირა გოგოძე** – უურნალისტი, კვლევის ცენტრის სპეციალისტი „საქმემან შენმან გამოგაჩინოს“
9. **ამირან ნიკოლეიშვილი** – პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი „პრესა და პრესისადმი დამოკიდებულება საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918–1921 წ.წ.)“
10. **ომარ კაპანაძე** – „კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი“, კრებულ „მატიანეს“ რედაქტორი „ზოგიერთი საკითხები 1924 წლის აჯანყებისა და აჯანყებაში ვანის მოსახლეობის კონკრეტული ნაწილის მონაწილეობის შესახებ“
11. **თორნიკე ეფრემიძე** – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი „ხონის მთავარეპისკოპოსი ანტონ ჩიჯავაძე (საბეკელი ჩიჯავაძეები სოლომონ I და სოლომონ II მეფობაში)“
12. **თეიმურაზ ადეიშვილი** – პროფესორი „აკადემიკოსი ჯუმბერ ლომინაძე“
13. **თეიმურაზ ადეიშვილი** – პროფესორი „ლვანლმოსილი მეცნიერი-ფიზიკოსი თორნიკე ეფრემიძე“

## მატიანე №7

1. **მაია ჭელიძე** „მსოფლიო ცივილიზაცია უძველესი კოლხური ცივილიზაციისაგან იშვა?“
2. **ლუკა დვალიშვილი** – პროფესორი „შოთა რუსთაველი – 850“
3. **შალვა შარაშენიძე** – ისტორიის მაგისტრი „ოდიშ-იმერეთის ურთიერთობათა ისტორიიდან (XVI – XVIII სს.)“
4. **თამილა მუავანაძე** – ფილოლოგი, კვლევის ცენტრის სპეციალისტი „ინტერვიუ ქალბატონ დარეჯან კაჭარავასთან“
5. **ომარ კაპანაძე** – „კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი“, კრებულ „მატიანეს“ რედაქტორი „ვანის რაიონის ეკონომიკა XX საუკუნის 80-იანი წლების II ნახევრიდან 2010 წლის ჩათვლით“
6. **ზოია ცხადაია** – შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი „ტიციან ტაბიძის პოეტური გარდასახვები“
7. **აკაკი თევზაძე** – პოეტი, გალაკტიონ ტაბიძის პრემიის ლაურეატი, კრებულ „მატიანეს“ პ/მ მდივანი „ერთი ოცნების ტყუპისცალი“
8. **ქრისტინე მეძველია** – ფილოლოგის დოქტორი, გივი დევიძე – ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი „ქართველ ებრაელთა ისტორიის ამსახველი ფონდები ქუთაისის ცენტრალურ არქივში“.
9. **ინდირა გოგოძე** – უურნალისტი, კვლევის ცენტრის სპეციალისტი „ინტერვიუ ბატონ უჩა დვალიშვილთან“.
10. **რენიკო საკანდელიძე** – პროფესორი „ლირსეული მამულიშვილნი“
11. **თეიმურაზ ადეიშვილი** – პროფესორი „გენერალი ბიქტორ სულაქველიძე – გამოჩენილი მეცნიერი და სამხედრო მოღვაწე“
12. **ომარ ძაგნიძე** – პროფესორი „ექსპედიცია იალბუზზე“

## მატიანე №8

1. **ბადრი ბუხაძე** – მკვლევარი

- „უძველესი ადამიანები და წინარე ქართული ტომები“.
2. **გია კვაშილავა** – პროფესორი  
„პროტოქართველების, საერთო ქართველური ენისა და წარწერების შესახებ“.
  3. **ომარ გაბუნია** – ვანის არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალის დირექტორი  
„რაზე საუბრობენ საყანჩიას გათხრები“
  4. **ომარ კაპანაძე** – „კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი“, კრებულ „მატიანეს“ რედაქტორი  
„დემოგრაფიული პრობლემები ვანის რაიონის (მუნიციპალიტეტის) სოფლების მიხედვით“.
  5. **ამირან ნიკოლეიშვილი** – პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი  
„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“.
  6. **ომარ ძაგნიძე** – პროფესორი  
„სწავლა-განათლების ზოგიერთი საკითხი XVIII-XIX საუკუნეების საქართველოში“
  7. **შალვა შარაშენიძე** – ისტორიის მაგისტრი  
„ვანელი“ ფეოდალის ნიკოლოზ ჩიჯავაძის სამეურნეო საქმიანობის ზოგიერთი ასპექტი ახლად მიკვლეული მასალების მიხედვით“.
  8. **გურამ ყიფიანი** – პროფესორი  
„განაცხადი“
  9. **აკაკი თევზაძე** – პოეტი, გალაკტიონ ტაბიძის პრემიის ლაურეატი, კრებულ „მატიანეს“ პ/მ მდივანი  
„ერთი ოცნების ტყუპისცალი“
  10. **ინდირა გოგოძე** – უურნალისტი, კვლევის ცენტრის სპეციალისტი  
„უწმინდესი კალისტრატე ცინცაძე – სულიერი მისია.  
უზადო სულიერი აღმაფრენა – ვანის რაიონმა, მართლმადიდებელ საქრისტიანოს, წმინდანი აღუზარდა“
  11. **ლუკა დვალიშვილი** – პროფესორი  
„სოფელ სულორის ტოპონიმები“
  12. **გალაქტიონ სვანიძე** – ისტორიისა და ფილოსოფიის მაგისტრი  
„დიდგორის ბრძოლა – საბრძოლო ხელოვნების ნიმუში“
  13. **თეიმურაზ ადეიშვილი** – პროფესორი  
„ვასილ ლომინაძე – მეცნიერების უდიდესი ორგანიზატორი“

#### მატიანე №9

1. **ირაკლი ჯორჯაძე** – აკადემიკოსი  
„სამხედრო ხელოვნების განვითარება საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლის პროცესში“.
2. **შორენა პირველი**  
„ჩვენ შუმერები ვიყავით და ამის დამადასტურებელი ნიშნები სვანურ და სხვა ქართველურ ენებში მრავლადაა შემორჩენილი“
3. **ომარ კაპანაძე** – „კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი“, კრებულ „მატიანეს“ რედაქტორი  
„სამეურნეო საქმიანობისა და საზოგადოებრივ ურთიერთობათა ფორმები და საკითხები ბატონყმობის გაუქმების შემდეგ ვანის თემისაზოგადოების მიხედვით“
4. **ომარ გაბუნია** – ვანის არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალის დირექტორი  
„რაზე საუბრობენ სოფელ მთისძირის არქეოლოგიური გათხრების მასალები (წერილი მეორე)“.
5. **შალვა შარაშენიძე** – ისტორიის მაგისტრი  
„ვანელი ფეოდალის ნიკოლოზ ჩიჯავაძის სამეურნეო საქმიანობის ზოგიერთი ასპექტი ახლადმიკვლეული მასალების მიხედვით“.
6. **ავთანდილ ნიკოლეიშვილი** – პროფესორი  
„სალალობო ფორმით გამოხატული გულისთქმა (გალაკტიონის სალალობო ლექსები)“
7. **ომარ ძაგნიძე** – პროფესორი  
„ორი დიდი მეცნიერის ერთი ფრონტული წერილის შესახებ“
8. **ლუკა დვალიშვილი** – პროფესორი

- „ფერეიდნელ ქართველთა ჩამოსახლება XX საუკუნის 70-იან წლების საქართველოში“.
9. **გურამ ბელთაძე** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი.  
„ადამიანის სიცოცხლისა და ცხოვრების არსის სისტემური ანალიზი“
  10. **თეიმურაზ ადეიშვილი** – პროფესორი  
„აკადემიკოსი ნოდარ ამაღლობელი“.
  11. **ლადო სულაბერიძე** (უმცროსი)  
„შუილი შორეულ ტალღათა“
  12. **აკაკი თევზაძე** – პოეტი, გალაკტიონ ტაბიძის პრემიის ლაურეატი, კრებულ „მატიანეს“ პ/მ მდივანი  
„უკვდავ პოეტთა უანგარო ჭირისუფალი – გიორგი ახობაძე“
  13. **მურთაზ ივანიაძე** – ექიმი  
„ქართული ქირურგის მეტრი – აკადემიკოსი კონსტანტინე დავითის ძე ერისთავი“
  14. **მურად თვალაბეიშვილი** – საქართველოს უურნალისტთა ფედერაციის წევრი  
„გაზითი „საჩინო“ 85 წლისაა...“
  15. **ოთარ ჭოხონელიძე**  
„სოფელი დიხაშხო“

#### მატიანე №10

1. **სოსო მარგიშვილი** – მკვლევარი  
„მითები და რეალობა დავით ალმაშენებლის მეფობის შესახებ“
2. **ომარ კაპანაძე** – „კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი“, კრებულ „მატიანეს“ რედაქტორი  
„სამეურნეო საქმიანობა და საზოგადოებრივ ურთიერთობათა ფორმები ბატონყმობის გაუქმების შემდეგ ვანის თემსაზოგადოებების მიხედვით (გაგრძელება „მატიანე“ №9)“
3. **ამირან ნიკოლეიშვილი** – პროფესორი  
„რელიგია და მენშევიკების ხელისუფლებისდროინდელი პრესა“.
4. **გია კვაშილავა** – პროფესორი  
„4000 წლის წინანდელი პროტოქართული საგალობელი...“
5. **ოლეგ ალავიძე** – პროფესორი, ხელოვნებათმცოდნე პედაგოგიკის დოქტორი  
„ყველაფერი არის ძლიერ კარგად...“
6. **ალეკო ცინცაძე** – პროფესორი  
„ქართული ამბანი თანამედროვე სახით (სახელდებით, რიცხვმნიშვნელობითა და დალაგებით) ძველი წელთაღრიცხვის 2200-1000 წლების პერიოდშია შექმნილი“.
7. **ავთანდილ ნიკოლეიშვილი** – პროფესორი  
„თურქეთში – ჩვენებურებთან“
8. **ომარ გაბუნია** – ვანის არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალის დირექტორი  
„საუკუნის მშენებლობა ვანში“
9. **ალექსანდრე ხურციძე, ტრისტან კალაძე, ომარ კაპანაძე**  
„ვანის სასწავლებლები“
10. **აკაკი თევზაძე** – პოეტი, გალაკტიონ ტაბიძის პრემიის ლაურეატი, კრებულ „მატიანეს“ პ/მ მდივანი  
„თანამედროვე ვანელი პოეტები“
11. **შალვა შარაშენიძე** – ისტორიის მაგისტრი  
„საჯავახოს საკითხი იდიშ-იმერეთის პოლიტიკურ ურთიერთობებში და მისი გავლენა საჩინოელ (ვანელ) ჩივავაძეთა სათავადოზე“.
12. **როზა დევდარიანი** – ფილოლოგის დოქტორი  
„გრიგოლ ხურციძის უცნობი რომანი“
13. **მარიამ წიქარიშვილი** – სტუდენტი  
„სოფელი ბზვანი“.
14. **მარინე ულენტი, ინდირა გოგოძე**

**„სოფელი შუამთა“****მატიანე №11**

1. **საახალწლო მილოცვა**
2. **ავთანდილ ნიკოლეიშვილი – პროფესორი**  
„ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ავტონომიის იდეა.“
3. **რამაზ ნამიჭელიშვილი – ეკონომიკის დოქტორი, სამეცნიერო საზოგადოება „ნიკო ნიკოლაძის“ პრეზიდენტი**  
„ეკონომიკური გენოციდი საქართველოში და მისი დაძლევის რესურსები“.
4. **ომარ კაპანაძე – „კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი“, კრებულ „მატიანეს“ რედაქტორი**  
„სამეცნიერო საქმიანობისა და საზოგადოებრივ ურთიერთობათა ფორმები და საკითხები ბატონიშვილის გაუქმების შემდეგ ვანის თემსაზოგადოებების მიხედვით (გაგრძელება)“.
5. **ომარ კაპანაძე – „კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი“, კრებულ „მატიანეს“ რედაქტორი**  
„ვანელები ქვეყნის სულიერი და ფიზიკური აღმშენებლობის ასპარეზზე“.
6. **თეიმურაზ ადეიიშვილი – პროფესორი**  
„ვანელი ბერმუხა, მეცნიერი და მოღვაწე“
7. **სიმონ არველაძე – პროფესორი**  
„გალაკტიონი და კლასიკოსები“.
8. **დოდო ჭუმბურიძე – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი**  
„გრიგოლ ლორთქიფანიძე“
9. **ინება ხურციძე, რაფიელ ქართველიშვილი**  
„ვანის რაიონის ისტორიისა და კულტურის ძეგლები, ციხე-სიმაგრეები.“
10. **ბადრი ბუხაძე**  
„ბიბლიის შემქმნელი ეთნოსი, ქართულ-შუმერული ენები“.
11. **ავთანდილ სილაგაძე – პროფესორი, ანზორ თოთაძე – პროფესორი**  
„ქართული გვარ-სახელები“
12. **აკაკი თევზაძე – პოეტი, გალაკტიონის ტაბიძის პრემიის ლაურეატი, კრებულ „მატიანეს“ პ/მ მდივანი**  
„მაჭანკლობის თემის ასახვა ქართულ მწერლობაში, ქართულ ხალხურ პოეზიასა და ვანელ ავტორმთქმელთა შემოქმედებაში“
13. **ბადრი ხურციძე, ტარიელ ოქროპილაშვილი, ვარლამ გიორგაძე**  
„სოფელი საპრასია“.
14. **ციცინო გაბუნია, თემურ გეგიძე**  
„სოფელი ტობანიერი“.

**მატიანე №12**

1. **ვანის მუნიციპალიტეტის განვითარების სტრატეგიული ხაზები XXI საუკუნის პირველი ათ-ლეულის მეორე ნახევარში**
2. **ვანის რაიონის (მუნიციპალიტეტი) ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრისგან**
3. **ომარ კაპანაძე**  
სამეცნიერო საქმიანობისა და საზოგადოებრივ ურთიერთობათა ფორმები და საკითხები ბატონიშვილის გაუქმების შემდეგ ვანის თემსაზოგადოების მიხედვით (დასასრული).
4. **საარქივო მასალები ვანის რაიონის ისტორიისათვის**
5. **თეიმურაზ ადეიიშვილი**  
სტალინის მკვლელობის საიდუმლო.
6. **ომარ გაბუნია**  
საქართველო ძველი მსოფლიო ცივილიზაციის ნაწილი.
7. **მანანა ვაშაყმაძე**  
ზედა გორას „მაცხოვრის შობის“ სახელობის ეკლესია
8. **გულბათ რცხილაძე**  
რამდენიმე მცდარი წარმოდგენის შესახებ საქართველო რუსეთის იმპერიის

შემადგენლობაში

**9. გენერალი გიორგი კვინიტაძე**

წინასიტყვაობა მოგონებებიდან.

**10. გოგი ფაცაცია, სიმონ ზაქარაია**

საერთაშორისო კონფერენცია კემპრიჯის უნივერსიტეტში და ქართველი მეცნიერის მორიგი წარმატება

**11. ლუკა დვალიშვილი**

ქალის დაწინდვის ტრადიცია ძველ საქართველოსა და ფერეიდნელ ქართველებში.

**12. შალვა შარაშენიძე**

ქალთა ემიგრაცია და დედის ინსტიტუტი

**13. აკაკი თევზაძე**

ქალის ფერწერის გააზრება ვანელ ავტორმთქმელთა შემოქმედებაში.

**14. ივანე ხურციძე**

სოფელი უხუთი

მატიანე №13

**1. მურმან ლეპანიძე – უფლისციხესთან სისხლისფერი ყაყაჩოს წვეთი**

**2. ირაკლი აბაშიძე – ხმა კატამონთან (ო, ენავ ჩემო)**

**3. ავთანდილ ნიკოლეიშვილი**

ეროვნული პრობლემების გააზრების უმთავრესი წახნაგები ძველ ქართულ სასულიერო მწერლობაში.

**4. დიმიტრი ახვლედიანი**

ვანი მსოფლიო კულტურული განვითარების კონტექსტში

**5. მანანა ვაშაყმაძე**

საბრძოლო და თავდაცვითი იარაღები ანტიკური ვანიდან

**6. სიმონ არველაძე**

სტალინს ახსოვდა და ეამაყებოდა საქართველო

**7. მინდია სალუქვაძე, გურამ ბელთაძე**

ზნეობრივი ურთიერთობებისა და ქცევის ოქროს წესის მათემატიკური მოდელები

**8. ინდირა გოგოძე**

ვანის რაიონის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრი და მისი კრებული „მატიანე“ არსებობის ოთხი წლის გადასახედიდან

**9. ომარ კაპანაძე, თამილა მუავანაძე**

კულტურულ-საგანმანათლებლო კერების მშენებლობის ტენდენციები ვანის რაიონის სოფლების მიხედვით

**10. ომარ ძაგნიძე**

ტერმინ „ბევრის“ შესახებ

**11. აკაკი თევზაძე**

ვანელი ახალგაზრდების შემოქმედება (პოეზია)

**12. ომარ კაპანაძე**

სოფელი ძულუხი

**13. სოფელი ზეინდარი**

**14. თეიმურაზ ადეიშვილი**

სოფელი ყუმური

**15. სიმონ არველაძე – მეცნიერ-ისტორიკოსი და საზოგადო მოღვაწე (ამირან ნიკოლეიშვილი)**

**16. თეიმურაზ ადეიშვილი**

ამირან ნიკოლეიშვილი – ჭეშმარიტი მამულიშვილი

**17. რედაქციისაგან**

მურთაზ ივანიაძე

**მატიანე №14**

1. საახალწლო მილოცვა
2. ილია II საშობაო ეპისტოლე
3. რაფიელ ერისთავი  
სამშობლო ხევსურისა
4. ვანის მუნიციპიალიტეტის განვითარების სტრატეგიული მონახაზები XXI საუკუნის პირველი ათწლეულის მეორე ნახევარში
5. აკადემიკოსი ავთანდილ ნიკოლეიშვილი – 70
6. ავთანდილ ნიკოლეიშვილი  
ქართველები სტამბოლში
7. აკადემიკოსი გურამ ლორთქიფანიძე – 80
8. გურამ ყიფიანი  
ორიოდე სიტყვა პროფესორ გურამ ლორთქიფანიძეზე
9. ოლდა სოსელია  
ჩიჯავაძეთა სათავადო
10. ომარ კაპანაძე  
1864-1865 წლების საგლეხო რეფორმა- სოფლის თემსაზოგადოებების აღმოცენება „ვანში და მათი სასოფლო და სამედიტორო სასამართლოები
11. ჟაკ ფრანსუა გამბას თვალით დანახული „საჩინო“
12. თეიმურაზ ადეიშვილი  
სტალინის პიროვნება და საქართველო
13. ომარ გაბუნია  
ვანის აქეოლოგიური ექსპედიცია და მათი ურთიერთობა ადგილობრივ მცხოვრებლებთან.
14. ომარ ძაგნიძე  
დიანა ვაშაყმაძე
15. ანზორ გველესიანი  
ადამიანური სულის ღვთაებრივი გამოვლინება
16. საარქივო მასალები ვანის მოსახლეობის აღწერის შესახებ
17. აკაკი თევზაძე  
ქალის ფენომენის გააზრება ქართულ ხალხურ პოეზიასა და ვანელ ავტორმთქმელთა შემოქმედებაში
18. ელენე გეგეშიძე  
მენორა – ებრაელი ხალხის სიმბოლო
19. ინდირა გოგოძე  
პოზიტიური ცვლილებების სამუშაო პოლიტიკა მხოლოდ სიკეთეზეა აგებული

**მატიანე №15**

1. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II სააღდგომო ეპისტოლე
2. ვანის რაიონის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრისა და კვლევის ცენტრის კრებულ „მატიანეს“ რედაქციისაგან
3. სამშობლოსაგან ალერსი დედის ალერსზე ტკბილია (ხალხური)
4. მურმან ლებანიძე — ოდესაც დიდი ყოფილა საქართველო
5. ვანის მუნიციპალიტეტის განვითარების პერსპექტივული მონახაზები 2019 წლისათვის
6. ავთანდილ ნიკოლეიშვილი  
ნიკო ნიკოლაძის მოგზაურული ქანრის ნარატივთა ეროვნული კონტექსტი
7. ომარ კაპანაძე  
„საჩინოს“ ფეოდალურ-ტერიტორიულ საკუთრებათა ლოკალიზაციის ზოგიერთი საკითხის შესახებ

- 8. ოლღა სოსელია**  
ლორთქიფანიძეთა სათავადო
- 9. მაია ჭელიძე**  
მსოფლიო ცივილიზაცია უძველესი კოლხური ცივილიზაციისაგან იშვა?
- 10. სოფო რამიშვილი**  
სამშენებლო კრამიტები და მათი წარმოება ძველ ვანში
- 11. არჩილ ტავიძე**  
ებრძოდა თუ იცავდა სტალინი რელიგიას?
- 12. საარქივო მასალები ვანის თემსაზოგადოების მცხოვრებთა აღწერის შესახებ**
- 13. თეიმურაზ ლვინიანიძე**  
საქართველოს რეალური ისტორიის ასპექტები
- 14. ირინე მაწკეპლაძე**  
ანტიკური ვანისა და გელათის მოზაიკები
- 15. ელენე გეგეშიძე**  
ქართული არქეოლოგიური მეცნიერების დიდი დანაკარგი გურამ ლორთქიფანიძის ნათელ ხსოვნას
- 16. პოეტი ლადო სულაბერიძე – 100**
- 17. ლალი სულაბერიძე**  
იმერული „აჩაჩა“ (დაბალი) ურემი
- 18. ომარ გაბუნია**  
ვანის არქეოლოგიური ექსპედიცია და მათი ურთიერთობა ადგილობრივ მცხოვრებლებთან (გაგრძელება)
- 19. აკაკი თევზაძე**  
კაპასი ქალის სახე ვანელ ავტორთქმელთა შემოქმედებაში
- 20. თეიმურაზ ადეიშვილი**  
გამოჩენილი ვანელი მეცნიერები – გიორგი სულაქველიძე
- 21. ნაპოლეონ ლორთქიფანიძე**  
დიდი პედაგოგი აკადემიკოსი დავით ლორთქიფანიძე

**მატიანე №16**

- 1. გრიგოლ აბაშიძე**  
ფიქრები საქართველოს რუკაზე
- 2. ლეო ჩიქავა**  
დემოგრაფიული განვითარების ტენდენციები
- 3. ინდირა გოგოძე**  
მატრიარქატის დაბრუნება საქართველოში ანუ დედაკაცობა XXI საუკუნის ქართველი მანდილოსნისა
- 4. ომარ კაპანაძე**  
კიდევ ერთხელ ვანის რაიონის ეკონომიკის ტენდენციების შესახებ
- 5. ავთანდილ ნიკოლეიშვილი**  
სულხან-საბა ორბელიანი, მოგზაურული ჟანრის ფუძემდებელი ქართულ მწერლობაში
- 6. ლუკა დვალიშვილი**  
ილია ჭავაძისა და ივანე მაჩაბლის საბანკო დაპირისპირება. ივანე მაჩაბლის მკვლელობის ახალი ვერსია.
- 7. გია კვაშილავა**  
პროტო-ქართველური წერილობითი ძეგლების – ხაზოვანი წარწერების ამოკითხვის შესახებ
- 8. მანანა ვაშაყმაძე**  
ძველი კოლხეთი, მითები და ლვთაებები
- 9. ომარ გაბუნია**  
ვანის ნაქალაქარი და მასში შემავალი ნასახლარების ისტორიიდან

10. **მაია ჭელიძე**  
მსოფლიო ცივილიზაცია უძველესი კოლხური ცივილიზაციისაგან იშვა? (გაგრძელება)
11. **მარიამ შუბლაძე**  
როგორ შეიტანეს ევროპაში ცივილიზაცია იძერიულმა ტომებმა და რით დასტურდება ქართული გავლენები ინგლისზე, ესპანეთსა და საფრანგეთზე
12. **ომარ ძაგნიძე**  
კონსტანტინე (კოტე) ყიფიანის ლექსიკოგრაფული მოღვაწეობის შესახებ
13. **აკაკი თევზაძე, თამილა მუჯავანაძე**  
სოფელი მთისძირი
14. **შალვა შარაშენიძე**  
ჩემი სოფელი
15. **ლუიზა ტაბიძე, ია შათირიშვილი, აკაკი თევზაძე**  
ვანის №2 გ. ტაბიძის სახელობის საჯარო სკოლა
16. **ინდირა გოგოძე, გიორგი ივანიაძე, აკაკი კორძაძე**  
სოფელი მუქედი

**მატიანე №17****საახალწლო მილოცვა****პაოლო იაშვილი – მდუმარე ვედრება****ნანა მეფარიშვილი – ნახე რა სამშობლო მოგცეს (შვილებს)**

1. **ინდირა გოგოძე – „ტაძრების ქვაში მშენებლობის ეტაპი დასრულდა, ახლა სულიერი ტაძრების შენების უამია“**
2. **ვანო მამფორია – ვანის მუნიციპალიტეტის 2007-2018 წლების ბიუჯეტის შედარებითი ანალიზი.**
3. **ნანა ლილუაშვილი – ვანის ტურიზმის ცენტრის მიზანი – არსებული და ცნობილი ტურისტული ლოკაციების მუდმივი განახლება და ახალი მიმზიდველი ლოკაციების აღმოჩენა**
4. **გრიგოლ ტყეშელაშვილი – სოფელ ბზვანის დემოგრაფიული, გენიალოგიური და ონომასტიკური მიმოხილვა (1934-2006 წლების საკომლე წიგნების მიხედვით)**
5. **ავთანდილ ნიკოლეშვილი – არტურ ზუტნერის „აჭარლები“ – რომანი ოსმალობის დროინდელ აჭარაზე**
6. **ლუკა დვალიშვილი – საჭირო და საინტერესო წიგნი**
7. **ომარ კაპანაძე – 1917 წლის თებერვლის რევოლუცია და საქართველოში განვითარებულ მოვლენებთან კავშირში ვანის თემ-საზოგადოებების სოციალურ-ეკონომიკური მდგრმარეობა.**
8. **გენერალი გიორგი მაზნიაშვილი – მოგონებები**
9. **დავით შავიანიძე – დიხაშხო-ისრითის გვარსახელები**
10. **აკაკი თევზაძე – მოგონებები გალაკტიონზე.**
11. **ელენე გეგეშიძე, ომარ ძაგნიძე – საგანმანათლებლო ვითარების შესახებ XVIII-XIX საუკუნეების საქართველოში.**
12. **ინდირა გოგოძე – მადლითა და სიკეთით სავსე ფურცლები უფალთან მისატან სიცოცხლის წიგნში**
13. **თემურაზ ადეიშვილი – პროფესორი ვალტერ კაშია**
14. **პროფესორი ჯონი შანიძე**

**მატიანე №18**

1. **ივანე მამფორია – ვანის მუნიციპალიტეტის 2019-2020 წლების ბიუჯეტით განხორციელებული და მიმღინარე პროგრამები**
2. **ვლადიმერ პაპავა – პოსტკომუნისტური პერიოდის ეკონომიკური რეფორმები**
3. **კრებულ „მატიანეს“ რედაქციისაგან**
4. **დიმიტრი ახვლედიანი – ძველი ვანის მოამაგენი**
5. **მარინე ფირცხალავა – ოთარ ლორთქიფანიძე – 90**

6. ომარ კაპანაძე – ზოგი რამ დიდი ომის ორი კონკრეტული საკითხის ირგვლივ
7. არჩილ ტაკიძე – ბრძოლა კავკასიისათვის
8. თემურაზ ადეიშვილი – ვინ იყო სინამდვილეში ლავრენტი ბერია
9. ავთანდილ ნიკოლეიშვილი – გერმანულ არმიაში ნაბრძოლი ქართველი ლეგიონერი პოეტები
10. ლუკა დვალიშვილი – გერმანელი და საბჭოთა ტოტალიტარიზმის მსხვერპლთა  
საფლავები სოფელ სულორში
11. ინდირა გოგოძე – ერთი პოპულარული ქართული ცეკვის შესახებ. გლობალიზაციის  
ვირუსი პანდემიური სახე ქართულ ცეკვაში.
12. აკაკი თევზაძე – ახალგაზრდა ვანელი პოეტები
13. დავით შავიანიძე – გვარსახელთა ეთნოსტორიული კვლევის შედეგები
14. სახელოვანი ვანელები – მინდია ვაშაყმაძე
15. რეზო ტაკიძე – ახალი ცნობები თეთროსნის ეკლესიის შესახებ

### მატიანე №19

1. დიმიტრი ახვლედიანი – ვანის არქეოლოგიური მუზეუმი ახალ სიცოცხლეს იწყებს.
2. ომარ გაბუნია – მოგზაურობა ვანის სიძველეების გარშემო.
3. მანანა ვაშაყმაძე – არგონავტები და ძველი კოლხეთი.
4. გია კვაშილავა – „კავკასიური“ ანუ „თეთრი მოდგმა“ ბლუმენბახისა და სხვა სწავლულთა  
მიხედვით (მოკლე მიმოხილვა).
5. ივანე მამთორია – ვანის მუნიციპალიტეტის საფინანსო სამსახურის უფროსი – ვანის  
მუნიციპალიტეტის 2020-2021 წლების ბიუჯეტით განხორციელებული და მიმდინარე  
პროგრამები.
6. იაკობ მესხია – რეგიონული ეკონომიკა.
7. ვანის რაიონის (მუნიციპალიტეტის) ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის  
ცენტრისგან (განეული საქმიანობის ანგარიში).
8. ავთანდილ ნიკოლეიშვილი – არტურ ლაისტი და საქართველო. წერილი პირველი
9. ლუკა დვალიშვილი – ქართულ-პოლონური ურთიერთობები ქართველ მოღვაწეთა  
მოგონებებში.
10. დავით შავიანიძე – სუფრა ქართველთა კულტურული ტრადიციების ნაწილი, ერთ-ერთი  
საიდენტიფიკაციო ნიშანი.
11. ომარ კაპანაძე – 1905-1907 წლების რევოლუციის შემდგომი პერიოდი, ზოგიერთი  
ცვლილებანი ვანის თემსაზოგადოებების ცხოვრებაში.
12. თემურაზ ადეიშვილი – სტალინის პიროვნება და საქართველო (დასასრული).
13. დარეჯან ანდრიაძე – ტყვეთა სყიდვა, ერის ტოტალური დაცემის ნიშანი.
14. თამუნა ჩხერიძელი – თაობა, რომელმაც შექმნა ისტორია – გივი ანდრიაძე – აკადემიკოსი.
15. ინდირა გოგოძე – კოვიდ 19 – საუკუნის გლობალური დაავადება და მტკიცნეული  
გამოწვევა ვანის მუნიციპალიტეტის რეალობაში.

აი, დაახლოებით ასეთია არასრულყოფილი ჩამონათვალი „კვლევის ცენტრის“ მიერ განხორციელებული სამუშაოებისა, რომლებიც ამ მოკლე პერიოდისათვის მოვასწარით. რაიონის ისტორიას დარჩება ყველა იმ პიროვნების, პერსონის გვარ-სახელი, რომლებმაც გადაწყვიტეს ან გადაწყვეტენ, რომ ამ რთულ საკითხთა სრულყოფასა და გადაჭრაში დაგვიდგნენ გვერდით.

ჩვენ გვჭირდება მხარდაჭერა და რაიონზე შეყვარებულ, შეგნებული ადამიანებისაგან ამას ველოდებით!

ომარ კაპანაძე  
„კვლევის ცენტრის“ ხელმძღვანელი, კრებულ „მატიანეს“ რედაქტორი,  
ვანის საპატიო მოქალაქე

**ავთადილ ნიკოლებიშვილი** – აკადემიკოსი, ფილოლოგის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ქალაქ ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგის დეპარტამენტის ხელმძღვანელი

## არტურ ლაისტი და საქართველო

### წერილი პირველი

ქართველი საზოგადოებისთვის კარგად ცნობილი გერმანელი მწერალი არტურ ლაისტი (1852-1927 წ.). პირველი უცხოელი შემოქმედია, რომელმაც არა მარტო ქართველოლოგიური მოღვაწეობა აქცია თავისი ცხოვრების უმთავრეს მიმართულებად, არამედ საქართველო ფიზიკურადაც გაიხადა თავის მეორე სამშობლოდ, სიცოცხლის დიდი ნაწილი ამ ქვეყანაში გაატარა და ანდერძის თანახმად აქვე ჰპოვა სამუდამო განსასვენებელი.

გერმანელი მწერლის დასაფლავებასთან დაკავშირებით იმდროინდელ ჩვენს საზოგადოებას ეს გადაწყვეტილება შემთხვევით რომ არ მიუღია, ამას თავად არტურ ლაისტის მიერ წერილობითი ფორმით დატოვებული ის ჩანაწერიც ადასტურებს, რომლითაც იგი მისთვის ამქვეყნიური ცხოვრებისა და მოღვაწეობის უმთავრეს და უსაყვარლეს ასპარეზად ქცეულ ახალ სამშობლოს ასეთი სიტყვებით გამოეთხოვა: „მაპატიე, ჩემო პატარა, სამშობლონაცვალო საქართველო, თუ ჩემი მცირე (მწირი) ღვაწლით ლირსი არა ვარ შენს წმინდა მიწაზე დასაფლავებისა“ (ლაისტი, საქართველოს გული, 1963 წ. გვ. 297).

ჩვენს ქვეყანას არტურ ლაისტი პირველად 1884 წელს ესტუმრა ერთი თვით, მეორედ – 1885 წელს, 1892 წლიდან კი სამუდამოდ დამკვიდრდა საქართველოში. მიუხედავად იმისა, რომ ქართველოლოგია არტურ ლაისტის შემოქმედებითი მოღვაწეობის მთავარ მიმართულებად ჩვენს ქვეყანაში მის ფიზიკურ სტუმრობამდეც იყო დამკვიდრებული, საქართველოში დაფუძნების შემდეგ მისმა ქართულმა საქმიანობამ კიდევ უფრო დიდი მასშტაბები შეიძინა.

ამ დროიდან მოყოლებული, არტურ ლაისტმა არა მარტო შემოქმედებითი და სამეცნიერო მიმართულებებითი წარმოაჩინა დიდი შესაძლებლობები, არამედ საზოგადოებრივ საქმიანობაშიც ჩაერთო აქტიურად. კერძოდ, თავისი მრავალმხრივი ქართველოლოგიური მოღვაწეობა მან წარმატებით გამოავლინა, ერთის მხრივ, მთარგმნელობითი მიმართულებით და ქართული მწერლობის არაერთი ნიმუში გადათარგმნა გერმანულ ენაზე; მეორეს მხრივ, გერმანულ პრესაში გამოქვეყნებული წერილებითა და მხატვრული ტექსტებით ბევრი რამ გააკეთა ევროპაში, პირველ ყოვლისა კი გერმანულენოვან მკითხველებში, ჩვენი ლიტერატურული მემკვიდრეობის პოპულარობისთვის. ამ საქმის წარმატებულ გამოვლინებას წარმოადგენდა ის ფაქტიც, რომ მისი აქტიური ძალისხმევითა და ორგანიზებით, სამი წლის განმავლობაში კი რედაქტორობითაც, თბილისში 1906-1914 და 1918-1922 წლებში გერმანულენოვანი გაზეთი „კაუკაზიშე პოსტიც“ გამოდიოდა, სადაც საქართველოსთან დაკავშირებული მასალებიც მრავლად იბეჭდებოდა (ამასთან დაკავშირებით იხ: ბრეგაძე, მოგზაურობა „კაუკაზიშე პოსტის“ ფურცლებზე, 2010 წ.).

საქართველოში ცხოვრების დროს არტურ ლაისტი ახლო მეგობრული ურთიერთობებით აღმოჩნდა დაკავშირებული იმ პერიოდის ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა უმეტესობასთან. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ილია ჭავჭავაძესთან და მის ოჯახთან სიახლოებე, რის ნათელ გამოხატულებასაც წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ ამ დროის განმავლობაში იგი ილიას ოჯახს ხშირად სტუმრობდა როგორც საგურამოში, ისე თბილისშიც. ამ სტუმრობის დროს მასა და ილიას შორის გამართულმა საუბრებმა, რომელთა უმთავრეს საგანს ქართული მწერლობა და ჩვენი ქვეყნის საჭირბოროტო პრობლემებზე მსჯელობა წარმოადგენდა, არსებითად მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საქართველოსადმი არტურ ლაისტის სიყვარულის კიდევ უფრო მეტად განმტკიცების საქმეში.

ქართველ მწერლებთან და საზოგადო მოღვაწეებთან არტურ ლაისტის ასეთი ახლო მეგობრული და საქმიანი ურთიერთობა მნიშვნელოვანი იმითაც გამოდგა, რომ ამ ურთიერთობის

ასახვა გერმანელმა მწერალმა თავისი მხატვრულ-პუბლიცისტური შემოქმედების ერთ-ერთ მთავარ მიმართულებადაც აქცია და არაერთი ახალი ეპიზოდით გაამდიდრა შესაბამისი პერიოდის ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა ბიოგრაფია.

არტურ ლაისტის ქართველოლოგიური ლვანლის შეფასების დროს სავსეაბით ბუნებრივად ჩნდება ინტერესი იმისადმი, რამდენად სრულყოფილად ფლობდა იგი ქართულ ენას. თავად მას ამასთან დაკავშირებით არაერთგზის ალუნიშნავს ის ფაქტი, რომ ქართული ენის შესწავლით იგი ჯერ კიდევ საქართველოში პირველად სტუმრობამდეც ყოფილა დაინტერესებული და რეალურად შედგომია მის შესწავლას. ამ საქმეში მას მისი იმ ქართველი მეგობრებისთვის უთხოვია დახმარება, რომელთაც პირადად არც კი იცნობდა და მათთან მხოლოდ მიმოწერით იყო დაკავშირებული (მაგალითად, ცნობილ დრამატურგ დავით ერისთავთან). სწორედ მათი მეშვეობით მოუძიებია მას ის წიგნები, რომლებიც ქართულის შესწავლაში გაუწევდა დახმარებას.

თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ არტურ ლაისტი რამდენიმე ენას საფუძვლიანად იყო დაუფლებული და ენებს, მისივე თქმით, ადვილად ითვისებდა, აგრეთვე იმ გარემოებას, რომ მან სიცოცხლის მნიშვნელოვანი ნაწილი საქართველოში გაატარა, მაშინ ლოგიკური იქნება იმის დაუეფვებლად თქმა, რომ მას ქართულიც საკმაოდ კარგად ექნებოდა შესწავლილი.

ამ აზრს კიდევ უფრო მეტად განგვიმტკიცებს ის გარემოება, რომ ა. ლაისტი თავის ნაშრომებში ღრმად და საფუძვლიანად აანალიზებს როგორც ქართველ მწრალთა შემოქმედებას, ისე ისტორიულ პირველწყაროებსა და წერილობით დოკუმენტებს. ამ საქმის ასეთ მაღალ პროფესიულ დონეზე გაკეთება კი ქართული ენის უცოდინარობის შემთხვევაში შეუძლებელი იქნებოდა.

საქართველოთი არტურ ლაისტის დაინტერესების საქმეში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მისმა ურთიერთობამ ცნობილ გერმანელ მწერალთან, აღმოსავლეთმცოდნესთან და მოგზაურთან ფრიდრიხ ბოდენშტედტან (1819-1892 წწ.), რომელიც მან 1881 წელს გაიცნო. როგორც ბოდენშტედტის ბიოგრაფიიდან ცნობილია, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში იგი ხანმოკლე პერიოდის განმავლობაში, 1844-1845 წლებში, ცხოვრობდა, ჩვენი ქვეყანა მან იმდენად შეიყვარა, რომ სამშობლოში დაპრუნების შემდეგ თავისი ქართული შთაბეჭდილებების მოთხოვნას ორ წიგნი მიუძღვნა – 1848 წელს ფრანკფურტში გამოცემული „კავკასიის ხალხები და მათი ბრძოლა თავისუფლებისათვის“ და 1850 წელს ბერლინში დასტამბული „ათას ერთი დღე აღმოსავლეთში.“ საქართველოსადმი თავისი სიყვარულიანი და ღრმად ემოციური დამოკიდებულება ფრ. ბოდენშტედტის პოეტური შემოქმედების ერთ-ერთ მნიშვნელოვან თემა-დაც იქცა.

საქართველოსადმი სიყვარულის გაღვივების საქმეში ფრ. ბოდენშტედტის დიდ როლს თავად ა. ლაისტიც არაერთგზის აღნიშნავს. ზემოთ ხსენებულ მის წიგნებთან ერთად, მნიშვნელოვანი როლი მის უფროს მეგობართან პირადმა ურთიერთობამაც შეასრულა. კერძოდ, მასთან შეხვედრების დროს ფრ. ბოდენშტედტი მის უმცროს კოლეგას ისეთი სიყვარულითა და ემოციით ესაუბრებოდა ჩვენს ქვეყანაზე, რომ ამ საუბრებით გულანთებულმა ლაისტმა უდიდესი ინტერესით დაიწყო როგორც საქართველოსთან დაკავშირებით არსებული ლიტერატურის მოძიება, ისე ქართული ენის შესწავლაც.

აი, რას წერს თავად ლაისტი ამის შესახებ: „ჯერ ისევ გიმნაზიელი ვიყავ ბრესლავში. ერთ გერმანულ რომელილაც საოჯახო უურნალში პატარა აღწერა წავიკითხე საქართველოში მოგზაურობისა. ამ მოგზაურობაში საკმაოდ ზეზეულათ იყო აღნიშნული ბუნება საქართველოსი. მაგრამ ეს მცირე სურათი მაინც დამამახსოვრდა და მას აქეთ ვცდილობდი ხელში ჩამვარდნოდა უკეთესი და უფრო ვრცელი რამ თხზულება საქართველოს შესახებ. ეს გახლდათ გერმანელი პოეტის ფრიდრიხ ბოდენშტედტის წიგნი „ათას ერთი დღე აღმოსავლეთში.“ ბოდენშტედტი აღტაცებით იხსენებდა საქართველოს და მის სიმშვენიერეს აღფრთოვანებულ ლექსებს უძღვნიდა. ამ ლექსებს რომ ვკითხულობდი, სულითა და გულით დავუახლოვდი საქართველოს“ (ა. ლეისტი, საქართველოს გული, თბ. 1923 წ. გვ. III).

ჩვენი ქვეყნისადმი სიყვარულის აღძვრისა და გამძაფრების პროცესში ბოდენშტედტის უმნიშვნელოვანეს როლზე არტურ ლაისტი მემუარული ხასიათის მქონე თავის სხვა პუბლიკაციებშიც საუბრობს. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა გაზეთ „ივერიის“ 1906

წლის 25-ე ნომერში გამოქვეყნებული მისი წერილი „წარსულის მოგონებები (1884-1889 წ.).“ სადაც იგი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ასეთ ინფორმაციას გვაწვდის:

„აღარ მახსოვს, რომელი წიგნი იყო, სადაც პირველად ამოვიკითხე კავკასიის ამბები, ის კი ვიცი, რომ იმ დროს ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ბოდენშტედტის ლექსებმა. განსაკუთრებით მიტაცებდა საქართველოს აღნერა. საქართველო ჩემი გონების თვალწინ რაღაც გრძნეულ და მშვენიერ ქვეყნად მეხატებოდა და გულში მისი ნახვის სურვილი მეპარებოდა. შემდეგ, როცა ცოტაოდენად გავეცანი საქართველოს ისტორიას, ჩემთვის საეჭვო აღარ იყო, რომ ასეთ ძველ და განვითარებულ კულტურის პატრონს, ასეთ მშვენიერ ბუნებაში დასახლებულ ხალხს, მეტად მდიდარი პოეტური მწერლობა უნდა ჰქონოდა. დავინუე ამ მწერლობის შესახებ ცნობების ძებნა, მაგრამ ვერც გერმანულსა და ვერც ფრანგულს წიგნებში მისი უბრალო კვალიც ვერ აღმოვაჩინე. ამ მხრივ რუსული მწერლობაც მეტად ლაირიბი გამოდგა.“

როგორც უკვე ითქვა, ამ დროიდან მოყოლებული, ა. ლაისტი არა მარტო სულიერად დაუახლოვდა საქართველოს, არამედ 1892 წლიდან ფიზიკურადაც გახდა ჩვენი ქვეყნის მკვიდრი. გერმანელი მწერლის არაერთგზისი აღნიშვნით, ამ საქმეში ყველაზე დიდი დამსახურება უპირველეს ყოვლისა ილია ჭავჭავაძეს მიუძღვდა, რომელიც მის განუყრელ მეგობრად იქცა. აი, რას წერდა ამასთან დაკავშირებით თავად ლაისტი: „როდესაც შევიძელ საქართველოში მოსვლა და საკუთარის თვალით ვიხილე ის, რაზედაც მთელი წლების განმავლობაში ვონცებობდი, ბედნიერება მქონდა დავახლოვებოდ ილია ჭავჭავაძეს. ქართველთაგან ილია ჭავჭავაძემ პირველმა გამომიწოდა ხელი. პირველმა მან გამიღო ფართეთ კარები თავის სახლისა. იმანვე გამიღო თავისი გული და სული...“

მაშინდელ ქართველთაგან არავის შეეძლო ჩემთვის გაეცნო წარსული ლიტერატურა, გრძნობა, აზრი, მისწრაფება და ოცნება ქართველთა, როგორც ილია ჭავჭავაძესა. ილიას დახმარებით უფრო სწრაფათ შევძლებდი ჩამეხედნა ქართველ ერის სულსა და გულში“ (ა. ლეისტი, საქართველოს გული, თბ. 1923 წ. გვ. III).

არტურ ლაისტი დაიბადა 1852 წელს ქალაქ ბრესლაუში, რომელიც იმ დროს გერმანიას ეკუთვნოდა, 1945 წლიდან კი პოლონეთის შემადგენლობაში შედის და ამჟამად ვროცლავი ჰქვია. გიმნაზიის დამთავრების შემდეგ მან სნავლა განაგრძო ბრესლაუს უნივერსიტეტის იურიდიულ სპეციალობაზე. სტუდენტობის პერიოდში იგი განსაკუთრებით გაიტაცა უურნალისტურმა საქმიანობამ და აქტიურად დაიწყო თანამშრომლობა გერმანულ და პოლონურ პერიოდულ გამოცემებში. მისი უურნალისტური საქმიანობა კიდევ უფრო რეზონანსული გახდა პოლონეთის დედაქალაქ ვარშავაში გადასვლის შემდეგ. არტურ ლაისტის უურნალისტურ და პუბლიცისტურ მოღვაწეობას დიდ მასშტაბებს სძენდა ის ფაქტი, რომ ღვთით ბოძებულ შემოქმედებით ნიჭთან ერთად იგი რამდენიმე ევროპულ ენასაც ფლობდა.

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, საქართველოსადმი არტურ ლაისტის სიყვარულმა კიდევ უფრო დიდი მასშტაბები შეიძინა იმ აქტიური წერილობითი ურთიერთობის შედეგად, რომელიც მან ჩვენს ქვეყანაში ჩამოსვლამდეც დაამყარა ქართველ მოღვაწეებთან. ამ თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია მისი მიმოწერა ნიკო ნიკოლაძესთან, დავით ერისთავთან, ილია ჭავჭავაძესთან და აკაკი წერეთელთან.

მაგალითად, აი, რა ინფორმაციას გვაწვდის ნიკო ნიკოლაძესთან არტურ ლაისტის ურთიერთობასთან დაკავშირებით არტურ ლაისტის ბიოგრაფი თემურაზ ფირალიშვილი: რუსულენოვან გაზეთ „ობზორში“ ანტისამთავრობო მასალების გამოქვეყნების გამო ხელისუფლებამ გაზეთის გამოცემა აკრძალა, მისი რედაქტორი ნიკო ნიკოლაძე კი „დროებით იზოლირებულყო. გადასახლებაში მყოფ პუბლიცისტს აღფრთოვანებით სავსე წერილები მოსდიოდა ახალგაზრდობიდან, ნაცნობი და უცნობი მოღვაწეებიდან... თანამგრძნობათა შორის ერთ-ერთი შორეულ პოლონეთში მყოფი პუბლიცისტი არტურ ლაისტიც იყო. იგი წერდა ნიკო ნიკოლაძეს:

„ბატონო!

რამდენიმე ხანია ჩემი ყურადღება მიპყრობილია ქართველებისა და სომხების ინტელექტუალური ცხოვრებით. ამ ერების ლიტერატურამ აღმაფრთოვანა. მე ვარ თანამშრომელი რამდენიმე პირველხარისხოვანი გერმანული გაზეთისა... მეტად კმაყოფილად ჩავთვლიდი თავს, რომ გერმანებს, ე. ი. ჩემს თანამემამულეებს, გავაცნო ქართული და სომხური ლიტერატურა...

მე თქვენ გთვლით ქართული პრესის ღირსეულ წარმომადგენლად და ქართველთა შორის ერთ-ერთ პირველ მწერლად. იმედი მაქვა, დახმარებას გამინევთ ჩემი სურვილების ხორცის შესასხმელად... ამის გარდა, ძლიერ გამაბედნიერებთ, თუ გამომიგზავნით თქვენს უურნალს „ობზორს“ (ა.ლაისტი, საქართველოს გული, თბ. 1963 წ. გვ. 289).

იმ დიდი სიყვარულის ნათელსაყოფად, რითაც არტურ ლაისტი საქართველოში ჩამოსვლამ-დეც აღმოჩნდა ჩვენს ქვეყანასთან დაკავშირებული, აქ იმ წერილსაც დავიმოწმებ, რომელიც მას 1882 წლის 24 იანვარს გამოუგზავნია აკაკი წერეთლისთვის:

„ჩემო ბატონო!“

ბატონმა დავით ერისთავმა სიკეთე მოილო და მომწერა თქვენი მისამართი. ვსარგებლობ, რათა გთხოვოთ დახმარება ზოგიერთ ლიტერატურულ საქმეში. რაც შეეხება თქვენს მშვენიერ სამშობლოს, უკვე რამდენიმე ხანის თვალყურს ვადევნებ თქვენი თანამემამულეების გონებრივ მოძრაობას; ვეცნობი თქვენს ისტორიას და მომავლისათვის თქვენს ღონისძიებასაც...

მე მხატვრული სიტყვის მსახური ვარ, ვნერ გერმანულად და პოლონურად. მინდა ვიტ-ვირთო ინტელექტუალური ურთიერთობის დამყარება ამ ორ ერსა და თქვენს თანამემამულეთა შორის... ამ შრომისათვის გასაღები ქართული ენის ცოდნაა. თუმცა მე უკვე დავიჩნევ მისი შესწავლა, მაგრამ, მგონია, ეს დააგვიანებს ჩემს მუშაობას“ (ა.ლაისტი, საქართველოს გული, თბ. 1963 წ. გვ. 291).

საქართველოსადმი სიყვარულის გრძნობა არტურ ლაისტს კიდევ უფრო მეტად გაუმძაფრდა ჩვენს ქვეყანაში მისი პირველი, ერთთვიანი, სტუმრობის შედეგად. 1884 წლის ზაფხულში ჩვენს ქვეყანაში საპატიო სტუმრად მოწვეულმა გერმანელმა მწერალმა ქართველ მამულიშვილთა უმრავლესობაც გაიცნო. მის საპატივცემულოდ გამართულ ბანკეტზე წარმოთქმულ სიტყვაში კი საქართველოში არტურ ლაისტის ჩამოსვლას ილიამ ასეთი შეფასება მისცა:

„დღეს ჩვენს შორის ბრძანდება უცხო კაცი და სტუმარი, უცხო სტუმარი მარტო იმითი, რომ სხვიდამ მოსულია, ხოლო სულითა და გულით ჩვენი მახლობელია, ჩვენი თავისიანია. ამიტომაც ორნაირად სასიხარულოა მისი ჩვენს შორის ყოფნა... ბ-ნი არტურ ლეისტი ის კაცია, რომელმაც ჩვენდა სასახელოდ კისრად იდო შუაკაცობა გაგვინიოს ჩვენსა და ევროპას შორის, რომელმაც იტვირთა ჩვენი გულში ამონანები სიტყვა, ჩვენის ჭკუისა და გონების საუნჯე, ჩვენი სულიერი ძალ-ლონე აცნობოს იმ ხალხთ, რომელიც ქვეყნის წარმატების გზაზედ მეთაურნი და მესვეურნი არიან... იმედია, რომ ამ სიყვარულით ჩაგონებული პირუთვნელი სიტყვა ბ-ნ ლეისტისა მოჰყენს მთელს განათლებულს ქვეყანას იმ ამბავს, რომ შორს სადმე არის ერთი პატარა სამოთხე, რომელსაც საქართველო ჰქვია და იმ პატარა სამოთხეში ჰსცხოვრობს ერთი პატარა ერი, რომელსაც უცემს დიდი გული კაცობრიობის წარმატებისა, სიკეთისა და ბედნიერებისათვის. ღმერთმა აცოცხლოს ბ-ნი ლეისტი“ (ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული ოც ტომად, ტ. VII, თბ. 2005 წ. გვ. 219).

საქართველოში ა. ლაისტის ამ მოგზაურობას ის სასიკეთო შედეგიც მოჰყვა, რომ გერმანიაში დაბრუნებულმა მწერალმა 1885 წელს ლაიფციგში ჩვენი ქვეყნისადმი მიძღვნილი წიგნიც გამოსცა სახელწოდებით „საქართველოს ბუნება, ადათ-წესები და მოსახლეობა.“

საქართველოს არტურ ლაისტი მეორედ 1885 წელს ეწვია. მისი ეს სტუმრობა განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე მოვლენად პირველ ყოვლისა იმის გამო იქცა, რომ ამ დროიდან მოყოლებული, იგი ქტიურად შუდგა „ვეფხისტყაოსნის“ გერმანულ ენაზე თარგმნას, რაც წარმატებით დაგვირგვინდა 1889 წელს ლაიფციგსა და დრეზდენში პოემის მისეული თარგმანის გამოცემით.

გარდა ხსენებული წიგნებისა, არტურ ლაისტის ქართველოლოგიური მოღვაწეობა ასევე ფართოდ წარმოჩნდა გერმანიაში გამოცემულ მის ისეთ წიგნებში, როგორებიცაა: „ქართველი პოეტები“ (ლაიფციგი, 1887 და 1900 წწ.) და „ქართველი ხალხი“ (დრეზდენი, 1903 წ.). ხსენებულ წიგნებთან ერთად, ა. ლაისტი გერმანულ პერიოდულ გამოცემებში ქართულ თემატიკაზე დაწერილ წერილებსაც ხშირად აქვეყნებდა, რითაც შესაბამისი პერიოდის გერმანულენვივან მკითხველს მეტად მნიშვნელოვან ცნობებს აწვდიდა მისთვის სრულიად უცნობი ქვეყნის ისტორიასთან და კულტურულ-ლიტერატურულ მეკვიდრეობასთან დაკავშირებით.

საქართველოში ცხოვრების პერიოდში არტურ ლაისტი აქტიურად ჩაერთო ჩვენი ქვეყნის

ლიტერატურულ ცხოვრებასა და კულტურულ-საზოგადოებრივ საქმიანობაში. აი, რას იგონებს ამასთან დაკავშირებით იაკობ მანსვეტაშვილი: „არტურ ლეისტი თითქმის შინაურ კაცად ითვლებოდა ილიას ოჯახში. ლეისტი გერმანელი კაცი იყო. კარგად განათლებული, მცოდნე უმთავრეს ევროპული ენებისა და ლიტერატურისა. რამდენი ცოდნა შეგვიძენია რედაქციის თანამშრომლებს (იგულისხმება გაზეთი „ივერია“ – ა. 6.) იმისგან! დაუღალავი მუშაკი, მედგარი მშრომელი. რა საქმესაც დაადგებოდა, მტკიცე ადგა და მინამ მიზანს არ მიაღწევდა, გზას არ გადაუხვევდა... რამდენი მოთხოვნა გადათარგმნა ქართული და სომხური, დაბეჭდა გერმანულ ურნალებში. ამანვე თარგმნა და გააცნო გერმანეთს ჩვენი სახელოვანი „ვეზხისტყაოსანი.“ ეს კაცი სიკვდილამდე ჩვენში ტრიალებდა და მუშაობდა ერთგულად, გულწრფელად“ (ი. მანსვეტაშვილი, მოგონებები, თბ. 1985 წ. გვ. 126).

არტურ ლაისტის საზოგადოებრივი აქტიურობის დასტურად აქ ამ თვალსაზრისით გამოჩენილ მის ისეთ აქტივობებსაც გავიხსენებ, როგორებიცაა: გაზეთ „ივერიის“ საგამომცემლო პროცესში მონაწილეობა, „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისიის მუშაობასა და ქართველ მწერალთა საიუბილეო სალამოებში აქტიური ჩართულობა, ზრუნვა ქართული თეატრის განსავითარებლად, საქმიანი მოგზაურობები ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეების მოსანახულებლად და იქაურთა ყოფის საფუძვლიანად გასაცნობად... ეს ყველაფერი სათანადოდ აისახა კიდეც უანრობრივად მრავალფეროვან მის შემოქმედებაში.

არტურ ლაისტის ცხოვრებაში გარდამტეს თარიღად იქცა 1892 წელი. ამ დროიდან მოყოლებული, იგი სამუდამოდ დამკვიდრდა საქართველოში, კერძოდ კი თბილისში, და აქტიური თანამონაწილე გახდა ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში მიმდინარე ფაქტობრივად ყველა მნიშვნელოვანი მოვლენისა. მის საზოგადოებრივ მოღვაწეობას განსაკუთრებულ მასშტაბებს სძენდა ის ახლო მეგობრული და საქმიანი ურთიერთობა, რითაც ილიას მიერ „შორეულ თავისიანად“ სახელდებული ეს პიროვნება იყო დაკავშირებული თავისი დროის დიდ ქართველ მამულიშვილთა უმეტესობასთან.

ასეთ აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობასთან ერთად, არტურ ლაისტი უდიდესი ენთუზიაზმით განაგრძობდა მთარგმნელობით საქმიანობას და ქართული მწერლობის მისეული გერმანულენვანი თარგმანებით დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებდა ევროპელი მკითხველისათვის ქართული მწერლობის თვალსაჩინო ნიმუშთა გასაცნობად.

კერძოდ, 1887 წელს არტურ ლაისტმა გამოსცა „ქართული პოეზიის ანთოლოგია,“ 1903 წელს კი დაბეჭდა „ქართველი პოეტები,“ რომლის მესამე ნაწილში ვრცლადა გაანალიზებული XIX საუკუნის ქართული მწერლობა (ქართული ლიტერატურა ევროპულ მეცნიერებაში, თბ. 2003 წ. გვ. 68.).

ცალკე უნდა აღინიშნოს არტურ ლაისტის პედაგოგიური მოღვაწეობა იმხანად დაარსებულ თბილისის უნივერსიტეტში, სადაც იგი წარმატებით ასწავლიდა გერმანულ ენას.

არტურ ლაისტის ცხოვრების ქართული პერიოდი მეტად მნიშვნელოვანი იმითაცაა, რომ მას საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის პერიოდში ბევრი რამ აქვს გაკეთებული გერმანიასთან ჩვენი ქვეყნის ურთიერთობის გასაღრმავებლად. ამ საქმეში იგი მანამდეც იმდენად აქტიურად ყოფილა ჩართული, რომ პირველი მსოფლიო ომის დროს რუსეთის იმპერიულ ხელისუფლებას ამის გამო დაუპატიმრებია კიდეც. აი, რას წერს ამასთან დაკავშირებით თედო სახოკა: „არტურ ლაისტი განსაკუთრებით დაგვიახლოვა განვლილმა მსოფლიო ომმა. ქართველთადმი გერმანელთა სიმპატიის გადმოცემის შუამავალი ტფილისში არტ. ლაისტი გახდა. მით უფრო, რომ საერთო მტერმა, რუსთ ხელმწიფის მთავრობამ, ომის დროს, სხვა გერმანელებთან ერთად, ბ-ნი ლაისტიც პატიმარ-ჰერი და მოახდევინა საერთო ბეგარა ციხეში ყოფინისა წლის განმავლობაში. ამ ტყვეობამ, ცოტას განყდა, თან არ გადაიტანა სუსტის გულის პატრონი არტ. ლაისტი“ (ა. ლეისტი, საქართველოს გული, თბ. 1923 წ. გვ. XIII).

როგორც ითქვა, გერმანიასთან ჩვენი ქვეყნის დასაახლოებლად არტურ ლაისტი კიდევ უფრო მეტად გააქტიურდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ. საამისო იმპულსს მას ის აქტიური თანადგომაც სძენდა, რომელსაც გერმანიის ხელისუფლება იჩენდა ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი ინტერესების დასაცავად იმხანად.

კერძოდ, აი, რა ინფორმაციას გვაწვდის ამ პროცესში არტურ ლაისტის აქტიურ ჩართუ-

ლობასთან დაკავშირებით თედო სახოკია: „1918 წ. საქართველოში გერმანელთა შემოსვლის შემდეგ, გერმანელთა და ქართველთა კავშირი და ურთიერთობა აშკარად დაადგა განმტკიცების გზას. ბ-ნს არტ. ლაისტს, მიუხედავად ავადმყოფობისა, ერთავათ საქმეში გართულს ვხედავთ, ერთავათ ფაციუფშია, ცდილობს უფრო დაგვაახლოვოს გერმანელებთან, მათი გული ჩვენ მოგვაგებინოს და ჩვენი მათ; ეხმარება ყველა ქართველს ახალგაზრდას, ვინც კი გერმანიაში მიდის სასწავლებლად, რჩევა-დარიგებას აძლევს, სარეკომენდაციო წერილებს ატანს გერმანეთში პროფესორებთან; გზას ულოცავს, ცდილობს ბ-ნი ლაისტი საქართველოდან გერმანეთში გაემგზავროს მთელი რიგი ქართველ ხელოსნებისა ხელობის უკეთესად შესასწავლად; გერმანეთის მთავრობასთან შუამდგომლობს გამოიგზავნოს გერმანეთიდან ხელოსნები-ინსტრუქტორები ქართველთა შორის სხვა-და-სხვა ხელობის გასავრცელებლად თვალსაჩინოთ, პრაქტიკულათ. აარსებს გერმანელ-ქართველთა საკულტურო საზოგადოებას, გერმანულ ენის კურსებს... ერთი სიტყვით, ბ. არტ. ლაისტი უაღრესათ მონდომებულია გერმანული კულტურა დაამყნოს პატარა საქართველოს, ამ კულტურას ეზიაროს ჩვენი ქვეყანა“ (ა. ლეისტი, საქართველოს გული, თბ. 1923 წ. გვ. XIII).

არტურ ლაისტის მიერ ხანგრძლივი დროის განმავლობაში განეული მრავალმხრივი და უაღრესად ფასეული საქმიანობისადმი მადლიერება ქართველმა საზოგადოებამ იმითაც გამოხატა, რომ 1922 წელს ფართოდ აღნიშნა მისი მოღვაწეობის 40 წლის იუბილე. კერძოდ, ხსენებული წლის 22 ოქტომბერს თბილისის კონსერვატორიის დარბაზში გამართულ საიუბილეო საღამოზე შეკრებილმა დიდალმა ხალხმა ჩვენი ქვეყნის სამაგალითო მეგობარს კიდევ ერთხელ უთხრა მადლობა იმ საქმეთათვის, რითაც მან ფასდაუდებლად მნიშვნელოვანი როლი შეასრულა გერმანულენოვანი მკითხველებისათვის ქართული მწერლობის რჩეული ნიმუშებისა და საქართველოსთან დაკავშირებული საკითხების გაცნობის საქმეში.

საქართველოსთან არტურ ლაისტის სულიერი სიახლოვე არა მარტო მისი მთარგმნელობითი საქმიანობისა და ქართველოლოგიური კვლევების უმთავრეს მიმართულებებად იქცა, არამედ ორიგინალური შემოქმედებითი მოღვაწეობითაც გამოვლინდა, რის შედეგადაც მან ქართული ყოფის ამსახველი არაერთი მხატვრული ქმნილებაც შექმნა. ერთ-ერთი მათგანია „ვარიპანი-ანთ ნინო. მოთხოვთ საქართველოს ცხოვრებიდან“ (ქართულად თარგმნა ივანე მაჩაბელმა. იხ: უურნალი „მოამბე“, 1895 წ. № II, III, IV).

ხსენებული ნაწარმოები გამოქვეყნებისთანავე იქცა იმდროინდელი ჩვენი ლიტერატურული საზოგადოების ინტერესისა და განხილვის საგნად. კერძოდ, ცნობილმა კრიტიკოსმა კიტა აბაშიძემ მოთხოვთ გამოქვეყნებიდან მალევე გაზრდ „ივერიის“ 1895 წლის 211-ე და 212-ე ნომრებში დასტამბული ვრცელი კრიტიკული წერილით უკომპრომისოდ ნარმოაჩინა ნაწარმოების ღირსებებიცა და ნაკლოვანი მხარეებიც. მისი შეფასებით, არტურ ლაისტის ეს მოთხოვთ ქართველი მკითხველისათვის თუნდაც იმიტომ იყო „მრავალ გზის შესანიშნავი“ ნაწარმოები, რომ იგი უცხოელი ავტორის მიერ იყო დაწერილი და „გვამცნებდა უცხოელი მწერლის აზრსა და შეხედულებას ჩვენს ცხოვრებაზედ.“ აღნიშნულ გარემოებასთან ერთად, მოთხოვთის ღირსებად კ. აბაშიძე იმასაც მიიჩნევდა, რომ უცხოელ ავტორს „თავისის მოთხოვთის საგნად ისეთის წრის გამოხატვა ჰქონდა აღებული, რომელსაც ჩვენი ლიტერატურა გვერდს უხვევდა.“

ჩემი აზრით, კიტა აბაშიძის მიერ არტურ ლაისტის მოთხოვთის განსაკუთრებულ ღირსებად მიჩნეული ის გარემოება, თითქოს უცხოელმა მწერალმა პირველად აქცია მხატვრული წარმოსახვის საგნად შესაბამისი პერიოდის ჩვენი მწერლობის ყურადღების მიღმა დარჩენილი საზოგადოებრივი წრის ცხოვრება, სინამდვილეს არ შეესაბამება. ვფიქრობ, ვისაც გერმანელი მწერლის ეს მოთხოვთ წაუკითხავს, იგი სადავოდ არ გახდის იმ ფაქტს, რომ XIX საუკუნის ქართულ მწერლობაში ნამდვილად არ იგრძნობა ა. ლაისტის მიერ წარმოსახულ სოციალურ ფენათა წარმომადგენლების (თავად-აზნაურთა, გლეხთა, ინტელიგენტთა, მსახურთა...) სიმცირე.

მოთხოვთის საფუძვლიანად გაანალიზებასთან და ავტორისეული სათქმელის სიღრმისეულად გააზრებასთან ერთად, კიტა აბაშიძემ იმ გარემოებასაც სავსებით მართებულად გაუსვა ხაზი, არტურ ლაისტის ხსენებული ნაწარმოები მხატვრული ოსტატობის მხრივ ნაკლოვან ქმნილებას რომ წარმოადგენს. კერძოდ, კრიტიკოსის შეფასებით, გერმანელი ავტორის ბელეტრისტულ ტექსტს აშკარად „აკლდა ის „რაც მწერლობის ნიჭის მაჩვენებელია...“

აკლდა ის „რაღაც,“ ის „ციური ნაპერწკალი,“ რომელიც შეადგენს საუკეთესო რასმე სიტყვაზემულ მწერლობისა და არ მოიპოვება არც შრომით და არც კითხვით. ის ლვთისგან მონიჭებული რამ არის. ეს ბ-ნ ლეისტს აკლია. ეს მოთხოვობა მცოდნე კაცის დაწერილია და არა ნიჭიერი მწერლისა.“

ხსენებული მოთხოვობა გამონაკლისი არ არის და კიტა აბაშიძის მიერ გამოთქმული ეს შენიშვნა მეტ-ნაკლები მასშტაბებით შეიძლება გავიმეოროთ არტურ ლაისტის სხვა მხატვრული ტექსტების მიმართაც. გერმანელი მწერალი აღნიშნული თვალსაზრისით გაცილებით მეტ პროფესიონალიზმა და სიტყვიერ ხელოვნებას ავლენს მის პუბლიცისტურ წერილებში, რომელთა უმეტესობაში ავტორისეული სათქმელი ბელეტრიზებული ფორმითაა მოთხოვობილი.

XIX საუკუნის ბოლო ათწლეულის ქართული ყოფის წარმოსახვა არტურ ლაისტმა ორგანულად დაუკავშირა ცხოვრებისეული რეალობისადმი არსებითად განსხვავებულ იმ დამოკიდებულებას, რომელიც შესაბამისი პერიოდის ფეოდალური არისტოკრატის ძველ და ახალ თაობათა წარმომადგენლებს მიჯნავდა ერთმანეთისაგან. შესაბამისი პერიოდის ქართულ რეალობაში თაობათა შორის ამ თვალსაზრისით არსებული განსხვავების წარმოჩენას გერმანელმა მწერალმა კიდევ უფრო დიდი მასშტაბები იმითაც შესძინა, რომ ცხოვრებისეულ დინებას ჩამორჩენილი და კონსერვატული ყოფითი აზროვნებით შებოჭილ მისეულ პერსონაჟთა პიროვნული სახეები გარკვეულნილად ევროპულ რეალობასთან შეპირისპირებული ფორმითაც წარმოსახა.

ავტორისეული სათქმელის გააზრების დროს განსაკუთრებული ყურადღება პირველ ყოვლისა ორ გარემოებას მინდა მივაქციო - ერთის მხრივ, იმას, რომ მოთხოვობის მთავარი პერსონაჟი ლევან ჩაგანი მთელი იმერეთის მასშტაბით მატერიალური წარმატებებით გამორჩეულ პიროვნებად პირველ ყოვლისა იმით იქცა, რომ მას განათლება ევროპაში, კერძოდ კი გერმანიაში, ჰერინდა მიღებული და მისი ყოველდღიური პრაქტიკული საქმიანობა სწორედ ამ ცოდნაზე იყო მყარად დაფუძნებული.

შესაბამისი პერიოდის ქართული რეალობა არტურ ლაისტმა არისტოკრატიული ფენის სამი განსხვავებული თაობის წარმომადგენელთა ცხოვრებისეული თვალთახედვის განზოგადებული წარმოსახვით გვიჩვენა. კერძოდ, უფროსი თაობის წარმომადგენლები უკვე ახალ ცხოვრებისეულ რეალობას მოწყვეტილ და დროის მდინარეებას ჩამორჩენილ ადამიანებად არიან ქცეული. ამ გარემოებას არა მარტო მათი მატერიალური მდგომარეობისთვის დაუსვამს მომაკვდინებელი დაღი, არამედ ისინი თავიანთი კონსერვატული შეხედულებებითაც და ახალი ცხოვრებისეული რეალობის აღქმითაც წარმოადგენ დროებისაგან გარიყულ და დასაღუპავად განწირულ ადამიანებს. არტურ ლაისტის მიერ წარმოსახულ პერსონაჟთაგან განსაკუთრებულ ყურადღებას ამ თვალსაზრისით პირველ ყოვლისა მოთხოვობის მთავარი პერსონაჟის - ნინოს ბაბუა იქცევს. თუმცა იგი გამონაკლისი არ არის და მსგავსი სოციალური ბიოგრაფიის მქონე პიროვნებანი მოთხოვობაში სხვებიც არიან.

რაც შეეხება გერმანელი მწერლის მიერ წარმოსახულ მამათა თაობის უმეტესობას, ისინი ცხოვრების უდიდეს ნაწილს ლოთობაში, დროსტარებასა და ფუქსავატურ ყოფაში ატარებენ და საამისოდ საჭირო სახსარს მამულებისა და მატერიალური ქონების განიავებით შოულობენ. ბატონყმობის გადავარდნის შემდგომი პერიოდის საქართველოში საკმაოდ ფართოდ მიმდინარე ეს მომაკვდინებელი პროცესი ა. ლაისტის მოთხოვობაში ნინოს მამის ცხოვრების მაგალითზეა ნაჩვენები.

მიუხედავად იმისა, რომ უფსკრულისაკენ დაქანებული თავისი დიდი და ერთ დროს მატერიალური შეძლებით გამორჩეული ოჯახის გაბედითების მომაკვდინებელი ეს მოვლენა ნინოს ბაბუას რეალურად აქვს გაცნობიერებული, იგი უძლურია, მის შვილს ცხოვრების წესი შეაცვლევინოს და ამ მდგომარეობიდან თავის დასაღწევი გზა მოძებნოს.

როგორც ითქვა, განხილული მოთხოვობა გამონაკლისი არ არის და ქართული თემატიკა ფაქტობრივად არტურ ლაისტის მთელი მხატვრული შემოქმედების უმთავრეს თემად იყო დამკვიდრებული.

საქართველოში ცხოვრების პერიოდში არტურ ლაისტი ჩვენი ქვეყნის ყოველი მხარის მკვიდრთა ისტორიითა და თანადროული ყოფით იმდენად იყო დაინტერესებული, რომ ამ რეგიონებში საკმაოდ ხშირად მოგზაურობდა, მათ შესახებ არსებულ მასალებს, მათ შორის „ქარ-

თლის ცხოვრებასა” და სხვა სახის ისტორიულ დოკუმენტებსაც, საგულდაგულოდ სწავლობდა, იქაურთა ყოფას ეცნობოდა და ამ საფუძველზე შექმნილი თავისი მხატვრული და პუბლიცისტური ტექსტებით უაღრესად მნიშვნელოვან როლს ასრულებდა საქართველოთი და ქართული მწერლობით ევროპელთა დასაინტერესებლად.

ყოველივე ზემოთქმულის დასტურად მკითხველის ყურადღება მინდა მივაპყრო რამდენიმე ნიმუშს მისი მხატვრული ნააზრევიდან.

საუბარს დავიწყებ მეზღვაურთა ცხოვრების ამსახველი ერთი პატარა მოთხრობის - „აბ-დულის“ განხილვით, რომლის მეშვეობითაც მწერალი ერთ უაღრესად საინტერესო ეპიზოდს მოგვითხრობს დედასამშობლოსთან ახლად შემოერთებული აჭარის მკვიდრთა ცხოვრებიდან.

ავტორისეული მონათხრობის მიხედვით გარკვეული წარმოდგენა გვექმნება იმ გაორებულ ცნობიერებაზე, რომელმაც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ოსმალეთის იმპერიის კირთებქვეშ მცხოვრები აჭარლების გარკვეული ნაწილის ცნობიერებაში ჰპოვა გამოვლინება მეტ-ნაკლები მასტიაბებით. კერძოდ, მიუხედავად იმისა, რომ აჭარის მკვიდრ მოსახლეობას თავისი ეთნიკური ქართველობა ეჭვქვეშ არასოდეს დაუყენებია და მათ ერთადერთ საკომუნიკაციო საშუალებას ქართული ენა წარმოადგენდა, რელიგიური ფაქტორიდან გამომდინარე, ცალკეული პიროვნებანი გარკვეულწილად მაინც აღმოჩნდნენ ეროვნული გაუცხოების გზაზე დამდგარნი.

არტურ ლაისტის მოთხრობა სწორედ ამ პრობლემისადმი მიძღვნილ მხატვრულ ტექსტს წარმოადგენს და ხსენებული პრობლემა მასში შთამბეჭდავი ფორმითაა წარმოჩენილი ერთ ქობულეთურ ოჯახთან დაკავშირებული ამბის მოთხრობის შედეგად. ნათქვამისათვის მეტი სიცხადის მისაცემად გავიხსენებ ძირითად სიუჟეტურ შტრიხებს ნანარმოებიდან.

მოთხრობის მთავარი პერსონაჟის, ქობულეთში დაბადებული და გაზრდილი აბდულის მამის წინაპრები ქრისტიანი ქართველები იყვნენ. მაგრამ ოსმალების მიერ მათი მხარის დაპყრობის შემდეგ მისი ბაბუა იძულებული გახდა გამუსალიმანებულიყო. ამისდა მიუხედავად, მის მემკვიდრეთა ოჯახებში ქართული ენა კვლავაც რჩებოდა ერთადერთ საურთიერთო საშუალებად.

რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის შედეგად დედასამშობლოსთან აჭარის შემოერთების შემდეგ ვითარება არსებითად შეიცვალა და ბათუმში ქართლიდან, გურიიდან და იმერეთიდან მრავლად ჩამოსახლებული ქართველებისაგან „აჭარლებმა გაიგეს, რომ ისინი ყველანი ძმები არიან, რომ ძალათ მოსწყვიტეს საქართველოსა და ძალათვე გაამაჰმადიანეს“ (ა. ლეისტი, საქართველოს გული, თბ. 1927 წ. გვ. 41).

მიუხედავად აჭარის მკვიდრთა ცნობიერებაში ეროვნული და სარწმუნოებრივი თვალსაზრისით მომხდარი ამ გარდატეხისა, მათი ცალკეული წარმომადგენლები, უმთავრესად რელიგიური ფაქტორის მძლავრი ზეგავლენის შედეგად, გაორებულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. კერძოდ, მათ „რაღაცა ძალა იზიდავდათ თათრებისაკენ და ძველებურად დადიოდნენ მეჩეთში.“

ერთ-ერთ სწორედ ასეთ პიროვნებას წარმოადგენდა აბდულის მამა, რომელმაც დედასამშობლოსთან აჭარის შემოერთებიდან ერთი წლის შემდეგ ქობულეთში მცხოვრები ცოლი და ექვსი წლის შვილი დატოვა და თავად რიზეში წავიდა, სადაც ათი წლის განმავლობაში ეწეოდა სავაჭრო-კომერციულ საქმიანობას. ავტორისეული განმარტებით, მან ეს სარისკო ნაბიჯი პირველ ყოვლისა იმიტომაც გადადგა, რომ არსებითად შეცვლილი ვითარების გამო მშობლიურ ქობულეთსა და ბათუმში ცხოვრებას „თურქებთან და ლაზებთან ყოფნა ერჩივნა.“

ათი წლის შემდეგ შინ დაბრუნებულმა აბდულის მამამ ცოლ-შვილის ნახვით, მართალია, ძალზე გაიხარა, მაგრამ უკმაყოფილ დარჩა იმით, რომ მისი შვილი მხოლოდ ქართულად საუბრობდა და საერთოდ არ იცოდა თათრული ენა. ოჯახში რამდენიმე კვირით დარჩენის შემდეგ აბდულის მამა შვილთან ერთად ბათუმში წავიდა, სანდალი იყიდა და ბათუმსა და რიზეში წარმატებული კომერციული საქმიანობა გააჩალა.

მიუხედავად იმისა, რომ იგი ძალიან კმაყოფილი იყო შვილის მიერ ამ საქმეში გამოვლენილი აქტიურობითა და მოხერხებულობით, აშკარა უკმაყოფილებას გამოხატავდა იმის გამო, რომ „ის უფრო სხვა პროვინციებიდან მოსულ ქართველებს ეტანებოდა, ვიდრე აჭარლებს“. მისგან განსხვავებით, თავად ის კი „მთელი საათობით იჯდა რიზეს სანაპიროს ყავახანაში და ყალიონის წევით ოსმალურად ესაუბრებოდა სხვა მეზღვაურებს. ეს მას სიამოვნებდა და ვერ გაეგო, თუ აბდულს როგორ შეეძლო სხვა რამ გასართობი ეძებნა“.

მაგრამ გარკვეული დროის გასვლის შემდეგ ვითარება რადიკალურად შეიცვალა და აბდულის მამის ცნობიერებაში რადიკალური გარდატეხა მოხდა. ეს მოვლენა არსებითად განაპირობა მისი შვილის სასიყვარულო ურთიერთობამ იმერელ ქალიშვილთან. ამ ამბის შეტყობით გულნატკენი მამა თავიდან კატეგორიულად აღუდგა წინ მათ სიყვარულს და თავისი უკმაყოფილება ამ სიტყვებით გამოხატა: „რად გინდა, შვილო, მაინცა და მაინც იმერელი ქალი შეირთო და არა აჭარელი... ხომ შეგეძლო გენახა აჭარელი“ (ა. ლეისტი, საქართველოს გული, თბ. 1923 წ. გვ. 1927: 45).

მიუხედავად იმისა, რომ აჭარელისა და იმერელის ამგვარ დაპირისპირებაში მწერალი რელიგიური რწმენის განსხვავებულობას არსად ახსენებს, ნაწარმოების შინაარსობრივი კონტექსტიდან აშკარად ჩანს, რომ იმერელისა და აჭარელის ერთმანეთისაგან გამმიჯვნელ უმთავრეს ფაქტორად აბდულის მამა უპირველეს ყოვლისა სწორედ ამ მოვლენას მიიჩნევს - ჩვენი ქვეყნის ამ ორი მხარის მკვიდრთა ერთმანეთისაგან განცალკევებას სარწმუნოებრივი თვალსაზრისით.

მაგრამ ის, რაც აბდულის მამისთვის პრობლემად მიჩნეულ ბარიერს წარმოადგენს, შვილისთვის, პირიქით, მისი ეროვნული ცნობიერების განმამტკიცებელ მოვლენადაა ქცეული, რაც ნათლად ვლინდება შვილის მიერ მამისთვის მიმართული ამ სიტყვებით: „მე მთელი ჩემი ბავშვობა გურულებსა და იმერლებს შორის გავატარე და იმათგან შევიგნე, რომ ჩვენც ისეთივე ქართველები ვართ, როგორც ისინი. მაგრამ თათრებმა მოგვწყვიტეს ჩვენ მათ და სულ სხვა გზას დავადექით. ეხლა კი კვლავ მინდა დავუბრუნდე ჩვენს საერთო სამშობლოს და კატოს შეუძლიან დამაკავშიროს მასთან“.

მართალია, შვილის მიერ ამ სიტყვებით გამოხატული ეროვნულ-სარწმუნოებრივი თვალთახედვა მამასა და მის მემკვიდრეს შორის გარკვეული დროის განმავლობაში ამის შემდეგაც დარჩა დაუძლეველ ბარიერად, მაგრამ ეს სირთულე დროთა განმავლობაში აბდულის მამამაც დაძლია წარმატებით და არა მარტო სიტყვიერად მისცა შვილს იმერელ ასულზე დაქორწინების უფლება, არამედ ამ გადაწყვეტილების მიღებით ფაქტობრივად მანაც გადადგა არსებითად მნიშვნელოვანი ნაბიჯი ისტორიულ სამშობლოსთან განყვეტილი ურთიერთობის აღსადგენად და მშობლიურ წიაღთან დასაბრუნებლად.

ისტორიული ავბედობის შედეგად ჩვენი ქვეყნის ამ კუთხეში შექმნილი პრობლემის აღნიშნული რაკურსით გააზრებასა და ამგვარ გადაწყვეტას განსაკუთრებულ მნიშვნელობას სძენს ის ფაქტი, რომ ამ მოვლენის ასეთი სახით განმსჯელ-შემფასებლის როლში უცხოელი მწერალი გვევლინება.

**ლუკა დვალიშვილი** – პროფესორი, ქ. ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი

## ქართულ პოლონერი ურთიერთობები ქართველ მოღვაწეთა მოგონებები (აკაკი წერეთელი, ილია ჭყონია)

საქართველოსა და პოლონეთის სახელმწიფოების ერთმანეთისგან საკმაო გეოგრაფიული სიშორის მიუხედავად, ქართულ პოლონური ურთიერთობები, დარწმუნებით შეიძლება ითქვას რომ ყოველთვის განსაკუთრებული იყო. თუმცა ფაქტია, რომ ამ ორი დიდი ისტორიის, კულტურისა და ტრადიციების მქონე ქვეყნებს შორის ურთიერთობა განსაკუთრებულ სულიერ სიახლოვედ გადაიზარდა, მეცხრამეტე საუკუნის 20-30 იან წლებში, როცა საქართველოში გადმოასახლეს 1830-32 წლების რუსეთის იმპერიის კოლონიალური პოლიტიკის წინააღმდეგ მიმართული პოლონეთის აჯანყების მონაწილეები. პოლონეთის აჯანყებამდე, მე-19 საუკუნის დასაწყისში, საქართველოშიც დაიწყო რუსი დამპყრობლის წინააღმდეგ მიმართული წინააღმეგობის მოძრაობა, რომელმაც თავის აპოგეას მე-19 საუკუნის 20-იანი წლების ბოლოს მიაღწია. იგი მიმდინარეობდა თითქმის პოლონეთის აჯანყების პარალელურად და 1832 წელს იქნა გამოაშეარავებული. ამ შემთხვევაში უკვე პოლონეთში აღმოჩნდა ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგობის მონაწილე ქართველი თავადა-აზნაურებთა ერთი ნაწილი. გიორგი ერისთავი და სხვ. 1832 წლის შეთქმულებასთან დაკავშირებული იყვნენ თბილისის გენერალ-გუბერნატორი პეტრე ზავილეისკი, – წარმოშობით პოლონელი, საფრანგეთის კონსული ლეტელიე და სხვები.

როგორც ცნობილია ქართველი შეთქმულები დიდ იმედებს ამყარებდნენ 1830 წლის პოლონეთის ეროვნულ მოძრაობაზე. პოლონეთის აჯანყებასთან დაკავშირებით საქართველო-დან გაიწვიეს მთავარმართებული გენერალი პასკევიჩი. იმპერიის სამხედრო ნაწილები პოლონეთის წინააღმდეგ მოშენები იყო ჩაბმული. ეს გარემოება ქართველ შეთქმულებს წარმატების დიდ იმედებს უსახავდა. უფრო მეტიც, ქართული წინააღმდეგობის მოძრაობის მონაწილენი ფიქრობდნენ რომ 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობას მიიღებდა საქართველოში გადმოსახლებული პოლონელები, დაახლოებით 500 კაცი. სამწუხაროდ ცარიზმა შეძლო პოლონეთის აჯანყების ჩახშობა, რამაც შეთქმულთა საქმიანობა ერთგვარად შეანელა და ბოლოს ქართველ მამულიშვილთა შეთქმულება გამოააშეკარავა კიდეც.

ზემოთქმულიდან გამომდინარე ფაქტია რომ ქართულ-პოლონური ურთიერთობები განსაკუთრებით გაძლიერდა და ინტენსიური გახდა მე-19 საუკუნის 20-30-იანი წლებიდან. ეს დაახლოება კიდევ უფრო ნიშანდობლივად დაეტყო კულტურის სფეროს. ქართული საზოგადოების საინტერესო და ცნობილი წარმომადგენლები მშობლიურ ენაზე თარგმნიდნენ პოლონელ მწერალთა თხზულებებს. მაგ. გიორგი ერისთავი და სხვ. ასევე ამ პერიოდში ქართულიდან პოლონურად ითარგმნა „ვეფხისტყაოსანი.“ კერძოდ 1840-იან წლებში კაზიმირ ლაფრინსკიმ, გიორგი ერისთავის დახმარებით, ქართული პოეზიის მარგალიტი და მსოფლიო მწერლობის შედევრი, „ვეფხისტყაოსანი“ პროზაულად პოლონურ ენაზე თარგმნა. ქართული კულტურის მუშაკები ყოველთვის დიდი სიყვარულითა და პატივისცემით საუბრობდნენ და წერდნენ ქართველთა და პოლონელთა ურთიერთობების შესახებ. მათ შორის გამორჩეულია დიდი ქართველი პოეტის – აკაკი წერეთლის მოგონება თავისი უსაყვარლესი და გამორჩეული პოლონელი მასწავლებლების, როდზიევიჩის შესახებ. ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის გამორჩეულ წარმომადგენელს – აკაკის მიაჩნია, რომ მე-19 საუკუნის შუახანებში ქუთაისისი კლასიკურ გიმნაზიაში მოღვაწე პოლონელი ხალხის ღირსეული შვილი როდზიევიჩი გახდა მისი ცხოვრების პირველი მეკვლე და წინამდლოლი. აკაკისთვის იგი იყო მაგალითი, თუ როგორ უნდა გიყვარდეს, ემსახურო და იღვაწო სამშობლოსა და თანამემამულების კეთილდღეობისთვის. აკაკი გულისტკივილით წერს რუსული საგანმანათლებლო სისტემის შესახებ, რომელიც კიდევ უფრო მძიმე და გაუსაძლისი იყო იმპერიის მიერ დაპყრობილ და განაპირობებში. რუსეთის იმპერიის

მესვეურთა მიერ შეგნებულად გაუკულმართებული საგანმანათლებლო სისტემა საფუძველშივე ახშობდა მომავალი თაობის გონიერივ და ზნეობრივ განვითარებას.

პოეტის თქმით: „ცხადია, რომ ამგვარ პირობებში ჩაყენებული მოზარდი თაობა ვერას გამოიტანდა ბევრს გიმნაზიიდან, რომ ამ საზარელ ბნელში ერთი ნათელიც არ გამოვჩენოდა. ეს იყო პოლონელი როდზიევიჩი, რომელიც ჯერ პროფესორად ყოფილიყო.“ აკავის უსაზღროდ უყვარდა და პატივს ცემდა თავის მასწავლებელს, ამიტომ გულისტკივილით აღნიშნავს, რომ ამ იშვიათი ნიჭისა და პედაგოგიური ალლოს მქონე პიროვნებას, რთული და მძიმე ცხოვრების გამო საკმაოდ გადამეტებული სიხლოვე და დამოკიდებულება ჰქონია ალკოჰოლისადმი, რომლის „გულისთვის დაეთხოვათ, მაგრამ სატავროპოლში ეშვოვნა ინსპექტორობა. მერე იქედანაც გამოეგდოთ და ჩვენში გადმოიყვანეს მათემატიკის მასწავლებლად. ეს ლოთი მასწავლებელი ყურადღებასაც არ აქცევდა თავის საგნებს, არც ალგებრას, არც გეომეტრიას, არც ტრიგონომეტრიასა და ფიზიკას; ჩვენს ნებაზე მოაგდო მათი სწავლა და ჩვენ როცა გავიძნელდებოდა გაგება რამესი, მაშინ დავეკითხებოდით და მშვენივრადაც აგვისხნიდა ხოლმე. საკვირველია, რომ მისი საგანი ყველაზე უკეთ ვიცოდით. რაღაი შეგვატყო, რომ გონებადაბშული და განუვითარებელი არიანო, სულ სხვა რამეზე გვესაუბრებოდა და ცდილობდა ჩვენს გამოფხიზლებას.“

არავითარი გადამეტება არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ქართველი ხალხის გამორჩეულ შვილს, აკაკი წერეთელს, შეგირდობის ადრეული პერიოდიდან, გაუკულმართებული საგანმანათლებლო სისტემის გამო, საბოლოოდ რომ არ აერია ცხოვრების გზა-კვალი და ლირსეულ საზოგადო მოღვაწედ და უნიჭიერეს პოეტად ჩამოყალიბდა, უდავოდ ამ დიდ საქმეში ლომის ნილი მიუძღვის პოლონელი ხალხის უგანათლებულეს და უკეთილშობილეს მასწავლებელს, როდზიევიჩს. მწერლის თქმით დესპოტურ-დეგრადირებული საგანმანათლებლო სისტემის გამო „გონებადახშულ და განუვითარებელ“ გიმნაზიელებს მხსნელად პოლონელი მასწავლებელი მოევლინა. აკაკი იგონებს: „იმ ხანებში გამოაცხადეს, რომ ვისაც უნდა რუსეთში წასვლა და უმაღლეს სასწავლებელში შესვლა, იმან ლათინური უნდა ისწავლოს, და ვისაც მხოლოდ გიმნაზიის გათავება უნდა, იმან სჯულის კანონი შეისწავლოს, და თუ პირველ შეგირდად გამოვა, ჩინსაც მიიღებსო. ჩინს მაშინ დიდი მომხიბლავი მნიშვნელობა ჰქონდა. მაგრამ ყველა ჩემმა ამხანაგმა, თუმცა ზოგი მათგანი ვერც კი წავიდოდა რუსეთში სილარიბის გამო, ლათინური ირჩიეს. ერთმა მათგანმა მხოლოდ და მეორემ მეც, სჯულის კანონის შესწავლა მოვინდომეთ ჩინის სურვილით წარტაცებულებმა. იმ ხანებში რუსული ენის მასწავლებელმა გვიბრძანა: აიღეთ რაც გინდათ და თქვენდა თავად თხზულება დასწერეთ, მაგრამ დიალოგებად კიო. მე ავიღე და დავწერე ერთი ახირებული რამ. მასწავლებელმა რომ წაიკითხა, ინსპექტორს გადასცა და მას საპედაგოგო რჩევაში წარედგინა და ეთქვა: „ამის დამწერი თუ ახლავე არ აიღავა, არ ივარგებსო.“ რჩევაზე როდზიევიჩს გამოედვა თავი: მაგის დამწერი კარგი ვინმე გამოვა და, გაწყრომა კი არა მოფერება ეჭირვებაო. მე ვთხოულობ, რომ იმას ძალა დაატანოთ ლათინური შეისწავლოს და მაღალ სასწავლებელში სადმე შევიდესო. მჭერმეტყველებამ გაიტაცა, გადაიყოლია ზოგიერთი სხვებიც და დირექტორმაც ბანი მისცა. შემიხმეს მეც. – ეს შენი დაწერილია? მკითხა დირექტორმა. დიახ, ვუპასუხე ცოტა შემეტალმა. მერე როგორ გაბედე, რომ მთავრობის მოსამსახურე პირებს ასე ცუდად იხსენიებ? ის გადამდგარი ჩინოვნიკია. სულ ერთია, უპატიურად შეხება მანიც არ შეიძლება! ის დამსახურებული იქნებოდა და პენსიაც ექნებოდა, დაუმატა მრისხანედ ინსპექტორმა – წაიღე და გადასწორე სხვანაირად! – თუ მხოლოდ ეგ არის წუნი, ეგ ადვილია: წაგმლი სიტყვას „გადამდგარი“ და დავწერ „გამოგდებულს.“ „გამოგდებული“ თუ კარგი ყოფილიყო ისევ სამსახურში იქნებოდა. დირექტორმა გაიცინა და გამიშვა. იმ დღიდან მეც ლათინურზე გადავედი.“

აკაკის მოგონების დასახელებული ეპიზოდით კიდევ ერთხელ დასტურდება რა შეუმცდარი ალლო ჰქონდა და როგორი პრინციპული პედაგოგი იყო როდზიევიჩი. შესაძლებელი იყო, გიმნაზიელის გამო მის ასეთ თავგამოდებას ცუდი შედეგი მოჰყოლოდა და სიკეთისა და ჭეშმარიტების მცველ როდზიევიჩს სამსახურიც კი დაეკარგა და ულუკმაპუროდ დარჩენილიყო, მაგრამ იგი ამას არ შეუმინდა, რითაც საწალმართო ორიენტირი მისცა უსამართლოდ დაზიაგრულ გიმნაზიელს. როგორც დიდი პოეტი იგონებს: „ამის შემდეგ კიდევ უფრო შემიყვარა როდზიევიჩმა და განსაკუთრებულ ყურადღებას მაჟცევდა. საკვირველი იყო მისი საქმე: ისე

გაუღენთილი ჰქონდა გვამი არაყით, რომ ხანდახან რომ კიდეც არ დაელია, ისე თავისთავად მოუვლიდა სიმთვრალე. ერთხელ მოუარა გაკვეთილების დროს და მოწაფეს, რომელის დაფას-თან იდგა და გეომეტრიულ სახეებს ხატავდა, მიაყვირა: „აბა ჩამოუარე ლეკურიო“ და ტაშის კვრა დაიწყო. გაშემდა მოწაფე, ჩვენც შევწუხდით, მაგრამ იმან მაინც თავისი არ დაიშალა: „როგორ თუ შენ ნაციონალური ცეკვა გეზიზლებაო?! არ იცი, რომ ხალხურ სიმღერებსა და ცეკვაში მისი სული იხატება? აი, ლეკურიც ხომ ქართულია, ცოცხალი რამ არისო!“ დაუკრა ვითომ თვითონ ლეკური, მერე გადავიდა მაზურკაზე: „აი ესეც ჩვენი გამოგონილი თამაში და შეუპოვარი მაზურკაო! და ახლა ესეც ნახეთ რასა ხატავსო“ და დაუარა „ტრეპაკა“ უწმანური გინებით შეკაზმული. ბოლოს შეჩერდა, დაავლო ქუდს ხელი და გავარდა კარში. ჩვენ ღმერთს მადლი შევწირეთ, რომ არც დირექტორი, არც ინსპექტორი და არც სხვა ვინმე შემოგვსწრებია. ისე შეგვებრალა, რომ არ ვიცოდით გვეცინა თუ გვეტირა! მესამე დღეს ძალიან დარცხვენილი შემოვიდა. დიდხანს ხმას არ იღებდა და ბოლოს დაიწყო: „,ყმაწვილებო! ძველ საბერძნეთში განგებ დაათრობდნენ ხოლმე მონებს და მათ უსაქციელობას თავის შვილებს აყურებინებდნენ, რომ მათვის თვალდათვალ დაენახვებინათ, თუ რა საძაგლობაა კაცი რომ დათვრება, გონ-ებას დაჰჰკარგავს და პირუტყვს დაემსგავსება. გუშინნინ დაგანახეთ თქვენ ამგვარი რამ. ეცა-დეთ რომ გაუმაგრდეთ ცხოვრებას, აიტანოთ გასაჭირო და ჩემსავით არ გაგაფუჭოთ. რა ვარ ახლა მე? განა არ ვგრძნობ, რომ ფიზიკურად დამახინჯებული კაცი ვარ? მაგრამ მაინც მად-ლობა ღმერთს, ამ ფიზიკურმა დამახინჯებამ სული და გული წმინდად, შეუბლალავად შემი-ნახა.“ კლასის გამოსვლამდე სულ ამნაირად გვემუსაიფა და მოგვშორდა. ჩვენ თითქმის ყველა ვტიროდით და კიდევ უფრო გვებრალებოდა.“

ეს გახლავთ ჭეშმარიტი მასწავლებლისა და მოძღვრის გულწრფელი აღსარება. სწორედ ამიტომ უყვარდათ და აფასებდნენ მას გიმნაზიელები. მე-19 საუკუნის შუა ხანებში როცა ცარიზმის დამპყრობლური პოლიტიკის წარმომადგენლები ყოველნაირად აკნინებდნენ და ჩქ-მალავდნენ დაპყრობილი ხალხების ნაციონალურ ინტერესებსა და ღირსებას, როდზიევიჩი, სავსებით სამართლიანად მიუთითებდა მოწაფეებს, რომ ნაციონალურ ცეკვებსა და სიმღერებ-ში ერის სული იხატება. აკაკი წერეთლის აღფრთოვანება და სიყვარული თავისი მასწავლებ-ლის მიმართ კიდევ უფრო გაიზარდა მოგონებებში დაცული ერთი ფაქტის გამო. მისი თქმით, როცა „უკანასკნელ კლასში რომ გადავედით, მე ფრანგულის მასწავლებლის მუსიე ტურესის სახლში ვიდექი. ერთხელ საღამოს სტუმრად შემოჰყევა როდზიევიჩი; დაჯდნენ ორი მარტო და ჩაის დაუწყეს სმა. სტუმარმა რომი მოითხოვა, თვითონაც დაისხა და მასპინძელსაც დაუსხა, შეჰყვნენ ნელ-ნელა მუსაიფა. შეზარხოშებულმა ფრანგმა დიდი რევოლუცია მოიგონა და აღტა-ცებით დაიწყო ლაპარაკი. სტუმარმა პოლონეთი გაიხსენა, და მოხსნეს თავი სიფრთხილეს, მით უფრო, რომ იქ იმ ორისა და ჩემს მეტი არავინ იყო. მე ჩემთვის კუთხეში ვიჯექ, ასე რომ მგონი ვერც კი შემნიშნეს, იმათმა აბდაუბდა საუბარმა ისე გამიტაცა, რომ რაღაც უჩვეულო სასუფეველი ვიგრძენი, სმენად გარდავიქეცი. ბოლოს თქვა ამოოხვრით როდზიევიჩმა: – „ახლა რაღა დროს, ვწუხვარ რომ სამხედრო სამსახურში არ შევედი, რომ სარდალი გავმხდარიყავ და მარჯვე დროს ქვეყნისთვის კონრადივით სამსახური გამენია!“ ეს რომ ჩამენვეთა ყურში, ჩემი თავი ვეღარ ვიცანი! იმ ღამეს არ დამეძინა. ვამბობდი: „რა მინდა უნივერსიტეტში? რა კარგი იქნება სამხედრო სამსახური? ოდესმე სარდალი გავხდება! რაც ადრე შევუდგები საქმეს, ის აჯობებს, და ამ ერთ წელინადს მაინც ხომ, – უკანასკნელს კლასში ახალს არას გვასწავლიან, ძველებს გვამეორებინებენ, და გამოვალ, არსად წავალ-მეტე.“ გადავწყვიტე და გამოვუცხადე მამაჩემს ჩემი სურვილი. მამას ძალიან იამა: – „შენი ნებაა შვილო! მე შენი ხნისას ცოლი მყავდა და ოჯახს ვეკიდეო.“ მაშინვე გამოვედი სასწავლებლიდან, რითაც ყველა გავაკვირვე და დი-ლიდან საღამომდე როდზიევიჩს აღარ ვშორდებოდი. ოთხი თვე დავრჩი, მაგრამ ეს ოთხი თვე უფრო ნაოფიერი იყო ჩემთვის, ვიდრე რვა წელინადი გიმნაზიაში მყოფობის დროს.“ ყოველი ზემოთქმულიდან ცალსახად დასტურდება რომ აკაკი წერეთლის მიერ საუნივერსიტეტო გა-ნათლების მიღებასა ღირსეულ მამულიშვილად ჩამოყალიბებაში უდიდესი წვლილი შეიტანა პოლონელი ხალხის დიდებულმა შვილმა როდზიევიჩმა. თუ არა მის მიერ სწორი სამომავ-ლო ორიენტირების წინასწარმეტყველური ჭვრეტა შეიძლება საქართველოს ასე მრავალმხრივ გამორჩეული პოეტი და მოღვაწე, აკაკი წერეთელი არც ჰყოლოდა. (მონაცემები აღებულია

წიგნიდან, აკაკი წერეთელი, ჩემი თავგადასავალი, ტ. 4. თბ., 2012 წ.).

ქართველთა და პოლონელთა ძმურ გულშემატკივრულ სიყვარულსა და ურთიერთობებს ასევე დიდი სიყვარულითა და პატივისცემით იგონებს მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის მოღვაწე იღია ჭყონია. მწერალი თავის წიგნში დაცულ მოგონებაბში ეხება რუსეთის მიერ დაპყრობილი პოლონეთის ამბებსაც, სადაც 1832 წლიდან, ქართველი მაღალი ჩინის ოფიცრის, ორბელიან-დავითაშვილის პოლკში, „ხაზინადარათ“ გაუმნესებიათ მამამისი – მირიან ჭყონია. მოგონებები წარმოადგენს მნიშვნელოვან პირველწყაროს, რომელშიც დოკუმენტური, ისტორიული სიზუსტითაა გადმოცემული დაპყრობილი, მაგრამ გაუტეხელი ნების პოლონელი ხალხის ფსიქოლოგია. „პოლაკებს! ერთობ შორს ეჭირათ თავი რუსის მხედრობისაგან და ძალიან ერიდებოდნენ მის სიახლოვეს, ხოლო ამ ცხენოსან-მთიულთა პოლკს კი ძალიან ეფერებოდნენ.“

პოლონელები სულიერ ნათესაობას პოულობდნენ ჯარის იმ ნაწილთან, რომლებიც მათსავით დაპყრობილი ერის შვილებისაგან, „სულ ჩერქეზ აზნაურთაგან იყო შედგენილი.“ ადგილობრივი მოსახლეობა უბრალო სადილსაც კი არ გამართავდა თურმე, თუ ამ პოლკის წარმომადგენელი, განურჩევლად ჩინისა და თანამდებობისა, მოწვეული არ ჰყოლოდათ. მირიან ჭყონია დაახლოებია ერთ-ერთი პოლონელი გრაფის ოჯახს, სადაც იმდენი სიყვარული მოუპოვებია, რომ „პოლაკები ყველა მათგანს ეხვეწებოდა თურმე: „ან თქვენ ისწავლეთ ჩვენი ენა, ანდა ჩვენ გვასწავლეთ თქვენი ენა, ოღონდ კი ავცდეთ ჩვენი საერთო მტრის რუსულ ენაზე ლაპარაკსო!“ გრაფის ოჯახში მირიან ჭყონიას ოჯახის ვაჟისა და ქალიშვილის დახმარებით შეუსწავლია პოლონური და ფრანგული ენები. „სამაგიეროდ მთელს ოჯახს მამა ასწავლიდა, რამდენადაც თვითონ იცოდა, რასაკირველია ქართულ ისტორიას და მწერლობას.“ ერთხელ, როცა მირიან ჭყონია გრაფის ოჯახს ალა-მაჰმად ხანის შემოსევის ამბავს უამბობდა, ბევრისმომსწრე გრაფს ცრემლების ღვრით წამოუძახია: „საწყალი საქართველო და პოლსკა! რა სიმხნემ და თავგანწირულობამ რა უბედურათ ჩაუარათ მათ!“. პატრიოტ პოლონელ გრაფს დამპყრობლი რუსის ჯარში მოსამსახურე ქართველი მხედრისათვის მიუნიშნებია, რომ თავად ჩაგრული ქვეყნის, საქართველოს შვილმა თოფი სამართლიანობისათვის მებრძოლი პოლონელი პატრიოტის წინააღმდეგ არ უნდა მიმართოს. უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნილ მირიანს უთქამს,... რადგანაც ის ხაზინადარია, საბრძოლო ოპერაციებში მონაწილეობას არ მიიღებს, მაგრამ თუ მაინცდამაინც დააძალებენ, ის გრაფს ვეღარ შეხვდება, რადგანაც გრაფის გონებისა და გამოცდილების პატრონი ზურგში უფრო გამოადგება თავის ხალხსო. აღშფოთებულ პოლონელ მამულიშვილ წამოუძახია „როგორ? სამშობლოს განმათავისუფლებელ ბრძოლაში ვინ უნდა მიიღოს მონაწილეობა, თუ არა მე!“ ანალოგიური მზადყოფნა ბრძოლისა გამოუთქვამს გრაფის ქალიშვილსაც. გრაფისავან ნასწავლ-ჩანერგილი საკუთარი ხალხის კეთილდღეობისათვის ბრძოლის შთაგონება მირიან ჭყონიას მთელი სიცოცხლის მანძილზე არ განელებია. ეს ცეცხლი გადასდომ მან თავის ირ ვაჟსა და ერთ ქალიშვილს, რომლებიც ღირსეულ მამულიშვილებად დაიზარდნენ. ამ მარადიულ წმინდა ცეცხლს ნაპერწკალი როგორც ჩანს პოლონური კვესისგან შეენთო.

იმპერიული მონსტრი რუსეთი, რომელიც უხეშ ძალას ემყარებოდა, პოლონეთის 1832 წლის რევოლუციის ჩახშობის შემდეგ უკვე აღარ მაღავდა თავის განზრახვას და საქვეყნოდ ახდენს ძალის დემონსტრირებას. ხელმწიფის გამოცდილი სატრაპეზი, მეფის წინაშე მოცახცახ მონალაქიები, უკვე დაჩიქებულ პოლონეთში მრისხანე და შეუვალ მბრძანებლებად გვევლინებიან. ამ მხრივ იღია ჭყონიას მოგონებიდან საინტერესოა ერთი ეპიზოდი: „იმ დროს მეფისნაცვალს გამოეცხადებოდა ვარშავის სამოქალაქო გუბერნატორი, პოლაკი გრაფი ლადუინსკი (თუ ლოდეუბისკი) და წარედგინა პროექტი სახალხო სკოლების გამრავლებისათვის. პასკევიჩმა ჯერ მოუსმინა თურმე გუბერნატორს, მარა მოხსენების გათავებისთანავე შეუყვირებია. ხომ არ გამოჩერჩეტებულხარ მოხუცო?!. ჩვენ ბრიყვებისთვის ვერ მოგვივლია და შენ ჭკვიანები გინდა გაგვიმრავლო?!. პროექტგაცრუებულმა გუბერნატორმა გამოსვლისას ჩუმად გადაულაპარაკა თურმე მწერლის მამას: გაიგონე ყმანვილო ქართველო, რაც მომაძახა რუსის მეფისნაცვალმა?

ჩვენ ამას გვეუბნებიან, ნეტავ თქვენ რას გელეპარაკებიან?!“ (მასლები აღებული ილია ჭყონიას წიგნიდან „ჩემი დღე და სოფელი“, „მნათობი“ 1932წ.)

ნიშანდობლივია პოლონელი გრაფის სიტყვები. როცა ასეთი დიდი ქვეყნის მიმართ კოლონიური ხელისუფლება ღია, შეუფარავი დესპოტური მეთოდებით ხელმძღვანელობდა, ყველასათვის ნათელი უნდა იყოს, თუ როგორ მოეპყრობოდა იგი დაქუცმაცებულ, ერთ მუჭა საქართველოს. მოგონების ავტორი იმპერიული ხასიათის დეფინიციით ზუსტად წარმოაჩენს ივერიის მაშინდელ მდგომარეობას. თხრობის ქარგაში უცხო ორნამენტივით, მაგრამ ბუნებრივად ზის საქართველოს სინამდვილეში მომხდარი, ცნობილი ისტორიული ფაქტების უცნობი ეპიზოდი. აქვე წარმოჩენილი აჯანყებული პოლონელი პატრიოტების სიმღერა, რომელიც ქართულად უთარგმნია მწერალს და ასე ულერს: „პოლონეთი არ მომკვდარა სანამ ცოცხალი ვართ ჩვენ, რუსი კვლავაც იქ შეძვრება სადაც ამას მოვისურვებთ.“ ამრიგად ქართულ პოლონური ურთიერთობები დიდებულ და მყარ ფუნდამენტზეა დაფუძნებული და მომავალშიც ასე უნდა გაგრძელდეს.

#### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. აკაკი წერეთელი, ჩემი თავგადასავალი, ტ. 4. თბ., 2012 წ.,
2. ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 4 თბ., 1974 წ.,
3. გ. გოზალიშვილი, 1832 წლის შეთქმულება, ტ. 1-2, თბ., 1935-1970
4. საქართველოს ისტორია, ტ. 4, თბ., 2012 წ.,
5. ლუკა დვალიშვილი, ილია ჭყონია, ქუთაისი, 2005 წ.,
6. ლუკა დვალიშვილი, ორნახადი სიტყვის ჭაშნიკი, 2014 წ.,

ბატონი დავით შავიანიძე, შეიძლება ითქვას, კარგახანია გულიანად თანამშრომალობს ვანის რაიონის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრთან. მომხიბლავია მისი ღრმა, ქართული სულით დატვირთული სტატიები, რომელიც კრებულმა „მატიანემ“ გაასაჯაროვა.

წინამდებარე სტატია ქართველთა იდენტობის მატარებელი, მეცნიერული სილრმის კვლევაა და იგი კრებულ „მატიანეს“ სარედაქციო კოლეგიის თხოვნით შეასრულა ბატონმა დავითმა, რისთვისაც მას უდიდეს მადლობას მოვახსენებთ

## სუფრა - ქართველთა კულტურული ტრადიციების ნაცილი, ერთ-ერთი საიდენტიფიკაციო ნიშანი

ქართველთა კულტურული და სოციალური განვითარებულობის ერთ-ერთი დასტური ტრაპეზი/სუფრა/პურობა/ნადიმი დიალოგის, გაცნობის, ურთიერთობების მარეგულირებელი, კაფიაობის ასპარეზი, სახელმწიფოებრივი საქმეებზე შეთანხმების ადგილია; საუკუნეებგამოვლილი ეთნიკურის, ეთნოფსიქოლოგიის, ტრადიციების, ზნეობრივ-ეთიკური ნორმების გამოვლენა-განვითარების და არა, უგვანი გართობისა და ჭამა-სმის ასპარეზი.

ტრაპეზის (ბერძ. Τράπεζα – „მაგიდა“) ტაძარში, ქრისტიანულ ლოთისმსახურებაში უსისხლო მსხვერპლშენირვის ადგილი, საიდანაც ხდება კურთხევა. ტრაპეზად მოიაზრება, როგორც საკურთხევლის ნაწილი, ისე თავად ოთხკუთხა (ხის ან ქვის) მაგიდა და აღმოსავლეთ კედელთანაა მიდგმული. ტრაპეზზე საიდუმლოდ, უხილავად სუფევს თვით უფალი, როგორც მეუფე და მბრძანებელი ტაძრისა. „სუფრასთან როცა ტრაპეზობ ლმერთია წევრი მაშინ თანამეინახეების“ – გეტყვიან ყველგან საქართველოში.

წერილობით ძეგლებსა და ტიპიკონებში ტერმინი „ტრაპეზი“ გვხვდება, აგრეთვე „ტაბლის“, „სუფრის“ აღსანიშნავად. ტრაპეზის იდენტურია აგრეთვე: „მაგიდა“.

პურობის სოციალურ-კულტურული ფუნქციის შესახებ მოწმდება „ქართლის ცხოვრებაში“, სხვადასხვა საისტორიო-კულტურულ წყაროებში, უცხოელთა ჩანაწერებში, ლიტერატურულ ნაწარმოებებსა და ეთნოგრაფიულ მასალებში. „ქართლის ცხოვრება“: „ტაბლასა ზედა სჭამდიან და ნადიმობდნენ ...სმიდიან ღვინოსა...“; „ლხინთა ლხინობა და ჭირთა ჭირობა ...“; ნადიმობდნენ მეფეთა თანა და ურთიერთანა....“; „ამირან დარეჯანიანი“: „...გარდახდა პურობა... დედოფალმა მოახსენა: თქუენ ყრმანი ხართ და ლმერთმა ათას წელ ცოცხლენ მეფობა თქვენი...“; „...პური ვჭამეთ და ღვინო ვსვით, მერმე აავსო ჭიქა ერთმან, ზე ადგა და ეგრე თქვა: ადიდენ ლმერთმან სეფედავლე იგი დარისპანისძე....“; ..... და ღვინოს სმიდეს მრავალგან და ყველანი სეფედავლე მზესა ფიცევდეს და ლოცვიდეს...“; „კვლა აასვო ჭიქა და მე მომცა და ეგრე მითხრა: „დალოცე შენცა სეფედავლე დარისპანისძე და მაშინ შესვიო ....“; სუფრის შესახებ მნიშვნელოვან ცნობებს იძლევა ადრეული, შუა და გვიანი პერიოდის წერილობითი წყაროები „შუშანიკის წამება“, „ხელმწიფის კარის გარიგება“, „დასტურლამალი“, ისე ბარათაშვილის „ცხოვრება-ანდერძი“, „კალმასობა“. უნდა აღინიშნოს XV-XIX სა. მოგზაურთა: ამბობით კონტარინის, დიონიჯი კარლის, უან შარდენის, არქანჯელო ლამბერტის, რუსი ელჩების – ნიკიფორე ტოლოჩანოვისა და ალექსი ივლიევის დასხვათა ჩანაწერები, მასალები. „ვეფხისტყაოსანი“: „შეიქმნა სმა და პურობა, მსგავსი მათისა ძალისა, სხვა გახარება ასეთი არს უნახავი თვალისა...“; „სმა, პურობა, გახარება ქმნეს, ჯალაბი გაადიდეს ვითარცა ქორწილობა ხამს, ეგეთსა გარდიხდიდეს“; „თუ იაგო მესტუმრა, პური და მარილი გატეხა ჩემთან, იმას ვეღარ ეღალატების“ (ყაზბეგი). ეთნოგრაფიული მასალები: „კარგი მაგიდა ჰქონდა მეგობარს, ნათესავს“; პურობის დასაწყისში იტყვიან „ვეცადოთ, თამადა ისე დავსვათ, რომ აღმოსავლეთის მხარეს იმზირებოდეს“.

პურობის სინონიმია „ჭამა“. ეთნოგრაფიულ ყოფაში გვხვდება იდენტური შინაარსის

მატარებელი ტერმინიც – „შექცევა“. „შექცევა“ ნიშნავდა ჭამასაც და ერთმანეთთან შეთანხმებასაც. ეთნოგრაფიული მასალები: „სუფრობა, რომ მხოლოდ სიმაძლრე არაა, ჩვენთან ლეჩეუმში დასტურდება პურის ხელში შეტეხვით. კაცს რომ შეექცევი, მერე გაუტეხავ პურს და ერთმანეთის კერძი ხდები. აი სუფრასთან შექცევის მნიშვნელობა“; „ოჯახში, რომ ტრაპეზზე სანადიმოდ მიგინვევენ ყველგან საქართველოში და შეგიქცევენ ტკბილად, მარილიანად პურს გაგიტეხენ, მერე მუდამ ახლობლად უნდა თვლიდე და მოიაზრებდე, შენ ღმერთთან მაზიარებლ ოჯახს“.

ქართული კულტურის განვითარების ისტორიული ჭრილი გადმოცემულია სუფრის (1. საოჯახო: ყოველდღიური, წლის კალენდარულ ციკლთან დაკავშირებული, სადღესასწაული და რიტუალური; 2. საზოგადოებრივი ტრაპეზი: საქორნილო, სახატო-სათემო დღეობების, ნიშნობანათლობის, საგაზაფხულო და საშემოდგომო სამუშაოების დაწყება-დასრულების, დაკრძალვის და ხსოვნის) სახეებში. არსებობს საგანგებო მრავალრიცხოვანი ოფიციალური სუფრა, მეგობრული სუფრა, სპონტანური სუფრა.

ქართულ სუფრას აქვს რამდენიმე უმთავრესი მახასიათებელი: 1. ტრაპეზობით ხდება ღმერთთან ზიარება ღვინით/ქრისტეს სისხლი, პურით/ქრისტეს ხორცი; 2. სადღეგრძელო – ლოცვა/დალოცვა და სიმღერა; 3. წესრიგი.

საქართველოს სტუმარს, უცხოელს, ორიოდე დღე თუ მაინც გაუტარებია ქვეყანაში, კეთილ მასპინძელს შინ მიუპატიუქებია, პირველი, რაც თვალში აუცილებლად მოხვდება, ეს არის ქართული ლხინის წესი/„წესრიგიანობის დაუნერელი კონსტიტუცია, სადღეგრძელოებით, ქმედება-დამოკიდებულებებით შეუბლალავი. საქართველოს სხვადასხვა ისტორიულ-ეთნო-გრაფიულ ერთეულებში თქმული: „ქართველი არსად, ყოფა-ცხოვრების არც ერთ სფეროში არ არის ისეთი სერიოზული და მთელი მონდომებით არ იცავს წესრიგს, როგორც სუფრასთან“; „როცა მზაობას გამოხატავ რიტუალისთვის და მისი დამაგვირგვინებელი სუფრისთვის, როცა ყველაფერს ასრულებ სიყვარულით, ღმერთი, ხატი უფრო გიწყალობს“. სუფრა საქრთველოში ოდითგან იყო სიმპათიების, გულითადი გრძნობების, კეთილგანწყობილი შესაძლებლობას დადასტურების ადგილი. მიღებული იყო რაღაც დოზით იმაზე მეტის თქმა თანამეინახისადმი, რასაც ის სინამდვილეში იმსახურებს. „და ეს გარკვეულად გასთვალისწინებელი მითითებაც იყო“; „ქართველები სიხარულით იკრიბებიან სუფრასთან და თითოეულის მონაწილეობით უზრუნველყოფილია ადამიანთა შორის კეთილგანწყობილი ურთიერთობების დამყარება-განმტკიცება, ერთმანეთთან აწმყოში და წარსულ წინაპრებთან კავშირი“.

კომპლექსურ ეთნოისტორიული კვლევით დგინდება, რომ ქართული პურობის წეს-მიმდინარეობის შემსწავლელი წყარო გვართა წარმომავლობის ამსახველი ისტორიებია. საქართველოს ყველა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ერთეულში საგვარო დღესასწაულების დამაგვირგვინებელი იყო „ლოცვის და რიტუალური წესის შესრულების დამაგვირგვინებელი ტრაპეზი“. აღნიშნული კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ ქართული სუფრა სუფთად მიყვება საეკლესიო მსახურების წესს.

ერის კულტურულ მეტკვიდრეობაში იდენტობის, რწმენის, უცხოთაც სიყვარულის, პატივისცემა-თვითშეგნების დასტური – სტუმართ-მასპინძლობის საფუძვლად მიჩნეულია არა მხოლოდ სტუმართმოყვარეობა (/„უცხოთმოყვარეობა“), არამედ ტრაპეზობაში ასახული სხვადასხვა სოციალური ჯგუფების მიერ შექმნილი ტრადიციები: რაინდული ხასიათი, კეთილგანწყობა, ხელგაშლილობა, ვაჟაცობა, მოწინება, ფუძის და დიასახლისის პატივისცემა... ეთნოგრაფიული მასალები: „სტუმარი შენ „შინაში“ შემოსული უფლისგან გამოგზავნილი, კეთილი ნების მომტანი „ლვთის კაცია“; „საქართველოში ყველგან გეტყვიან, რომ „ლვთის კაცად“ ყოფნა ყველას არ შეუძლია“. შდრ., ბარონ დე ბაი წერდა: „მე არ ვაჭარბებ, როცა ვამბობ, რომ მასპინძელი სტუმარს თავის სახლში ამეფებს და ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ მას ასიამოვნოს. როდესაც ქართველი სტუმრის სადღეგრძელოს სვამს, ამით გამოხატავს ყველაზე მხურვალე გრძნობებს სტუმრისა და მისი სამშობლოს მიმართ“.

საზღამით აღვნიშნავთ, რომ ქართული ტრადიციული სუფრის ბევრ ნორმირებულ წესს „ფერი ვუცვალეთ“. აღნიშნული, მიუღებელი დამოკიდებულების საფუძვლად მიგვაჩნია: ხელოვნურად,

საჭიროების შეუსაბამოდ გაზრდილი სარიტუალო სუფრების წევრთა ოდენობა. სუფრასთან რაღაცის (სამსახურეობრივი ხელმძღვანელი, მდიდარი, ან სხვა ნიშნით გამორჩეული) გამო მოწვეული „შენ ჭირს არც იზიარებს და ლხინშიც თავისივე სურვილის შესაბამისად იქცევა“; მიზეზია ასაკობრივი შეუსაბამობის გაუთვალისწინებლობა მიდგომებით: „რა ქნას, მშობელსაც ხომ უნდა ქორწილში ყოფნა?“ „ბავშვია, რა ქნას?“...; სუფრისთვის ტრადიციული სახის დაკარგვის მიზეზია შეუსაბამო სადლეგრძელობის თქმა, სადლეგრძელობის რიგის მოშლა; თამადათა დაქირავება; უსაზმანო და უკონტროლო გართობა და გართობისას არატრადიციული ელემენტების წებისმიერობით გამოყენება; ლხინსა თუ ჭირში „მისატანის“ მატერიალური სახის შეცვლა. „რაც არ გაქს, იმდნი რომ უნდა იშოვნო და მიიტანო, მერე შენც კარაგავ წესის, პატივისცემის დაცვის აუცილებლობას“. აღნიშნულ და სხვა გარემოებებს ემატება „სხვათა წესის“ უფრო კულტურულად აღიარების, შენის ჩანაცვლების სინამდვილე მიდგომით, რომ „იმისი ჯობია“, „არ უნდა ზედმეტობა“, „თუ არ დალოცავ ვერ იცხოვრებს, ვერ ცხოვნდება?“, „სადლეგრძელო ხომ სიყალბება?“; „სატრაპეზო სუფრის მრავალფეროვანი კერძებით შევსების შეჯიბრი“ ...ყოფაში დადასტურებული სინამდვილე: „დღეს სუფრასთან სახეზეა არა ბუნებითობა, გულიაობა, არამედ უმრავლეს შემთხვევაში პირფერობა“; გახშირდა მიდგომა „სტუმარი მოვიდა მერე რა“; „მასპინძლობას დღეს არ განსაზღვრავს კმაყოფილება იმისა, რომ სტუმრის საშუალებით შენ უფალთან ტრაპეზობის წევრი ხდები. მეტობს მასპინძლისგან იმიჯის შექმნა-შენარჩუნების, „პატივი გეცის“ დადასტურების სურვილი“; „წესად გახდა სადლეგრძელოს არმოსმენა, საკუთარი აზრის თანამოსუფრესთან მოურიდებლად გამოხატვა, ტრაპეზობის წევრთა ასაკის არშეზღუდვა“.

აღნიშნულთან ბმაშია სუფრის „გაქელეხების“ სინამდვილე. ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ საქართველოს ყველა მხარეში ჩაწერილი ეთნოგრაფიული მასალით, მაგალითად დაკრძალვის რიტუალური, „ჭირის სუფრის“ სახელი „ქელეხმა“ ჩანაცვლა მას შემდეგ, რაც „გავამრავლეთ რაღაც ნიშნით, ვისაც გული არ სტკივა – დაპატიუებულები. გარდაცვლილის ხსოვნის აუცილებლობას დავუმატეთ, ანუ ჯერ გავუთანაბრეთ და მერე დავამჯობინეთ მიდგომები: „დალიე-მიირთვი, მადლია“. აღვნიშნავთ იმასაც, რომ ბევრგან გეტყვიან ლხინის სუფრის „გაქელეხებაზეც“, ანუ მსგავსი რიგის ტრაპეზობის სუფრების ყველანაირი წესის მოშლაზე: „ჩვენთან, ლეჩხუმში იტყვიან, ქორწილში ვიყავი, ქელეხში პური ვჭამეო. ანუ, საქორნილო სუფრის არც ერთი წესი რომ არაა დაცული. ცუდია, რომ „ქელეხად“/ღრეობად იქცა ჭირის სუფრაც. ტრაპეზობის გაქელეხება გამოიწვია იმან, რომ იმდლავრა ქართული სუფრისადმი ნიჰილიზმა, რომ იგი არასდროს ყოფილა სიყვარულის და ურთიერთპატივისცემის დასტური, თითქოს ტრაპეზი არ ამყარებდა ახლო ურთიერთობებს“; „სამეგრელოში დღესაც იშვიათად შეხვდები ჭირის სუფრის ნაცვლად ქელებს. ქელეხი ნიშნავს იმას, რომ არ გეტირება და მოემარჯვე საკუთარი სიამოვნებისთვის“; „სვანეთში კი არა, ყველგან, კაცის გარდაცვალება იყო ჭირი. სუფრაც ჭირის. თემისთვის მიუღებელი უგვანი კაცის წასვლაზე იტყოდნენ სიკვდილს და მისი დაკრძალვის სუფრაზე ქელებს (შდრ.: მსგავს ინფორმაცია გვაწვდის ს. ხოსტაშვილი). დღეს პატიუებ იმას, ვინც ერთხელ გინახავს, ვისაც არაფერში ეკუთვნის შენი ტკივილის გაზიარება და გაქელეხდა კიდეც“; „აქ, ჩვენთან, იმერეთში, ყველგან საქართველოში იცოდნენ ქორწილში ვინ უნდა წასულიყო. საუბარია არა სქესზე, საუბარია ასაკზე. ვინ უნდა წასულიყო და, ვინც სამოყვრო მხარეს ერთმანეთთან გამოაჩენდა, გააცნობდა, დაახლოვებდა. დღეს? ასაკი კი არა შეუზღუდავია ყველაფერი, აღარც მოსმენაა, აღარც ხათრია. კოსტუმი რომ გაცვია წებისმიერად ხომ ვერ იქცევი? ისეთი ცეკვებია ქორწილში, ზღვარგადასული. სიმღერაა და ვერ გებულობს, ვერ გრძნობ. არა და შენის მოსმენა გაყენებს წესიერების რელსებზე, რადგან გენეტიკური იღვიძებს. დარბიან ბავშვები და დაზდევენ მშობლები. გაქელეხებული ქვია ამას“.

მიუღებელია, ეროვნული ფასეულობების გამოხატვის ადგილის, სუფრის შეგნებულად, თუ წებელობით, გაუცნობიერებლად დაკრინება-დაცინვა; სუფრის რიგიან წესთაც დევნის მიზანმიმართული იდეოლოგიის საფუძველზე შეუსაბამო, მახინჯი ნოვაციების აღიარება, საკუთარი ფასეულობა-ლირებულებების უგულებელყოფა – დევნა.

ტრაპეზობაზე „შეუსაბამო ქმედება“ იყო, დღემდე ითვლება „სჯულის დარღვევად“.

ამიტომაც, ჩვენი სულიერი და კულტურული ტრადიციის მნიშვნელოვან მონაპოვარ, ქართველობის ერთ-ერთი საიდენტიფიკაციო ნიშან-ტრადიციული ქართულ სუფრას არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა.

### **თამადა. თამადობის ინსტიტუტი**

„სუფრას წარმმართველი, ერთობის შემკვრელი თამადა „მარილიან-მადლიანი დამოკიდებულებით“ მართავდა სიყვარულით გაჯერებული სადღეგრძელოებით. თანამესუფრეებს წარსულის და აწმყოს სამომავლოდ გასათვალისწინებელ სინამდვილეს გადასცემდა, მემკვიდრეობის გაგრძელებას ასწავლიდა, გათვლილი მომავლის აუცილებლობას, სულიერ სრულყოფილების შესახებ შეახსენებდა“.

ტერმინები: „თამადა“ და „ტოლუმბაში“ შემოსულია XIX საუკუნეში. ამ გამორჩეული ინსტიტუტის „პირველმოქმედის, მთავრის“ ძველ საქართველოში, ქართულ ხელნაწერებსა და ბიბლიის თარგმანებში დადასტურებული ტერმინებია: „ნადიმთა შინა წინამდლვარი“ და „პურის უფალი“. შდრ.: „ამოილე და მიართვის პურის უფალსა და მთავარსა ამისა ტაძრისასა“. 1887 წელს სანკტ-პეტერბურგში გამოცემულ „ქართულ-რუსულ ლექსიკონში“ დ. ჩუბინაშვილი თამადობას განმარტავს, როგორც „უფროსობას“, ან „თავობას“, მაგალითად ლვინის სმაში.

სუფრასთნ სადღეგრძელოს პირველმოქმედის საქართველოში გავრცელებული სახელებია აგრეთვე: „მემზირი“, „დუდ მახვენჯი“, „ტაბგვა თხვიმი“, „სუფრის თავი“, „პურის მტე“, „სუფრის უფალი“, „სუფრის გამრიგე“. ცნობილია, რომ ხევისბერი, დეკანოზი, ხელოსანი, ქორა მახვში წარმოთქვამდნენ სადიდებელ ტექსტებს, რაც დროთა განმავლობაში სადღეგრძელოთა ფორმადაც ჩამოყალიბდა.

**თამადა** (ტოლუმბაში) – ქართული სუფრის წინამდლოლის მსგავსი, სადღეგრძელოს/ლოცვის მთქმელის ფორმა-შინაარსის ინსტიტუტი სხვაგან არსად გვხვდება. ისევე როგორც არ გხვდება, მაგალითად თავის შინაარსით ქართველთა გამარჯობის მსგავსი ფორმულა, რომელიც ლოცვაა და სხვა არაფერი. „თამადა სადღეგრძელოს/ლოცვა-დალოცვის გამართულად, ადგილიანად, აზრიანად მთქმელი, ზნეობრივ ლირებულებათა წარმომჩენია, ლვინო რამდენი უნდა დალიოს იმის მცოდნეცაა“. სიტყვის პირველ მთქმელი, თამადა თავს არ იმაღლებდა, თუმცა იყო ინდივიდუალისტიც. თამადა ყველაზე მზრუნველია, იცის თავის ადგილი და მდგომარეობა, საუპრობს დარბაისლურად, სიყვარულით. ეთნოგრაფიული მასალა: „თამადა ის კაცია ვინც იცის არა მხოლოდ სუფრის „რიგი“, არამედ ცხოვრების წესი, თავადაც „რიგიანი კაცია“. თამადა თავის თქმით უნდა გალობდეს, ქმედებით ეფერებოდეს თანამესუფრეთ“. შდრ.: თამადას უნდა შეეძლოს თქვას სიტყვა „თვინიერ გალობისა და საუცხოო წარმოსათქმელისა“.

„სუფრის წესრიგიანობით გამორჩეული თავყრილობა ვერავითარ შემთხვევაში ვერ ჩაივლიდა „წინამდლოლის“, „ხელმძღვანელის“, „პურის უფლისა“, თუ „მზრალის“ გარეშე. თამადის ინსტიტუტი დემდე შემორჩა ქართულ სუფრას ეთნიკურობის სოციალურ-კულტურული განვითარებულობის ნიმუშად და არც ერთი სახის სუფრა არ ჩაივლის მის გარეშე.

### **სადღეგრძელო. ალავერდი**

ეთნიკური გრძნობა-დამოკიდებულება არის მოწმობა და მაჩვენებელი იმისა, რომ ეთნოსი არა მარტო ქმნის ისტორიას, არამედ ემოციურად განიცდის მას. განიცდის იმდენად, რამდენადაც ყველა ადამიანი კულტურისა და ფსიქოლოგის ერთობაა. ადათ-წესები და ტრადიციები ფორმირდება, ვითარდება, იცვლება ეთნოსის სასიცოცხლო, საზოგადოებრივი განვითარების შესაბამისად. აღნიშნულის ერთი დასტურია რელიგიური მსახურების იდენტური, ტრაპეზობის სემანტიკური ნიშნით დატვირთული სადღეგრძელო. ქართულში გვხვდება: „დღეგრძელი“, „დღეგრძელყოფა“, „დღეგრძელობა“, „დღეგრძელება“, „დღემრავალი“, „დღემრავლობა“, „მრავალდღეობა“. „რაითა იდღეგრძელოთ ქვეყანასა ზედა“, „რაითა დღეგრძელ იყვნენ ქვეყანასა მას ზედა“, „ამის მიერ დღეგრძელობდეთ ქვეყანასა ზედა“, „ამათ სიტყუათა გამო დღეგრძელ იყვნენ ქვეყანასა მას ზედა“.

პროფესორი გიორგი გოცირიძე წერდა, რომ სადღეგრძელო საწესო ქმედების გამომხატველი კაზმული სიტყვაა. სადღეგრძელოს წარმოთქმისა და განვითარების წესი გამოარჩევს ქართული

პურობის ტრადიციას კავკასიის და მსოფლიოს სხვა ხალხთა სუფრის წესისგან. ხალხურ ყოფაშიც სადლეგრძელოს ფორმა და შინაარსის მთავარი მახასიათებელი „გამართული, სიტყვის მოხდენილად თქმასთან ერთად, სასმელის ზომიერად მიღების აზრსაც შეიცავს“.

ქართული სუფრისა და სადლეგრძელოს შესახებ გვაწვდის ცნობებს ფრანგი მოგზაური უნ შარდენი. მოგზაურის დახასიათებაში იკითხება ქართული სუფრის წესრიგიანობა, ერთურთის მოსმენით თანამეინახეთა პატივისცემა და საკვების მრავალფეროვნება. ეს უკანასკნელი არა მუცელლორობის, არამედ, საქართველოს გარემო, ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობების მრავალფეროვნებითაა უზრუნველყოფილი. მოგზაურის დახასიათებაში იკითხება ევროპულისგან დადებითით გარჩეული უდიდესი კულტურა: „ერძები საოცარი წესრიგითა და უხმაუროდ შემოჰქონდათ. ყველა უხმოდ ასრულებდა თავის საქმეს. ერთ მაგიდაზე მსხდომი სამი ევროპელი უფრო მეტს ხმაურობდა, ვიდრე ამ ნადიმზე მყოფი ას ორმოცდათი კაცი. ...ასე გრძელდებოდა მანამ, ვიდრე სადლეგრძელო ყველას არ შემოივლიდა.“ ...შარდენი წერს განსხვავებულ სასმისზე, რითაც მიირთმევდნენ განსაკუთრებულ პიროვნულ, თუ ფასეულობათა სადლეგრძელოებს. ანუ გახაზავს ქართველთა ცნობილ დამოკიდებულებაზე, საუკეთესოს ხაზგასმული ცოდნის შესახებ. აღნიშნავს, რომ სუფრა იყო არა მხოლოდ ჭამა და სმის, არამედ ლხინის: „...გამომშვიდობებისას მან მკითხა, როგორ ბრძანდებაო ჩემი ნათესავი, ესპანეთის მეფე, და ძვირფასი ქვებით მორთული თასით შესვა მისი სადლეგრძელო... სმის დაწყებისთანავე საკრავებიც აუდერდნენ და სიმღერაც დაინწყო...“

სადლეგრძელების წარმოთქმის წესი სუფრაზე მკაცრად იყო დაცული და თანმიმდევრულად განსაზღვრული. სადლეგრძელოს დროულ თქმაზე დამოკიდებული სუფრის რიტმი და უწყვეტობა. თამადამ სადლეგრძელოების წარმოთქმა ზედმეტად არ უნდა იჩქაროს, მაგრამ არც უნდა დააგვიანდეს. სუფრის მიმდინარეობისას თამადისგან დამოუკიდებლად სადლეგრძელოს თქმა, ანუ მხოლოდ ლვინის სმისკენ სწრაფვა აპსოლუტურად დაუშვებელია. **შდრ.**, ლამარა ბოჭორიშვილის გადმოცემა: „ჩემი ბიძაშვილის ქმარი იყო ირაკლი წერეთელი. განთქმული თამადა არა მხოლოდ ქუთაისში, იმერეთში. დიდ სუფრებს ისე ჩაატარებდა, რომ ლვინოს არ სვამდა. პატიუებდნენ იმიტომ, რომ გამართულად ამბობდა სათქმელს. მისი სადლეგრძელო დაგარნებუნებდა, რომ ქართული სადლეგრძელო ლოცვაა. ქორწილებშიც და საოჯახო სუფრაზეც თავის სადლეგრძელოს იმას გააგრძელებინებდა ვინც უკეთ თუ არა, სხვა კუთხით განავრცობდა. არც ჯდებოდა ისეთ სუფრებთან, სადაც არ იქნებოდა მოსმენა, პატივისცემა. როცა ირაკლი იყო თამადად, მის უჩემრად სადლეგრძელოს თქმას არც არავინ მოისურვებდა, იკადრებდა. „სუფრა კულტურული თანამეინახეობის, ურთიერთობის, რჩევის მიცემის, საქმეთა გადაწყვეტის და არა ბევრი ლვინის დალევის ტრადიციული ადგილიაო“, იტყოდა.

თამადის და სუფრის წევრთაგან თქმული ტრადიციული სადლეგრძელო ლვთისადმი სავედრებელი ლოცვაა. დედოფალი ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის ქორწილზე ასე მიმართავს მექორწილეთ: „ულოცეთა დღეგრძელობა, ესე ღმერთსა შევეღრენით“. ხდება ისე, რომ თამადის მოწოდებით, ამ ლოცვას ხშირად აგრძელებს მისი „მოალავერდე“. მაშასადამე, სუფრის საინტერესო ნაწილი იყო „ალავერდის“ მისვლა შენთვის სასურველ ობიექტთან (ვინც, შენ მსგავსად, ან სხვა, ახალი კუთხით განავრცობს სადლეგრძელოს თემას).

ალავერდის წარმომავლობის შესახებ არა ერთი მოსაზრებაა გამოთქმული. კერძოდ: ტერმინი „ალავერდი“ მომდინარეობს თურქული ფრაზიდან და ხელიდან ხელში მიცემას აღნიშნავს; მომდინარეობს მხარის სახელიდან „ალანგვერდიდან“; „ალა ერდი“, ანუ ცეცხლის (კერის) ღმერთი, ანუ ღვთაება „ალარდიდან“. პროფესორმა ტარიელ ფუტკარაძემ სულ ახლახანს შემოგვთავაზა ანგარიშგასაწევი განმარტება, რომ „ალავერდი“ ერთგვარი გამოწვევა სადლეგრძელოს ღირსეულად თქმის პერსპექტივით და არა ის, რაც დღეს სამწუხაროდ გადაიზრდება ლვინის სმის შეჯიბრშიც. **შდრ.**, ეთნოგრაფიული მასალა: ოთარ შავიანიძის თქმით: „ალავერდი“ ერთი პირისგან მეორესთვის თქმის საშუალების მიცემაა და არა სასმისის გადაცემა, დალევის გარდაუვალობის განსაზღვრა. აღნიშნულმა და არა დალევის აუცილებლობამ აქცია „ალავერდით“ მისვლა ოფიციალური, თუ არაოფიციალური ტრაპეზობის შეუცვლელ ტრადიციად“. მსჯელობს რა ტარიელ ფუტკარებე ტერმინ „ალავერდის“ წარმოშობის შესახებ, მიიჩნევს, რომ დღემდე მოღწეული ფორმულა „ალავერდი შენთან“, „ალავერდის

**მადლი შეგენიოს**, არის ეკლესიური დალოცვის „ალავერდის წმინდა გიორგი შეგენიოს“ შემოკლებული (შედარებისთვის.: შემოკლებული ვარიანტია მაგალითად: „შეგენიოს გელათი“; „შეგენიოს ნიკორწმინდა“. შემოკლებული ვარაინტია „საყოვლაწმინდოც“. იტყვიან „შეგვენიოს ყოვლაწმინდა“ და ალარ, მაგალითად: „შეგენიოს, ყოვლაწმინდა, ხოტევი და ნიკორწმინდა“ და ა. შ. – ხაზი ჩვენია) ვარიანტი.

ქართველთა ეთნოფსიქოლოგიდან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ ალავერდის მისვლა ორი რამის ერთგავრი სწავლებაა: 1. იყო გამორჩეული სიტყვის ლამაზად თქმაში. აღნიშნულს კი ეთიკურ-ზნეობრივი ნორმების ცოდნა, კულტურულობის ფარგლებში ჯდომა ჰქვიოდა; 2. ხშირად გახდე აღნიშნულის სწავლების მაგალითი სხვათათვის.

ტრაპეზობის ბოლო, დასკვნითი, მაგრამ აუცილებელი ნაწილია „ყოვლაწმინდა“. თავადი ალ. ორბელიანი ნადიმობის ბოლო სადლეგრძელოს, „ყოვლაწმინდას“ გაჩენას ნინოწმინდელს უკავშირებდა და მოჰყავდა ეპიზოდი ერეკლე მეფის ცხოვრებიდან. ერეკლე მეფე ნინოწმინდელს სწვევია. პურობის დასასრულს, ბევრის თქმა-შეთანხმებისა და მოლხენის შემდეგ ნინოწმინდელს „უტვირთავს“ (შეუვსია) თასი და უთქვამს: „რადგან ჩემი ქვეყანა წილხვდომილია ღვთისმშობლისა და რადგან ჩვენი ქრისტიანობის მიზეზი ის არის და იმის საუფლისწულონი ვართ, ამისთვის იმისი მადლი, იმისი მოწყალება იყოს ჩვენს სახელზეო“.

**ქალისა და მამაკაცის ერთად პურობასთან დაკავშირებით.** აღნიშნულია, რომ (მაგ, ვახტანგ ბატონიშვილი) ქალისა და და მამაკაცის სუფრასთან ერთად ვერ დაჯდომის ტრადიციამ სახე იცვალა დროში და მხოლოდ ამის მერე შეეძლოთ ისიც მაღალ ფენებში და ისიც ნათესავ ქალს და მამაკაცს თავდაპირველად ერთმანეთის პირისპირ დასხდომა“. ვერ ვიზიარებთ მოსაზრებებს, რომ საქართველოში ქალისა და მამაკაცის ერთად ტრაპეზობის დაუშვებლობის დასტურია „შუშანიკის წამება“. ვარსექნმა, რომელიც პურს არ ჭამს შუშანიკთან, მიღებული მაზდეანობის გამო, მშენივრად იცის, რომ უმნიშვნელოვანესი პრობლემები წყდებოდა სუფრასთან ქალთა მონაწილეობითაც. იგი, როგორც მაზდეანი მაღავს შუშანიკთან და ჯოჯიეს ცოლთან პურობის ამბავს, თუმცა გულმოდგინებით კი აწყობს, რომ შუშანიკს როგორმე აზრი შეაცვლევინოს; როგორ წარმოგვიდგენია, როცა თინათინი გაამეფეს არაბეთში, საზეიმო ნადიმზე მეფე ქალი არ იქნებოდა? მიგვაჩნია, რომ საქართველოში არასოდეს ყოფილა დადგენილი წესი ქალისა და მამაკაცის სუფრასთან ერთად არ დაჯდომა, მით უფრო განსხვავებული სქესის საფუძველზე მიღებული უთანასწორობის გამო. მიუღებელია სუფრასთან ქალებისა და მამაკაცების ცალ-ცალკე დასმის გაუღერება საფუძვლით, რომ „ქალბატონები მოზღდულიყვნენ თანამესუფრე დვინომორეული მამაკაცებისაგან“. აღნიშნულს ვარქმევთ რა შემცდარ, გამოსასწორებელ ქმედებას, ვფიქრობთ არ ვცდებით, რომ მსგავსი ერთეული შემთხვევები „უცხოთა წესით“ და არა სქესობრივ-წოდებრივი სხვაობით იყო განპირობებული. თუ ქალი და მამაკაცი სუფრასთან ერთად ვერ სხდებოდნენ, მაშინ რას ნიშნავს ქართულ სინამდვილეში ქალის აშკარა უპირატესი მდგომარეობის დამადასტურებელი ფაქტი, რომლის მიხედვითაც „სტუმრისთვის ქალს რამდენჯერმე ღვინოს დაასხმევინებდნენ (მაგ, „დიდოსტატის მარჯვება“). **ეთნოგრაფიული მასალები:** „ქალთან პურობა არ შეიძლებოდა. ესეიგი ქალი არაფერი იყო? მაშინ რატომად დედა ნაყოფის მომცემ დედამინას შედარებული, რატომ გისურვებდნენ ქალ-ვაჟიანობას, რატომ ქვიოდა სახლის და სამყაროს საყრდნელ ბოძს, ხნულის გამვლებს დედის სახელი. რატომ იყო საფიცარი ქალი/დედა, რატომ ადლეგრძელებდნენ განსაკუთრებულად ქალს სუფრასთან, რატომ ასხმევინებდნენ წინაპრების და თავად სტუმრის დღეგრძელობისას ღვინოს სტუმრისთვის?“

აღნიშნული კარგი მაგალითია სუფრასთანაც გამოვლენილი ქართველთა ტოლერანტული ხასიათისა, ქალის და სტუმრის პატივისცემისა, გენდერული თანასწორობისა.

### სასმისი ქართულ სუფრაზე

ქართულ სუფრაზე წესად იყო განსხვავებული სასმისით სადლეგრძელოს თქმა. მას მოითხოვდა თამადა რაიმე განსაკუთრებული „სალოცველის“ შესასმელად. განსხვავებული სასმისი იყო ხის, თიხის ან ვერცხლის თასი, ყანწი, ის სასმისი, რომელთანაც იყო დაკავშირებული სადლეგრძელოს ობიექტის ისტორია, საოჯახო ტრადიცია. ნიშანდობლივია, რომ განსხვავებულ სასმის

სუფრის რამდენიმე წევრი სვამდა ერთდროულად და რა თქმა უნდა იგივე სადღეგრძელოს თქმის შემდეგ. აღვნიშნავთ იმასაც რომ „განსხვავებულშიც“ თქმა იყო, განვრცობა-შევსება სადღეგრძელოს აუცილებელი და არა დალევა.

### **სიმღერა ქართულ სუფრაზე**

„სადღეგრძელოს მოსდევდა სიმღერა, ლექსობა, ცეკვა ზომიერი და ეს წესი იყო ყველა სახის სუფრის“. სიმღერის გარეშე სუფრა „ნაკლულად“ ითვლებოდა. **შდრ:** „პურსა სჭამენ და ღვინოს სვამენ, სიმღერას არ იტყვიანო“. ერთადერთი გლოვის სუფრა იყო, სადაც არ ითქმოდა სიმღერა, საქართველოს ყველა კუთხეში არსებობდა ტრაპეზობისას სიმღერის შესრულების მკაცრად განსაზღვრული წესი. სუფრასთან იმღერებოდა მხოლოდ სუფრული სიმღერები, თანაც მკაცრად დადგენილი (დღევანდელი თავისუფლების მესვეურთ შეიძლება არ მოეწონოთ სუფრასთან გართობის წესრიგიც, თუმცა ეს მიმართულებაც გასათვალისწინებელ-დასაცავია – დ. შავიანიძე) თანმიმდევრობით. ფრანგი პარამონ (პიერ) ბლანაშრი ალექსანდრე ჭავჭავაძის მარაში გამართული ნადიმის შესახებ წერდა: „...თქვენთვის ძნელად დასაჯერებელი იქნება, მაგრამ სრული ჭეშმარიტებაა, რომ ასეთი „ჰომერული“ ნადიმის განმავლობაში დამხვდურთაგან არავის შეუბლალავს ყოვლად დარბაისლური და კდემამოსილებით დამშვენებული მხიარულების საზღვრები“.

### **ქართული „ტრაპეზობა“ – აღზრდის ადგილი**

საქართველოში აღზრდის სისტემა „მუშაობდა“ სუფრასთანაც. აქ ისწავლებოდა ასაკობრივი ბარიერით გათვალისწინებული ეტიკეტი. ბავშვი ხდებოდა სრულწლოვანი „საპასუხისმგებლო და ყველასთვის მისაღები ტრაპეზობის წესის შემსრულებელი“ (დავით ლიქოკელი. ლიქოკი. 2002); „საქართველოში სუფრასთანაც ღვივდებოდა ასაკობრივი ბარიერით გათვალისწინებული ეტიკეტი, სიყვარული. უღალატობაზე იფიცებოდა ქრისტეს სისხლთან. ტრაპეზობის დროს კეთილით მრავალფეროვნდება და ძლიერდება ადამიანთა მორალურ-ზნეობრივი მენტალობა; ნარჩუნდება არა მთვრალობის, არამედ ერთობის შეკრულობის, ერთმანეთისადმი და ეროვნულ-ტრადიციული ჩვევებისადმი პატივისცემა, იზრდებოდა ოჯახსა და საზოგადოებაში ქცევის, მოწესრიგებული ასაკობრივ-უფლებრივი მდგომარეობის უზრუნველმყოფელი წესები. ტრაპეზობის ფორმა-შინაარსის ხშირი დამახინჯება ტრადიციული აღმზრდელობითი წესის მივიწყების შედეგია (მთხოვთ ჩუკული. 2013).

ჩვენი აზრით, ქართული სუფრა უცხოსთან უცხო წესების გავლენის, რუსულ-კომუნისტურ და თანამედროვე კულტურული გლობალიზაციის პერიოდში განსხვავდებოდა ტრადიციულისგან და სახეზეა სუფრის ტრადიციული წესების არგათვალისწინება, მისი შინაარსისა და ფორმის შეცვლის ნებითი, თუ უნებლიერ სწარაფვა დღესაც სახეზეა. თუმცა გამოსწორება ჯერ კიდევ შეიძლება ფასეულობებით სავსე ნოვაციების უმაღლესი ღირებულების პრინციპზე დაფუძვნებული ქართულისთვის დამახასიათებელი რესტავრირება-გადარჩენით და არა მიმსგავსებულობის სურვილით, ვიღაცის, რაიმე ანგარიშგასანეობის გულმოსაგები ქმედებით, გარე, პირდაპირი და არაპირდაპირი ზემოქმედებების, რეციპიენტის/მიმღების როლში არ ყოფნით, მენტალური კანონის, შინაგანი კულტურული დინამიკის არ დაქვეითებით ფსიქოლოგიის შესაბამო პროცესებისგან არდაცვის მცდელობა.

კულტურული თვალსაზრისით განვითარებული ქვეყნის მდგომარეობა დადგება ტრადიციული მემკვიდრეობის გადარჩენით. ქართული კულტურული მემკვიდრეობის სახე – ტრაპეზი/სუფრა/პურობა/ნადიმთან დამოკიდებულება მომავალშიც უნდა იყოს ერის ზნეობრივი მენტალობიდან, კანონის უზენაესად აღიარებიდან მომდინარე.

**ომარ კაპანაძე** – კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი,  
ვანის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქე

## 1905-1907 წლების რევოლუციის შემდეგი პერიოდი, ზოგიერთი ცვლილებაზი „ვანის“ საზოგადოებრივ ცხოვრებაში

ვანის რაიონის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის „კვლევის ცენტრის“ კრებულ „მატიანეში“ ჩვენ თანმიმდევრულად დავუთმეთ ადგილი სხვადასხვა ისტორიულ პერიოდებში ვანის ტერიტორიულ სივრცეში ჩემოყალიბებულ პრობლემებსა და მოვლენებს, რომლებიც გამომდინარებდა ქართულ სამყაროში განვითარებული საყურადღებო პროცესებიდან და მასში ჩართული აღმოჩნდა ვანის მოსახლეობა, არც თუ იშვიათად, უაღრესად აქტიური ფორმითაც კი.

წინამდებარე საკითხს სხვადასხვა კუთხით არასრულყოფილად შევეხეთ რამდენიმე ადგილზე, არადა იგი ჩვენი აზრით იმდენად საინტერესოა და ავსებს XX საუკუნის დასაწყისის ვანის ისტორიული განვითარების მოვლენებს საჭიროდ ჩავთავლეთ მასზე, შედარებით, სრულყოფილად გვესაუბრა.

უნდა ვაღიაროთ, რომ მიუხედავად დამარცხებისა, 1905-1907 წლების რევოლუცია საქართველოში იყო საფუძვლიანად კოორდინირებული და როგორც ითქვა განსაკუთრებულად გამოიყურება იგი ქუთაისის გუბერნიის მაზრების, მათ სოფელთა და დასახელებების უმრავლესობაში. პროცესი ატარებდა არამარტო აგრარულ, არამედ სოციალურ-პოლიტიკურ მუხტსაც, დატვირთული იყო ეროვნულ-განმანთავისუფლებელი იდეითა და მოთხოვნებითაც.

გამოსვლებიც „ვანში“, მისი მზადების ზოგიერთი პერიოდი და წინასწარ განეული საქმიანობა, შემდეგ განვითარებული მოვლენები, წითელ რაზმელთა დადასტურებული მოქმედება, ვანის ზოგიერთი სოფლების მოსახლეობის შეიარაღებული შეჯახება სადამსჯელოდ მოვლენილ კაზაკებთან, რომელიც მსხვერპლით დასრულდა, სოფელ ვანის საზოგადოების მამასახლისის მკვლელობა, ცალკეულ პიროვნებათა აქტიური თანამოქმედება და კონტაქტები გურიის აჯანყებულებთან და ა. შ. არ შეიძლება შევაფასოთ სპონტანურ მოქმედებად, ან ვინმესგან მხოლოდ წაქეზების შედეგად. ამიტომაც უნდა ჩავთვალოთ, რომ უკმაყოფილების მუხტი აქაც საფუძლიანადა გაზრდილი და მიმართულია არამარტო ხელისუფლების, არამედ ადგილობრივ გაბატონებულთა მიმართაც. ამის გამოც, აღნიშნულ მოძრაობაში ვანელთა ჩართვამ სხვებთან ერთად და მათთან კავშირში, შესაბამისი მასშტაბებით შეავსო საერთო რევოლუციური მოძრაობის სივრცე და არ შეიძლება უმნიშვნელო ფაქტად მივიწინოთ. აღნიშნულმა მოძრაობამ აქცენტი დასვა უმძაფრეს პრობლემებზეც, რომ მინა არ არის მხოლოდ აგრარულ-ეკონომიკური სფერო, რომ მასთან დამიკიდებულება ატარებს პოლიტიკურ მუხტს. აქედან, აუცილებლობით გამოწვეულ პროცესთა და საქმიანობათა გადაწყობის საფუძველზე 1905-1907 წლების შემდეგი პერიოდი საინტერესოა ზოგიერთი კარდინალური ცვლილებებით. ახალი აგრარული რეფორმით და შედარებით საერთო ეკონომიკური აღმავლობით, რომელიც პიკს აღწევს 1913 წლისათვის. ეს აისახა იმპერიაშიც და საქართველოშიც და რამდენადმე განსაზღვრა შემდეგი რევოლუციური პროცესებიც. შეეხო იგი ისეთ აგრარულ დასახლებებს, როგორსაც „ვანის“ სოფლები წარმოადგენდნენ. აქ მსჯელობისას ვეყრდნობით ქუთაისის გუბერნიის შესაბამისი წლების მიმოხილვით მასალებს, გუბერნატორის ცალკეულ მოხსენებებს, რომლებიც მოიცავენ მაზრების, მათი სოფლების, ამ შემთხვევაში „ვანის“ რიგი სოფლების საერთო განვითარების პრობლემებსა და მახასიათებლებსაც, სურათი საერთოა, მაგრამ სხვა წყაროებთან შეჯერებით შევეცადოთ „ვანისათვის“ სიტუაციათა გაანალიზებასაც და საკითხთა დაკონკრეტებასაც.

ფაქტია, განვითარებულმა მოვლენებმა საკმაოდ საფუძვლიანად შეატრიალა ხელი-სუფალთა ხედვაც წარმოშვებული პრობლემატიკის ირგვლივ, ხოლო საქართველოში და საერთოდ იმპერიაში მოქმედ პოლიტიკურ პარტიებს, ორგანიზაციებს დაანახა, რომ მათი დამოკიდებულებაც აგრარულ საკითხთა გადაწყვეტაში მოითხოვდა გადახედვას, პროგრამულ ნაწილში სრულყოფას.

იმპერიაში მოქმედებაში შედის სტოლიპინის აგრარული რეფორმები, რომელთა მიხედვითაც უნდა განხორციელებულიყო სოფლად საწარმოო ძალთა და მიწის მართვის საკითხებში პროცესთა ცვლა. ეს პროგრამა ითვალისწინებდა სოფლის ბურუჟაზის, კულაკობის, როგორც მწარმოებლური კლასის წინა პლანზე წამოწევას.

– „სტოლიპინის აგრარული პოლიტიკის პრაქტიკულად გატარებას საქართველოში ცდილობდნენ სამი გზით:

1 – დროებით ვალდებულებითი ურთიერთობების ლიკვიდაციისა და ნადელების სავალდებულო გამოსყიდვის საფუძველზე მიწების პირად საკუთრებაში დამტკიცების გზით.

2 – საგლეხო-საადგილმამულო ბანკების შექმნისა და მისი საშუალებით კულაკებისათვის საფინანსო დახმარების გაწევის, ბანკების მიერ სანადელო მიწების შესყიდვის გზით.

3 – „კოლონიზაციის გზით“<sup>1</sup>.

ძვრები ამ მიმართულებით წავიდა უკიდურესად გაჭანურებულად და საკმაოდ რთულადაც. მრავალმხრივი მოსმენების შემდეგ 1912 წლის 20 დეკემბერს მიღებულმა კანონმა გადაწყვიტა საკითხი გლეხთა დროებით ვალდებულებითი დამოკიდებულების გაუქმების შესახებ.

რადგანაც ეს პროცესი შეხეხ გლეხობას, მათ შორის „ვანელ“ გლეხობასაც, რამდენიმე წინადადებით შეიძლება მასზე შეჩერება.

სახელმწიფო სათათბიროში მრავალმხრივი განხილვის შემდეგ იღებს კანონის ძალას და 1912 წლის დეკემბრიდან გლეხთა დროებით ვალდებულებითი ინსტიტუტი, რომელზეც ჩვენ საუბარი გვქონდა სამეურნეო ურთიერთობათა მიმოხილვისას, (კრებულ „მატიანეს“ №9, №10) გაუქმდა. კანონმა სანადელო მიწების გამოსყიდვას სავალდებულო ხასიათი მიანიჭა.

მემამულეთა თანხმობა, რომელიც აუცილებლობას წარმოადგენდა სანადელო მიწების გამოსყიდვისას, ბათილად იქნას ცნობილი.

თავადაზნაურთა სასარგებლოდ გადასახდელი კომპენსაცია კვლავ სახელმწიფომ გაიღო, ხოლო სანადელო მიწების გამოსასყიდი თანხა ასევე დროებით დაფარა სახელმწიფომ, თუმცა ეს თანხა, ძირითადზე საპროცენტო დანამატებით, გარკვეულ დროში და საკუთარი სახსრებით სახელმწიფოსათვის გლეხობას უნდა დაეპრუნებინა.

უახლოეს დროში, 1913 წლის 1 იანვრიდან, დროებით ვალდებულ გლეხთა სტატუსი იცვლება და გადაჰყავთ ისინი მესაკუთრე გლეხთა კატეგორიაში.

ამდენად, საგლეხო რეფორმიდან 50 წლის შემდეგ, გლეხობას მიეცა სანადელო მიწების გამოსყიდვის უფლება და ფორმალურად მაინც იცვლება მათი იურიდიული სტატუსიც.

საიჯარო მიწების გამოსყიდვა, რომლითაც „ვანის“ მცირე მიწებიანი გლეხების საკმად დიდი ნაწილი სარგებლობდა, სავალდებულოდ არ იქნა მიჩნეული. არც მეიჯარე მიწის მფლობელები დაუვალდებულებიათ გაიჯარებული მიწები, რის შემდეგაც მოიჯარე გლეხები კვლავ მემამულეთა მიწებზე დარჩნენ მიბმულნი, გაუქმდა აღრე დაშვებული წესებით გლეხთა ხე-ტყით სარგებლობის უფლებაც. ეს პროცესი შეხე „ვანის“ სოფლებსაც, რადგანაც გამონაკლისი დაშვებული იქნა მხოლოდ საქართველოს ზოგიერთი რეგიონისათვის (ქართლი-რაჭა) და არა იმერეთისათვის.

1913 წლის აპრილში სახელმწიფო საბჭომ ასევე მიიღო გადაწყვეტილება სახაზინო გლეხთა ინსტიტუტის ლიკვიდაციის შესახებაც. გაათანაბრეს ისინი თავისუფალ გლეხებთან. მათგანაც მიწების გამოსყიდვა სავალდებულოდ იქნა მიჩნეული.

რიგ მიმართულებათა მიხედვით 1905-1907 წლების შემდგომი რეფორმებით გამიზნული პროცესები ბოლომდე ვერ იქნა მიყვანილი. იგი შეაჩერა პირველი მსოფლიო ომის დაწყებამ, რომელშიც ჩართული აღმოჩნდა რუსეთის იმპერიაც, ხოლო კავკასია და უპირველესად საქართველო იქცა საომარი სტრატეგიული მოქმედების ავანგარდულ ხაზად. აქედან, საომარი გავლენა ახალ რეფორმათა პროცესებზეც ნეგატიურად აისახა.

ამდენად, XX საუკუნის 10-იანი წლების დასაწყისიდან, განხორციელებულმა რეფორმებმა მოახდინა სტოლიპინის აგრარულ საკითხთა ხედვის ძირითად მიმართულებათა ცხოვრებაში

განხორციელება. ხოლო, რაც შეეხება იმავე რეფორმის მესამე პუნქტით გათვალისწინებულ კოლონიზაციის პროცესს, ქუთაისის გუბერნიის სოფლებში იგი მასიური სახით შესრულებულად არ ჩანს, რადგანაც ამ დროისათვის გუბერნიის სოფლებში ჩასახლებულად აღრიცხულია ასეთი ტიპის 105-მდე ოჯახი.<sup>1</sup> როგორც ირკვევა იგი შეეხო ვანსაც, მხოლოდ რამდენიმე ოჯახის ჩამოსახლებით.

კოლონიზაციის გზით საკითხთა მოგვარება უმაღლესი ხელისუფლების მიერ შეფარული და ვერაგი მუხტის მატარებელი იყო.

საგლეხო საადგილმამულო ბანკების მოწესრიგება თანამიმდევრულად შევიდა მოქმედებაში. თუმცა, ბანკის კრედიტებით დაქმაყოფილების პრივილეგირება კვლავ გადახარეს კულაკური ფენებისა და თავადაზნაურთა სასარგებლოდ. ეს პროცესი ამ უკანასკნელთან დამკოდებულებაში (თავადაზნაურობასთან) სანინააღმდეგოდაც შეტრიალდა.

თავადაზნაურთა და სხვა პრივილეგირებულთა მიერ, სხვადასხვა მიზეზებისა და დანიშნულებათა მიხედვით ბანკებიდან გატანილი სესხებით დავალიანება XX საუკუნის 10-იანი წლების საწყისისათვის – „1903-1904 წლებთან შედარებით იზრდება თითქმის ორჯერ.“

იმავე თავადაზნაურთა მიერ სესხად აღებული თანხების დიდი ნაწილი ვერც ამჯერად იქნა გამოყენებული აგრარულ სფეროში, მნიშვნელოვანი ძვრების, კვლავწარმოების გასაფართოვებლად. ყოველ შემთხვევაში „ვანთან“ მიმართებაში ეს ნაკლებად დასტურდება.

კრედიტის ამღები პირები, სტოლიპინის რეფორმის შემდეგაც, როგორც წესი, გირაოს სახით ბანკებში აქცევენ ძირითადად კუთვნილი მიწების ნაწილს, რომელთა ექსპლოატაციასაც გაიჯარების ფორმით ანხორციელებენ შესაბამისი ბანკები, ამ პროცედურის შედეგად, მიწის ყოფილი მეპატრონენი პრაქტიკულად იქცნენ ბანკებში დაგირავებული მიწების ნომინალურ მფლობელებად. ამასთან, იმის გამო, რომ ვერც ამჯერად შეძლეს აღებული სესხებისა და მისი პროცენტების გადახდა, ბანკები საჯარო აუქციონის გზით, კანონთა შესაბამისობაში, იწყებენ გირაოში ჩატოვებული მიწების რეალიზაციას. ამის ზოგიერთ კონკრეტულ მაგალითს ჩვენ უკვე შევეხეთ ვანის თემ-საზოგადოებებში შესაბამის საკითხთა გაშუქებისას (კრებული „მატიენე“ №9, №10). ამდენად, პროცესში სიახლე არაა, აღებული ინერცია გრძელდება.

რიგ საკითხებთან დაკავშირებით, მოვლენებიდან გამომდინარე, სიტუაციები შედარებით იცვლება „ვანის“ თემ-საზოგადოებათა ნაწილშიც, ფულად საკრედიტო ამხანაგობების შექმნიდან, 1910-იანი წლებიდან, მათი მნიშვნელოვანად გააქტიურების შემდეგ. როგორც აღვნიშნეთ, პრაქტიკულ საქმიანობაში შედარებით დადებითი ნიუანსი შეაქვს იმას, რომ ფულად საკრედიტო ამხანაგობების შექმნისათვის აუცილებლობას აღარ წარმოადგენს სოფლის მცხოვრებთა შორის საწესდებო კაპიტალის სახით მოსაკრებლების შეგროვება. ამ დროიდან, ამ ფუნქციას სათანადო წესების დაცვით, უკვე კისრულობენ ბანკები, რის გამოც ფულად საკრედიტო ამხანაგობების საკონტროლო პაკეტიც მათ ხელში გადადის, ან ხდებიან საკონტროლო პაკეტის მენილენი. ამ პროცესს საერთო-ეკონომიკურ და ეკონიმიკურ სიახლეთა თვალსაზრისით აქვს მნიშვნელოვანი დატვირთვა. ხოლო ის, რომ ფულად საკრედიტო ამხანაგობები, ახალი რეფორმის შემდეგ, თემ-საზოგადოებათა სახელით გვევლინებიან მიწების შესყიდვის პროცესით დაკავებული, მიუთითებს კიდევ ერთ სიახლეზე მიწათმფლობელობისა და მიწით სარგებლობის საკითხებში და როგორც ვხედავთ ეს პროცესები „ვანშიც“ გვარიანად ჩანს. და კიდევ ერთიც: როდესაც ვსაუბრობთ სტოლიპინის რეფორმიდან გამომდინარე საერთო, შესაბამისი ბანკების გააქტიურებაზეც, რომლებიც სესხებს გასცემდნენ არამარტო მიწის ნავეკეთების შესასყიდად, არამედ, როგორც ეტყობა, მეურნეობის მოსაწესრიგებლადაც, არ იქნება სწორი ვიფიქროთ, რომ ისინი სესხებს გასცემდნენ ყველა მსურველზე. ითქვა, რომ, ძირითადად, პროცესი სოფლის ბურუჟაზიული ფენის გააქტიურებას და ხელშეწყობას ისახავდა უპირველეს მიზნად. სტოლიპინის რეფორმის კურსიც ამაზე იყო გათვლილი და სხვათა შორის, საქართველოში მენშევიკური ხელისუფლებაც მეტნაკლებად ამავე პოზიციაზე იდგა. ასე, რომ ამ დროიდან მიწების შესყიდვის საკითხში ცხადია ჩართული ჩანან არა მარტო ცალკეული შეძლებული პირები,

1. მონაცემები აღებულია საქართველოს ისტორიის ნარკვევების VI ტომიდან.

საკურედიტო ამხანაგობებიც, ბანკებიც და მცირე რაოდენიბით გლეხთა შეძლებული ოჯახებიც. სტატისტიკური მონაცემები იძლევა ცნობას, რომ ქუთაისის გუბერნიაში მიწის შესყიდვა განუხორციელებია გლეხთა ოჯახების 3-7 პროცენტს, რომელიც საკმაოდ დაბალი მონაცემია. სავარაუდოა მეტნაკლები გადახრით ასეთივე მდგომარეობა იყო ვანშიც.

„ვანთან“ მიმართებაში 1905-1907 წლების (ე.ი. ახალ რეფორმის) შემდგომ სამეურნეო პროცესთა შესწავლა და შეჯერება ოფიციალურ ლიტერატურასთან იძლევა დასკვნის საშუალებას, რომ სამეურნეო მოწყობის მიმართულებებთან დაკავშირებით აქ ვითარება იცვლება ძალიან ნელა, ან მთელ რიგ მახასითებლებში საერთოდ არ იცვლება. მაღალ რელიეფურ განლაგებათა დასახლებაში პროცესი შეიძლება რამდენადმე გამართლებული მომენტით აიხსნას, მაგრამ ბარის ზონებთან დამოკიდებულებაში მაქსიმალური გამართლების მოძებნა ჭირს.

ვფიქრობ, რომ რამდენიმე ფაქტორით შეიძლება აიხსნას ეს:

1 – როგორც ჩანს 1865 წელს ქუთაისის გუბერნიაში გატარებულმა და – შემდეგ ვერც „სტოლიპინის“ რეფორმებმა საქმის ამ ნაწილთან მიმართებაში, პროვინციულ დასახლებებში, ყოველ შემთხვევაში, „ვანის“ სოფლებში, პროცესები ღრმად ვერ დასძრა. ფეოდალურ ბატონიებური დანაშრევები კვლავ მძლავრობს. სოფლის ბურუუზია ჯერ კიდევ არც ისე ძლიერია, მიწის მფლობელობისა და მიწათსარგებლობის საკითხები თეორიულად კი იცვლება, მაგრამ მიწისმფლობელ მემამულეთა დამოკიდებულება მიწაზე, გლეხთა მცირე მიწიანობა, დაწესებული რენტა და გადასახადები და ა. შ. არ იძლევა საშუალებას გლეხმა იფიქროს შესასრულებელ აგრარულ სამუშაოთა ტექნიკურ სრულყოფაზე, რომელიც ამ დროისათვის არც ისე ხელმისაწვდომია და არც ისე გაუმჯობესებული, რომ საშუალო დონეზეც კი შეამციროს ხელით შრომის კოეფიციენტი და გაზარდოს შრომისნაყოფიერება. პირდაპირ უნდა ითქვას, ამას განაპირობებდა გლეხთა საგანმანათლებლო ჩამორჩენილობაც. ასეთი ანარეკლი ეტყობა „ვანის“ მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობასაც, რომელზედაც ჩვენ ამ მომენტში ვამახვილებთ ყურადღებას.

2 – მიკვლეული მასალების ანალიზითაც ჩანს, რომ ამ დროისათვისაც ფაქტორთა გამო, წინა პლაზი წამოწეულია იჯარულ ურთიერთობათა ფორმები, გაზრდილია კონკურენცია გასაიჯარებელ მიწებზე. გლეხი იძულებულიც და ვალდებულია აგრარულ სამუშაოთა შესრულებისას ძირითადად დაეყრდნოს საკუთარ ძალებსა და საშუალებებს. მიწის მფლობელი, გამაიჯარებელი არ, ან იშვიათად იღებს ვალდებულებას შრომის პირობების გაუმჯობესებაზე, ხოლო მოიჯარე ვალდებული რჩება ნებისმიერ პირობებში მიწის მფლობელს დაუფაროს იჯარით გათვალისწინებული ვალდებულებანი. „ვანშიც“ ეს ასეა და მოქმედების ასეთი სტილი თავისუფლად ჯდება პროფესორ ალექსანდრე ბენდიანიშვილის მიერ იმ დროისათვის აგრარულ ურთიერთობათა საკითხებზე ჩამოყალიბებულ შეფასებებში. რომ გაზრდილი კონკურენციის მოსაგებად გლეხი იძულებულია მიიღოს გამაიჯარებლის ნებისმიერი პირობა. ამ შემთხვევაში მემამულე არც დანახარჯებს ეწევა, სანადელო მიწებიდან გაიჯარებულ მიწებთან ერთად შესაბამის გადასახდელებსაც იღებს. ამდენად, ამგვარი შრომითი და სამეურნეო ურთიერთობანი მისთვის ხელსაყრელიცაა და რენტაბელურიც. ამის გამოც, როგორც ჩანს, შრომითი დამოკიდებულებისა და ურთიერთობის ფორმების შეცვლას იგი არ ცდილობს. იღებს იმდენს, რამდენიც საკმარისია მისთვის და დანაგროვებ ჭარბ პროდუქციასაც მისცეს სასაქონლო სარეალიზაციო სახე.

3 – გირაოში ჩადებული მიწების არც თუ მცირე რაოდენობაზე, ბანკებიც სამეურნეო მოწყობის საკითხებზე პასუხისმგებელი არ ხდებიან. ისინიც ამ მიწებს, ანალოგიური იჯარის ფორმების ქვეშ იძლევიან და როგორც აღინიშნა ანალოგიური სახითაა გაცემული ციხესულორის, სოფელ ვანის, დიხაშხოს, სალხინოს, უფრო დიდი რაოდენობით ბარის ერისთავთა და ზოგიერთ სხვა მიწის მფლობელთა ნაკვეთები და ა. შ. ზემოთ თქმულიდან გამომდინარე გამორიცხულია ასევე, თავისუფალი შრომა-მიგებითი საქმიანობაც. ამ დროისათვისაც პროცესში დროებით ვალდებულ და სხვა კატეგორიების გლეხთა გვერდით ჩართულია სამოჯამაგირეო გლეხთა შრომაც.

ასე, რომ მითითებულ ფაქტორებზე დაყრდნობით მიწის მფლობელი თავადი, აზნაური, კულაკი სამეურნეო პროცესთა განვითარებაზე მნიშვნელოვანს არც არაფერს ხარჯავდა, საერთო

და საიჯარო ექსპლოატაციის საფუძველზე პიროვნულად მნიშვნელოვან ეკონომიკურ მოგება-საც იღებდა და პროცესთა ტექნოლოგიურ-ტექნიკური გაუმჯობესების დანახარჯების გაწ-ევისაგანაც თავისუფალი იყო. აშკარად ჩანს, რომ პროცესთა ამდაგვარი დინება მათ ხელს აძლევდათ და შემთხვევითობად არ უნდა მივიჩნიოთ, რომ სამეურნეო ციკლის განახლებისა-გან ისინი დისტანცირებულნიც აღმოჩნდნენ, ამდენად „ვანის“ აგრარულ სამეურნეო სფეროს ძირითადი მახასიათებლები ასეთი სახით გამოიყურებოდა და საერთო განვითარების თვალ-საზრისითაც ასეთად რჩებოდა 1905-1907 წლების რვოლუციის შემდეგაც.

გამომდინარე ზემოთ თქმულიდან, არასწორად შეიძლება მივიჩნიოთ თუ საუბარი წავა იმაზე, რომ „ვანში“ მიწის მფლობელებმა ალლო ვერ აუღეს დროის მოთხოვნათა შესაბამის სამეურნეო განახლებას, ან ვერ გამოიჩინეს მეურნეობის რაციონალურად მოწყობის უნარი, იმ ფორმით მაინც, რომელიც შეესაბამებოდა პროცესთა ცვლასა და განახლებას, კაპიტალ-ისტური განვითარების საწყის ეტაპებს. პროგრესირებაზე „გადასვლის სიძნელეებს განაპი-რობებდა ობიექტური ფაქტორი – მიწის საკუთრებაზე კვლავ თავადაზნაურთა მონოპოლია, იჯარის ხელსაყრელობა და მეურნეობის შრომამიგებითი სისტემის რენტაბელობა. ეს ათავისუ-ფლებდა მათ დაქირავებულ შრომაზე დამყარებული მეურნეობათა შექმნის რისკისაგან“<sup>1</sup>. უნდა ვაღიაროთ, ეს შეფასება ვრცელდება „ვანელ მიწათმფლობელებზეც“ გვერდს ვერ ავუვლით ერთ არც თუ უმნიშვნელო ფაქტორსაც: ვიმეორებთ და პრაქტიკაც აჩვენებს ტექნიკურ პრო-გრესირებაზე ზრუნვას განაპირობებს, ჯეროვანი ცოდნაც და მატერიალური საშუალებანიც. პირველი პოზიცია იმ დროის „ვანისათვის“ ჯერ კიდევ უაღრესად დაბალ საფეხურზეა. მატერიალური საშუალებანი პროცესთა დაძვრისათვის გლეხობას არ გააჩნდა, ხოლო ყოფილ მიწის მფლობელ არისტოკრატიას სახელმწიფოსაგან საკომპენსაციოდ გამოყოფილ და მიწის რეალიზაციიდან მიღებული, ასევე დაწესებული გადასახდელებით ამოღებული თანხები, რო-გორც ჩანს შემოხეარჯა. ასევე არამიზნობრივად გამოიყურება მათ მიერ ბანკებიდან აღებული კრედიტების გამოყენების მდგომარეობაც.

რადგან ზემოთ სამეურნეო მოწყობის რისკსაც შევეხეთ, შეიძლება აღინიშნოს: საერთოდაა ცნობილი, რომ კონსერვატიული ჯგუფები ასეთ რისკებს იშვიათად ეწევიან. მაშინ, როცა მასზე უმრავლეს შემთხვევაში, უარს არ იტყოდა აგრარულ სექტორში ინვენტიციების გამ-ლები არცერთი კაპიტალისტი ან კერძო წარმატებული ფერმერიც კი. მითუმეტეს ამ პერი-ოდისათვის მოთხოვნილება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე პროგრესულად იზრდებოდა. ყოველ შემთხვევაში „ვანში“ კონსერვატულ მიწათმფლობელთა მხრივ საკითხი მიმოხილული პერიოდისათვისაც ასეთად გამოიყურება.

მიუხედავად ყველაფრისა, 1905-1907 წლების და შემდგომ, ძირითადად 1910-იანი წლე-ბიდან „ვანშიც“ სამეურნეო საქმიანობისა და კონკურეტულად სასოფლო-სამეურნეო კულ-ტურებზე საბაზრო მოთხოვნილებათა გაზრდის შედეგად, აქცენტების დიფერენცირება რიგ მიმართულებებში მაინც შეიმჩნევა. ცხადია, მთლიანობაში ეს არ უკავშირდება ნედლეულის ან საქონელნარმოების ადგილობრივ, შთამბეჭდავ ორგანიზებულ ფორმებს, მაგრამ, როგორც ჩანს, ბაზრის მოთხოვნილება ხდება სტიმულის მიმცემი სოფლებში, ცალკეულმა მწარმოე-ბლებმა, რომელთაც საამისო საშუალებანი გააჩნდათ, იფიქრონ საქმიანობის შედარებით გა-ფართოვებაზე. მითითებულ დროთა შორის სწორედ ამ პროცესის გავლენით უნდა აიხსნას, რომ „ვანშიც“ 1907-1914 წლებში რამდენადმე შეცვლილად გამოიყურება სამეურნეო ურთიერ-თობათა ფორმებიც და შინაარსიც. ამიტომაც „ვანის“ რეალობიდან არსებობენ ზოგადი მონა-ცემები მაინც, რომლებიც ადასტურებენ, რომ იმპერიის ცენტრებსა და ქალაქებში, კავკასიის ბაზარზეც, ზოგიერთ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციასა და ნედლეულზე მოთხოვნილების გაზრდა აქაც ცვლის დამოკიდებულებებს ცალკეული დარგების მიხედვით, განსაკუთრებულად იმ კულტურებზე, რომლებიც წარმოადგენდნენ სამრეწველო ნედლეულს და შესაბამისად შიგა ბაზრების ინტერესებიდან გამომდინარე იმპერიაც იჩენდა ყურადღებას მათი განვითარები-სათვის. ეს ეხებოდა როგორც მოთხოვნად სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოებას,

1. ალექსანდრე ბენდიანიშვილი – რევოლუციის წარმომადგენერალი საქართველოში. გვ.78

ასევე ტექნიკური საშუალებების გაუმჯობესებას, რომელიც გუბერნიებსა და პერიფერიებში შემოდიოდა რუსეთის სამრეწველო ორგანიზაციებიდან, ასევე გუბერნიის მასშტაბით, აგრონომიული სამსახურის საწყის ეტაპზეც ჩამოყალიბებასაც და შემდეგში გააქტიურებასაც. პროცესიც უკავშირდება ამ მიმართულებით იმპერიაში განვითარებულ, აღმავლობით მოვლენებს, და რადგანაც, ყოველივე ამან ასახვა ჰქონდება საერთოდ ცხოვრებისეულ მიმართულებიზე, არ მი-ვიჩნევ შეუსაბამოდ აღნიშნულ პერიოდთან შეხებაში დიფერენცირებულად შევეხოთ მხოლოდ ზოგიერთ საკითხს:

ვთქვით, რომ დროის მითითებულ მონაკვეთს ემთხვევა შედარებითი ცვლილებანი და სიახლენი ცხოვრებისეულ სფეროებში. ეს პროცესი მეტნაკლები ფორმით იდენტურია „ვანის“ ყველა სოფლისა და მთლიანად მოსახლეობისათვის. ასევე, განზოგადებითი ნაწილი და მტკიცებულებანი, რომელსაც აქაც დიფერენცირების მომენტში რიგ ადგილებზე შევეხებით, როგორც აღნიშნა დადგენილია მაშინდელი სათანადო ორგანოების მიერ. ქუთაისის გუბერნიის – აქედან ქუთაისის მაზრის თითქმის ყველა დასახლებული პუნქტების პრობლემათა შესწავლის საფუძველზე, რომელთა შესაბამისი ნაწილის გაცნობა-შესწავლაც ჩვენ მოგვინა წინამდებარე საკითხზე მუშაობისას.

### 1) – სამეურნეო ურთიერთობათა საკითხები:

1912-1913 წლების დეკამბერ-იანვრის კანონებმა საბოლოოდ გააუქმა 1864-1865 წლების რეფორმათა შედეგად დროში ჩარჩენილი დროებით ვალდებულ (სანადელო) და სახაზინო გლეხთა ინსტიტუტი. რის შემდეგაც გლეხთა ამ კატეგორიას ნებაც დართეს და სავალდებულოდაც გაუსადეს სანადელო-სახაზინო მიწების გამოსყიდვა. ამით, მათ, მიწასთან, არსებობის ძირითად საშუალებასთან დამოკიდებულება შედარებით თავისუფალი გაუხდათ, მდგომარეობა რამდენადმე შეუმსუბუქდათ.

უნდა ვთქვათ, რომ ადრეულ და XX საუკუნის 10-იან წლებში გატარებული რეფორმები ბოლომდე მაინც ვერ მივიდა. დამამთავრებელ ეტაპზე ამის ხელშემშლელ ფაქტორად აუცილებლად იქცეოდა პირველ მსოფლიო ომში იმპერიის ჩაბმა, მაგრამ 1914 წლამდეც, ამ მხრივ თავი იჩინა მთელმა რიგმა შეუსაბამო ფაქტორებმა, რომელზედაც დაუფარავად აქვს ყურადღება გამახვილებული ქუთაისის გუბერნიის ხელმძღვანელობასაც თავიანთ ოფიციალურ მიმოხილვებში.<sup>1</sup> აქ, უმუალოდაა მინიშნებული, რომ წინაღობა გახდა გლეხთა მატერიალური სივიწროვე, უფულობა, რომ სანადელო-სახაზინო მიწების გამოხსნა ძირითადად მიმდინარეობდა ხაზინისაგან ფინანსური სესხებით დახმარების განვევის შემთხვევაში (რაც ამ სტრიქონების ავტორის აზრით არც ისე გულუხვი იყო უბრალო გლეხებისათვის) პროცესი გაურთულებია ყოფილ მიწის მფლობელებსა და ან უკვე ყოფილ დროებით ვალდებულ, სახაზინო გლეხებს შორის წარმოშვებულ ნაკვეთთა სასაზღვრო გაჭიანურებულ დავებს. რომელიც 1914 წლის და-საწყისისათვისაც გადაუქრელი ჩანს.

– მიუხედავად ამისა 1913 წლს ხელშეკრულებათა საფუძველზე 9151 კომლს მაინც მოუხდენია 12081 ქცევა მიწის გამოსყიდვა. მიწის შესყიდვის ფაქტები ამ დროისათვის დადასტურებულია „ვანის“ სოფლებში<sup>2</sup> და როგორც ირკვევა მომდევნო წლებიდან ეს პროცესი „ვანის“ სოფლებში მაქსიმალურად იკლებს.

### 2) – სამეურნეო საქმიანობა:

ა.– 1910-იანი წლების მიჯნაც და შემდეგი 4-5 წლიანი მონაკვეთი (რუსეთში განვითარებულ 1917 წლის რევოლუციამდე) მოწმეა სამეურნეო-სამრეწველო პროცესების შედარებით დაძვრისა. დროის მოთხოვნებს გაპყვა მიკროსანარმოების აღმოცენებაც, ადგილობრივი ნედლეულის ბაზის სრულყოფაზე ზრუნვაც. იგი შეეხო საქართველოსაც.

– 1910-იანი წლების მიჯნა და შემდეგი 4-5 წლიანი მონაკვეთი მოწმეა იმისაც, რომ გუბერნიისა და ქუთაისის მაზრის აგრარულ დასახლებათა უმრავლესობა, მათ შორის „ვანიც“,

1. ინვესტიციური გუბერნიი — 1912-1913 წ. ქუთაისის ცენტრალური არქივი ფონდი №130.

2. შენიშვნა გაკეთებულია ვანის მხარემცოდნების მუზეუმისა და ზოგიერთ კერძო პირთა დაცულ მასალებზე დაყრდნობით.

დაახლოებით ადრეულ ვითარებაში ჩარჩა და უჭირთ, გართულებული აქვთ შედარებით პროგრესირებად პოზიციებზე გადასვლა, მდგომარეობის სწრაფი შეცვლა.

– 1910-იანი წლების მიჯნაზეც და შემდეგ პერიოდშიც კი, აგრარულ-პერიფერიულ, მათ შორის „ვანის“ დასახლებათა და მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობისათვის „მოსახლების კულტურულ-ეკონომიური განვითარებისათვის, მხოლოდ სოფლის მეურნეობა ითვლება ერთად-ერთ მთავარ საშუალებად... თუმცა, მხარე თავისი ბუნებრივი პირობებით ხელსაყრელია ნების-მიერი სამეურნეო დარგის განვითარებისათვის“. ასეთი შეფასება დევს ქუთაისის გუბერნიის მიმოხილვით მასალებში<sup>1</sup>, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, ემყარება გუბერნიაში, თითქმის ყველა დასახლებათა მიხედვით, არსებულ პრობლემათა და სიტუაციათა შესწავლა-შეფასებას.

– იგივე შეფასებით დგინდება, რომ 1910-იანი წლების მიჯნაზეც და შემდეგ 4-5 წლიან მონაკვეთშიც საერთოდ, და კონკრეტულად „ვანშიც“ ხელშესახები სამრეწველო-საწარმოო პოტენ-ციალის არსებობა, მისი შექმნა-პროგრესირებისათვის ზრუნვა, ზოგიერთი პრიმიტივის გარდა არც ჩანს და არც მონახაზშია დაფიქსირებული.

ბ) – სამეურნეო დარგებიდან, ზოგიერთ სხვა მარცვლეულ კულტურთა შევიწროების ფონზე აშკარად იყვეთება, რომ დღმინირებს სიმინდის კულტურა. „რომ სამტრედიდან აღმოსავლეთით განვითარები დაბლობები (ჭალები), რომელშიდაც მოიაზრებოდა „ვანის“ სოფლების სამეურნეო ტერიტორიების სივრცეც – აღნიშნული კულტურის ქვეშა მოქცეული“<sup>2</sup>. მოსახლეობაც მისი მოყვანითა და კავებული.

– საფუძვლიანად, სწორად უნდა იქნას მიჩნეული გუბერნიის შესაბამისი სამსახურების შეფასებანი სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოვლა-მოყვანის საკითხებზე. დადებით მომენტად უნდა შეფასდეს ისიც, რომ ობიექტურადაა დასმული აქცენტები სოფლებსა და გლეხობაში წარმოების არსებულ საშუალებათა უკიდურესად დაბალ დონეზე, მის პრიმიტიულ ხასიათზე, რის გამოც მოქმედებაშია კვლავ თოხი და კავი, რომ ასეთი ტექნიკით მოხნული მიწის სიღრმე „არ აღემატება 1-2 ვერშოკს“ (5-8 სმ) რომელიც უარყოფით გავლენას ახდენს სიმინდის ვეგეტაციასა და მოსავლის მიღებაზე, თუმცა მაქსიმალურად ითხოვს შრომით ძალისხმევას, „წარმოების პროცესები დაშორებულია აგრონომიულ ნორმებსა და წესებს“.

განვითარებულ მოვლენებზე დაყრდნობით და ზემოთ მინიშნებული შეფასებებიდან გამოდინაერე შეიძლება დავასკვნათ: მემარცვლეობის კულტურისადმი მიღვინეული საერთო ფორმითა და საწარმოო შესაძლებლობათა თვალსაზრისით, დიდად არ განსხვავდება XIX საუკუნის რეფორმის დროინდელი პერიოდისაგან. ხოლო რაც შეეხება შრომითი პროცესების ტექნიკური პირობების გაუმჯობესებას, გუბერნიის ხელმძღვანელი პირების შეხედულებითაც, ამ გზაზე კვლავ შემაფერხებელია მიწის მფლობელთათვის მიწების გაიჯარების მომგებლიანობა, რომელიც მათ ანთავისუფლებს ტექნიკურ საშუალებათა გაუმჯობესებისათვის ზრუნვისაგან. თუმცა აქვე, შეფასება არის უფრო რადიკალურიც: „მიწის მფლობელთა მიერ საწარმოო საშუალებათა ტექნიკურ გაუმჯობესებაზე თანხების გაღებისათვის გამოჩენილი სიძუნნე, ტექნიკური პროგრესის მაქსიმალური გაუცნობიერებლობა, მისადმი გულგრილი დამოკიდებულება.“ როდესაც არსებულ მდგომარეობას ეცნობი ასეთი შეფასება არ შეიძლება გადაჭარბებულად მივიჩნიოთ.

ყურადღება შეიძლება გამახვილდეს ცალკეულ აგრარულ დარგთა მისამართით გუბერნიის და მაზრის ხელმძღვანელთა ზრუნვაზეც, რომელიც იმპერიის სამრეწველო-სავაჭრო მოთხოვნებიდან გამომდინარებდა, მაგრამ ეს ზრუნვა პროცესთა რადიკალური დაძვრისათვის აშკარად არასაკმარისი ჩანს, ხოლო თვით მნარმოებელ მასას ამის საშუალება ნამდვილად არ გააჩნდათ არც 1910-იან წლებამდე და არც 1910-იანი წლებიდან. საწარმოო-ტექნიკური პირობებისა და პროცესების გაუმჯობესების აუცილებლობა დანახულია „ახალშობილი“ დარგების მიმართაც, როგორიცაა მებაღეობა, მებოსტნეობა და მეხილეობა.

ნიშანდობრივია, რომ 1910-იანი წლებიდანაც თითქმის მოუნესრიგებელია მარ-

1. ქუთაისის გუბერნიის მიმოხილვითი მასალები 1912-1913 წლები – რუსულ ენაზე, ქუთაისის ცენტარალური არქივი ფონდი №130

2. ქუთაისის გუბერნიის მიმოხილვითი მასალები – რუსულ ენაზე ქუთაისის ცენტარალური არქივი ფონდი №130

ცვლეულის შენახვის ადგილები და ეს პროცესი ახსნილია მწარმოებელი მოსახლეობის დაბალი კულტურითაც. „ამასთან, შენახვა-დაცვის პირობათა მოუწესრიგებლობისა და ბაზარზე სარეალიზაციოდ გატანის შეფერხების გამო პროდუქცია ფუჭდება და განიცდის ლპობასო“. აქედან გამომდინარე გუბერნიის წამყვანი მაზრების, მათი მოსახლეობისათვის დაუწესებიათ 40-40 კაპიკი გადასახადი ყოველ კომლზე, რომელიც უნდა მოხმარებოდა მარცვლეულის შესანახი მარტივი ტიპის ფარდულების აშენებას და ამ გზით გადაერჩინათ მოსავალი გაფუჭებისაგან.

„სოფლის მეურნეობის უზრუნველყოფის კომიტეტში ქუთაისის გუბერნატორის მიერ გაგზავნილ მოხსენებაში<sup>1</sup> აშკარადაა მითითებული მარცვლეული კულტურების არასწორ თესლბრუნვაზეც, რომ ნიადაგები დარჩენილია დაუმუშავებლად, აუცილებელია სათესი ნიადაგმონაცვლეობა, რომ სავარგული მინდვრები 4-5 მოსავლის მიღების შემდეგ მიტოვებული ხდება თითქმის 3-10 წლით<sup>2</sup>, მითითებულ მოხსენებაში ყურადღება გამახვილებულია მეცხოველეობის დარგის სუსტ დონეზეც, განუვითარებლობასა და იმაზეც, რომ აუცილებელია ჯიმთა ცვლა, პირუტყვი მცირე ზომისაა, მათი პროდუქტიულობა ნაკლებია, დასახვენია მოვლისა და შენახვის კულტურაც. ასევე, ამ მხრივ ჭალები ნაკლებადაა ათვისებული და საერთოდ არ ეწევიან პირუტყვისათვის საკვები ბალახისა და ძირხვევნების თესვასო. თუმცა, ამის განმაპირობებელი სხვა არაერთი დამატებითი ფაქტორიცაა და საგულისხმოც ისაა, რომ სისტემისა და შექმნილ გარემოებათა შედეგად არასაკმარისი იყო საჭირო პირობებითა და საშუალებებით უზრუნველყოფა, რომლებიც აღნიშნულ პრობლემებს მთლიანობაში თუ ვერ მოხსნიდა, შეამსუბუქებდა მაინც.

ნათქვამიდან გამომდინარე არ შეიძლება არ აღინიშნოს მითითებული მოხსენების საკმაოდ გააზრებულ მხარეზე, რომელსაც ასევე კარგი და გააზრებული გადაწყვეტილებაც ახლავს და მიუხედავად აგრარული სფეროსადმი განეული და გასაწევი დახმარების განსაზღვრისა, საერთო მდგომარეობა პერიფერიულ დასახლებებთან დამოკიდებულებაში, ისევე, როგორც „ვანში“, მოწესრიგებულ შთაბეჭდილებას არ ტოვებს და მათივე დასკვნით – „წარმოების საშუალებათა ასეთი დაბალი დონე, რომელიც ასევე მაქსიმალურადაა ხელითშრომასთან დაკავშირებული – პირდაპირ, მძიმე ტვირთად ანევთ მიწის დამმუშავებელ მოსახლეობას და მოსავალსაც მცირედს იღებენო<sup>3</sup>.

დადგენილი ფაქტია, რომ გუბერნიიდან XX საუკუნის 10-იანი წლების საწყისიდან, მცირდება სიმინდის მარცვლის ექსპორტი, რომელსაც „ვანის“ ბარის ზონის ზოგიერთი სოფლებისა და მიწის მფლობელებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა და ამაზე ყურადღებაც გავამახვილეთ, როდესაც ვაჭრობისა და საქონელბრუნვის საკითხებში რიონის არტერიის გამოყენებას შევეხეთ. მაგრამ აქაც სარეალიზაციო პროდუქტის შემცირება უკავშირდება იძულებას, რადგანაც, როგორც ოფიციალური ლიტერატურა იმონქებს, ადგილობრივი სამომარებლო ბაზრები გაჯერებული იქნა ამერიკისა და ევროპის ქვეყნებიდან შემოტანილი პროდუქციით.

თუმცა, ადგილობრივ მარცვლეულის წარმოებას, როგორც საკვები კულტურისას, „ვანის“ მცხოვრებთათვის მნიშვნელობა არ დაუკარგავს და პირიქით, საერთო განზომილებით მასზე ყურადღების გაძლიერებაც აღინიშნება.

გ) – ამავე პერიოდს ემთხვევა შიგა და გარე ბაზრების მოთხოვნილებათა ინტენსიური ზრდა ღვინო-პროდუქტებზე. რაც თავის მხრივ საკარმიდამო მეურნეობათა ჩარჩოებში მევენახეობას განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ აყენებდა. ამასვე ადასტურებს 1910-იანი წლებიდან გუბერნიის ხელისუფალთა განსაკუთრებული ზრუნვის გამოხატვა დარგისადმი და შესაძლებლობათა ფარგლებში შესაფერისი ნაბიჯების გადადგმაც. ცხადია, ეს ქართული პროდუქცია

1. ქუთაისის ცენტრარული არქივი ფონდი № 130, საქმე № 297

2. ამ შემთხვევაში უნდა ჩავთვალოთ, რომ ნიადაგი გამოიფიტა, ხელოვნური განაყოფიერება ჯერ კიდევ ოცნების სფეროა და მწარმოებელი გლეხი იძულებულია დროებით შეაჩეროს მიწის ასეთ ნაკვეთზე საქმიანობა, ვიდრე ნიადაგი ბუნებრივად აღადგენდეს საჭირო „ენერგიას“. ცხადა ამ შემთხვევაში სახეზე იქნებოდა მოსავლის კლება და დანაკარგებიც, რომელიც ახალი ეკომიკურ-მატერილური პრობლემების მატრებელი იქნებოდა.

3. ქუთაისის ცენტრარული არქივი ფონდი № 130 საქმე № 297 მითითებული მოხსენება

გათვალისწინებული იყო იმპერიის შიგა მოხმარებისათვისაც, რითაც იგი ცდილობდა ევროპული ქვეყნებიდან პროდუქციის იმპორტის შემცირებას და საქართველოს ამ მხრივ განსააკუთრებული როლი დაეკისრა. გუბერნიის ხელმძღვანელთა ზრუნვაც დარგისადმი ამით იყო განპირობებული. თუმცა, პროცესი მევენახეობის განვითარებას საფუძვლიანად გამოადგა.

ამავე პერიოდში დატვირთვა ლვინო-პროდუქტების წარმოების თვალსაზრისით კვლავ იზრდება ქუთაისის, შორაპნისა და ლეჩხუმის მაზრების, მათ სოფლებზე. თუმცა ამ მომენტში კვლავ ინტერესთა სფეროშია მევენახეობის დარგის შედარებით ახალ პირობებთან გაცნობიერება. სრულყოფა ამასვე ემთხვევა იმ დროისათვის სათანადო დონეზე გამართული ანანოვის ვარციხის ლვინის ქარხნის ფუნქციონირება, რომელიც 1910-იანი წლებიდანაც ინტენსიურად ზრდიდა მოთხოვნას ყურძენზე, საკმაოდ მაღალი ანაზღაურებით, მევენახეობის განვითერბაზე პრიმატის შექმნით და ანარმოებდა ეს სანარმო ყოველწლიურად 40-60 ათასი ფუთი ყურძის შესყიდვას. აქედან, საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ „ვანის“ ტრადიციული მევენახეობის სოფლები, რომლებიც ტერიტორიულადაც ახლოს მდებარეობდნენ ანანოვის სანარმოსთან (კონკრეტულად გორა-ზეინდრის ზონა) და ასევე შედიოდნენ ბალდათის საბოქაულოს შემადგენლობაში ამ მხრივ გამოიჩენდნენ საკმაოდ დაინტერესებას.

საზგასმით უნდა აღინიშნოს ერთი რამ, დაავადება, რომელიც ვაზის კულტურას XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან გაუჩნდა, მიუხედვად მაშინდელ პირობებში გამოჩენილი ძალისხმევისა, XX საუკუნის 10-იან წლებშიც საბოლოოდ დაძლეული არა და ამაზე მიუთითებს გუბერნიის შესაბამისი მასალებიც. ხოლო გუბერნიის „მეღვინეობის კომიტეტის“ მიერ შექმნილ სპეციალურ კომისიას, რომელთა საქმიანობაშიც შედიოდა მათზე მიჩენილი ადგილებისა და მოსახლეობის შემოვლა-შემოწმება-შესწავლა, საქმიანობისათვის მიმართულებებისა და რჩევების მიცემა, ქუთაის-შორაპან-ლეჩხუმის მაზრების 64 დასახლებაში შეუსწავლიათ 170 ქცევა ვენახი, მათ შორის „ვანის“ ზოგიერთ სოფლებშიც და მოუმზადებიათ დასკვნაც და რეკომენდაციებიც. სხვათა შორის, როგორც მეთოდური, ასევე მაშინდელ ტექნიკურ საშუალებათა წახმარების თვალსაზრისით, სხვა დარგებისაგან განსხვავდით კარგად ჩანს გუბერნიისა და მაზრის ხელისუფალთა წახმარებები მევენახეობის დარგის მიმართ.

დ) – XX საუკუნის მიჯნიდან, გარკვეულ პერიოდამდე „ვანში“ ბამბის კულტურისადმი დამოკიდებულება ადრეულთან შედარებით, გააქტიურებულიც და მიზანმიმართულად – გაუმჯობესებულიც ჩანს, ასეთი ყურადაღება განპირობებულია „ვანის“ მეზობელ ქალაქსა და საქართველოშიც ახლადაღმოცენებულ და პროგრესირებად მსუბუქი მრეწველობის სანარმოების გახსნაზე, მათი საქმიანობის სრულყოფაზეც. გამომდინარე აქედან ეს პროცესი კავკასიაშიც იფართოვებს არეალს, მაგრამ ქუთაისის მაზრაში ეს სიტუაცია საკმაოდ მძლავრად გამოიყურება. კარგად ჩანს, რომ აქ გადამწყვეტი როლი შეასრულა იმპერიის ხელისუფალთა მიერ გატარებულმა „საერთოპროტექციონისტულმა“ პოლიტიკამ. აქედან გამომდინარე ბამბის ნაწარმისა და იმპორტიორების მაქსიმალურად დაბეგვრამ, რამაც ადგილობრივ პროდუქციას შიგა ბაზარზე გამოუნთავისუფლა გზა და ფასების მატებით შექმნა პირობა ნედლეულის წარმოების გაფართოვებისა და მწარმოებელი გლეხის დაინტერესებისათვისაც... სწორედ, ამის გავლენა უნდა იყოს ამ დროიდან „ვანის“ სოფლებში ბამბის კულტურაზე ყურადღების გადატანა.

გუბერნიის მიმოხილვით მასალებში აღნიშნულია, რომ ....„აქ, გუბერნიაში, ბამბის კულტურა გარდა ქუთაისის მაზრისა, ვითარდება ნელა“, ხოლო ქუთაისის გუბერნატორის ზემოთ მითითებულ საკმაოდ მრავალგვერდიან მოხსენებაში პირდაპირაა საუბარი: ....„ბამბის მოყვანა ძირითადად წარმოებს იმერეთის მთისწინეთში, თბილ, კლიმატურ პირობებში, განსაკუთრებულად „საჩინოს“ რაიონში<sup>1</sup> და სოფელ სიმონეთში.<sup>2</sup>“

დადასტურებულია, რომ იგი შესაბამის „კლიმატურ და ნიადაგურ პირობებთან მისადაგებით“ „ვანშიც“ იფართოვებს პოტენციალს. ეს კულტურა „ვანელებს“ მოჰყავდათ ძირითადად

1. საჩინოს – დღევანდელი ვანის რაიონის გარკვეული ტერიტორია.

2. სიმონეთი – სოფელი დღევანდელი თერჯოლის რაიონში.

საკარმიდამო ნაკვეთებზე, სთესენ და გავრცელებულია ბამბის ეგვიპტური ჯიშები. „თუმცა, მათი დამუშავება პრიმიტიულია ისე, როგორც სიმინდისა, ამ საქმით ძირითადად დაკავებული არიან ქალები.“<sup>1</sup> დადასტურებულია ციფრებიც, რომ ბამბა დათესილია 774 დესეტინა მიწაზე – საერთო მოსავალი 6240 ფუთი (დაახლოებით 100 ტონამდე)

„სამტრედიაში“ დათესილია 88 დესეტინა (აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ სამტრედის მონაცემში შედის დღევანდელი „ვანის“ რაიონის ბარის ზონის ის სოფლები შუამთიდან-ტობანიერის ჩათვლით – შუამთა-ჭყვიშის დასახლება, მთისძირი, ნაწილობრივ ტობანიერის ტერიტორიებიც, ანუ ტობანიერის სოფლის საზოგადოების სოფლები, რომლებიც მოცემული პერიოდისათვის გაერთიანებული იყვნენ სამტრედის საბოქაულოს საკურატორო ზონაში. თუმცა, აქვე როგორც ჩანს, ჩათვლილია სამტრედის ზოგიერთი შესაბამისი სოფლებიც.) – „ბალდათში“ – (ასევე მასში იგულისხმება ციხესულორიდან, დღევანდელი „ვანის“ რაიონის აღმოსავლეთი მხარე სალომინაოს ჩათვლით. სოფლები: ციხესულორი, ქალაქი „ვანი“, სალხინო, დიხაშხო, ამაღლება, გორა-ზეინდრის და სალომინაოს შესაბამისი ტერიტორიები, დამატებული დღევანდელი ბალდათის რაიონის შესაბამისი სოფლები, რომლებიც იმ დროს შედიოდნენ ბალდათის საბოქაულოს საკურატორო ზონაში.)

აქედან მკითხველს ვთხოვ, ამდაგვარი ტერმინოლოგია ჩვენ ამ თხრობაში შეგვხვდება კიდევ რამდენიმე ადგილზე და სამტრედიაც და ბალდათიც, რომელნიც ჩასმული იქნებიან წინწკლებში, უნდა გავიაზროთ ისევ, როგორც მოცემულ შენიშვნებშია მითითებული) – ამდენად, „ბალდათშიც“ დაუთესიათ 95 დესეტინა ბამბა, „სამტრედიაში“ მიუღიათ მოსავალი 1432, „ბალდათში“ 1000 ფუთი.

ბამბის ასეთი ორგანიზებული სასაქონლო წარმოება, ნამდვილად შეიძლება ჩაითვალოს 1910-იანი წლების სიახლედ, „ვანის“ სასოფლო-სამეურნეო სივრცისათვის.

როგორც ჩანს, ამ პროცესს მოჰყვა 3-5 კაციანი მანუფაქტურის ტიპის ერთეულ საწარმოთა აღმოცენებაც, რომელშიც ხდებოდა ნედლეულის გასუფთავება, წინასწარი დაწნებვა, დაახლოებით ნახევარფაბრიკატის სახის მიცემა, და შესაბამისი დანიშნულებით გაგზავნა. აქედან იგი გაჰქინდათ სპეციალურ აგენტებს. ანალოგიური პროცესები დასტურდება „ვანის“ ზოგიერთი სოფლის მაგალითზე და შედარებით ორგანიზებული სახე მას მიცემული აქვს სოფელ „ვანში“. (დღევანდელი ქალაქი ვანი). „აქ, ბამბის საპენტი ქარხნები მოაწყვნენ მდ. სულორზე კონია ჩახუნაშვილმა და სიმონ ბურკაძემ.“<sup>2</sup>

საერთოდ, ანალოგიური მარტივი ტიპის საწარმოთა სიმრავლე დაფიქსირებულია ქუთაისის მაზრაში – „სადაც მაუდის წარმოებაში ნედლეულის მიწოდებით ჩართული იყო 195 ადგილობრივი საწარმო“ უნდა ჩავთვალოთ, რომ „ვანში“ მოქმედი ერთეული მსგავსი სარეწები ემსახურებოდა სამრეწველო ცენტრებში განლაგებულ საწარმოთა მომარაგების საქმეს, ხოლო „ვანიდან“ როგორც ითქვა ასეთი სახის პროდუქცია გაჰქინდათ სპეციალურ აგენტებს, რომლებიც, როგორც წესი, სათაო საწარმოებიდან მიმაგრებული იყვნენ ნედლეულის მწარმოებელ სოფლებზე, ხოლო მიღებული ბამბის ნაწილის გამოყენება ხდებოდა ადგილობრივი – „ვანის“ მოსახლეობის მოთხოვნილებათა შესაბამისად.

ე) – იმასთან დაკავშირებით, რომ იმპერიის მსუბუქი მრეწველობის საწარმოები 1910-იანი წლებიდან განიცდიან საწარმოო აღმავლობას, პარალელურად იზრდება მოთხოვნა აპრეშუმის პარკზეც. ამას მოჰყვა ფასების ზრდასთან ერთად, სოფლებში ნედლეულის მწარმოებელთა დაინტერესებაც. მითუმეტეს „ვანის“ მოსახლეობას ამ დარგთან მიმართებაში გააჩნდათ სერიოზულად დადებითი გამოცდილება.

ამ დარგზე ჩვენ თავის ადგილზე (კრებულ „მატიანეს“ მე-9-მე-10 ნომრებში) შევჩერდით, რამდენადმე დეტალური ხაზგასმაც გავაკეთეთ, მაგრამ 1910-იანი წლების შესატყვისობაში აქცენტები გადაგვაქვს, მხოლოდ ნედლეულის რაოდენობისა და ღირებულების გაზრდაზე, რომელიც არაერთჯერადი ფაქტორის გავლენით უნდა აიხსნას და ამან ხელიც შეუწყო აპრაშუმის

1. ქუთაისის გუბერნატორის ზემოთ მითითებული მოხსენება – ქუთაისის ცენტრალური არქივი, ფონი 130 საქმე №297

2. შ. გიორგაძე – „ვანი და ვანელები“ გვ.69

პარკის რაოდენობრივ ზრდასაც.

გუბერნიის მიმოხილვით მასალებში პირდაპირაა მითითებული ფასების „ზღაპრულ ზრდაზე“, რომ 1912-1913 წლებში სამტრედიის ბაზარზე და საერთოდ, ერთი ფუთი ნედლი სახის პარკის ღირებულება 15-18 მანეთია, ხოლო გამომშრალი ერთი ფუთი პარკის ღირებულებას 1913 წლის აგვისტოში მიუღწევია 58; სექტემბერში 72 მანეთისათვის. რაც იმ დროისათვის საკმაოდ სოლიდურ ღირებულებაზე მიუთითებს. ამასთან „სამტრედიაში“ – იმავე წელს მიუღიათ 13000 ფუთი, ხოლო „ბალდათში“ 4000 ფუთი აბრეშუმის პარკი (შესაბამისად 206 და 64 ტონა) ცხადია ეს იყო იმ დროისათვის პარკის მწარმოებელი მოსახლეობისათვის დამატებითი შემოსავლის წყაროც.

დარგთან დაკავშირებით გუბერნიის ხელმძღვანელთა მიერ გამოთქმულია უკმაყოფილებაც საჭირო რაოდენობის გრენის არასაკმარისობისა და შემოტანილი აბრეშუმის ჭიის ჯიშების არაეფექტურობის შესახებაც.

ვ) – XX საუკუნის 10-იან წლებს ემთხვევა შედარებითი ძვრები მეფუტკრეობის, როგორც უკვე ახლად ფეხადგმული სპეციალიზირებული, სასაქონლო პროდუქციის მწარმოებელი დარგის მიხედვითაც, რომელიც უკვე თანდათან იღებს წარმოების ორგანიზებულ სახეს. მიჩნეულია, რომ მოთხოვნილებიდან გამომდინარე ეს დარგი მაინც სუსტად კოორდინირებულია, თუმცა 1913 წელს მიღებულია 5636 ფუთი თაფლი, აქედან: „სამტრედიაში“ შემავალ სოფლებში ფუტკრის ოჯახთა რიცხვი გაუზრდიათ 761-მდე, „ბალდათში 1075-მდე“. „სამტრედიაში“ „ვანის“ შესაბამის სოფლებთან ერთად უნარმოებიათ 183 ფუთი თაფლი, „ბალდათში“ (აქაც „ვანის“ შესაბამის სოფლებთან ერთად) – 440 ფუთი. გაზრდილია ფუთი თაფლის სამომხმარებლო-საბაზო ღირებულებაც 5-6 მანეთამდე.

ზ) – ანლოგიური მდგომარეობაა მეხილეობაშიც. რომელზედაც განსაკუთრებით გაიზარდა მოთხოვნა მთელი ამიერკავკასიის მასშტაბით მოქმედ სამრეწველო ქალაქებსა და რუსთის ცალკეულ გუბერნიებში. ამ ბაზრებზე ქართული ხილი, როგორც ჩანს, შედიოდა როგორც კერძო პირების, ასევე გადამყიდველების მეშვეობით, რომელთა ინსტიტუტიც, როგორც აღინიშნა ყალიბდება და გააქტიურებულია XX საუკუნის მიჯნიდან.

სოფელ „ვანში“ ძმების, თვალავაძეების მიერ გადადგმული ნაბიჯი, რომ დღევანდელი „ვანის“ საავადმყოფოს ტერიტორიაზე შეიძინეს 60-ჰექტარზე მეტი ფართობი და საფუძველი ჩაუყარეს კონცენტრირებულ მეხილეობას, არის ფაქტი იმისა, რომ მოთხოვნილება პროდუქციაზე გაზრდილია. განსაკუთრებულად ბაქოს სამრეწველო ცენტრის ბაზარზე, ხოლო ამ პირებს, რომელთაც მჭიდრო კონტაქტები გააჩნდათ აღნიშნულ ქალაქთან, გათვლილი ექნებოდათ ბაქოს ბაზრის კონკრეტული სეგმენტის ათვისებაც, რადგანაც აღმოსავლეთ საქართველოდან ხილის დიდი მასა შედიოდა სწორედ აღნიშნულ ბაზარზე.

„ვანის“ მაღალმთიანი სოფლებიდან, მათ შორის სოფელ უხუთში მცხოვრებ რამდენიმე პირთა მიერ ხილის შესყიდვა გატანის ფაქტებს ადასტურებს ისტორიკოსი ივ. ხურციძეც. ანალოგიური ფაქტები ამავე სოფელთან მიმართებაში დაფიქსირებულია გუბერნიის მიმოხილვებშიც, ვგაქვს სხვა მაგალითებიც.

მნიშვნელოვანია ერთი დეტალიც: XX-საუკუნის ათიანი წლებიდან მოთხოვნადი აგრარული პროდუქციის წარმოების გაფართოვებაზე აუცილებლად მოახდენდა გავლენას „ვანში“ მცხოვრები ის კულაკური ფენაც ან უკვე წელმომაგრებული ერთეული გლეხებიც, რომლებიც მიწის აქტიურ მყიდველებად გვევლინებიან. ცხადია, ეს პროდუქცია მათ მიერ ახლადშეძენილი ნაკვეთებიდანაც მიიღებოდა, იპოვიდა გზას ბაზრისაკენ და გახდებოდა სტიმული ამ ფორმით მეურნეობათა გაფართოვებისათვის.

სამწარმოდ, ვერ ხერხდება „ვანის“ მცხოვრებთა სოციალურ-ფენობრივი თანაფარდობის დადგენა. არ ხერხდება იგი შესაბამის მასალათა სიმცირისა და არასრულყოფილების გამო. ამიტომ, საერთო წარმოდგენა რომ შევიქმნათ, ვსარგებლობ ალ. ბენდიანიშვილის ნაშრომის „სოციალისტური რევოლუციის წანამდღვრები საქართველოში“ მიხედვით, სადაც ასევე მიახლოებითი მაჩვენებელია წარმოდგენილი. – „XX საუკუნის მიჯნაზე კულაკები შეადგენდნენ 3-4 პროცენტს, საშუალო გლეხები 35-40%; ღარიბები 55-60%. კულაკის ქონება-შემოსავალი, ყოველ სულზე 3-4-ჯერ აღემატებოდა საშუალო გლეხისას, 10-15 ჯერ ღარიბი გლეხის შემო-

სავალს“. უნდა ვივარაუდოთ, რომ მეტნაკლები სიდიდით იგივე მდგომარეობაა „ვანშიც“ და კიდევ ერთიც: მაშინდელი სოციალურ-პოლიტიკური-ეკონომიკური სისტემა არ გულისხმობდა ცხოვრების გათანაბრებით პროცესებს, სოციალურ თანასწორობას და უნდა ყოფილიყვნენ მდიდრებიც და არამდიდრებიც. მაგრამ ღარიბთა და ღატაკთა მთელი მოსახლეობის 55-60% %-ზეა საუბარი და როდესაც საშუალო გლეხთა მდგომარეობაც არ გამოიყურება დიდად მოწერიგებულად, არამონია ეს კანონზომიერი მოვლენა იყოს და დადებითად საუბრობდეს ნებისმიერ სოციალურ-პოლიტიკურ სისტემაზე.

გუბერნიის მიმოხილვითი მასალებიც იძლევა მხარდაჭერას ითქვას, რომ 1907-1915 წლების პერიოდში, რამდენადმე შეცვლილ და შედარებით აღმავლობით სიტუაციებში, „ვანში“ ცხადია არ ფიქსირდება ძვრები, რაიმე ტიპის მნიშვნელოვანი სარენების, მითუმეტეს, არც საწარმოების მოწყობა-გამართვის სიმრავლის შესახებ. მაგრამ აღნიშნულია წყლის წისქვილების სიმრავლე „რომელთა წარმადობა (თითოეულის) დღე-ღამეში 6-10 ფუთამდე აღწევდა... მოწყობილი არიან პრიმიტიული წესით და უპირატესად მთის მდინარეებზე“ – გვამცნობს ოფიციალური წყარო.

იგივე ოფიციალური წყარო ლაპარაკობს ტყის მასივების მწირ ათვისებაზეც. გარდა ერთი მომენტისა – წაბლარას ხევში, რომელიც დასტურდება თავად წესტორ ერისთავის კერძო ტყესთან დაკავშირებით. სადაც, როგორც მითითებული პიროვნება აღნიშნავს – „ცეცხლაძემ ითავა აქ სარენის მოწყობაო, სამშენებლო მასალისა და ღვინის კასრებისათვის მუხის მერქნისაგან საჭირო მოწყობილობათა დამზადების სახით“. ეს პროცესი შეტანილია გუბერნიის მიმოხილვით მასალებშიც, სადაც ასევე მინიშნებულია, რომ დასახლებათა მიმდებარე ტერიტორიებზე ტყეები გამეჩხრებულია, ხოლო მთიან ადგილებში, ტყის რენვის პირობები რთულია რელიეფისა და უგზოობის გამო“.

რაც შეეხება გზებს: ამ საკითხზე გუბერნიისა და მაზრის ხელისუფალთა შეშფოთებაც დაუფარავადა გამულავნებული. მაგრამ, ძირითადად, აქცენტი გადატანილია იმაზე, რომ ეს გამოწვეულია რთული რელიეფური პირობებიდან გამომდინარე. ამ შემთხვევაში საუბარია არა-ამარტო ტყიანი მასივების ასათვისებელი, არამედ სოფელთა შორის სამიმოსვლო გზებზეც. „ვანთან“ დაკავშირებით გზათა უვარგისობა დადასტურებულია არაერთი სხვა წყაროებითაც. თუმცა, მაშინდელი ხელისუფალნი ასეთ მოუწესრიგებლობას ხსნიან იმით, რომ ადგილებზე არა-ჰყავთ საგზაო და ხიდებობირების მოწყობის სპეციალისტები და ამის გამო შეკეთებული გზები ხშირად გამოდის მწყობრიდან. მაგრამ საუბარი არსად არ მიდის იმაზე, თუ რა ტექნიკური და ფინანსური დახმარება გაეწია გზით მომსხურეობის უზრუნველყოფის საქმეს სახელმწიფოსაგან, ცნობილია, რომ მაშინდელი პრიმიტიული ტექნიკის პირობებში ასეთი საკითხების გადაწყვეტა ძირითადად ემყარებოდა დაწესებულ საგზაო – შრომით ბეგარას და კომლობრივ გადასახადებს.

ცხადია, გვაინტერესებს, ჩვენს მიერ ამჟამად მიმოხილულ პერიოდში, რომელსაც გაჰყვა სამეურნეო დარგთა შორის შედარებითი გადაწყობა და რიგ სფეროებში ეკონომიკური გააქტიურება, აისახა თუ არა ეს პროცესი „ვანის“ ზედნაშენურ სივრცეზე, სოციალურ ფენომენზე, მის სრულყოფასა და ქმედუნარიანობაზე.

თამამად და სრული პასუხისმგებლობით შეიძლება ითქვას; „ვანისათვის“ ეს მომენტები ამ დროშიც თითქმის სტაგნაციურია, არ ხასითდება შესამჩნევი ძვრებით, დიდად არ გასცდენია XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის მიჯნაზე არსებულ მდგომარეობას და განვითარების საერთო სივრცეში იგი შედარებით, ჩაკეტილ კუთხედ გამოიყურება. თუმცა, სათანადო მასალების გაცნობა – შეჯერება იძლევა დასკვნის საშუალებას ითქვას: მეტნაკლები ფორმით, სურათი ასევე საერთოა, „ვანის“ მსგავსი დასახლებებისათვის. კონკრეტულად, „ვანთან“ დაკავშირებით იმაზე, რომ შეფასებანი გაზვიადებული არაა, დავაც შეიძლება და სიტუაციათა არგუმენტირებული დასაბუთებაც.

ამიტომაც გადაჭარბება არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ისეთი სასიცოცხლო სფეროები, როგორიცაა განათლება, კულტურა და მედიცინა დიდად არ გასცილებია ზემოთ აღწერილ ფორმებსა და მდგომარეობას. შევეხებით მხოლოდ ზოგიერთ მიმართულებას.

## 1. განათლების სფერო:

– XX საუკუნის 10-იანი წლების მონაცემებითაც აქაც მდგომარეობა ძირითადად უცვლელია.

– ძალაში რჩება ერთ-ორ კლასიანი სამრევლო სკოლები, ისინიც ერთეულ სოფლებში. მო-სწავლეთა და მასწავლებელთა შთამბეჭდავი სიმცირით, მნირი სასწავლო – მატერიალური ბაზით, მათ სრულყოფაზე, როგორც ადგილებიდან, ასევე სახელმწიფოსაგან გაწეული მიზერ-ული დახმარებით. ხოლო ნებაყოფილებითი შემონატენები „ეკლესიებისა და სკოლების შეკეთე-ბაზე“ – კომლზე გაწერილი ორი მანეთიდან, ძირითადად მიმართულია სასულიერო პირთა შენახვასა და ეკლესიების შეკეთებაზე. ოფიციალური წყაროები ადასტურებენ, ამ კუთხით, გუბერნიის მოცულობით, სასულიერო პირთა შენახვაზე 1913 წელს შემოსულია (დაახლოე-ბით იგივეა 1911-1912 წლებში) 214686 მანეთი. ეკლესიების რემონტზე 48853-მანეთი. სულ 263533-მანეთი. ხოლო სკოლების შენახვასა და რემონტზე 136413-მანეთი. სასულიერო დანიშ-ნულებით ნებაყოფილებითი (გნებავთ საგადასახადო) შემონატანების 51-პროცენტი. ამ შემო-ნატანებში ჩართულია გადასახდელები „ვანის“ მოსახლეობისაგანაც. ჩვენ არაგვაქვს მასალები თუ რამდენად მოხმარდა ეს თანხები „ვანის“ ერთ-ორ კლასიან სკოლებს, მაგრამ აქ პირდაპირ შეიძლება ითქვას: კარგია ხალხი, რომ ზრუნავდა და თითქმის არა სახელმწიფო, სასულიერო პირთა შენახვასა და შესაბამის დაწესებულებათა რემონტებზე, მაგრამ უკიდურესად ცუდია, რომ განათლება კვლავ არაპრიორიტეტულ დარგთა რიგშია ჩაყენებული. ასეთ სიტუაციაში, გახსნილ პროგრესირებაზე საუბრები არის ბანალური ზღაპრების სფერო, რადგანაც განა-თლების გარაშე პროგრესირება არ მიიღწევა და არც იმპერიის ინტერესებში იჯდა მაინცა და მაინც ამ ფენომენალური საკითხის გადაჭრა და ქართველ შეძლებულთაგანაც როგორც ჩანს, არც თუ ბევრი ფიქრობდა პრობლემების მოგვარებაზე წახმარებისათვის. არ არის სასიამოვ-ნო როდესაც 1910-იანი წლებიდანაც გუბერნიაში მოსწავლეთა ისედაც მცირე კონტინგენტის შემადგენლობას შეაჯერებ და ალმოჩნდება, სკოლებში ჩაბმული ქალთა რიცხვი, გვარიანად, ორ-სამჯერ ჩამორჩება ვაჟებისას. რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ ამ დროსაც, განსაკუთრებულად პერიფერიულ ზოლში, ქალთა განათლება არც ისე მნიშვნელოვნადაა მიჩ-ნეული. აქ შეგნებულად არ მოგვყავს ციფრები ქუთაისის მაზრიდან სასკოლო-საგანმანათლე-ბლო დანახარჯებზე, ხოლო სოფლის საზოგადოებებიდან ამ კუთხით გაღებული თანხები ხომ თითქმის არაფრის მთქმელია, თუ რამდენჯერმე არ მოგვიწია განმეორება, თითქმის იგივე მდგომარეობაა „ვანშიც“. ამის გამოც იყო, რომ 1913 წლისათვისაც მაზრაშიც, სკოლების 60 %-მდე მიეკუთვნებოდა „დაბალი განათლების ტიპებს“ ხოლო „ვანში“ თითქმის 100 %-ით.

## 2. რაც შეეხება კულტურულ-საგანმანათლებლო ქსელს.

ეს პოზიცია ჩვენ, განათლებისა და კულტურის სფეროსთან განხილვისას შევაფასეთ. თუმ-ცა ძვრები თითქმის საერთოდ არაა, არც XX საუკუნის 10-იანი წლების მიჯნაზე. „ვანში“ არ ფუნქციონირებს არცერთი ბიბლიოთეკა. ასეთი რამ ქუთაისის მაზრაში დაფიქსირებულია 16. აქედან ქუთაისში – 2, წიგნების მაღაზია – 5. როგორც ითქვა „ვანში“ – არცერთი.

## 3. მედიცინის სფერო.

ამ კუთხით რამდენიმე კონკრეტულ ფაქტზე შეიძლება მსჯელობა და უპირველესად ხასგას-მა იქნება იმაზე, რომ მდგომარეობა დიდად არ შეცვლილა. მაგრამ ამ შემთხვევაში, ასევე სა-თანადო მასალებზე დაყრდნობით, დამატებით შეიძლება ითქვას და განზოგადებასაც კონკრე-ტულ მომენტამდე ვაკეთებთ გუბერნიაში არსებულ საერთო სიტუაციაზე დაყრდნობით.

გუბერნიაშიც და მაზრის სოფლებშიც ძალიან დიდია გადამდებ დაავადებათა რიცხვი. ამაზე ჩვენ სხვა შესაბამისი უამრავი წყაროებიც შეიძლება დავიმოწმოთ, მაგრამ ამჟამად დავეყრდ-ნობით ზოგიერთ მონაცემებს, ოფიციალური წყაროებიდან, (გუბერნიის მასალებიდან) რო-მელიც გვიჩვენებს თუ რა დღეშია ეს სფერო საერთოდ, აქედან მოსახლეობა და რომ აქ მრა-ვალგანზომილებიანი ფაქტორები ჰქმნიან პრობლემებს.

– 1914 წლის იანვრისათვის გუბერნიის მოსახლეობა აღწევს 555,647-მამაკაცსა და 479639-ქალს. ქორწინება-8795 ერთეული. დაიბადა-24402 ბავშვი. გარდაცვალებამ შეადგინა-12427 ერთეული. ეს მაჩვენებელი დემოგრაფიული სალდოსა და სამედიცინო მომსახურეობის თვალ-საზრისით არაა დადებითი. მაგრამ აქ მდგომარეობას ამბაფრებს სხვა მონაცემებიც. გავრ-ცობითი დაავადებანია – დიზენტერია, ტიფი და მალარია. ეს პოზიცია ოფიციალური წყ-აროებითაც ამდაგვარადაა დალაგებული. რაც პირველ-ორ დაავადებასთან დაკავშირებით თავისთავად მიანიშნებს სუსტ – არასრულყოფილ სანიტარულ პირობებზე ოჯახშიც და გარე-

მოშიც. უკიდურესად დაბალ სამედიცინო მომსახურებაზე, კვებით სიმპტომებზეც და მის მოუნესრიგებლობაზეც. დავამატებთ იმასაც, რომ მხოლოდ 1913 წლის მონაცემები სწორია) გადაუტანია სხვადასხვა ტიპის დავადება. მონაცემები კომენტარს არ საჭიროებს. სიტუაცია ანალოგიურია გუბერნიის თითქმის ყველა დასახლებისათვის, მათ შორის მეტნაკლები ფორმით „ვანის“ მოსახლეობისთვისაც.

რაც შეეხება კონკრეტულად „ვანის“ – აქ, მხოლოდ რამდენიმე პრაქტიკული მაგალითით დავკმაყოფილდეთ, რომ ისევ ყურადღება არ გავამახვილოთ მდგომარეობის უცვლელობაზე და მის გამომწვევ მიზეზებზე.

„ვანის“ დასახლებებსა და მოსახლეობას – დღევანდელი ქალაქ „ვანიდან“ სალომინაოს ჩათვლით, „ვანის“ სოფლის საზოგადოებას, ამაღლების საზოგადოებას, დვალიშვილების სოფლის საზოგადოებას, უხუთისა და გორას სოფლების საზოგადოებებს, რომლებიც პრაქტიკულად მოიცავს დღევანდელი „ვანის“ რაიონის ტერიტორიალური სივრცის 60-65 %, მის მოსახლეობას XX საუკუნის 10-იანი წლებიშიც საგუბერნიო განრიგიდან გამომდინარე მომსახურებას უწევს ბალდათის (და არა „ვანში“ არსებული) სამედიცინო უბნის მცირეკომპლექტიანი საავადმყოფო. ამას უნდა დავუმატოთ თვით ბალდათის სოფლების მოსახლეობაც.

სოფელ სამტრედიის სამედიცინო უბნის მომსახურეობაზე მიწერილია ტობანიერის სოფლის საზოგადოების სოფლები. რომელთაგანაც დაკონკრეტებულია საპაიჭაო და ტობანიერი. ასევე, დღევანდელი სამტრედიის რაიონის სხვა სოფლებიც.

განსაზღვრულია, რომ ნახსენები ორივე, უმარტივესი სამედიცინო უბნის სამოქმედო სივრცე მთლიანობაში შეადგენდა 1635 კვადრატულ ვერსტს. ყველაზე მოწესრიგებულ მდგომარეობად ამ სფეროში ჩათვლილია სამედიცინო უბნიდან მოსახლეობის დაშორება – მაქსიმალური მანძილი – 44 ვერსტი, (იგივე კილომეტრი) მინიმალურად ყველაზე მცირე მანძილი 25 ვერსტი<sup>1</sup>.

მარტივი წარმოსადგენია მაშინდელ საკომუნიკაციო პირობებსა და ტექნიკურ შესაძლებლობათა, კადრების უკეთესობის პირობებში როგორ მდგომარეობაში იქნებოდნენ ადამიანები.

XX საუკუნის 10-იანი წლებიდან დასტურდება და შეიძლება „ვანის“ ტერიტორიაზე ერთად-ერთ სიახლედაც ჩაითვალოს სოფელ ამაღლებაში (რომელიც ამ დროს ამაღლების სოფლის საზოგადოების ცენტრიც იყო) საფერშლო პუნქტის ფუნქციონირება, რომელზედაც მომსახურების თვალსაზრისით მიწერილი იყო: გორას, ვანის, უხუთის, დვალიშვილების და თვით ამაღლების სოფლის საზოგადაოებათა მცხოვრებლები. საკმაოდ დიდი სივრცე, რომელშიდაც ორივე სქესის მოსახლეობა 21000 სულს შეადგენდა. ამ მარტივი ტიპის ე. წ. სამედიცინო პუნქტს ემსახურებოდა ერთი ფერშალი (დღევანდელი გაგებით ექთანი, მედიცინის და, და არა ექიმი) მითითებულია, რომ „ფერშალი ცხოვრობს სოფელ ამაღლებაში“ ამრიგად, არ უნადა იყოს რთული გასაგები მოსახლეობაზე სამედიცინო მომსახურების თვალსაზრისით განეული საქმიანობის დონე. ვიმეორებთ: ასეთ დაშორებულ მანძილებზე მიმოსვლის საშუალებათა თითქმის არარსებობის სამკურნალწამლო საშუალებათა ნაკლებობისა და კადრების მინიმალური სიმცირის პირობებში, რომელსაც მატერიალური დაბალი დონეც „ამაგრებდა“.

### მოვლენათა განვითარება გვკარნახობს ითქვას:

შედარებით ჩამოყალიბებად პროსცესებში არსებული სიახლენი როგორც ვიცით დაამუხრუჭა პირველი მსოფლიო ომის დაწყებამ, რადგანაც რუსეთი ამ ომში მონაწილე სახელმწიფო-თავან თავისი პოტენციალით ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მხარე იყო, ხოლო საქართველო კონკრეტულ სტრატეგიულ მდგომარეობისა და ინტერესთა გამო იქცა განსაკუთრებულ ავანგარდულ ხაზად, საქართველოდან განხორციელდა 200000 კაცამდე განვევა. მობილიზაცია შეეხო „ვანის“ მოსახლეობის ნაწილსაც.

მე-XX საუკუნის 60-იან წლებშიც „ვანის“ რაიონის სოფლებში არაიშვიათად შეხვდებოდით ხანდაზმულ ადამიანებს, რომლებიც ამ ომის მონაწილენი იყვნენ, ხოლო რაც შეეხება ფრონტის ზურგში დარჩენილ მოსახლეობას, მათ დაეკისრათ ფრონტისათვის იმ მოვალეობის შესრულება, რომელსაც საომარ ვითარებაში მყოფი ქვეყნის შესაბამისი კანონი ითვალისწინებდა

– ადგილებზე სასურსათო და სხვა სახის გადასახადის გზრდიდან, ტვირთ-გადამზიდი გამწევი ძალის და ცხენების რეკვიზიტით. მოსახლეობა მოექცა სამხედრო ბეგარის ქვეშ.

მსგავსგი დამოკიუდებულება არ წარმოადგენდა სიახლეს ადგილობრივი მოსახლეობისათვის, როგორც სჩანს იგი დროთა ინტერვალებში მეორდებოდა რუსეთ-თურქეთის პოლიტიკურ ურთიერთობათა გამწავებისას და ამაზე მიუთითებს ამაღლება-ბაღდათის თემთა გლეხების მღელვარების შემდეგ სასამართლო პროცესის მსვლელობისას მიცემულ ჩვენებაში უხუთელი გლეხი ჯაშინიკა ხურციძეც. „აღალს ვეზიდებოდითო, მაგრამ ამაზე გამოყოფილი თანხა თავადებმა შეგვიჭამესო“.

ეჭვგარეშეა და დასტურდება, რომ აღალის გადასაზიდად ზემოდ ხსნებულ საომარ მოქმედებათა პროცესში გამოყებენებული იყო გადასასვლელები „ვანის“ სოფლებიდან ახალციხის მიმართულებით, რომელსაც, როგორც უმოკლეს გზებს სამხედრო კომუნიკაციური დანიშნულება 1914 წელს გაჩაღებული ომისთვისაც შენარჩულნებული ჰქონდა.

ამდენად საომარ მდგომარეობას რომელიდაც სხვადასხვა ფორმით ჩართული აღმოჩნდა „ვანის“ მოსახლეობის კონკრეტული ნაწილი და საომარ მოქმედებათა პირობებიდან გამომდინარე ეხმარებოდა ფრონტის ზურგსაც, არ შეიძლება გავლენა არ მოეხდინა საერთოდ აგრარულ სამუშაოთა მიმდინარეობაზე.

სამრეწველო ცენტრებისა და ორგანიზაციების გადაყვანამ საბრძოლო აღჭურვილობათა ინტენსიურ გამოშვებაზე იმპერიის მასშტაბით, კონკრეტულად, საქართველოსთვისაც, შეამცირა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მიწოდება სოფელზე, რომელიც პერიფერიული სოფლური დასახლებისათვის ისედაც არ იყო დაამაკაყაფილებელი.

აღნიშნულ ფაქტორთა ერთობლიობამ ჩიხში შეიყვანა აგრარული სფეროს მწარმოებლური დონე. „1917 წლისათვის დასავლეთ საქართველოში მუშახელს მოკლებული იყო მეურნეობათა 6,8 %, მუშა საქონელს 42 %. მცხოვრებთა ყოველ 100 სულზე მუშა საქონელი მოდიოდა: – ცხენი 3,8; უღელი-ხარი 8,2; და ა. შ.“<sup>1</sup> რაც აისახა დამუშავებულ ფართობთა მოცულობასა და საბოლოო შრომის შედეგებზეც.

ამ დროისათვის საქართველოში სასოფლო-სამეურნეო მოსავლიანობის 35-40%-ით ვარდნა ვრცელდება მის შემადგენელ ყველა აგრარულ დასახლებაზე. მათ შორის „ვანიცეც“.

ეტყობა ამ მხრივ მოსალოდნებლმა კრიზისებმა, ხოლო უფრო ადრე 1905-1907 წლებში და შემდგომშიც განვითარებულმა მოვლენებმა საქართველოში და მის გარეთაც მოქმედ პოლიტ-პარტიათა ბრძოლა აგრარული პროგრამების საკითხებზე თავიდან დაბადა და ახალ სიმაღლეზე დასვა. საზოგადოება მოატრიალა გლეხთა საკითხებისადმი და გააღვივა რწმენა იმისა, რომ პრობლემათა მოწესრიგებლობის აღმოფხვრა შეუქცევადი ხასიათის მატარებელი გახდა.

ეს საკითხები იდგა საქართველოს ცალკეული კუთხეების, მათ შორის „ვანის“ სოფლების წინაშეც.

პრობლემების სიმწვავემ ჩამოაყალიბა საქართველოს მოქმედ პარტიათა შესაბამისი პროგრამული მიმართულებანიც, რომლებიც უშუალოდ ეხებოდნენ სოფლად გლეხური ცხოვრების საკითხებს.

სოციალ-დემოკრატიული პარტიის ნ. უორდანის ფრთა მხარს უჭერდა და იცავდა მიწის მუნიციპალიზაციის პროგრამას.

ბოლშევიკთა ფრთა აქტიურად განიხილავდა მიწის ნაციოლაზაციას.

იყო სხვა შეხეძულებანიც. მაგრამ ჩემი აზრით, მიწასთან დაკავშირებით, ეროვნული (წმინდათ ნაციონალური) ინეტერესები ყველაზე რაღიკალურად გამოკვეთეს ფედერალისტებმა, რომელთაც მიწა ენასთან და ვაჭრობა-მრეწველობასთან ერთად მიაჩნდათ ცხოვრების მთავარ ფაქტორად. აქცენტი კეთდებოდა იმაზე, რომ აუცილებელია ქართული მიწის ფონდის დაცვა, რადგანაც მიწები ხელში უვარდებათ არაქართველებს. დაუშვებლად მიაჩნდათ მიწის სხვა ერთა წარმომადგენლებზე გაყიდვა და ასაბუთებდნენ, რომ ქართველი გლეხი, რომელსაც ფული არა აქვს, დაკარგავს მიწას და მას დაეპატრონებიან სხვა ერთა და ეროვნებათა წარმო-

1. მონაცემები მომყვას პროფ. ილია მირცხულავას ნაშრომიდან – აგრარულ-გლეხური საკითხები საქართველოში 1900 – 1917 გვ. 31

მადგენლები. ეს ფაქტორი ისე მცირე მიწიანი ქვეყნისათვის, როგორიც საქართველოა შეიძლებოდა უკიდურესად, უარყოფითად შემოტრიალებულიყო.

ეს საკითხი ყურადღებამისაქცევია დღესაც, თითქმის საუკუნის შემდეგაც, როდესაც XXI საუკუნის დასაწყისშიც, დაწყებული XX საუკუნის 90-იანი წლებიდან თითქმის არ არსებობს აგრარული სფეროს განვითარების მეცნიერულად ჩამოყალიბებული პროგრამა და მიმართულებანი სპონტანურად რეგულირდება, თუ ამას დარეგულირება ჰქვია. აგრარული ბაზარი მოქცეულია უცხოური პროდუქციის დომინირების ქვეშ. უკიდურესად სუსტად ხორციელდება პროტექციონისტური პოლიტიკა საკუთარ ბაზარზე. ამის გამოც და რიგ სხვა ფაქტოტრთა გავლენით ქართველი გლეხი თანამიმდევრულად ჰყარგავს ინტერესს და შესაძლებლობებს აგრარული კულტურებისადმი დამოკიდებულების საკითხებში. ეს ასეა და ვისაც აღნიშნულ შეფასებაში ეჭვის შეტანა შეუძლია, კარგი იქნება თუ გარკვეულ დროს დაჰყოფს აგრარულ რაიონებში, გაეცნობა შრომით პროცესებს ყველა თავისი დამახასითებელი ნიშნების მიხედვით და ეცდება ობიექტურად შეხედოს პრობლემებს. ამიტომაც, მიუხედავად XX საუკუნის მიჯნაზე ქართველ პოლიტიკოსთა აზრთა დიფერენცირებისა და ზოგჯერ რადიკალიზმისაც, არ იქნება ურიგო მაშინდელ მოქმედ პოლიტპარტიათა პროგრამებიდან ზოგი რამ ესწავლათ, დღეისათვის მოქმედ პოლიტიკურ ორგანიზაციებს, მათ ლიდერებს და შესაბამებინათ თანამედროვე პოზიციებისა და მოთხოვნებისათვის. მაგალითი აგველო მიწასთან დამოკიდებულების ზოგიერთ პრინციპულ საკითხებში იმ ქვეყნებიდანაც, რომლებიც დღეს მიჩნეული არიან მოქმედების მეტრებად და გაგვეცნობიერებინა ისიც, რომ ამ ქვეყნებში მიწები საერთოდ არ იყიდება უცხოელებზე. როგორც სჩანს ამ ქვეყნებში, ამ პროცესთან დაკავშირებითაც ერის ინტერესები მაქსიმალურადაა გათვალისწინებული. აქვე უნდა ითქვას, აგრარული სფერო ჩვენს ქვეყანაში მრავალდარგოვანია და შეცდომა შეიძლება იყოს ფიქრი იმაზე, რომ მხოლოდ მონოდარგებზე აქცენტირება შექმნის ეკონიმიკურ კლიმატს და მისი ექსპორტი უზარმაზარ კაპიტალს მოატრიალებს. საქართველოდან აგრარული პროდუქციის სხვადასხვა სახეობათა ექსპორტი XIX საუკუნის მეორე ნახევრიდანაც ინტენსიურად ხორციელდებოდა, რაც იმაზეც მიუთითებს, რომ მიუხედავად დამოკიდებულებებში გაჩენილი ურთულესი წინააღმდეგობებისა, სანარმოო საშუალებათა ტექნიკური ჩამორჩენილობისა, მიწათმოქმედება შესაძლებლობათა შესატყვისად, რამდენადმე რაციონალური მიღვომის ქვეშ იმყოფებოდა.

საინტერესოა ისიც, რომ რამდენიმე პარტია და ფედერალისტებიც საქართველოში მოითხოვდნენ მიწაზე კერძო საკუთრების გაუქმებას. მხარს უჭერდნენ მიწის სოციალიზაციის განხორციელებას, კოოპერატივებისა და ასოციაციების დაარსებას – „მიწა უნდა იქცეს – აღნიშნავდნენ ისინი – ხალხის საკუთრებად. ითვალისწინებდნენ იმასაც, რომ – „რადგან გლეხს არააქვს კარგი სანარმო იარაღები, მიწა მალე დაჰკარგავს ნაყოფიერებას. საჭირო გახდება მისი ინტენსიური დამუშავება, ამისათვის მანქანები იქნება საჭირო... გლეხს არ შეუძლია იყიდოს მანქანები, რადგან მას ფული არააქვს, მაგრამ მთელს სოფელს შეუძლია იყიდოს საჭირო მანქანები. მაშინ დაარსდება კოოპერატივები“<sup>1</sup>. ასე, რომ შემდეგში, სოციალისტურ პირობებში საქართველოსათვისაც სოფლის მეურნეობაში კოოპერაციული გაერთიანებების (კოლმეურნეობების) საკითხების დასმა არც ახალი და არც მოულოდნელი არ ყოფილა.

ამდენად, მაშინდელ მოქმედ პარტიათა სოლიდური ფრთა აქცენტს შეგნებულად აკეთებს მიწის სოციალიზაციაზე და მას უდგება ეროვნულ-ნაციონალური ინტერესების დაცვით. როგორი შეფასებაც არ უნდა მიეცეს ამ პროცესს საბაზო ეკონომიკის „ფორმულებიდან“ გამომდინარე, ეს მიღრეკილება არც ხელწამოსაკრავია და არც ხელსაკრავი. მით უფრო, რომ აღნიშნულ პროგრამათა ავტორები თვალნათლივ ხედავდნენ მაშინდელ საქართველოში განვითარებულ მოვლენებს, განსაკუთრებულად მიწასთან დაკავშირებით და როგორც სჩანს დასკვნებსაც პროგრამებში რეალობიდან გამომდინარე ასახავდნენ.

და კიდევ ერთი რამ; მაშინდელი პოლიტიკური პარტიების საქმისადმი მიღვომის შესახებ. შეიძლება ეს რიგგარეშე და არა დელიკატური თემაა, მაგრამ პირდაპირ უნდა ითქვას:

ა) მართალია – საქართველოს წამყვანი პოლიტიკური პარტიები სახელმწიფოებრივი მოწყობისა და ეროვნული დამოუკიდებლობის საკითხებში ავტონომიზაციის ჩარჩოებს იშვიათად შორდებოდნენ, მაგრამ თითოეულ მათაგანს ქვეყნის შიგა და გარე ფაქტორების გათვალისწინებით გააჩნდათ ამ გზების განხორციელების რამდემნდადმე დასაბუთებული ხედვები. ზოგიც შეიძლება რეალური, ზოგიც ირეალური, მაგრამ პროგრამათა გაცნობა იძლევა საშუალებას ითქვას – საკითხზე როგორც სჩანს ისინი გულდასმით და გააზრებულად მუშაობდნენ.

ბ) ცალკეულად ამ პარტიებს ჰყავდათ გამოკვეთილი თეორეტიკოსები, განვითარებათა მიმართულებებზე შრომების, სტატიების ავტორები, რომლებიც აყალიბებდნენ შეხედულებათა და ფაქტობრივ მსჯელობათა სივრცეს და გაპქონდათ იგი მასებამდე. თანაც ხშირ შემთხვევაში მიუხედავად არც თუ დიდი ფინანსური შესაძლებლობებისა, ეყრდობოდნენ საკუთარ საინფორმაციო საშუალებებს, პრესის სახით, რაც ინფორმირების უწყვეტობის სფეროში, საკითხის პროგრესულ გადაჭრად უნდა იქნეს მიწნეული. ამიტომაც ეს ადამიანები თავიანთი დადებითი და ნაკლოვანი მხარეებით მზადყოფნობას აცხადებენ თუ მათ ხმას მისცემდნენ, მასები წაეყვანათ იმ მიმართულებით რა მიმართულებებსაც პროგრამებით ითვალისწინებდენ და თავაზობდნენ მასებს. განსხვავებით მე-XXI საუკუნის უმრავლეს პარტიათა და პოლიტიკოსისა „ჯერ ამირჩიეთ და მერე გეტვით რას გავაკეთებ“. რადგან მათ სოციალურ-პოლიტიკურ-ეკონომიკურ პროცესთა განვითარებისა და მართვის დადგენილი პროგრამები არ გააჩნიათ, ან თითქმის არ გააჩნიათ.

გ) ჩემი სუბიექტური აზრია და არავისთვის არაა სავალდებულო მისი გაზიარება, მაგრამ როდესაც მოვლენათა განვითარებას ვაკირდები, დღეს თითქმის არც ერთი პოლიტიკური ორგანიზაცია არ დგას იმ დონეზე არც თეორიითა და არც პრაქტიკით, რომ იკვლიოს განვითარების სოციალ-ეკონომიკური სფერო, მეცნიერულ დონეზე შეაჯეროს მოვლენათა და ფაქტთა განვითარება და თეორიულ ასპექტში ჩამოაყალიბოს მოდელი ეროვნულ-ქართული ქვეყნის განვითარებისა. რომ საზოგადოებამ გაარკვიოს რა სურთ მათ, რა გზები ესახებათ უკეთესის მისაღწევად. სადღაც, იშვიათ შემთხვევაში, ინტერნეტ სივრცეში განლაგებული ასეთი რამ, რომელიც პრაქტიკულად მასებისათვის ხელმიუნვდომელია აქცენტს აკეთებს უფრო იმაზე, ან ასეთი რამ არა აქვთ, ან თუ აქვთ იმდენად სუსტია, საჯარო განხილვაში ვერ შემოაქვთ. ეს ფაქტები ლიდერის ან ლიდერთა უქმარისობაზეც აკეთებს აქცენტს. ამიტომაც მათი მოქმედება სპონტანურია და არა ხანგრძლივი განვითარების ლოგიკაზე დაფუძნებული. ეს იწვევს არა ერთი მათგანის „ცუნდრუკს“ ერთი პარტიიდან მეორეში, ერთი გაერთიანებიდან მეორეში, ან ყოველთვიურად ახალი 5-10 კაციანი პარტიების შექმნა-დაშლას. ბევრი მათგანი დახარბებულია ფულს და მოქმედებაც წვრილბურუჟაზიულ პარტიათა კლასიკურ შეფასებას ვერ შორდება – კიდევაც, რომ ებრძვიან და კიდევაც, რომ მხარს უჭერენ ძლიერთა ამა ქვეყნისათა. სხვა ქვეყანათა მიმართ ქედის მოხრა არა ერთი მათგანის კრედოა რა დროსაც საკუთარი, ეროვნული ორიენტაცია იკარგება და რადგანაც არ გააჩნიათ მიმართულებანი, დროს შიშველ რიტორიკაში, კოპწიაობასა ერთმანეთის შექმაში ატარებენ. თუმცა ქართული პარტიკულარიზმით დაავადების სინდრომი არც ადრეულ პარტიებს აკლდათ და არც დღეს განიცდიან ნაკლებობას. პატიებას ვთხოვ მკითხველსაც და ყველა იმას, ვისაც ეს სიტყვები არ ეხებათ. მაგრამ მათ, უმრავლესთა მოქმედაებას, რომ ასეთი ფორმა აქვს შეძენილი ამაზე მსჯელობა შეიძლება.

ჩვენ, ვანის რაიონის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრის კრებულ „მატიანეს“ მე-14 ნომერში გამოვაქვეყნეთ, კვლევის ცენტრის ერთ-ერთი თანადამზუძნებლისა და კრებულ „მატიანეს“ რედკოლეგის წევრის, პროფესორის და აკადემიკოსის, ბატონ თეიმურაზ ადეიშვილის სტატიის „სტალინი და საქართველო“ პირველი ნაწილი. წინამდებარე ნომრის საშუალებით მკითხველს ვთავაზობთ მითითებული სტატიის დასკვნით ნაწილს, ამასთან:

ჩვენს ერთგულ მკითხველსა და ვანის მუნიციპალიტეტის საზოგადოებას ვაცნობებთ, რომ ბატონი თეიმურაზ ადეიშვილი 2021 წლის თებერვალში არჩეულ იქნა საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტად, რაც მისი მეცნიერული პოტენციალის, ფუნდამენტური სამეცნიერო მოღვაწეობისა და კაცური კაცობის დიდი აღიარება.

ვანის რაიონის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრი, კრებულ „მატიანეს“ სარედაქციო კოლეგია ულოცავს მას ამ დიდ აღიარებას და უსურვებს მომავალ დიდ წარმატებებს სამეცნიერო საქმიანობაში, ერთს სიყვარულსა და ერთგულებაში, პირველულ სიმხეულესა და ოჯახურ ბედნიერებას.

**თემურაზ ალექსალი – პროფესორი, საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი**

## სტალინის პიროვნება და საქართველო (გაგრძელება „მატიანე“ №14)

**– რა ხერხები გამოიყენა სტალინმა ომში ადამიანთა დიდი მასების სამობილიზაციოდ.**

მრავალთა მიერ გავრცელებული ვერსიით, იოსებ სტალინი შოკში იყო, როდესაც ჰიტლერმა ომი დაიწყო, რაც მტკნარი სიცრუეა... ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი ეგორ პაპანოვი წერს: „1941 წლის 22 ივნისს სტალინი არანაირ შოკში არ ჩავარდნილა – ფაშისტების შემოჭრა მისთვის მოულოდნელი არ ყოფილა. საბჭოთა ბელადს შესაბამისი განკარგულება ჰქონდა გაცემული ფაშისტური აგრესის მოსაგერიებლად და ეს დირექტივა, უბრალოდ, ყველამ ვერ შეასრულა. ამის გამო, რამდენიმე გენერალი უმკაცრესად დაისაჯა კიდეც. ერთი სიტყვით, სტალინი სრულად აკონტროლებდა საკუთარ თავს, პანიკა მას ახლოც არ გაჰკარებია და ეს უკვე დადასტურებული ფაქტია, რაზეც არავინ დაობს (რა თქმა უნდა, ტენდენციური ადამიანების გარდა). სხვა საკითხია ის, რომ ჰიტლერული არმია ძალიან ძლიერი იყო და აგრესორის დასამარცხებლად სტალინს დიდი ძალების მობილიზაცია დასჭირდა. ამ ამოცანის შესასრულებლად კი საბჭოთა ბელადმა ყველა ხელმისაწვდომი ხერხი გამოიყენა, მათ შორის, რუსული – საბჭოთა პატრიოტიზმი და აგრეთვე, რელიგიაც... კონსტანტინე სიმონოვი ყვებოდა: „სტალინი საუცხოოდ იცნობდა რუსი ადამიანის ბუნებას, მის ფსიქოლოგიას, პატრიოტიზმსა და რელიგიურობას. ამიტომ მან (სტალინმა) ყოველივე ამის გამოყენებით უმძლავრესი პროპაგანდისტული მანქანა აამოქმედა, რამაც ნამდვილად გაამართლა. ისევე, როგორც ნაპოლეონის შემოჭრისას, ჰიტლერთან ომი წმიდათაწმიდა სამამულო ომად გამოცხადდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ მტერს მთელი ერი უნდა აღდგომოდა წინ.“

სტალინი ქართველი იყო და სილრმისეულად ჰქონდა გააზრებული წმიდა ქართული მოწოდება – ქუდზე კაცი! სწორედ ქუდზე კაცს მოუწოდებდა სტალინი. პროპაგანდას ისიც აძლიერებდა, რომ ჰიტლერი ნაპოლეონივით 22 ივნისს შემოიჭრა რუსეთში... სტალინმა ძალიან მალე დააპრუნა არმიაში რუსული სამხედრო ფორმის ატრიბუტიკა ეპოლეტები და სამხედრო წოდებები, რაც აგრეთვე, უმნიშვნელოვანესი რამ იყო და იმ ადამიანების გული მოიგო, ვინც მაინცდამანც არ გაურბოდა საბჭოთა წყობას. ამ ყველაფრის გვირგვინი კი ხალხისთვის რელიგიის დაპრუნება იყო და სწორედ ამ გარემოებამ შეასრულა გადამწყვეტი როლი ტოტალური, აბსოლუტური მობილიზაციის საქმეში...“ რელიგიის ფაქტორის შემოყვანა საბჭოთა წყობის რეალობაში, რა თქმა უნდა, ომით იყო გამოწვეული და მხოლოდ და მხოლოდ ქრის-

ტიანობით არ შემოიფარგლებოდა. აქ იყო სხვა რელიგიებიც. რელიგიის გაცოცხლება საბჭოთა პროპაგანდის ნაწილი გახდა, მთელი ქვეყანა მოიცვა და დიდი როლი შეასრულა. ძალიან ზუსტად განსაზღვრა ეს პროცესი თავად ჰიტლერმა თავისი „ბუნკერის დღიურებში“, სადაც მან 1945 წლის 13 აპრილს დაწერა: „ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი, რომ სტალინი ერთ სანგარში დააყენებდა და ჩემს წინააღმდეგ ერთად აომებდა ქრისტიანს, მუსლიმანსა და იუდეველს...“ მართლაც რომ, წარმოუდგენელი რამ გააკეთა სტალინმა და საგულისხმო ფაქტია, რომ არა-ნაირ ძალდატანებას არ ჰქონია ადგილი და ეს ყველაფერი ნებაყოფლობით მოხდა. კონსტანტინე სიმონოვი ყვებოდა: „მას მერე, რაც სტალინმა, თუ შეიძლება ითქვას, რელიგიური მობილიზაცია გამოაცხადა, ადამიანებს თავიანთი რელიგიური რიტუალების შესრულების უფლება დაუბრუნეს, მოხალისეთა ჯგუფები პირდაპირ ეკლესიებში, სინაგოგებსა და მეჩეთებში ყალიბდებოდა. ყაზარმებში კი მათი შერწყმა ხდებოდა და არავინ აცხადებდა პრეტენზიას, რომ განსხვავებული რელიგიის წარმომადგენელთან უნევდა მჭიდრო ურთიერთობა. ძალიან ხშირი იყო შემთხვევები, რომ იუდეველს მუსლიმანი გადაურჩენია და პირიქით. ნიშანდობლივი იყო ისიც, რომ ციხეებიდან გათავისუფლებული რელიგიის მსახურები რელიგიის კუთხით მეთაურებად ინიშნებოდნენ და მათ სამხედრო წოდებები ენიჭებოდათ. პირადად მე ვიცნობ სამ რელიგიის მსახურს (შესაბამისად, ქრისტიანს, იუდეველსა და მუსლიმანს), რომლებმაც გენერლობას მიაღწიეს. შემდგომ კი თავიანთ რელიგიურ საქმიანობას დაუბრუნდნენ“.

აღსანიშნავი ფაქტია, რომ სწორედ სტალინის ინიციატივით გაფორმდა კონკორდატი სახელმწიფოსა და რელიგიურ კონფესიებს შორის და საბჭოთა კავშირში ნებისმიერ მოქალაქეს (გარდა პარტიის წევრისა) თავისუფლად შეეძლო, ყოფილიყო რელიგიური მორნმუნე. „პერესტროიკის“ დროს ჩანერილ ინტერვიუში ვიაჩესლავ მოლოტოვმა ასეთი ისტორია გაიხსენა: „უბრალოდ რომ ვთქვათ, რელიგიის თავისუფლება სტალინმა ხალხს ომამდე ბევრად ადრე დაუბრუნა, ვიდრე რუსეთის ეკლესიის ფუნქციონირება ოფიციალურად აღდგა და პატრიარქი აირჩია. იმ დღეს, როდესაც სტალინმა ბერიას დაავალა მღვდლებისა და რელიგიური მოღვაწეების ციხეებიდან გათავისუფლება და ეკლესიების, სინაგოგებისა და მეჩეთების გახსნა, მეც სტალინის კაბინეტში ვიყავი. სტალინი კარგ გუნება-განწყობაზე იყო და უცებ მითხრა:

– პირჯვრის გადაწერა თუ იცი სწორად?

მე არასწორად გადავიწერე და სტალინმა ხელი ჩაიქნია. ბერიას შეხედა, მან (ბერიამ) კი უხმოდ, სწორად გადაიწერა და სტალინმა მითხრა::

– აი, ასე უნდა. შენ კი აურიე.

– სასულიერო პირი ხომ არ ვარ, კობა? – ვუთხარი სტალინს, მან კი მითხრა:

– არც ბერიაა არქიმანდრიტი, მაგრამ იცის, – შემდეგ პაუზა გააკეთა და ნაღვლიანად თქვა, – ცხონებულ დედაჩემს კი ძალიან უნდოდა, რომ მღვდელი გამოვსულიყავი, მაგრამ იმედები გავუცრუ.

ერთი სიტყვით, სტალინმა კარგად იცოდა ადამიანების სულიერი მდგომარეობა და რომ იტყვიან, სწორი სვლა გააკეთა.“

ვის ვის, მაგრამ სტალინის მარჯვენა ხელს, მოლოტოვს ნამდვილად არ ეშლებოდა იმის განსაზღვრა და შეფასება, თუ როგორ სვლებს აკეთებდა სტალინი, მით უმეტეს, რომ ხშირად თავადაც მონაწილეობდა მათ შემუშავებაში.“

იოსებ სტალინის გარდაცვალების შემდეგ (1953 წლის 5 მარტი) მის პიროვნებაზე უფრო მეტი ჰიპერბოლური გამოთქმაა შექმნილი, ვიდრე მის სიცოცხლეში არსებობდა. თითქოს გაცვდა მისი მისამართით თქმული სიტყვები, მაგრამ როგორც არ უნდა განვითარდეს კაცობრიობა, წარმოუდგენელია ხალხმა არ იცოდეს ვინ იყვნენ ალექსანდრე მაკედონელი, ნაპოლეონი, ჰიტლერი და სტალინი. თუ ჩერჩილი, რუზველტი, დევოლი, ტრუმენი და კიდევ რამდენიმე ასეთი მაღალი დონის პოლიტიკური მოღვაწეები შემორჩებიან ისტორიას, ესეც გარკვეულწილად სტალინის დამსახურება იქნება, რადგანაც თავის დროზე მიტმასნილი იყვნენ სტალინზე, ისე როგორც მსოფლიო სივრცის ხომალდის ფსკერზე მიკრული არსებები.

იმპერიების დაშლის შემდეგ მსოფლიოში თითქმის არ გამოჩენილა პოლიტიკური თუ სამხედრო გენია, რომელიც ახალი იმპერიის შექმნას მოისურვებდა. XX საუკუნეში იმპერიის შექმნის შანსი ორ პიროვნებას ჰქონდა – სტალინსა და ჰიტლერს. მაგრამ ამ ორი გამოჩენილი

პიროვნებისათვის ევროპა მცირე მასშტაბის სიცრუცეს წარმოადგენდა. ამიტომ სტალინი იძულებული შეიქნა ჰიტლერი მოეშორებინა და ერთპიროვნული მმართველი გამხდარიყო.

არც ერთ ეპოქაში არც ერთი იმპერატორის ხელში საბჭოეთი, და კერძოდ რუსეთი, იმდენ ტერიტორიას არ აკონტროლებდა, რამდენისაც სტალინის სიცოცხლეში. არც ერთი მმართველის ხელში საბჭოთა კავშირს ისე სწრაფად არ უვლია წარმოების, ეკონომიკის, პოლიტიკის, კულტურის, მეცნიერების, სპორტისა და ადამიანის სოციალური სამართლიანობის დაცვის სფეროში, როგორც ეს მოხდა სტალინის მმართველობის 30 წლიან პერიოდში.

დღეს ბევრი კამათობს მასზე, თქვა თუ არა უინსტონ ჩერჩილმა ცნობილი სიტყვები: „სტალინმა ჩაიბარა კავის რუსეთი და დატოვა ატომური იარაღით აღჭურვილი“.

ვთქვათ, ჩერჩილს ეს სიტყვები არ უთქვამს, მაგრამ იყო თუ არა ჭეშმარიტება, რაც ჩერჩილისათვის „მინერილ“ მოტანილ ფრაზებში? თუ ეს სიტყვები არ ეკუთვნის ჩერჩილს, ამერიკელმა მეცნიერმა დ. ჯონგმა გასული საუკუნის ბოლოს ხომ თქვა: „სტალინმა რუსეთი ხის გუთნებით ჩაიბარა და ატომური იარაღით დატოვა“.

### აქ განა სადაცოა რაიმე?

პროფესორი ვახტანგ გურული თავის წიგნში „სტალინის დიდი ექსპერიმენტი“ წერს: „სტალინის ნააზრევისა და ნაღვანის შეცნობა ჩვეულებრივი მოკვდავის შესაძლებლობებს აღემატება“, ხოლო პროფესორ ვახტანგ გოგუაძის აზრით „სტალინი კაცზე დიდია და ღმერთზე ნაკლები“. ასეთი გამონათქვამები ქართველი მეცნიერების თუ პოლიტიკური მოღვაწეებისა საკმაოდ მრავალრიცხოვანია, მაგრამ მათი წარმოდგენა საკმაოდ შრომატევადია და არცაა აქტუალური იმდენად, რამდენადაც ვინმეს შეიძლება მოეჩერონოს ქართველების აზრი გადატარბებულად სტალინის პიროვნებაზე. ამიტომ აქ ჩვენ ძირითადად მისი თანამედროვე თუ მომდევნო პერიოდის უცხოელი პოლიტიკოსებისა და სახელმწიფო მოღვაწეების შეხედულებებს წარმოვადგენთ.

### უინტონ ჩერჩილი – დიდი ბრიტანეთის პრემიერმინისტრი 1940-1945 და 1951-1955 წლები:

„მე ჩავედი მოსკოვში და კრემლში პირველად შევხვდი დიდ რევოლუციონერ ბელადს, ბრძენ მოღვაწესა და მეომარს სტალინს. მხნედ და იმედიანად დავაბიჯებ ქვეყანაზე იმ ადამიანთან მეგობრობით, რომლის დიდებამაც მხოლოდ რუსეთს კი არა მსოფლიოს გადაუარა“.

1959 წლის 21 დეკემბერს, (ი. სტალინის დაბადების 80 წლისთავზე, ინგლისის პარლამენტის თემთა პალატაში გამოსვლისას ბატონმა უ. ჩერჩილმა ბრძანა.

**ბატონებო! თუ გვინდა, ვიყოთ და დავრჩეთ დანარჩენი თავისუფალი სამყაროს სათავეში, ჩვენი ვალია, ვიცოდეთ და ჯეროვნად შევაფასოთ ჩვენი მტრები, განსაკუთრებით კი გამორჩეული პიროვნებები. დღეს ასეთად მინდა დავასახელო გენერალსიმუსი სტალინი. რუსეთისათვის დიდი ბედნიერება იყო, რომ ქვეყანას მძიმე განსაცდელის უამს სათავეში ჩაუდგა გენიოსი და ურყევი მხედარმთავარი იოსებ სტალინი. ის იყო ყველაზე გამოჩენილი ადამიანი, რომელიც შეეფერებოდა ჩვენი ცვალებადი და მკაცრი დროის იმ პერიოდს, რომელშიც მას უწევდა ცხოვრება. სტალინი იყო არაჩვეულებრივად ენერგიული და ერუდირებული, უდრევი ნებისყოფის, სასტიკი, ულმობელი ადამიანი როგორც საქმეში, ისე საუბრისას, რომელსაც მეც კი, აქ, ბრიტანეთის პარლამენტში აღზრდილი, ვერ უუწევდი წინააღმდეგობას.**

სტალინს, უნინარეს ყოვლისა, იუმორისა და სარკაზმის, აგრეთვე, ნათქვამის ზუსტად აღქმის განსაცვიფრებელი ნიჭი ჰქონდა. თავის შრომებს თუ გამოსვლებს მხოლოდ თვითონ წერდა და მათში ყოველთვის იგრძნობოდა შემსრულებლის ძალა, რომელიც სტალინში იმდენად დიდი იყო, რომ ყველა ხალხისა და ეპოქის ქვეყნის ხელმძღვანელთა შორის განუმეორებლად წარმოჩნდებოდა. სტალინი ჩვენზე უდიდეს შთაბეჭდილებას ახდენდა. ადამიანებზე მის გავლენას მთელ მსოფლიოში ანალოგი არ ჰქონდა. როცა იალტის საკონფერენციო დარბაზში შემოდიოდა, ჩვენ, თითქოს გვიპრანესო, ერთდღოულად ვდებოდით და, რა გასაოცრადაც არ უნდა მოგვეჩვენოს, რატომდაც ხელები შარვლის ნაკერების გასწორივ გვქონდა გაჭიმული (ე.ი. სმენაზე იდგნენ).

ის იყო ყველაზე რთული, გამოუვალი მდგომარეობიდან გამოსვლის პოვნის უბადლო ოსტატი, ყველაზე კრიტიკულ და საზეიმო მომენტებში თანაბრად თავდაჯერილი, არასოდეს ჰყვებოდა ემოციებს და არ ეძლეოდა ილუზიებს. იგი უჩვეულოდ რთული პიროვნება იყო. მან შექმნა და დაი-

ქვემდებარა ვებერთელა იმპერია. ის იყო კაცი, რომელიც თავი მტრებს თავისივე მტრის ხელით ანადგურებდა და გვაიძულებდა ჩვენ, ვისაც დაუფარავად გვიწოდებდა იმპერიალისტებს, გვებრძოლა იმპერიალისტების წინააღმდეგ.

სტალინი იყო უდიდესი დიქტატორი, რომელსაც მსოფლიოში ტოლი არ ჰყოლია, მან ჩაიბარა ხის კავიანი რუსეთი და დატოვა იგი ატომური იარაღით აღჭურვილი. რაც უნდა თქვას, ასეთ ადამიანებს ისტორია და ხალხი არ ივიწყებს“.

**შორანკლინ დელანო რუზელტი – აშშ-ის პრეზიდენტი 1933-1945 წლებში:**

„მასთან მუშაობა დიდი სიამოვნებაა. ის აყალიბებს საკითხს, რომლის განხილვაც სურს, და ამ საკითხიდან არც იქნეთ და არც აქეთ არ იხსნება... აწმყოსა და მომავლის საკითხების განსახილველად, სურვილი მაქვს შევხვდე თანამედროვეობის დიდ ადამიანს – სტალინს. ეს აქამდე ვერ შევძელი, მაგრამ მჯერა, რომ ჩვენ შევხვდებით ერთმანეთს“.

**შარლ დე გოლი – საფრანგეთის პრეზიდენტი 1959-1969 წლებში:**

„სტალინს აქვს კოლოსალური ავტორიტეტი და არა მხოლოდ საბჭოებიში, არამედ მთელი მსოფლიოს მასშტაბით. მას შეეძლო მტრებისთვის ესნავლებინა, რომ გამარჯვებებით არ ენეტარათ. გამარჯვებები კი მას დამარცხებებზე მეტი ჰქონდა. სტალინისდროინდელი საბჭოთა კავშირი მონარქიასთან ერთად დალუპული რუსეთის იმპერია არ ირის, მაგრამ სტალინური საბჭოთა სახელმწიფოს შენარჩუნება ღირსეული მემკვიდრის გარეშე განწირულია.

ამჟამად რომ ჩატარდეს სამყაროს საერთო ყრილობა და დედამიწის ინტერესების დასაცავად ერთი დელეგატის გაგზავნა იყოს აუცილებელი, მე ამ დელეგატის რანგში სტალინს ავირჩევდი“.

**ჩან კაიში – ჩინეთის გომინდანური მთავრობის ხელმძღვანელი, გენერალისმუსი:**

„სტალინი მოკავშირეთა კოალიციაში თანასწორთა შორის ყოველთვის პირველი იყო... ჩინეთმა მისი წყალობითა და საბჭოთა კავშირის დახმარებით გაძლი იაპონიასთან ომის პირველ წლებში. ჩინეთის კომპარტია სტალინისავე წყალობით არა მხოლოდ გადაურჩა განადგურებას, არამედ კონტინენტურ ჩინეთში ძალაუფლებაც კი იგდო ხელთ. იაპონიის კაპიტულაციაც შეუძლებელი იქნებოდა გენერალისიმუს სტალინის მეთაურობით წითელი არმიის გამარჯვებების გარეშე. ასეა თუ ისე, ჩინეთის ისტორია 1930 წლიდან მრავალმხრივ არის დაკავშირებული საბჭოებისა, და კერძოდ, სტალინის პოლიტიკასთან“.

**ალექსანდრე კერენსკი – რუსეთის დროებითი მთავრობის პრემიერმინისტრი 1917 წელს:**

სტალინმა რუსეთი ფერფლიდან აღადგინა, უდიდეს სახელმწიფოდ აქცია, პიტლერი გაანადგურა და რუსეთი და კაცობრიობა გადაარჩინა“.

**იუჰო კუსტი პაასიკოვი – ფინეთის პრეზიდენტი 1946–1956 წწ.:**

„სტალინი ისტორიაში უდიდესი სახელმწიფო შემოქმედია. ის ფინეთისადმი სიმპათიისა და მეგობრულ დამოკიდებულებას ავლენდა. მისი გარდაცვალება ჩვენი ხალხის გულწრფელ მწუხარებას იწვევს. მე გენერალისიმუს სტალინთან მრავალგზის და მოლაპარაკების საშუალება მქონდა. ამ შეხვედრებიდან ძალზე სასიამოვნო მოგონებები შემორჩია“.

უნდა აღინიშნოს, რომ იუჰო პაასიკოვი ფინელებმა 10 წლინალურ ფინურ მარკაზე გამოსახეს და ეს არ ჩაითვალა კულტად, ხოლო სტალინი, რომელმაც უარი თქვა საბჭოთა საფოსტო მარკაზე გამოესახათ მისი სახე და კომუნისტური პარტიისათვის ეწოდებინათ ლენინურ-სტალინური, ტირანად შერაცხეს და მისი პიროვნების კულტი დაგმეს.

**ენტონი იდენი – დიდი ბრიტანეთის პრემიერმინისტრი 1955-1957 წლებში:**

„სტალინმა თავდაპირველად ჩემზე შთაბეჭდილება თავისი ნიჭიერებით მოახდინა და მასზე აზრი არ შემიცვლია. მას ჰქონდა კარგი, ეტყობა, ქართული წარმომავლობის მანერები. ვიცი, რომ ის იყო შეუბრალებელი, მაგრამ პატივს ვცემ მის გონიერას და სიმპატიითაც კი ვარ განწყობილი მის მიმართ, რაც ჩემი თავისითვის ბოლომდე ვერ ამიხსნია. ეს, ალბათ, სტალინის პრაგ-

მატიზმის შედეგი იყო. ჩქარა გავიწყდებოდა, რომ შენ პარტიულ ლიდერთან ლაპარაკობდი. მე მისი სახით ყოველთვის საინტერესო, მოღუშული და მკაცრ მოსაუბრეს ვხედავდი. ხშირად ასეთ განწყობაზე ყოფნას განსახილველი საკითხები ავალდებულებდა. სტალინი ღრმად იყო ჩახედული ყველა საკითხში, რომელთანაც შეხება ჰქონდა. გამოიჩინდა წინდახედულობითა და ოპერატიულობით. ყოველივე ამის უკან დიდი ენერგია და ძალა იდგა“.

### **პენრი კისინჯერი – აშშ-ის სახელმწიფო მდივანი 1973-1977 წლებში:**

„სტალინი, როგორც დემოკრატიული ქვეყნების არც ერთი სხვა ლიდერი, მზად იყო ნები-სმიერ დროს შესდგომიდა ძალთა თანაფარდობის ძირფესვიანად შესწავლას და რწმენით, რომ იყო მსახური ისტორიული სიმართლისა, რომლის გამოხატულებასაც მისი იდეოლოგია წარმოადგენდა, მტკიცედ და გადაჭრით იცავდა საბჭოეთის ნაციონალურ ინტერესებს. ისე იცავდა, რომ თავს არ იმძიმებდა, როგორც მას მიაჩნდა საკუთარი მორალის თუ პირადი ინ-ტერესების ტვირთით.“

სტალინის სიტყვებში გამოსჭვივის აზრისა და მოქმედების მიზანსწრაფული სისასტიკე, რომელიც კომუნისტური იდეოლოგიის ურყევი ერთგულების შედეგია. სტალინი მგზნებარე რევოლუციონერი, გულმშვიდი და აღუშტოთებელი სტრატეგი და ტაქტიკისი მხედარმთავარი იყო. მან საბჭოთა კავშირი XX საუკუნეში ზესახელმწიფოდ აქცია, ისე, როგორც რიშელიემ საფრანგეთი XVII საუკუნეში“.

### **კორდელ ჰალი – აშშ-ის სახელმწიფო მდივანი 1933-1945 წლებში:**

„სტალინი გასაოცარი პიროვნებაა, ის დაჯილდოებულია არაჩვეულებრივი ნიჭითა და გონებით, აგრეთვე, პრაქტიკული საკითხების არსის წვდომის უნარით. ის რუზველტსა და ჩერჩილთან ერთად ერთ-ერთია იმ ლიდერთაგან, რომლებსაც მხრებზე აწვებათ II მსოფლიო ომიდან გამომდინარე ისეთი პასუხისმგებლობა, რომლის მსგავსიც არც ერთ ადამიანს არ დაეკისრება უახლოესი 500 წლის განმავლობაში.“

ჰალი ლოიდ ჰოპკინსი -აშშ-ის პრეზიდენტის რუზველტის სპეციალური მრჩეველი:

„ძალზედ დარწმუნებული ვარ ამ ფრონტის წარმატებაში. აქ სუფეს გამარჯვების მტკიცე რწმენა. სტალინს, რომ რამე დამართოდა, როგორი შედეგები გვექნებოდა? ჩვენ დარწმუნებული ვიყავით, რომ შეგვეძლო მივნდობოდით მის გონებას, გრძნობასა და გაგებას. მაგრამ ჩვენი ეს რწმენა არ ვრცელდებოდა იმ გარემოებებსა და მოღვაწეებზე, რომლებიც მის ზურგს უკან იმყოფებოდნენ.“

### **ავერელ ჰარიმანი – აშშ-ის ელჩი სსრკ-ში 1943-1946 წლებში:**

„ისინი ვინც სტალინს პირადად არ იცნობდნენ, მასში მხოლოდ ტირანს ხედავდნენ. მე კი მეორე მხარეც მინახავს – მისი ჭკუა, დეტალების ფანტასტიკური ალქმის ნიჭი, მისი გამჭრიახობა და განსაცვიფრებელი ადამიანური ყურადღება, რისი გამოჩენის უნარიც ჰქონდა. ყოველ შემთხვევაში, ომის წლებში, ჩემი აზრით, ის უფრო იყო ინფორმირებული, ვიდრე რუზველტი და უფრო რეალურად უყურებდა საქმის ვითარებას, ვიდრე ჩერჩილი. ომის ლიდერებს შორის ის ყველაზე მნიშვნელოვანი ფიგურა იყო.“

### **ჯორჯ ფროსტ კენანი – აშშ-ის ელჩი სსრკ-ში 1952 წელს:**

„გაბედული, მაგრამ ფრთხილი, ძნელად განსარისხებელი და ეჭვიანი, მაგრამ მომოქმედი და თავისი მიზნების მიღწევაში დაუოკებელი. მას შეეძლო ემოქმედა ძალზე შეუპოვრად, მოთმინებითა და ფარულად, გარემოების შესაბამისად. სტალინი გახლდათ გარებულად სადა და უბრალო, მაგრამ სახელმწიფო პრესტიუსია და ლირსების უმკაცრესი და უბადლო დამცველი. ის იყო პრინციპული უყოფანო, როცა საქმე ეხებოდა პატიოსნებისა და მორჩილებისადმი მის მიერ წაყენებულ მოთხოვნებს. ადამიანების ყოველმხრივ და უსენტიმენტებოდ შემსწავლელ სტალინს შეეძლო, როგორც ჭეშმარიტ ქართველ გმირს, დიდი და საიმედო მეგობარიც ყოფილიყო და შეურიგებელი მტერიც. მისთვის ძნელი იყო, მეგობარს და მტერს შორის რაღაც შუალედური ყოფილიყო, როცა საქმე სახელმწიფოს ინტერესს ეხებოდა.“

**ჯოზეფ ედვარდ დევისი – აშშ-ის ელჩი სსრკ-ში 1936-1938 წლებში:**

„სტალინი, როგორც ჭეშმარიტად დიდი ადამიანი, მეტად თავმდაბალი და მოკრძალებულია. ის უარყოფს მისადმი გამოიქმულ ყოველგვარ ქება-დიდებას უდიდესი სამრეწველო ობიექტების აშენებისათვის, რომელთა ნახვაც მე მომინია, და მიაჩნია, რომ ეს ქვეყნის ათასობით ინჟინერ-ტექნიკოსისა და მუშა-მოსამსახურის დაძაბული შემოქმედებითი მოღვაწეობის შედეგია. რომ არა მოვლენათა მისეული განტვრეტა, კეთილგონიერება და დაუოკებელი ნებისყოფა, შეუძლებელი იქნებოდა მძლავრი საპჭოთა შეიარაღებული ძალების შექმნა და გერმანელებს წინ ვერ ალუდგებოდა ტანკებით, ქვემეხებითა და თვითმფრინავებით შეიარაღებული წითელი არმია, რომელმაც შესაძლებლობა არ მისცა ჰიტლერს, საპჭოთა კავშირის დამარცხების შემთხვევაში, ბატონობა დაემყარებინა ევრაზიაზე, აფრიკაზე და მათ მიმდებარე ზღვებზე“.

**ჰენრი არნოლდი – ამერიკელი გენერალი:**

„სტალინმა გამაკვირვა ჩვენი თვითმფრინავების ცოდნით. იგი მათ თავისებურებებს, მათი შეიარაღებისა და ჯავშნის დეტალებს უფრო იცნობდა, ვიდრე ჩვენი საპარო ძალების ბევრი დაწინაურებული ოფიცერი. სტალინი ჭეშმარიტად ფოლადის ადამიანი იყო, უშიშარი, ბრწყინვალე გონების, სწრაფი აზროვნებისა და რეაქციის, შეუბრალებელი, დიდი ლიდერი და გაბედული“.

**ალექსანდრე დე ჯონგი – ამერიკელი პროფესორი:**

„ჰიტლერს საპჭოთა კავშირი რომ დაემარცხებინა, არ იარსებებდნენ საპჭოეთის მკვიდრები, მაგრამ მათთან ერთად ფრანგები, ინგლისელები და ამერიკელებიც ალიგვებოდნენ პირისაგან მინისა. ის გენიალური პიროვნებაა იმიტომაც, რომ ამ ომში მოახერხა, თავის მოკავშირეებად ექცია გუშინდელი მტრები (მათ შორის ამერიკელებიც). ყველა დიდ შეცდომას უშვებს მაშინ, როცა ფიქრობენ, რომ პოლიტიკის აგება შეიძლება პირად ურთიერთობებზე. ამის იმედი ჰქონდა ჩერჩილსაც, რომელიც თავდაჯერებული ფიქრობდა, რომ გაცნობოდა სტალინს და მას თავის თაყვანისმცემლად გაიხდიდა. სტალინმა კი აიძულა როგორც ჩერჩილი, ისე რუზველტი, ევლო მის მიერ დასახული გზით. ამდენად სტალინის სახელთან მჯიდროდ არის დაკავშირებული ყველა ჩვენთა-განის არსებობა“.

**ადოლფ ჰიტლერი – გერმანიის ფიურერი 1933-1945 წლებში:**

„უდავოდ გვმართებს, სტალინს ჯეროვანი პატივით მოვეკიდოთ. ის გენიალური ტიპია“.

**იოაპიმ ფონ რიბენტოპი – გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი 1938-1945 წლებში:**

„ჩვენი მთავარი მტერი საპჭოთა კავშირია, სტალინი კი, როგორც სტრატეგი და სახელმწიფო მოღვაწე უფრო ჭკვიანია, ვიდრე ჩერჩილი და რუზველტი ერთად“.

**ჰენრის მიულერი – გერმანიის გესტაპოს შეფი 1938-1945 წლებში:**

„მხოლოდ მასზე დავფიქრდეთ, რისი გადატანა მოუხდა მის (სტალინის) სისტემას ბოლო ორი წლის განმავლობაში, არადა როგორი ავტორიტეტით სარგებლობს ხალხის თვალში. სტალინი ახლა სულ სხვა მხრივ წარმომიდგება. ის დასავლეთის სახელმწიფოების ყველა ლიდერზე გაცილებით მაღლა დგას“.

**ბერნარდ შოუ – ინგლისელი მწერალი:**

„ახლა როცა სტალინი ჩვენს მხარესაა, ომს აუცილებლად მოვიგებთ. სტალინი გიგანტია, ხოლო დასავლეთის სახელმწიფოთა სხვა ლიდერები პიგმეები (პანაწინები)“.

**პაბლო პიკასო – ესპანელი მხატვარი:**

„იყო სტალინი – ჩემი აზრით, მსოფლიოში ძალიან, ძალიან ბევრს ნიშნავს. ის გენიალური ადამიანი გახლდათ და ამაში ეჭვი არავის ეპარება – არც მონმარტელ ქუჩის მხატვარს, არც აკადემიაში მოღვაწე გამოჩენილ მეცნიერს, არც „როლ-როისის“ ინჟინერსა და არც გალვანობის

აღმომჩენს. ის გენიალურია, არა მხოლოდ უბრალო ადამიანების, არამედ სახელგანთქმული ხელოვნების თვალსაზრისითაც კი.

იყო სტალინი ნიშნავს სიცრუის სიძულვილსა და ადამიანების დაფასებას, კომუნიზმისათვის საკუთარი სისხლის ბოლო წვეთამდე გაღებას და იმის რწმენას, რომ ასეთი გმირობისათვის სხვებიც მზად არიან.

მასში იყო სახელმწიფო მოღვაწის – იულიუს კეისრის ჭკუა და მარკუს ოქტავიუსის ეშმაკობა, ალექსანდრე მაკედონელის მხედართმთავრული გენიალურობა და ციცერონის ორატორული დამარნმუნებლობა და ლაკონურობა. მაგრამ ის მათზე მაღლა დგას, გაცილებით მაღლა. მასში ისინი ყველანი არიან თავმოყრილი. თუ მსოფლიოს ისტორიაში სამი-ოთხი ადამიანი მაინც შევა და სამუდამოდ დარჩება, ერთი მათგანი უეჭველად სტალინი იქნება“.

**ანრი ბარბიუსი – ფრანგი მწერალი:**

„აი ის – ჩვენს თანამედროვეობაში უდიდესი და უმნიშვნელოვანესი ადამიანი. ის მიუძღვება ასეული მილიონობით ადამიანს მილიონობით კვადრატული კილომეტრის მქონე ფართზე. ყველას უყვარს ის, სჯერათ მისი, სჭირდებათ ის, ირაზმებიან მის ირგვლივ, მხარს უჭერენ და წინ წამოსწევენ მას. ის მთელი ტანითა აღმართული ევროპისა და აზიის მომავლის თავზე. ესაა მსოფლიოში ყველაზე უფრო სახელგანთქმული და თითქმის ყველაზე უცნობი ადამიანი“.

კიდევ უამრავი უცხოელი თუ ქართველი გამოჩენილი პიროვნებების დადებითი (უარყოფითი) გამონათქვამები და მოსაზრებები შეგვიძლია წარმოვიდგინოთ სტალინის შესახებ, მაგრამ ერთ პატარა წერილში ეს შეუძლებელია და არც არის აუცილებელი.

ახლა მოვიტანთ ფრანგი პოლიტიკური მოღვაწის მორის ტორეზისა და ი. სტალინის საუბრის ზოგიერთ ფრაგმენტს, რომელიც ნათლად წარმოაჩენს ბელადის ღრმაპატრიოტულ დამოკიდებულებას მისი სამშობლო – საქართველოსადმი. როგორც ცნობილია ის ყოველთვის მზად იყო უცხოელი სტუმრებისათვის გაეცნო თავისი სამშობლოს საუკუნოვანი ტრადიციები, ზნე-ჩვეულებები, ადათ-წესები, ქართველი ხალხის სტუმართმოყვარეობა და კულტურა, ხელოვნება და ქართული ლირსშესანიობები.

1951-1952 წლებში მოსკოვში დასასვენებლად და სამკურნალოდ ჩამოვიდა მორის ტორეზი. სტალინმა მოინახულა ის და გამოჯანმრთელება უსურვა მას. მალე ტორეზი გამოჯანმრთელდა და სტალინი კვლავ ეწვია მას. მათ შორის ასეთი საუბარი შედგა:

„– ამხანაგო ტორეზ! თქვენ, საქართველოში ხომ ერთხელაც არ ხართ ნამყოფი?

სამწუხაროდ არ ვყოფილვარ, ამხანაგო სტალინ!

არ გსურთ იქ ჩასვლა?

მოვინახულო ის ქვეყანა, სადაც თქვენ დაიბადეთ და გაიზარდეთ, სიმართლე გითხრათ, ჩემი დიდი ხნის ოცნებაა.

და თუ ასეა, რა გიშლით ხელს?

ჯანმრთელობის გარდა, არაფერი, ამხანაგო სტალინ!

ექიმებს თუ დავუჯერებთ და ჩემს თვალებსაც თუკი რამე დაეჯერება, თქვენს ჯანმრთელობას ამჟამად არა უშავს რა, ამხანაგო ტორეზ! იმდენად კი ხართ გამოჯანმრთელებული, რომ საქართველოში ჩასვლას გაუძლოთ. იქ ჩადით და დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ჩემი თანამემამულები ჩინებულ მასპინძლობას გაგინევენ“.

მორის ტორეზმა არ დააყოვნა და ჩამოვიდა საქართველოში, მოიარა საქართველოს მხარეები, გაეცნო ქართველ ხალხს და მშვენიერი დრო გაატარა. უკან დაბრუნებისას ის კვლავ შეხვდა სტალინს, რომელმაც დაწვრილებით გამოკითხა საქართველოში მიღებული შთაბეჭდილებები.

აი, რა განაცხადა აღტაცებულმა ტორეზმა.

„ – ჩემი შთაბეჭდილებები საქართველოსა და ქართველ ხალხზე იმდენად დიდია და ღრმა, რომ არ ვიცა საიდან დავიწყო და როგორ ვთქვა ან რომელი ვთქვა ვერ გადამიწყვეტია, ამხანაგო სტალინ!

ალბათ იქ ბევრი რამ ნახეთ არა?

დიახ, ძალიან ბევრი რამ მანახეს და დამათვალიერებინეს. კერძოდ, ქართული ხელოვნების მუზეუმი, რომელმაც ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა. ძალიან მომენტისა ქართული ჭედური ხელოვნება, იქაურ მხატვართა ნამუშევრები – განსაკუთრებით კი ფიროსმანის მხატვრობა. თბილისი, ფუნიკულიორი ხომ ულამაზესია!

ძალიან კარგი! – გაელიმა სტალინს, – მაშინ საქართველოს სადლეგრძელო დავლიოთ, ამხანაგო ტორეზ!

დიდი სიამოვნებით და დიდი კმაყოფილებით დავლევ საქართველოსა და ქართველი ხალხის სადლეგრძელოს, ამხანაგო სტალინ! – მორის ტორეზმა ლვინით სავსე სასმისი აიღო და ფეხზე წამოდგა.

დაბრძანდით, ფეხზე დგომა საჭირო არაა – გაიკვირვა სტალინმა.

არა, ამხანაგო სტალინ! ნება მიბოძეთ, ამ შემთხვევაში არ დაგემორჩილოთ და ჩვეულებრივად მოვიქცე. მე საქართველოსა და ქართველი ხალხის სადლეგრძელო ფეხზე ამდგარმა უნდა დავლიო დიდი მადლობისა და მონანიების ნიშნად!

თქვენ ნებაა, – მიუგო ბელადმა.

მე გაგონილი მქონდა, რომ საქართველო ძალზე ლამაზი ქვეყანაა, მაგრამ საკუთარი თვალით დანახულმა, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ამიერიდან მე მუდამ მემახსოვრება ეს ღმერთების სამეფო, ჩინებული, ყოველგვარი სიკეთით შემკული ქართველი ხალხი, რომელიც თავისი განუმეორებელი, უზადო სტუმარობობით ხიბლავს და ნუსხავს სტუმარს. საქართველო თავისი მაღალი კულტურით, მდიდარი ისტორიითა და ხელოვნებით, არასოდეს წაიშლება ჩემი მეხსიერებიდან.

თუნდაც საქართველოში არ ჩახვიდე, მარტო მისი რუსთაველის „ვეფხისტყაოსნით“ შეგიყვარდება ეს საოცარი ქვეყანა, მისი კეთილი ხალხი. დაე, იდიდოს და იდლეგრძელოს საქართველომ და ქართველმა ერმა! – ტორეზმა ჭიქა გამოცალა და დასძინა, – დაე, ასე მტერი და ორგული დაეცალოს საქართველოსა და ქართველებს!

ამინ! – ჩაილაპარაკა სტალინმა და დაამატა: სხვათა შორის, ჩვენში, საქართველოში, ასე ფეხზე ამდგარი სვამენ განსაკუთრებულ სადლეგრძელოებს, თანაც ერთ წვეთსაც არ ტოვებენ ჭიქაში.

მე ეს საქართველოში მასწავლეს, ამხანაგო სტალინ! – მიუგო ტორეზმა, – ჩვენთან საფრანგეთში ჯერ ეს არ იციან! (ნაწყვეტი აღებულია ჩუევის წიგნიდან „140 საუბარი ვიაჩესლავ მოლოტოვთან“).

წარმოდგენილი მასალიდან კარგად ჩანს თუ რა მასშტაბის პიროვნება იყო სტალინი, როგორ უყვარდა და აფასებდა ის თავისი სამშობლოს, რაც დანახულია უცხოელთა მიერ მიუხედავად ამისა ზოგიერთი ვაიმჯდაბნელი და ურაპატრიოტი, რომელთაც ჯერ არაფერი გაუკეთებიათ ქვეყნისა და ხალხისათვის სტალინს არაქართველად და უფრო მეტიც ქართველობობულებდ წარმოგვიდგენს (მათ ალბათ სოსელოს ფსევდონიმით გამოქვეყნებული ბელადის ყმაზილკაცობის დროინდელი ლექსიც „დილაც“ არ წაუკითხავთ, რომელიც დიდმა ილიამ მოიწონა და „ივერიაში“ დაბეჭდა). ისინი ამტკიცებენ რომ სტალინს არაფერი კარგი გაუკეთებია საქართველოსათვის და მისი სახელი ყოველნაირად უნდა იყოს შერისხული ქართველი ხალხის მიერ. ასეთნაირთა რიგებს ძირითადად მიეკუთვნებიან სტალინის პერიოდში რეპრესირებულები, მათი შთამომავლები და მის პერიოდში ძალაუფლება და წოდება დაკარგულები.

მეც რეპრესირებულის ოჯახიდან ვარ. მამაჩემი გიორგი ადეიშვილი, როგორც ორგანიზაცია „ახალგაზრდა მარქსისტული წრის“ წარმომადგენელი სრულიად ახალგაზრდა გაასახლეს საქართველოდან და 10 წელი ციმბირში იმყოფებოდა ე.წ. „თავისუფალ პატიმრობაში“. მიუხედავად ამისა მას იშვიათად თუ წამოცდებოდა სტალინის გამამტყუნებელი რაიმე მოსაზრება, თუმცა ბევრ რამეში არ ეთანხმებოდა მოძღვრებას. ამასთან აფასებდა მის ნიჭისა და დამსახურებას არა მარტო საბჭოელების არამედ მსოფლიოს წინაშე.

ჩვენ ახლა წარმოვადგინეთ რამდენიმე ფაქტი იმის შესახებ, თუ რა დამსახურება აქვს სტალინს საქართველოს და მსოფლიოს წინაშე.

**ომარ კაპანაძე** – კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი,  
ვანის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქე

**თამიშვილი მარიამ გარებაშვილი** – კვლევის ცენტრის თანამშრომელი

## დემოგრაფიული პროგლოგი და მისი გავლენა ვანის მუნიციპალიტეტის საგანგავნო თავმჯდომარებელი სისტემაზე

დემოგრაფიული მდგომარეობა ჩვენს ქვეყანაში და განსაკუთრებულად მის პერიფერიულ და სახლებებში კარგახანია განვითარების სიგნალს იძლევა.

ამ მოვლენაზე საუბარს ტაბუ არა აქვს დადებული. სამწუხაროდ, მასზე ცალკეულ მეცნიერთა გარდა იშვიათად თუ საუბრობენ, მაგრამ მათგან ვისაც ჯერ არს, ძალზედ უფერული რეაგირებით, რეალურ შედეგებზე გათვლის გარეშე. დრო ამტკიცებს რომ სახელისუფლო ორგანოთა ძალისხმევა საკითხის რამდენადმე მოსაწესრიგებლად გადამწყვეტი ფაქტორად ჩანს, რადგანაც ყოველგვარი მსჯელობა, საუბრები ამ მიმართულებით შედეგების გარეშე ფუჭმული მჭერმეტყველებად რჩება.

ვერავინ იტყვის, რომ მასების სოციალური პირობების გაუმჯობესების მიმართულებით დღეისათვის ცოტა რამ კეთდება, მაგრამ ქვეყნიდან ხალხთა გადინების პროცესი იმდენად გაუცნობიერებლად და მომავლის გათვლის გარეშე სტიქიურად დაიძრა 1990-იანი წლების დასაწყისიდან, ქართული მოსახლეობა ფაქტიურად დემოგრაფიულ ჩიხში მოქმედა: გაჩნდა ნასახლარები, ახალგაზრდობა ე.წ. მომავლის ინტელექტუალური და მწარმოებლური ძალა გაიკრიფტა, სოფლები ინტელიგენციისაგან თითქმის დაიშრიტა, დემოგრაფიული დაბერება სახეზეა. ზეალმატებულ რანგში საუბრები იმაზე, რომ ვიზალიბერალიზაციის პროცესები ვირტუალური მიღწევაა, ეს შეიძლება ერთი შეხედვით ასე იყოს, მაგრამ ბოლო 30 წლის მანძილზე შექმნილი ცხოვრების განცდამ ქვეყნიდან გაცლის მსურველთა ნაკადი შეუკავებლად დაძრა და ბრალსაც ვერ დავდებთ, რადგან ამ მომენტში ოჯახის წევრთა შენახვის საკითხი დადგა და უბედურებაც ისაა, რომ პროცესი დაბადა 1991 წლიდან ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური ფუნდამენტის ხელალებით ნგრევამ რის შედეგადაც მივიღეთ გაპარტახებული, გაყიდული, დაშლილი სამრეწველო ორგანიზაციები და შედარებით აწყობილი აგრარული სექტორის მოშლაც. ე. წ. დასაქმების ძირითადი ადგილები, რომელზედაც უაღრესად იყო დამოკიდებული მასების ყოფითი სოციალური პირობები. ყოველივე ამის აღდგენა, ე. წ. ბალანსის, სრულყოფა მოწესრიგებულ გარემოში დაისაჭიროებს ათეულ წლებს.

რაც შეეხება საკითხიდან გამომდინარე პერიფერიულ ზოლს ვანის რაიონის ისტორიისა და ეთნოგრაფიის კვლევის ცენტრის მიერ შესწავლილია და გასაჯაროებული 16 სოფლის ისტორია, რომელშიც დემოგრაფიული სირთულეები, წარმომშვები მიზეზები იდენტური პრიზმით ჩანს, ამასთან ობიექტურადაა დანახული მოსალოდნელი შედეგებიც. ჩვენ არ ვსაუბრობთ აქ იმაზე თუ რა ინვესტიციების თავაწყვეტილ გადინებას ქვეყნიდან. ამ საკითხს ჩვენ შევეხეთ კრებულ „მატიანეს“ მე-8 ნომერში და განმეორებას არ ვაპირებით, ვიტყვით მხოლოდ ერთს: მართვაში დაშვებული შეცდომების შედეგია ყოველივე ეს, დაწყებული სამოქალაქო ომიდან, დამთავრებული, როგორც ითქვა, ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის ხელალებით ნგრევით. ამის უამრავი ფაქტია თუ გნებავთ მარტო ვანის რაიონის მაგალითზეც.

როდესაც კრებულ „მატიანეს“ 2017 წლის მე-8 ნომერში დემოგრაფიულ პრობლემებზე ვისაუბრეთ არავითარი ილუზიის ტყვეობაში არ ვიმყოფებოდით, რომ სიტუაცია ასე მოკლე დროში რადიკალურად შეიცვლებოდა, თუმცა უნდა ითქვას იმაზეც, რომ ცხოვრებისეული პირობები რამდენადმე შეიცვალა უკეთესობისკენ და არა ისე, რომ წლების მანძილზე ნაგროვებ 30-წლიანი ციკლის შეუსაბამობანი მხოლოდ „ოცნების“ ხელისუფლებას გადავაბრალოთ და დავიგინეროთ მანამდელ ხელისუფალთა მოუმზადებლობა და გულარხებინობა კაპიტალისტური სისტემის ქვეყნის მართვისა და გაძლიერების საკითხებში და შეუსაბამო, გაუთვლელი ნაბიჯე-

ბიც თითქმის ყველა სფეროში, რამაც ქვეყანა ღრმა ჩავარდნამდე მიიყვანა.

დემაგოგიაა დღევანდელი ე. წ. ოპოზიციური ფრთის ზოგიერთ წარმომადგენელთა საუბრები იმაზე, რომ წარსულში ნუ ვიხედებით, დავიწყოთ ახალი ფურცლით. ბლეფია ყოველივე ეს, ისტორიის სვლა წარსულის შეუსწავლელობითა და ღრმა ანალიზის გარეშე არ არსებობს, არც მარტო ერთ კაცზე – შევარდნაძეზე ყველა გადაცდომის აკიდებაა სწორი, რადგანაც დღევანდელი ოპოზიციის „თვალსაჩინო ლიდერები“ მაშინდელი პოლიტიკური გაერთიანებიდან – „მოქალაქეთა კავშირიდან,“ ან ათასი ჯურის გაერთიანებიდან და არასამთავრობო ორგანიზაციებიდან ილებენ სათავეს, რომლებიც ასევე, მეტნაკლები ფორმით სახელისუფლო შტოთა წარმომადგენლობას აქსებდნენ, ხოლო შემდეგში მათი დიდი ნაწილი გახლდათ ხელისუფლების არაუბრალო წარმომადგენლები, არამედ ლიდერებიც და პასუხისმგებლობას ქვეყნისა და ერის წინაშე ვერ გაექცევიან და არც უნდა მიეცეთ ამის საშუალება ის რაც ახლა ხდება ამ ძალების მიერ ესაა პოლიტიკური „დესიმულაციის“ უმაღლესი პოლიტაჟი, ფორმა, როდესაც მათ მიერვე დაშვებული შეცდომების, ამ შეცდომებისგან გამოწვეული შედეგების გადაბრალებას ცდილობენ იმ ძალებზე, რომლებიც შესაბამის მომენტში საერთოდ არ მოღვაწეობდნენ ხელისუფლებაში. ამის უამრავი მაგალითია და პასუხისმგებლობას ქვეყნისა და ერის წინაშე ვერ გაექცევიან.

შეიძლება ითქვას შეუცდომელი ხელისუფალნი არ არსებობენ, მაგრამ შეცდომათა ის კასკადი, რომელიც მოცემულ დროში იქნა დაშვებული რამდენიმე ხელისუფლებას ეყოფა ერთი საუკუნის მონაკვეთზე.

წინამდებარე საკითხი თანდათან იმდენად მძაფრი და პრობლემური გახდა გადავწყვიტეთ ისევ შევეხოთ მას, რომელსაც ვამატებთ დემოგრაფიული პრობლემების გავლენას ვანის მუნიციპალიტეტის სასწავლო სააღმზრდელო სისტემაზე და მკითხველს ვაძლევთ საშუალებას პრობლემის სრული გააზრებისთვის.

„ვანის რაიონის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრის“ კრებულ „მატიანეს“ მეშვიდე ნომერში გამოვაჭვეყნეთ სტატია „ვანის რაიონის ეკონომიკა 1985-2010 წლებში“, რომელშიაც მიმოხილვაც და ანალიზიც გაკეთებული იყო ზოგად ჭრილში, თუმცა ეყრდნობოდა ფაქტებს. ითქვა ისიც, როგორ სირთულეთა წინაშე დადგა რაიონის მოსახლეობა ქვეყანაში განვითარებული მოვლენების შედეგად, რაც ეკონომიკისა და სოციალურ სფეროში გაჰყვა გაუთვლელ, შეუმოწმებელ ექსპერიმენტებსა და ეკონომიკის, როგორც ბაზისის მიმართ მერკანტილურ, გულარხეინ დამოკიდებულებას, რის გამოც რაიონის ეკონომიკამ დაკარგა მთავარი – სოციალური პრობლემების დამპალანსებლების როლი, ხოლო შედეგებს ჰქონდა კატასტროფული სახე. წარმოებასა და ორგანიზაციებში დასაქმებული ათასობით ადამიანი (არამარტო რაიონის) აღმოჩნდა უმუშევარი, ამ და რიგ სხვა ფაქტორთა ჯაჭვის გამო რაიონის მოსახლეობა შემცირებულია 38%-ით, 15 000 კაცით, რომელიც ეკონომიკურ და სოციალურ პროცესთა დისბალანსით უნდა აიხსნას. სამწუხაროდ, რაიონის მოსახლეობაში გარდაცვლილთა რიცხვმაც რამდენიმე ასეულით გაასწრო დაბადებას, ბუნებრივ მატებას.

წინამდებარე სატატიას ღრმა კვლევის პრეტენზია არ გააჩნია, მაგრამ ის რაც ზედაპირზე დევს და პრაქტიკული მაგალითების სახით ყოველ ნაბიჯზე გვხვდება, ასევე ღრმა დაფიქრების საფუძველს მაინც იძლევა და მას ვერ განვიხილავთ, როგორც კონკრეტულ მოვლენას, მხოლოდ ვანისათვის. იგი გამომდინარეობს ქვეყნაში წლების მანძილზე ჩამოყალიბებული კრიზისული განვითარების შედეგებიდან.

ჩვენს მსჯელობას ინფორმაციული ხასიათი აქვს, თუმცა ემყარება რეალობას, კონკრეტულად ვანთან მიმართებაში მაინც. საკითხი გლობალური პრობლემის შემადგენელი წაწილია, დაკავშირებულია ასევე გლობალურად განვითარებულ მოვლენებთან, მაგრამ, ჩვენ მაინც ჩვენი გვაქვს სატირალი და ლოდინი არ ღირს იმაზე ქართველების გარდა სხვა ვინმე უფრო გულიანად ჩაერთვება ჩვენს სამწუხარში, შვებას მოგვგვრის და პრობლემებს გადავწინევეტს. ამის გაკეთებას თუ რომელიმე ქვეყნის გარეძალა შეეცდება, იმასაც ეცდება, რომ ქართველთა სახელმწიფოს ხარჯზე სათავისოდ ღონიერი უკუგება მიიღოს, ეს ასეა ყველგან და ყოველთვის, რომელშიც ქართველები მთლად ღრმად გარკვეულად არ გამოვიყურებით, ან ვუგულვებელვყოფთ, პროცესების რეალობას ჩავსედოთ თვალებში.

საერთოდ უნდა ითქვას: ყოფილი ხელისუფლებები, რომელთა მმართველობის დროსაც რაღაც 20-წლიან მონაკვეთში (მხედველობაში გვაქვს 1990-იანის დასაწყისიდან 2010 წლები) 5,6 მილიონიანი ერიდან ეკონომიკურ და სოციალური შეუსაბამოთა გამო ქვეყანას 2 მილიონამდე კაცი დატოვებს და ელემენტარული პრობლემების მოსაწესრიგებლად სხვა ქვეყნებს შეეხიზნება, თანაც უაღრესად დამამცირებელი პირობებით, ვერც სრულყოფილებით დაიქადნის და ვერც პოლიტიკური შორსმჭვრეტელობით, რომ არაფერი ვთქვათ ეკონომიკურ-სოციალურ პრობლემებსა და მართვის საკითხებში ღრმა ჩაუხედაობაზე, ქვეყნის ტერიტორიების დაკარგვასა და ნებაყოფლობით გასხვისებაზე (დავით გარეჯის სახით) და ა. შ. სამაგიეროდ, საქართველომ მოხსნა ყოველგვარი რეკორდი მიტინგების, სამრეწველო და სამეურნეო ორგანიზაციათა ნგრევით, დაწესებულებათა პიკეტირებებით, ქართული დროშებით შემოსილი მანქანებით მარიაჟობით, კარვების გაშლით, საკითხთა მანიპულირებით და ა.შ.

ვინც ისტორიულ რეალობებს ზერელედ არ უყურებს ხვდება, რომ საზოგადოებრივი განვითარების ზიგზაგობრივ ველზე არაფერი ციდან არ ცვივა, იგი დატვირთულია უარყოფითი ტენდენციებითაც და ძირითადში განპირობებულია მართვის პროცესებში დაშვებული შეცდომებით, რომლის გასწორებაც დროულად ვერ მოხერხდა. აქ არაერთ ფაქტორთან ერთად ბევრი რამ დამოკიდებულია კადრებზე, შემთხვევით კადრებზეც.

ის, რომ ვანი არა მარტივი პრობლემების წინაშე დადგა, ამის მიზეზები, როგორც ითქვა, მხოლოდ რაიონულ არეალში არაა საძიებელი. 1991-იანი წლებიდან ქვეყანაში გამეფებულმა რუტინამ განაპირობა ყოველივე ეს. რატომდაც მე ასე მგონია, ხელისუფლებები, რომლებიც ქვეყანას სამოქალაქო ომამდე მიიყვანს ტერიტორიების 20%- დაკარგავს, თავისი ხალხის მასიური გაღატაკების მოწმე გახდება, სამწუხაროდ, დიდი პოლიტიკური შორსმჭვრეტელობით ვერ იძალებს. მიუხედავად ვინ, როგორ ხოტბას არ უნდა ასხამდეს მათ, ისე როგორც არავითარი გამართლება არ გააჩნია იმდაგვარ განვითარებას, როდესაც კომპლექსური მოშლილობის ფონზე ხელისუფლებები თითქმის ზედიზედ ფერადი რევოლუციური გადატრიალებებით იცვლებიან. როგორი ეპითეტითაც არ უნდა მოვიხსენით პროცესი, გნებავთ ვარდების, გნებავთ ჭინჭრების და ა. შ. ქართველობამ ყოველივე ეს ამ მოკლე პერიოდში გამოსცადა, მარაზმია, როდესაც 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ავანტიურისტული წაგებული ომის მსხვერპლისა და ათეულ ათასი კაცის ლტოლვილად ქცევის ფონზე მაშინდელი თავდაცვის მინისტრი მილიარდელი გახდება, აბა რა შეიძლება ენოდოს ამას. როგორც ჩანს, სხვადასხვა, მათ შორის, ეროვნულ მოძრაობაშიც ჩართულ ადამიანების დიდ ნაწილს, რომლებმაც გადაიბარეს აგრარულ-ინდუსტრიული მაღალი შემოქმედებითი კულტურის საქართველო მოძრაობათა რომანტიკულმა ხიბლმა დავიწყათ, რომ ის მიღწევები რაც ჩვენს ქვეყანას ქონდა და დიდად განსხვავდებოდა დღევანდელობისაგან ციდან ჩამოვარდნილი არ ყოფილა. მხედველობიდან გამორჩათ, რომ მას წინ უძლოდა არა ნგრევა, არამედ ეროვნული ენერგიის კონსოლიდაცია, კონცენტრაცია და გარჯა. პოლიტიკური შორსმჭვრეტელობა და გარჯა გამორჩათ მხედველობიდან. უნდა დავიმოწმო ბატონ თამაზ ჩხენკველის მიერ 2001 წლის 22-28 ივნისის „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნებული სტატიის ერთი ადგილი... „საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფოა, მაგრამ დამოუკიდებლობას არ მოუტანია ჩვენთვის მოსალოდნელი სიხარული და ენთუზიაზმი. მიზნის მისაღწევად თავად ჩვენ უაზრო მსხვერპლის გარდა არაფერი გაგვილია. იმ პოლიტიკურმა ძალებმა, რომლებმაც ითავეს სახელმწიფოს გაძლილა, ძალაუფლებისადმი პათოლოგიური ლტოლვა უფრო გამოავლინეს, ვიდრე პოლიტიკური შორსმჭვრეტელობა და შედეგმაც არ დააყოვნა. საქართველოს ტერიტორიის მეხუთედი უცხო სახელმწიფოს კონტროლს ექვემდებარება, გამეფებულია ცხოველური ეგოიზმი, მოხვეჭის ველური უინი, ჩვენი თავმოყვარება შელახულია, ნაციონალური ინტერესებისადმი სუფევს გულგრილობა და აპათია... ანტიქართულ ძალებს ხსნილი აქვთ გზა“. ეს შეფასება ნამდვილად ეხება ჩვენი მიმოხილვის პერიოდის ჩარჩოებს, რომელსაც შეიძლება დავამატოთ კიდევ ერთი რამ: ქვეყნის შიგა დაპირისპირების გამოვლინებანი 26 მაისის საკუთარი ხალხის არნახული დარბევით, რომლის შედეგებიც მიუხედავად 2012 წლის პოლიტიკური კლიმატის ცვლილებისა ჯერჯერობით, საბოლოოდ არ გაფერმკრთალებულა. საბოლოო ჯამში, პროცესთა ასეთი დალაგება „დიდებულად“ აისახა რეგიონებისა და რაიონების, მათ შორის ვანელთა ყოფაცხოვრებაზეც. სილარიბე დააბიჯებს დღეს „საჩინოს სივრცეში, რომელმაც წაშალა ვანელთა ოჯახების

დიდი ნაწილის სიამაყე, მიადგა ტრადიციულ, ქართულ თავმოყვარეობას და ეროვნულ ზნეობრიობასაც, პატრიოტული ცნობიერების გათავისებასაც, რომელიც დღეს ნელ-ნელა იქცევა დასაცინ ფენომენად. თვითგადარჩენის განცდა ფარავს ღირსების გრძნობას, ოჯახის წევრთა მთლიანობას. ერის აღსაზევებლად ღვთისებან მომადლებულ ინტელექტუალურ და ფიზიკური შესაძლებლობები სხვა ხალხთა აღორძინებას ემსახურება. უკიდურეს ისტორიულ ქარტეხილთა შუალედშიც კი, არ ახსოვს ქართველობას ოჯახებისა და ოჯახის წევრთა ასეთი დაფანტულობა. სამწუხაროდ, არაერთ ქართველსა და ორგანიზაციას ასდის დღეს ალენ დალესის მყრალი იდეების სუნი.

საყოველთაოდ ცნობილია, დემოგრაფია დღეისათვის წარმოადგენს მსოფლიო პრობლემას, მაგრამ განუწყვეტელი აპელირება იმაზე, რომ ეს მსოფლიო პრობლემაა, უკვე არასერიოზულ სახეს იძენს. მოწესრიგებულ ქვეყნებში ღონისძიებათა კასკადს მიმართავენ პროცესის შესაკავებლად. ამ პრობლემით დიდი ერები ეროვნული კატასტროფის წინაშე შეიძლება არ დადგნენ, მცირე ერებს გვაქვს ეს მოსალოდნელობა. სანახევროდ დაცლილია საქართველო და ჯერ კიდევ ველოდებით სახელმწიფო ორგანიზაციის რანგის მსჯელობას კონკრეტული გეგმით იმაზე, თუ რა გზას უნდა დავადგეთ, თუ არ ჩავთვლით თითზე ჩამოსათვლელ ერთეულ მეცნიერს, არც მეცნიერთაგან მასიურად, არც ეროვნულ მეცნიერებათა აკადემიდან, არც შესაბამისი ინსტანციებიდან ამ პრობლემაზე ფართო მსჯელობას საზოგადოების აზრის მოსამწიფებლად ნაკლებად ისმის, არაფერს ვამბობთ მედიასაშუალებებზე რომელთა დიდმა ნაწილებმაც ნდობა დაკარგა. გაფერმკრთალებულია ნაციონალური აღზრდის მუხტის მნიშვნელობა, რადგან ერთია შექმნილი გაუსაძლისი პირობები, მაიძულებელი ადგილის ფუძის მიტოვებისა, მაგრამ უმნიშვნელოვანესია თუ მასიურად იქნება მიტოვებული სამშობლო იმ ძალებისაგან, რომელთა მხარეებზეც უნდა დადგეს მომავალი, ვის უნდა მოვთხოვოთ ქვეყნის გადარჩენასა და სრულ-ქმნაზე ზრუნვა?! ის თავბრუდამხვევი ტემპი, რაც ქვეყნიდან მთავარი, ახალგაზრდა, ჯანსაღი საწარმოო ძალების, ცოცხალი ადამიანების მასიურ გადინებას განსაკუთრებულად, 1992-2005-2011 წლებში მოჰყვა... ტოვებს ასევე განცდას, რომ ხელისუფლებები ცდილობდნენ ადგილებზე ამდენი დაუსაქმებელი და გაღატაკებული, პერსპექტივადაკარგული ადამიანთა მასების გარეთ გადინებაზე ხელშეწყობით თავიდან აეცილებინათ მოსალოდნელი პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური დარტყმები, აფეთქებები, რომელიც უმუშევრობას მოყვება, მინიმუმ ორ ათეულამდე სხვადასხვა პრობლემას წარმოშვებს და ადრე თუ გვიან სამიშ ძალად ყალიბდება.

ჩვენ ვთვლით, ამ საშიში ძალის წინაშე მორჩილება არ უგრძვნია საქართველოს ხელისუფლებას განხორციელებული აქტით, დღევანდელი მძვინვარე პანდემიის პირობებში, რადგან საქართველოდან გადახვენილი ადამიანებიდან 20 000-ზე მეტი კაცი სამშობლოში დააბრუნა, მოხედა და როგორც ჩანს, მომავალშიც მოხედავენ თუ ქართული ხასიათიდან გამომდინარე საშუალებასაც მისცემენ, ეს არის მხოლოდ ჰუმანიზმის გამოვლინება, ეს ქმედება უდიდესი პატრიოტული აქტის ფარგლებში თავსდება.

ქართველობა არ მიეკუთვნება იმ ერს, იმ ნაციას (სხვა არაერთისებან განსხვავებით), რომელიც ასე ხელალებით და შეჭირვების ელემენტარული პირობების გამო ტოვებს თავის ფუძეს იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც საკითხი ეხება სამშობლოს ფარგლებში იძულებით გადაადგილებასაც. მეცნიერულ ლიტერატურაში მიჩნეულია, რომ ეს კოდი ათასწლეულთა სიღრმიდან მოჰყვება ქართველობას და მის შეზრდილობას იმ განუმეორებელ ლანდშაფტთან, გარემოსთან, იმ ეზო-კართან, რომელსაც ის უვლის, რომელშიდაც ყალიბდება მისი მსოფლმხედველობა და მოქმედებისა და ქცევის წესებიც, ამაში ჩანს უზაღო სიყვარულის და დაფასების განცდაც ფუძის, წინაპართა მისამართით და დიდი ოპტიმიზმიც. ყველაფრიდან ჩანს, რომ ეკონომიკურ და სოციალურ სივრცეში განვითარებული მოშლილობის შედეგად დადგა ისეთი გაუსაძლისი უამი, რომელმაც ადამიანები იძულებელჲყო გადაედგა ასეთი, შინაგან ბუნებას დაშორებული, არადამახასიათებელი ნაბიჯი და ადგილის ფუძის იქეთ ექებნა ხსნა. ვანის სინამდვილეში მომეტებულად ქალბატონებმა იკისრეს ეს მძიმე ტვირთი, რომელსაც გზადაგზა მიჰყვა მთლი ოჯახების გახიზვნა. ცხადია, აქ არ ვაპირებთ ამ პროცესთა დეტალიზებას, მაგრამ უნდა ვაღიაროთ შედეგი, რომელიც ქართული ოჯახის ფენომენის დასუსტებაში გადაიზარდა, ასეთი შეფასებისათვის თავდახრილად ვიხდი ბოდიშს, საკუთარ ფუძეს დაშორებულ,

ქვეყნის ფარგლებს გარეთ საშოვარზე გასული თითოეული ადამინის მიმართ, მაგრამ ეს მათი ბრალი სულაც არაა, ქვეყანაში გამეფებულმა შიმშილის შიშმა დაბადა ეს მოვლენა.

თუ საუბარი წავა მითითებულ წლებში სახელმწიფოს როლზე, ამ შემთხვევასთან დაკავშირებით, შეიძლება ითქვას (ეს ჩვენი სუბიექტური აზრია) სახელმწიფოს არც უცდია მაქსიმალური ძალისხმევით პროცესების შემაკავებელი ღონისძიებების გატარება, რომელიც უპირველესად უნდა გამოვლენილიყო დასაქმების ადგილების შექმნით, ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაზე ზრუნვით. თუ რაზე დაფუძნებით კეთდება ეს დასკვნა, ამაზე ცოტა ქვემოთ შევჩერდებით. საუბარი იმაზე, რომ დასაქმების ადგილებს ქმნის ბიზნესი, ეს ასეა, მაგრამ ეს ასეა გამართულ, მოწესრიგებულ ქვეყნებში, რომლებიც ასევე დაზღვეული არ არიან ცალკეული ზიგზაგობრივი განვითარებისგან, რომელ დროსაც სახელმწიფო თავისი ფუნქციიდან და პასუხისმგებლობიდან სიტუაციათა დასაწესრიგებლად ბევრ რაიმეს იღებს საკუთარ თავზე. მაგალითად იკმარებს აშშ-ს 1930-იანი წლების კრიზისი, რომლიდანაც ქვეყნის გადასარჩენად არჩეული იქნა აშშ-ს საზოგადოებრივი წყობისათვის დროებითი, მაგრამ უჩვეულო გადახრა. შედეგმა გამართლა, თუმცა აქვე უნდა ვალიაროთ, რომ განსხვავება მაშინდელ ამერიკულ კრიზისა და ქართულ სივრცეში განვითარებული მოვლენების დეტალებში ძალიან დიდია, მაგრამ აქ საუბარია ზოგჯერ არაორდინალურ და სარისკო გადაწყვეტილებების მიღებაზე, რომელიც რეფორმის ტოლფასი შეიძლება იყოს, ხოლო, როგორც ცნობილია „ყოველგვარი რეფორმა წარმატებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ხორციელდება მტკიცე და ენერგიული ხელისუფლების ფარს ქვეშ.“ შეიძლება ამას მოჰყვეს მავანთა და მავანთა „კაკაფონია“, მაგრამ რეალობათა არგაცნობიერების გარეშე ძნელია მიღწევებზე საუბარი.

და კიდევ ერთიც: მესამე ათეული წელი გავიდა ეროვნული დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან, რაც არ არის ცოტა დრო. ისტორიამ იცის მაგალითები დროის ამ მონაკვეთში აღმოცენებულა ახალი სახელმწიფოც, მიუღწევია მაღალი განვითარებისათვის და მომენტთა გამო შეუწყვეტია არსებობაც. ხანგრძლივია ეს დრო იმისათვის, რომ ელემენტარული სოციალურ-ეკონომიკური პირობები დალაგებულიყო, რომ ადამიანებს ქვეყნის მიტოვებაზე არ ეფიქრათ. მითუმეტეს ამ პერიოდის მანძილზე, როგორც ცნობილია, ქვეყანამ მიიღო საკმაოდ კოლოსალური დახმარებები, „ტრანშების“, „გრანტების“ სახით, მათ შორის, როგორც ამბობენ, 4 მილიარდადმე მარტო ე. წ. „სამხრეთ ოსეთში“ განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით (ალბათ იმიტომაც, რომ ამ კომპენსაციით მავანთა და მავანთათვის პრობლემები არ შექმნილიყო). ეს და ზოგიერთი სხვა პროცესები გვქონდა მხედველობაში, როდესაც ზემოთ სიტუაციების დაწესრიგებაზე გვქონდა საუბარი. სამწუხაროდ, ფსიქიკა შეირყა, ნელ-ნელა ვკარგავთ საკუთარ პოტენციალზე, შესაძლებლობებზე, რწმენას, გვერდს ვუვლით მეცნიერებას. საკუთარი უნიათობის არ შეცნობის გამო ხმირად მივდივართ პროცესთა სხვაზე გადაბრალების გზით, გრძელდება სხვათა მოიმედეობის ნეგატიური ტენდენცია. დიდი ილია მინდა დავიმოწმო: „რაკი კაცი უცხო ქვეყნიდან მოვიდოდა ჩუენში, სწავლულია თუ უსწავლელი, ჭკვიანი თუ სულელი, ამას აღარ დავდევდით და პირდის შეცვლურებდით, ჭკუის მასწავლებელი აბა ეს არისო. გარდა ამისა, საკმაო იყო კაცს ეთქვა, საზღვარგარეთ ესე არისო, რომ ჩვენც მიგველო განუსჯელად, აუწონელად, დაუფიქრებლად. იქაურმა ხალხმა ეს ჩვენი პირდისაობის ამბავი კარგად იცოდა და ამიტომაც ყველა ისინი, ვისაც თავის ქვეყანაში ვერა გაეკეთებინა რა, ჩვენკენ გამორბოდა, თან ორიოდე მზად გაკეთებული და მოგონებული რეცეპტიც მოჰქმნდა და მტვერს აგვიყენედა ხოლმე თვალწინ ჩვენ უმეცრებს და უცოდინარებს ცოდნისა და მეცნიერების სახელითა. სამზღვარგარეთ ესეაო, თქვენც ესე უნდა მოიქცეთო და ჩვენც სხვა გზა არა გვქონდა, უნდა დაგვეჯერებინა და ვიჯერებდით კიდეც. ამას კიდევ არ გვაკმარებდა ხოლმე, რაც კი რამ ჩვენს სამშობლოში იყო ყველას გვიქოლავდნენ, თქვენ რა იცით ბრიყვები ხართო, აბა კარგი რა გექნებათო, ჩვენც ვეძახდით მართალი ბრძანებაა „საუბედუროდ, ბოლო პერიოდების მანძილზე ქართველობამ ბევრი ასეთი უსარგებლო მტვერი ჩავყლაპეთ. დავივიწყეთ ასევე ილიას ბრძნული შეგონება „სამშობლო ტაძარი კი არაა, სადაც უნდა იჯდე და ლოცულობდე, ასპარეზია სადაც უნდა გაისარჯო“ ქვეყანაში განვითარებული მოვლენების მეცნიერული კვლევაა საჭირო, სადაც საკუთარი არ იკმარებს, გამოვიყენოთ სხვისიც ოღონდ

არა ბედის მაძიებლების. ღრმად ვართ დარჩეული ქართველ კომპეტენტურ მეცნიერებს, საკითხში ჩახედულ ადამიანებს თუ დრო და საშუალება მიეცემათ ამ საკითხის შესწავლა და ანალიზის დადება შეუძლიათ. შემდეგში კი ყველაფერი დამოკიდებული იქნება კვლევის შედეგების ხელშეწყობილ რეალიზაციაზე... სიტუაციიდან გამოსვლის ყოვლისმომცველი პროგრამა საჭირო, ეს შეგრძნება დღეს განსაკუთრებულად დიდია და უდიდეს მნიშვნელობას იძენს ქვეყნის პრემიერის ბატონი ირაკლი ლარიბაშვილის ინიციატივა სამინისტროებისა და მეცნიერთა ჩართულობით შექმნილ დახვენილ გრძელვადიან პროგრამის შექმნაზე, რომელიც შეიძლება გახდეს კოორდინატორი არსებული მდგომარეობიდან ქვეყნის გამოყვანისათვის.

თავის დროზე ვანში, რაიონის დინამიური განვითარებისა და აქედან პრობლემათა გარკვეული წყების მოხსნისა, პრაქტიკა აჩვენებს, სასოფლო (აგრარული) რაიონები, ისეთები როგორიცაა ვანი, თავისი რელიეფური აღნაგობით და სიძნელეებითაც საჭიროებენ არამარტო ადგილობრივ ხელისუფალთა, არამედ ქვეყნის ფართომასშტაბიან მხარდაჭერასა და დახმარებასაც. ამაში სათაკილო არაფერია, თვით მაღალგანვითარებულ, წამყვან ქვეყნებშიც იმვიათია შემთხვევა, რომ ეს სფერო დოტაციური არ იყოს, მოწესრიგებული ქვეყნები ქმნიან მისთვის განვითარების კლიმატს, დაწყებული თანამედროვე ტექნიკური არსენალიდან, მისი ხელმისაწვდომობიდან, პროდუქციის გასაღების ბაზრების მოძიების უზრუნველყოფით სანამ დარგი ფეხზე არ დადგება, მიუხედავად ბოლო თითზე ჩამოსათვლელ რამდენიმე წელიწადში ქვეყანაში განხორციელებული ღონისძიებებისა წარმატებულ საბოლოო შედეგებზე საუბარი ჯერჯერობით ზედმეტი იქნება, თუმცა ხსენებულმა წახმარებამ ინდივიდუალურ მეურნეობებს საქმის კონკრეტული შემსუბუქება მაინც აგრძნობინა. ეს აუცილებლობა იგრძნობა XXI საუკუნის 10-იანი წლების მთელს პერიოდზეც და დაისაჭიროებს 20-იანი წლების სივრცეც საუბარი იმაზე, რომ ამდაგვარ რაიონებში ბიზნესი შექმნის წინაპირობას მდგომარეობის გასწორებისათვის, ეს მრავალმხრივი, ურთულესი პროცესია. ჯერჯერობით მყარად არ ჩანს და არაერთ მძაფრ პრობლემებთან ერთად იგი ასეთად დარჩება უახლოეს მომავალშიც, თუ არ მოიძებნა დაკონკრეტებული, არაპოპულიზმზე შემდგარი, პროგრამად ქცეული პრაქტიკით განივთებული გამოსავალი.

რისკუაქტორებიცაა ასეთ ზონებში და ვანში მეტისმეტად კონცენტრირებული, რის გამოცნებისმიერ მომენტში შეიძლება გაჩნდეს ახალი და გაუთვალისწინებელი შემთხვევები, არაერთი, არამედ რამდენიმე ერთად. დროში ერთდროულადაც – სოციალური ასპექტის ისეთი თანმდევი ვითარების წარმოქმნით, რომელზედაც დამოკიდებულია მიგრაციული პროცესების მომენტალური განვითარება. ეს პრობლემა, რომელიც ძნელად ასაშორებელია და მსოფლიო მოვლენის სახეს ატარებს ყველა დონეზე, საჭიროებს გათვლილ და გეგმაზომიერ საქმიანობას.

ამჟამად, განვითარებულ პრობლემათა გამო, დემოგრაფიული მდგომარეობის თვალსაზრისით ვანის მოსახლეობის რაოდენობა დაეშვა 144 წლის წინანდელ დონეზე, სადაც 1873 წლის აღწერის მიხედვით კავკასიის მეფისინაცვლის მთავარ სამმართველოსთან არსებული სტატისტიკური კომიტეტი იუწყებოდა (გამოქვეყნდა 1879 წელს), რომ იმ სოფლებში (დასახლებებში), რომლებიც დღეს შემოდიან ვანის მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში ცხოვრობდა 19 222 კაცი. მითუმეტეს კომლთა რაოდენობა მითითებული დოკუმენტის მიხედვით გაცილებით ნაკლებია, ვიდრე დღეს და შემდგომი პერიოდების აღწერებიდანაც ჩანს, რომ დემოგრაფიული სალდო დადებითი ბალანსით მიემართებოდა.

1886 წლისათვის ვანში ცხოვრობდა 4 197 კომლი, 22 580 მაცხოვრებლით. ამასთან ცნობისათვის საზოგადოებასა და მკითხველს ვთავაზობთ შემდეგი პერიოდის ზოგიერთ კონკრეტულ მონაცემს:

როგორც ცნობილია, ვანი 1930 წელს ჩამოყალიბდა როგორც ადმინისტრაციული რაიონული სამართალსუბიექტი. ვაქვეყნებთ ინფორმაციას ამ დროის დემოგრაფიული მდგომარეობის შესახებაც და აქვე განვმარტავთ, ქვემოთ მითითებულ მონაცემებზე გარკვეული პერიოდის მანძილზე რადიკალური ზეგავლენა მოახდინა მეორე მსოფლიო ომმა, რადგანაც ვანის რაიონიდან ომში განვეული იქნა 7000 ახალგაზრდა ე.წ. მნარმოებლური ძალა, აქედან დაიღუპა 3500, რომლიდანაც გამოწვეული დისბალანსი კარგახანს გაჰყვა რაიონს.

სასოფლო საბჭოებისა და დასახლებული ადგილების სახელწოდება	კომლთა რიცხვი	მცხოვრებთა რიცხვი	ქართველი
ამაღლების სას. საბჭო ა მ ა ღ ლ ე ბ ა ბზვანი - ზედა ბზვანი - ქვედა ინაშაური	1039 238 318 259 224	5030 1076 1006 1246 1102	5026 1074 1604 1246 1102
გორას სას. საბჭო ბაგინეთი ბობოთი გ ო რ ა ზეინდარი სალომინაო I სალომინაო II	1194 38 74 512 153 212 205	5822 211 366 2589 681 1095 880	5821 211 366 2588 681 1095 880
დვალიშვილების სას. საბჭო გადიდი დ ვ ა ლ ი შ ვ ი ლ ე ბ ი ძულუხი	833 211 385 237	4300 1098 1986 1216	4297 1098 1983 1216
ვანის სას. საბჭო დიხაშხო ვანი - გაღმა ვანი - ზედა ვანი - ქვედა ვანი - ქვედა (ებრაელების) ზენობანი ისრითი ონჯოხეთი სალხინო ტყელვნი ციხისუბანი ციხესულორი - ზედა ციხესულორი - ქვედა	2181 256 111 233 378 73 67 193 123 254 128 45 193 127	10709 1264 527 1131 1880 418 343 927 663 1154 607 239 975 581	10257 1264 527 1121 1856 - 343 927 663 1154 607 239 975 581
რომანეთი - საპრასიას სას. საბჭო რომანეთი ს ა პ რ ა ს ი ა	451 204 247	2261 1012 1249	2261 1012 1249
საპაიჭაოს სას. საბჭო დობირო დუცხუნი - ზედა დუცხუნი - ქვედა ვერხვანი მაისოური მიქელეფონი მუხქედ-კავასუბანი პატელესოული შ უ ა ს ო ფ ე ლ ი ჭალა სამზიარი ტობანიერის სას. საბჭო ეწერ-ტობანიერი ეწერ-ტობანიერი - ზედა ეწერ-ტობანიერი - ქვედა კუშუბოური მთისძირი-ჭყუშური მიქელეფონი მუხქედი - ქვედა მუხქედი - ზედა ტობანიერი გაღმა-გამოღმა შ უ ა მ თ ა გ ა მ ო ღ მ ა შუამთა გაღმა ჭაგან-ჭყუშური ჭყვიში	547 53 45 62 58 91 38 54 35 53 58 1570 50 81 143 91 86 90 86 136 146 193 184 147 137	2791 289 246 320 291 431 198 304 212 221 279 7376 188 403 646 471 410 443 429 671 682 875 814 672 672	2791 289 246 320 291 431 198 304 212 221 279 7372 188 403 646 471 410 443 429 671 678 875 814 672 672
უხუთის სასოფლო საბჭო უ ხ უ თ ი	290 290	1407 1407	1407 1407

შენიშვნა: სხვაობა 412 ადამიანი წარმოადგენდა სხვადასხვა ეროვნებათა წარმომადგენლებს, ძირითადად – ებრაელებს

ვანის რაიონში დემოგრაფიული პრობლემის ახალმა ტალღამ თავი იჩინა 1970-იანი წლების დასაწყისიდან და გატარებულ კომპლექსურ ღონისძიებათა შედეგად, რომელიც წინმსწრებად მზადდებოდა და მას შემდეგ რაც მოქმედებაში თანამიმდევრულად შევიდა ახლადაგებული სამრეწველო და რიგი სხვა ორგანიზაციები ეს ტალღა ძირითადში შეჩერებული იქნა. პირიქით, დაფიქსირდა რაიონიდან გასული 180 ოჯახის უკან დაბრუნებაც. ეს პროცესი ემთხვევა 1970-იანი წლების ბოლოს და 1980-იანი წლების მთელ პერიოდს, რომელიც მცირე ამპლიტუდით მერყეობდა 1990 წლის ბოლომდე, ხოლო აქედან მან მძლავრი ხასიათი შეიძინა, ვიდრე რამდენადმე განონასწორებული ბალანსი ქვეყნის ობიექტურ და სუბიექტური განვითარების კანონზომიერებიდან გამომდინარე საფუძვლიანად არ შეირყა და უსაშეველოდ გაგრძელდა 2005-2007 წლებამდე, ვიდრე რაიონიდან მოსახლეობის გადინებამ არ მიაღწია პიკს და ნაწილობრივ გაგრძელდა ამის შემდეგაც. დასაწყისშივე მივუთითეთ, რომ ჩვენი მიმოხილვის თარიღობრივ ჩარჩოებში რაიონის მოსახლეობა შემცირდა 15 000-მდე კაცით, 38%-ით. ასეთი მაღალი კლება-დობის კოეფიციენტი არ ახასიათებს ქვეყნის თითქმის არცერთ სასოფლო რაიონს.

დემოგრაფიული სალდოს რღვევის მანამდე არნახული ტალღა განაპირობა 1991 წლიდან განვითარებულმა მოვლენებმა. ეს საზოგადოებისათვის კარგადაა ცნობილი და ამ პროცესთა დეტალიზებას აქ არ ვაპირებთ, რომელიც რაიონზე აისახა და პრაქტიკულად დაარღვია განონასწორებული სოციალურ-ეკონომიკური ბალანსი, სამუშაო ადგილებიდან დაწყებული, საარსებო პირობებით დამთავრებული, რის გამოც პრაქტიკულად ჩიხში შევიდა ცხოვრების პერსპექტივა, უმტკივნეულესი ფორმით შეეხო ახალგაზრდობას, მომავალ კადრებს და გახდა ბიძგი მათ მიერ რაიონის დატოვებისა, იქედან გამომდინარე, რომ ქვეყანაც ანალოგიურ სიტუაციაში აღმოჩნდა, დასაქმების ადგილთა განულება ელვისებური ტემპით წარიმართა, ეს ადამიანები იძულებულნი გახდნენ დაეტოვებინათ ქვეყანაც. მსგავს დღეში აღმოჩნდა რაიონის პედაგოგიური, სამედიცინო ტექნიკური შემოქმედებითი ინტელიგენციაც. საწარმოთა ნგრევის პარალელურად საბიუჯეტო დისპროპორციებმა წარმოშვა სახელფასო ზღვარის კატასტროფული შემცირება, ხელფასების ხანგრძლივი დროით გაუცემლობა, ინფლაციური პროცესებიც და სამთავრობო აფიორამ, რომლის განხორციელებით დანაზოგი თანხების ბანკებში შეტანითა და შემდეგ მათი გაორმაგებულად დაბრუნების დაპირებით, რომლის სიცრუუც აღემატებოდა ბარონ მიუნჰენიუზენის ფანტაზიებსაც. ადამიანებს არსებობის დარჩენილი მარაგიც გამოეცალათ.

ზემოაღნერილ სიტუაციიდან გამომდინარე, ორ ეტაპად გავყოფდი ვანის სოფლებიდან მოსახლეობის გადინებას. 1991 წლის ბოლოდან იწყება ინდივიდთა მიერ მდგომარეობის შემზადება, 1992-1993 წლებში რაიონში გამოვლინდა მცირე გასვლები, ხოლო კონკრეტულ მიზეზთა გამო, რომელზედაც ზემოთ იყო საუბარი, მასიური გასვლები ძირითადად ემთხვევა 1997-2002-2007 წლებს შორის ინტერვალებს, ამ დროში მოხდა რაიონიდან ინტელიგენციის გადინებაც.

ამდენად, 1992-2007 წლების მონაკვეთი უკიდურესად რთული აღმოჩნდა რაიონისათვისაც, ძმათა მკვლელი სამოქალაქო ომი, აფხაზეთისა და ე. წ. სამხრეთ-ოსეთის დაკარგვა, ლტოლვილების შემოსახლება, ენერგეტიკული კრიზისი, ნაირნაირი შეიარაღებული დაჯგუფებების თარები, ქალაქებთან და რაიონებთან სატრანსპორტო კომუნიკაციების მოშლა, საბიუჯეტო-ფულად-საკრედიტო ხანგრძლივი კოლაფსი, აგრარულ სექტორში უკიდურესი სირთულეები, რაიონის 9 სამრეწველო საწარმოს მიერ პრობლემათა გამო საქმიანობის ერთბაშად შეწყვეტა და ამ ნიადაგზე 3000-ზე მეტი კაცის ძირითადად ახალგაზრდების ქუჩაში უმუშევრად დარჩენა,<sup>1</sup> იგივე პროცესები ვაჭრობის საყოფაცხოვრებო, ტრანსპორტის, სამშენებლო ორგანიზაციებისა და ა.შ. წამყვან სფეროებში, სამედიცინო მომსახურების ნაწილობრივ მოშლა და ა. შ. გახდა ბიძგი მოსახლეობის გადინებისა და უფრო მეტიც, თაობას რომელსაც მსგავსი მოვლენა არც ახსოვდა და არც განუცდია, აღმოჩნდა შიმშილის ზღვარზე. გაჭირვებული ოჯახები 894 (დაახლოებით 3000 კაცზე მეტი) ობოლი ბავშვები 400-მდე, 7344-კაცი, რომელიც

<sup>1</sup> საერთოდ სამრეწველო ორგანიზაციების მშრომელთა კოლექტივთან ერთად (დაახლოებით 3600 კაცი) დამატებით ქუჩაში აღმოჩნდა, ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროს 1500-ზე კაცი, პლუს ადამიანები მოქმედი სამი სამშენებლო ორგანიზაციიდან, ორი პროფ-ტექ-სასწავლებლის პედაგოგიური ინტელიგენცია, სამედიცინო პერსონალის დიდი ნაწილი, ტექნიკური ინტელიგენცია, რომელიც 1970-იანი წლებიდან ჩამოყალიბდა და აშ.

მოითხოვდა გადაუდებელ დახმარებას, სასწავლო პროცესში გაკვეთილზე ნახევრად მშიერი მოსწავლეების ჯდომა, ეს პროცესი ჩვენს მიერ მიმოხილულ თარიღებში დომინირებდა და ა.შ. ექცა მთავარ სტიმულატორად, ბიძგად, ადამიანთა იმ მასას, რომელთაც ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობა გააჩნდათ გაცლოდნენ ჩამოყალიბებულ რეალობას და ამდენად, ადგილის დედას, რაიონს – სამშობლოს. საუბარი იმაზე, რომ ამ დროს რაიონის მოსახლეობას დახმარებას უწევდნენ საერთაშორისო ორგანიზაციები „ნითელი ჯვარი“, „ნითელი ნახევარმთვარე“, „ექტ ჯორჯია“ და ა.შ. დახმარების ხელის გაწვდენა ნამდვილად იყო, მაგრამ პრობლემას ვერ მოხსნიდა და ვერც მოხსნა. როგორც პრაქტიკა აჩვენებს სოციალურ საკითხებს არ შეიძლება ქველმოქმედის პოზიციიდან მიუდგენ ეს უშედეგოა. ქველმოქმედება ვერ დაეფუძნება მუდმივეობას, ერთს წიაღშია მოსაძებნი ის ძალა და რესურსი, რომელიც კრიზისებს გაუმკლავდება და გადალახავს. ჩემი აზრით, ამას ჭირდება უზარმაზარი პატრიოტული შემართება და მუხტი მხარდაჭერასთან ერთად.

**ახლა რაც შეეხება უშუალოდ რაიონის საგანმანათლებლო სისტემას, რომელზედაც მტკიცნეული ასახვა ჰქონდა სიტუაციით ჩამოყალიბებულმა დემოგრაფიულმა ვარდნამ:**

ვანის მუნიციპალიტეტის მასშტაბით ბოლო ხუთი წლის მანძილზე მოსწავლეთა დინამიკა თითქმის უცვლელია. იგივე სიტუაცია რჩება 2020-2021 სასწავლო წლისთვისაც, ასეთი მდგრომარეობა აშკარად მიმათითებელია ახალგაზრდული ასაკის ორივე სქესის ადამიანთა თანამიმდევრულ კლებასა და მუნიციპალიტეტის მოსახლეობის მასშტაბურ ხანდაზმულობაზეც. ის, რომ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში დღეისათვის 700 ბავშვამდეა (2,5-ჯერ და უფრო ნაკლები 1990 წელთან შედარებით) ესეც ვერავითარ დამამშვიდებელ სურათს ვერ ქმნის.

მუნიციპალიტეტის ყველა საჯარო სკოლაში ამჟამად 2654 მოსწავლეა და იგი დაახლოებით 2,5-ჯერ ნაკლებია ვიდრე იყო 30 წლის წინ, თუ მხედველობაში მივიღებთ იმასაც, რომ რაიონში ფუნქციონირებდა ორი ნარმატებული და ქვეყანაში ცნობილი საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი, რომელშიც სწავლობდა და პროფესიას ეუფლებოდა 900-ზე მეტი მოსწავლე (და არ მიეკუთვნებოდა საშუალო და 8-წლიანი სკოლების კონტინგენტს), 200-მდე პედაგოგით, სანარმოო სწავლების ოსტატებითა და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალით. ზემოთ მოყვანილი მონაცემები უარყოფითი ტენდენციით კიდევ უფრო გაიზრდება, მხედველობაში უნდა მივიღოთ ისიც, რომ ორივე პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელს გააჩნდა მათზე განკუთვნილი სანარმოო პაზები, მათი კონტინგენტის ძირითადი ნაწილი მზადდებოდა რაიონისათვის, გათვლილი იყო ქალაქ ვანში მოქმედი სამრეწველო, სამშენებლო და რიგ სხვა ორგანიზაციების კადრებით უზრუნველყოფისათვის. აღნიშნულ სასწავლებელთა გაუქმებით აქ დასაქმებული ოსტატ-პედაგოგთა, ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის აბსოლუტური უმრავლესობაც უმუშევარი აღმოჩნდა ისე, როგორც ამ სასწავლებელთა კურსდამთავრებულები და ეს მოჰყვა ვანის სამრეწველო და რიგ სხვა ორგანიზაციების უმოქმედოდ დგომასა და შემდეგში მათ გაუქმებას, თუ არ ვიხმართ სიტყვა – ნგრევას, რომელიც განვითარებულ სიტუაციას უფრო შეესაბამება.

ვანის რაიონის (მუნიციპალიტეტის) ორივე დონის საჯარო სკოლებში (მხედველობაშია 12-წლიანი და 9-წლიანი) აკადემიურ სამოსწავლო ჯგუფთა რაოდენობა არის 333-ი, 12-წლიანებში 252 ჯგუფი, 9-წლიანებში 81; 1,5-ჯერ ნაკლები ვიდრე 25-30 წლის წინათ და საერთოდ დღევანდელი მოცემულობით ასევე საგრძნობლადაა შემცირებული პარალელური სასწავლო ჯგუფების რაოდენობა და როდესაც არსებულ დინამიკას ეცნობი მსგავსი კლასპარალელები საერთოდ არ ფიქსირდება. მასთან ე.წ. ოპტიმიზაციის შედეგებს ემსხვერპლა დამოუკიდებლად არსებული დაწყებითი (ოთხკლასიანი) სკოლები, რომლებიც საბაზო სკოლებიდან რამდენადმე დაშორებულ უბნებში ფუნქციონირებდნენ.

– ამჟამად, მუნიციპალიტეტის სკოლების მასშტაბით 11 ჯგუფია ისეთი, რომელშიც არცერთი მოსწავლე არ ირიცხება.

– სასწავლო ჯგუფთა რაოდენობა, რომელშიც 2019 წელს მხოლოდ ერთი მოსწავლე ირიცხებოდა – 38 ჯგუფი.

– ჯგუფთა რაოდენობა, რომელშიც 2019 წელს მხოლოდ ორი მოსწავლე ირიცხებოდა იყო 33-ი, ხოლო 2020 წელს 34 ჯგუფი.

– ჯგუფთა რაოდენობა რომელშიც მხოლოდ 3-3 მოსწავლე ირიცხებოდა 2019 წელს იყო 24 ჯგუფი, 2020 წელს კი 28. ამდენად არსებული 333 ჯგუფიდან 89 ჯგუფია (საერთო ჯგუფების დაახლოებით 25,7 პროცენტი), რომელშიც მხოლოდ ერთიდან სამი მოსწავლე ირიცხება.

– კლებაა მე-12 დამამთავრებელ კლასებშიც, 2019 წელს 186 მოსწავლე, 2020 წელს 171 მოსწავლე.

– 21 დამამთავრებელი ჯგუფიდან 15 ჯგუფში ერთიდან სამი მოსწავლეა.

– მუნიციპალიტეტის 12 საჯარო სკოლაა ისეთი, რომელთა პირველ კლასებში ერთიდან სამი მოსწავლეა.

– 14 საჯარო სკოლაა ისეთი, რომელშიც 20 მოსწავლიდან 41 მოსწავლემდეა.

– ხოლო დუცხუნის საჯარო სკოლაში (ცხრა წლიანი) ექვსი მოსწავლეა, გადიდის სკოლაში 5, ონჯოხეთის - 3.

ისეთ ტრადიციულ ძირძველ საბაზო სკოლებში როგორიცაა სულორი, ირიცხება 44 მოსწავლე, ათჯერ ნაკლები 1970-იან წლებთან შედარებით, ყუმურში 34, ძულუხში 32, საპრასიაში 24, ფერეთაში 44.

– ამჟამად 30 საჯარო სკოლიდან 13 სკოლაა სადაც უკიდურესად საგანგაშო სიტუაციაა, კონტინგენტი არ აღემატება 46 მოსწავლეს.

**– სკოლები, რომელშიც მოსწავლეთა რაოდენობა არ აღემატება 20-30 მოსწავლეს:**

საპრასია – 25

დუცხუნი – 6

გადიდი – 5

ონჯოხეთი – 3

ზედა ბზვანი – 11

ზედა გორა – 29

რომანეთი – 14

მიქელეფონი – 31

– საჯარო სკოლები რომელშიც მოსწავლეთა რაოდენობა აჭარბებს 40 მოსწავლეს:

მთისძირი – 88 მოსწავლე

ყუმური – 42

მუქედი – 47

სულორი – 44

ძულუხი – 33

ბზვანი – 93

ქვედა გორა – 72

უხუთი – 66

ფერეთა – 44

სალომინაო – 75

ციხესულორი – 37

ინაშაური – 36

– საჯარო სკოლები რომელშიც კონტინგენტი აღემატება 100 მოსწავლეს, 200 მოსწავლეს:

ვანის №1 საჯარო სკოლა – 278

ვანის №2 საჯარო სკოლა – 428

შუამთა – 152

ტობანიერი – 100

ზედა ვანი – 111

სალხინო – 106

ისრითი – 126

ამაღლება – 168

ზეინდარი – 100

შუაგორა – 121

გიმნაზია – 163

ამდენად, თუ საფუძვლიანად გადავხედავთ ზემოჩამოთვლილ სასწავლო დაწესებულებათა ახლო წარსულს, შეიძლება ითქვას, დემოგრაფიული ვარდნა ყველა მათგანზეა ასახული, თანაც უკიდურესი ფორმით, რადგანაც მათი სასწავლო-სამოსწავლო ცხოვრება სისხლსაგან და დინამიური იყო და ამ პროცესს ქმნიდა აღსაზრდელთა და აღმზრდელთა სიმრავლე, ხოლო რაც შეეხება აღმზრდელ პედაგოგებს, რომელთა რიცხვიც მოცემულ მომენტში ოდნავ აღემატება 650 კაცს, იგი დაახლოებით ორჯერ ნაკლებია წინა პერიოდთან შედარებით, ხოლო ტექნიკური პერსონალის ჩათვლით 1500 კაცს შორდებოდა.

ამასთან უნდა აღინიშნოს ერთი მთავარი მომენტი, სასწავლო მატერიალური ბაზა ადრეც და დღეს მდგომარეობით, თითქმის ყველა მათგანი, მოწესრიგებულ მდგომარეობაშია და მუნიციპალიტეტის პირობებში გაუძლებს შესაბამის ნებისმიერ დატვირთვას. აქვე უნდა ითქვას იმაზეც, რომ მიუხედავად სამოსწავლო კონტინგენტის შემცირებისა მასზე ზრუნვა მატერიალურ-ტექნიკური მოწესრიგების თვალსაზრისით ბოლო პერიოდებში არ განელებულა.

ამდენად, 1990 წლის ბოლოსათვის ვანის სკოლებში, პროფ-ტექ-სასწავლებლების კონტინგენტთან ერთად მოსწავლეთა რიცხვი 8000-მდე აღწევდა, რაც რაიონის სოფლების სისხლსავსე ცხოვრებაზე მიუთითებდა. 2014 წლის მონაცემებით რაიონის სკოლებში 2559-მოსწავლე ირიცხებოდა, დაახლოებით იგივეა დღეს მოვლენათა განვითარების შედეგად, მხოლოდ 2009-2014 წლების ხუთწლიან მონაკვეთში კონტინგენტი შემცირდა 1028 მოსწავლით, მარტო 2011-2012 წლებში 433. პროცესს აქვს თანმდევი მოვლენები, რომელიც ცალსახად პედაგოგთა საათობრივი დაუტვირთაობით არ აიხსნება, თუმცა მასზე დამოკიდებულია პედაგოგიური ინტელიგენციის საარსებო პირობები და პედაგოგიური ინტელიგენციის გადინება რაიონიდან, მაგრამ აქვს უფრო შორს მიმავალი უარყოფითი ფესვები. ახალგაზრდობის, მომავალი საწარმოო ძალების, მომავალი ოჯახების, იმ მასის შემაშფოთებელი შემცირება, რომელთა ხელშიც უახლოეს პერიოდებში უნდა გადავიდეს რაიონის ეკონომიკურ-სოციალური პოტენციალის სრულყოფა, აგრარულ, სავაჭრო, საყოფაცხოვრებო მიმართულებათა, თუ შეიქმნება, სამრეწველო, სამშენებლო და ა.შ. კადრებით უზრუნველყოფა. ამ პროცესმა უკვე იჩინა თავი და ძალიან ახლო პერიოდში კიდევ უფრო გამოჩნდება, მითუმეტეს თუ არ მოწესრიგდება არამარტო საჯარო სკოლების, არამედ უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხულთა დასაქმება. ეს კონტინგენტი თავისითავად იზრუნებს სამუშაო ადგილების მოძიებაზე და რადგან იგი ადგილზე არ იქნება მათი დიდი ნაწილის რაიონიდან გასვლაც გარდაუვალია.

აქვე, დაცარიელებული ან ნახევრად დაცარიელებული სამოსწავლო ჯგუფები და სკოლები მიათითებს სოფლების ინტენსიურ დაცარიელებაზეც. ამასთან, ეს პროცესი, რამდენადმე გამორიცხავს შესაბამისი სასწავლო დაწესებულებების სრულ მასშტაბიან საქმიანობასაც, რასაც ადრე კლასგარეშე მუშაობა ქვითა და აერთიანებდა სასწავლო პროცესის მთელ რიგ მიმართულებებს, საწრეო მუშაობიდან დაწყებული მხატვრულ-შემოქმედებითი საქმიანობის ჩათვლით, რომელთა არსებობაც შესაბამისი ნიჭის. მონაცემებისა და უნარის მატარებელ მოსწავლეთა მრავალრიცხოვნებაზეა დამოკიდებული, პირველ წრთომასაც აქედან იღებდნენ და აქვე უნდა ითქვას ერთ შეუსაბამობაზეც, რაც ე.წ. ოპტიმიზაციას მოჰყვა: სოფლებში არსებული ბიბლიოთეკების, სამკითხველო დარბაზების, კლუბებისა და კულტურის სახლების გაუქმება. ერთი სიტყვით არამარტო მოსწავლეებს, არამედ სოფლის ახალგაზრდობასაც ფეხის დასადგმელი ადგილიც არ დაუტვის. ჩვენ ამ თემაზე საუბარს აღარ გავაგრძელებთ, მაგრამ გაცნობიერებული მკითხველი ადგილად მიხვდება რა დატვირთვა ჰქონდა მათ არსებობას. აქ მუშაობის, საქმიანობის მოდერნიზება, დროსთან შესაბამისობაში მოყვანა იყო საჭირო და არა ხელალებით გაუქმება, ნგრევა. ქვეყნის ქალაქების არც ახალგაზრდობას, არც მოსწავლეებს ასეთი მძაფრი პრობლემა არ უდგათ სოფლის ახალგაზრდობა დარჩა რამდენადმე ხელმოცარული და ჰაერში გამოკიდებული. უნდა მივესალმოთ საქართველოს მტავრობის ახალ

გადაწყვეტილებებს კულტურის სამინისტროს ცელებებს სამინისტროდ აღდგენის შესახებ, რომელიც დაფიქრდება დროში ჩამოყალიბებულ მდგომარეობაზე.

რა შეიძლება საბოლოოდ ითქვას. ძნელია დაცარიელებული, ყოფილი სისხლსავსე სოფლების გამოკეტილი და მიტოვებული ოჯახების ხილვა, უფრო შემაშფოთებელია მცხოვრებთა ასეთი მასშტაბური შემცირება, რომელიც დროისა და ამ დროში დაუწესრიგებელი ყოფის ფაქტორი გახდა. მკითხველი იოლად მიხვდება რა შეიძლება მოჰყვეს ყოველივე ამას. ამ ადამიანთა გარეშე არც საქართველოა სრულყოფილი, და არც ვანია სრულყოფილი რაიონი (მუნიციპალიტეტი). დღეისათვის ბევრია დამოკიდებული იმაზე, როგორი იქნება ხვალინდელი დღე. ხოლო რაც შეეხება დემოგრაფიულ ფენომენს მოწესრიგებულ სიტუაციაშიც კი, ზემომითითებული ციფრობრივი დანაკლისის გასწორებას მინიმუმ 30-40 წელი მაინც დასჭირდება. ის ნაბიჯები, რომელიც ბოლო ხუთ-ექვსწლიან ციკლში გადაიდგა ცხოვრებისეული ფაქტორების მოსაწერიგებლად, სამეურნეო ცხოვრებისა და ურთიერთობის დარგში საგანმანათლებლო, კულტურული ცხოვრების გაკეთილშობილების, ცალკეულ სოფლებსა და უბნებზე სირთულეთა აღმოფხვრის თვალსაზრისით მათზე გაღებული თანხები, ჯერჯერობით შესრულებული სამუშაოები და ა.შ. პერსპექტივის განცდას ნამდვილად ბადებს. ყოველგვარი ბიფირიმბების გარეშე უნდა ითქვას, ის რაც ბოლო ექვსი წლის მანძილზე, ფიზიკურ ასპექტში გაკეთდა ვანის სოფლებისათვის კომუნიკაციების, გზების, ხიდების, უბნების სააღმზრდელო დაწესებულებების მოწესრიგების თვალსაზრისით, ექსპლუატაციაშია შეყვანილი რამდენიმე საწარმოც (თხილის, დაფნის გადამამუშავებელი და ა.შ.) ასე, რომ ერთიანობაში ამდენი რამ არ გაკეთებულა ბოლო ორი ათეული წლის მანძილზე. თუ დავუმატებთ იმასაც, რომ ვანისათვის გაჩნდა ახალი პერსპექტივებიც მუხლჩაუხერელი შრომა და ყურადღებაც იქნება საჭირო ამ მნიშვნელოვანი წამოწყების ბოლომდე მისაყვანად. იმედები არის და შესაძლებლობათა ფარგლებში სახელმწიფოებრივი ყურადღებაც იგრძნობა. დრო და შემართება გვიჩვენებს იმ პრობლემის დაწესრიგებისათვის გაღებულ ძალისხმევას, რომელზედაც აქ იყო საუბარი რამდენად ეფექტური იქნება, ამ პრობლემის თითოეული ნიუანსი, გლობალური სახელმწიფოებრივი, სივრცესა და დროში სასიცოცხლოდ ეროვნული საკითხია.

დღეს, როგორც ეტყობა, ერის გამოღვიძებაა საჭირო, იმის გაცნობიერებით, რომ „პური არსობისა“ სამშობლოში უნდა შექმნა და მოიპოვო. საკითხისადმი ინდიფერენტული დამოკიდებულება ქვეყნის დაცლით გვემუქრება. ამას არც წინაპართა სისხლის ყივილი გვაპატიებს და არც მომავალი, თუ იგი გონების თვალით შეხედავს მოვლენებს, როგორი პირობებიც არ უნდა იყოს – ქართველობა ვალდებულია შეინარჩუნოს საქართველო.

\*\*\*

ჩვენ სტატიის ავტორებს ისლა დაგვრჩენია მადლობა ვუთხრათ ვანის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრის თანამშრომლებს, ქალბატონ ციცინო დვალიშვილსა და ბატონ თამაზ თავაძეს ზოგიერთ საჭირო მონაცემთა მოწოდებისათვის, რომელიც გამოყენებული იქნა წინამდებარე საკითხის გაშუქებისას.

## მთარე რეალობა

### ტყვეთა სყიდვა – ერის ტოტალური დაცვა

**„ცოდვამ მოგვიცვა, ნათელსა გარს მოეხვია პნელია“**  
დავით გურამიშვილი

ქართველი ხალხის ისტორიაში ყველაზე დიდი სირცხვილი და ლვოსრისხვი დაცინვა – ეს იყო ტყვეთა სყიდვა. იტაცებდნენ ქალსაც და კაცსაც, ყრმასაც და ხნიერსაც, აზნაურსაც და უაზნოსაც... ყველაზე ძვირად ფასობდნენ ახალგაზრდები – ლამაზი, მშვენიერი, გონიერი და ღონიერი. მოტაცებული და გაყიდული ქართველი ასული უმშვენიერეს სამკაულად უნდა მოვლენოდა სულთანთა და ხონთქართა სერალებსა თუ ჰარამხანებს. იგი უნდა ყოფილიყო მუსლიმანი მპრძანებლის ხასა, გამართლების შემთხვევაში – თანამეცხედრე. ოვახზე გადამკვდარ ქართველ ქალს თურქი შვილები უნდა გაეჩინა და საქართველოს სამტროდ აღეზარდა ისინი. მოტაცებული და გაყიდული ქართველი ბიჭები, შემდგომ უბადლო ვაჟკაცები ისლამის უმამაცესი და უერთგულესი მეომრები ხდებოდნენ: თურქეთში – იანიჩარები, ეგვიპტები – მამელუქები.

იტაცებდნენ ყველგან – გზაში, ყანაში, სამწყემსურში, წყაროზე, წისქვილში, სამლოცველოში, სახლში მიხდომით; იტაცებდნენ ოსმალონი, ლევკი და თვითონ ქართველნიც.

ამ მეორედ მოსვლაში მეფებისა და დიდებულების ერთადერთი საზრუნავი, გარკვეული გამონაკლისის გარდა, იყო ტახტის, გავლენისა თუ ქონების შენარჩუნება. ამ მიზნით ისინი ჯერ მოყვრდებოდნენ, შემდეგ კი ხოცავდნენ ერთმანეთს – მამა-შვილი, სიძე-სიმამრი, ბიძა-ძმისშვილი... მათ შორის საუკუნეების განმავლობაში გრძელდებოდა შური, ეჭვი, ქიშპი, უნდობლობა, მტრობა და სისხლისლვრა.

არც გალატაკებული მოსახლეობა არ აკლებდა ხელს და ადვილად იშორებდა თავიდან ოვახის წევრს – ხელის აუკანკალებლად ჰყიდდა შვილს, დედას, დას, რათა აღებული გასამრჯელოთი თავისი სილატაკისოთვის კბილი მოეტეხა, მაგრამ ეს თავის მოტყუება იყო მხოლოდ.

ეს გახლდათ ტოტალური, საუკუნოვანი დაცემა. ეს იყო სამარცხვინო პერიოდები ჩვენი ქვეყნის ისტორიაში, რომლებსაც იგნორირებას ვუკეთებთ და მტერსა თუ მოყვარეს მხოლოდ თავმოსაწონებელ ამბებს შევახსენებთ; ამაყად გავყვირით, რომ ჩვენ იმ ერის შთამომავალნი ვართ, რომელმაც მოახდინა დიდგორის ველზე „ძლევაი საკვირველი“, გადაიხადა კრწანისის თუ სხვა არაერთი გმირული ბრძოლა... ჰყავდა დიმიტრი თავდადებული, ბერი თევდორე, ცხრა ძმა ხერხეულიძე, სამასი არაგველი... მაგრამ არაფერს ვამბობთ იმაზე, რომ საქართველოს მეფე-მთავრებს შორის „იყო ხდომა და შური ურთიერთას, აოხრებდნენ ქვეყანასა ურთიერთას...“ („ქართლის ცხოვრების გაგრძელება“). ისევე, როგორც დღეს დალუპავენ საქართველოს და პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლების ურთიერთქიშპობით.

რა არის ეს – ბედისწერის დაცინვა თუ ისევ და ისევ ქართული ხასიათი?

რუბრიკის სტუმარია ისტორიკოსი, პროფესორი, სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი, ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოების საპატიო წევრი ავთანდილ დიასამიძე.

– ბატონო ავთანდილ, დავიწყოთ ტყვეთა სყიდვით. რამდენ ხანს მძვინვარებდა საქართველოში ეს ბოროტება და რა საფრთხე შეუქმნა მან ქართველებს?

– ტყვეთა და ყმათა სყიდვა ფეოდალური საქართველოს მძიმე სოციალურ-პოლიტიკური

და ეკონომიკური მდგომარეობის შედეგი იყო. ადამიანებით ვაჭრობა ქართველი ერის განვითარებას, მის დამოუკიდებლობას დიდ საფრთხეს უქმნიდა, უდიდესი ზიანი ადგებოდა საქართველოს მოსახლეობას და ქვეყნის ძლიერებას, რადგან ქართველთა საუკეთესო ნაწილი, მისი ჯანსაღი ახალგაზრდობა განუწყვეტლივ მიედინებოდა უცხოეთში და სამშობლოს სამუდამოდ ეკარგებოდა.

„არც ერთ ომს, არც ერთ უცხოელ დამპურობელს ხმლით იმდენი ზარალი არ მიუყენებია საქართველოსთვის, რამდენიც ამ „მშვიდობიანმა“ ტყვეთა სყიდვამ მიაყენა მას“, – სამართლიანად აღნიშნავდა აკადემიკოსი ნიკო ბერძენიშვილი.

ეს მძიმე სენი – ადამიანებით ვაჭრობა მოიცავდა ევროპის, აზიასა და აფრიკის კონტინენტებს. საქართველოში ტყვეთა სყიდვა XVI-XIX საუკუნეებში მძვინვარებდა ოსმალეთ-ირანის მოძალეობითა და ქართველ ფეოდალთა ხელშეწყობით.

საქართველო მთელი სამი საუკუნის (XVI-XIX) განმავლობაში ორი დიდი დამპურობელი სახელმწიფოს – ოსმალეთისა და ირანის საცილო ობიექტი იყო და ისინი მის დასაპყრობდასამორჩილებლად ფართოდ იყენებდნენ ძალადობის ყველა ფორმას: ბრძოლას, ადგილობრივი მოსახლეობის წარტყვევნასა და გადასახლებას, ტყვეთა სყიდვას, „ოსმალობისა“ და „ყიზილბაშობის“ დამკვიდრებას. ადამიანებით ვაჭრობისათვის სტამბოლში, ახალციხეში, ტრაპიზონსა და სხვაგან სპეციალური ბაზრობები ჰქონდათ მოწყობილი.

XVII-XIX საუკუნეებში უდიდესი ზიანი მიაყენა საქართველოს ლეკიანობამ. დალესტნის ფეოდალები და ტომთა ბელადები მოსვენებას არ აძლევდნენ განსაკუთრებით კახელებს. ტყვეები მიჰყავდათ იმ მიზნით, რომ ან პატრონს, ოჯახის წევრებს გამოესყიდათ, ან ბაზარზე გაეყიდათ. საქართველოდან გატაცებულ ტყვეებს ისინი ყირიმის, ოსმალეთისა და სპარსეთის ბაზრებზე ჰყიდდნენ. ლეკიანობის მსხვერპლი არაერთი ქართველი გამხდარა, მათ შორის დიდი ქართველი პოეტი დავით გურამიშვილიც 1729 წლის ზაფხულში.

**– როგორც ცნობილია, სტამბოლის ტყვეთა ბაზარზე ქართველი ტყვეები ძვირად ფასობდნენ... რატომ?**

– ქართველი ქალის სილამაზე და მომხიბვლელობა იმ პერიოდში კარგად იყო ცნობილი, ამიტომ ისინი ჰარამხანების საუკეთესო „სამკაულებს“ წარმოადგენდნენ. გარდა ამისა, იგი არამხოლოდ მუსლიმანი მბრძანებლის ხასა უნდა ყოფილიყო, არამედ, გამართლების შემთხვევაში, მისი თანამეცხედრე-მეუღლე. ოჯახზე გადამკვდარ ქართველ ქალს თურქი შვილები უნდა გაეჩინა და საქართველოს სამტროდ აღეზარდა ისინი. მოტაცებული და გაყიდული ქართველი ბიჭები კი, შემდგომ უბადლო ვაჟკაცები, ისლამის უმამაცესი და უერთგულესი მეომრები ხდებოდნენ. თურქეთში ესენი იყვნენ იანიჩარები, ეგვიპტეში – მამელუქები.

– ნათევამია, ხემ თქვა: ნაჯახი ვერაფერს დამაკლებდა, ხის ტარი რომ არ ჰქონდათ. თანამემაულეთა მოტაცებასა და გაყიდვაში არანაკლებ დაუნდობლები ყოფილან თვითონ ქართველები, რას ამბობს ამაზე ისტორიული წყაროები?

– უან შარდენს აღწერილი აქვს ერთი ასეთი ეპიზოდი: 1672 წლის სექტემბერში მისი ყოფნა სამეგრელოში დამთხვევია ოსმალთა ერთ-ერთ შემოქრასა და თარეშს. მას თავი შეუფარებია ერთი აზნაურის ციხესიმაგრისთვის. „ეს აზნაური არ ჩანდა ისეთი გაიძვერა აზნაური, როგორც სხვები“, – წერს შარდენი. 30 სექტემბერს ამ აზნაურთან თურქი სამხედრო მოხელე გამოცხადებულა და მოუთხოვია, მორჩილების ნიშნად ფაშას ხლებოდა. ეს აზნაური, სახელად საბახტარი, ეახლა თურმე ფაშას და თან 4 ტყვე მიართვა საჩუქრად. ფაშამ მას მოსთხოვა ერთგულების ფიცი, დამატებით ერთი შვილის მძევლად მიცემა და ქალ-ვაჟი ძღვნად. საბახტარი დათანხებულა, ფაშასთვის ძღვნად ორივე სქესის 10 ახალგაზრდა, 300 ეკიუს ვერცხლი ან აბრეშუმი მიერთმია... ეს ხარკი მან შეკრიბა ყველასგან, ვინც მასთან იყო თავშეფარებული. ყველა ოჯახიდან, რომლებსაც 4 ბავშვი ჰყავდათ, ერთი მას მიჰყავდა. „ეს იყო მეტად გულსაკლავი სანახაობა, როგორ გლეჯდნენ დედებს მკერდიდან საბრალო

შვილებს, ჰერაციული რო-ორად და მიჰყავდათ თურქებთან“, – აღნიშნავს შარდენი. ასეთი ფაქტი უამრავი იყო.

– სამეგრელოს მთავარი დადიანი ხონთქარს ხარკს, გარდა ტილოს გარკვეული რაოდენობისა, ადამიანებითაც უხდიდა: 30-100 კაცამდე ყოველწლიურად.

– უცხოელი მოგზაურები სამარცხვინო ფაქტებს აღნერენ თავიანთ ჩანაწერებში, თუ როგორ იმეტებდნენ გასაყიდად ულარიბესი ადამიანები ოჯახის წევრებსაც კი...

– როგორც ევროპელი მისიონერების დაკვირვება-გადმოცემით და ქართველი ისტორიკოსთა გამოკვლევებით დგინდება, ტყვეებითა და ყმებით ვაჭრობა სავსებით ჩვეულებრივი მოვლენა იყო ფეოდალურ საქართველოში თავადაზნაურებისათვის. მათ განუზომელი უფლებები ჰქონდათ – თავიანთ ქვეშევრდომებს, განსაკუთრებით ყმებს, როგორც უნდოდათ, ისე ეპყრობოდნენ – ჰყიდვენ, როგორც უბრალო ნივთს. თითოეულის ფასი იყო 25 ან 30 რომაული სკუდი. ვინც მეტს გადაიხდიდა, იმას მიჰყიდდნენ – ოსმალოს, ბერძენს, ევროპელს თუ სხვას. 1640 წლის 20 სექტემბერს რომში გაგზავნილ წერილში იტალიელი მისიონერი ჯუზეპე ჯუდიჩე წერდა: „ამ თვეში სამეგრელოდან კონსტანტინოპოლში გადის თურქთა გემები, დატვირთული აქაური საქონლით და განსაკუთრებით, სამეგრელოში, იმერეთსა და ქართლში თურქებზე გაყიდული ქრისტიანი ყმანვილებით, ყოველ წელს გაყიდულთა რიცხვი არანაკლებ როი ათასს აღნევს“.

სამწუხაროდ, 1810-12 წლებში ადამიანებით ვაჭრობის ეს მძიმე სენი ცალკეულ ოჯახებშიც შეჭრილა. მამები პურის ნატეხისთვის მონად ჰყიდდნენ თავიანთ შვილებს, ხოლო სასონარკვეთილი დედები ტყეებსა და გზებზე აგდებდნენ შიმშილისაგან არაქათ გამოცლილ ძუძუმწოვარ ბავშვებს. იყო შემთხვევები როცა მშობლები შვილებს ჰყიდდნენ, შვილები კი – მშობლებს, ამის თაობაზე გერმანელი განმანათლებელი და მოაზროვნე ი. ჰერდერი სამართლიანად წერდა: „მძიმე იყო ქრისტიანული საქართველოს ბედი და ისტორიული ყოფა. მასში არის ეკლესიები და მონასტრები, არიან პატრიარქები, ეპისკოპოსები და ბერები; ქალები – ლამაზები, მამაკაცები – გულადნი და მაინც მშობლები ჰყიდიან შვილებს, ქმრები – ცოლებს, თავადები – ყმებს, მორწმუნენი – მღვდლებს“.

– თქვენი აზრით, რამდენად სარწმუნოა ეს წყაროები?

– შეიძლება ერთ ან ორ წყაროს არ ენდოს კაცი, მაგრამ ამის დამადასტურებელი ფაქტები როგორც ქართულ, ისე უცხოურ წყაროებში ბევრი მოიპოვება. ასე რომ, მათ სანდობაში ეჭვის შეტანის არავითარი საფუძველი არ არსებობს. ფაქტია, რომ ადამიანებით ვაჭრობა, ტყვის სყიდვა ფეოდალური საქართველოს საშინელი დაცემის ნიშანი იყო და ხელს უწყობდა ქვეყნის დაუძლურება-დასუსტებას.

– თუ იყო მცდელობები ამ ყველაფრის აღსაკვეთად და ვინ იყვნენ ის ქართველები, რომლებიც ადამიანთა ვაჭრობას სასტიკად ეწინააღმდეგებოდნენ?

რამდენად შედეგიანი იყო ეს ბრძოლა?

– ადამიანებით ვაჭრობით, მოსახლეობის საუკეთესო ნაწილის ქვეყნიდან გაყვანით ზიან-დებოდა საქართველოს სამეფო-სამთავროების სამხედრო, პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული მომავალი, ქვეყანას ხელიდან ეცლებოდა მწარმოებელი და მებრძოლი ძალა. ამიტომ ამ მძიმე სენის აღსაკვეთად, უპირველესად, საჭირო იყო სამეფო კარის პრინციპული მოქმედება.

– ყველაზე დიდი ძალისხმევა ვინ გამოიჩინა?

– ამ მხრივ აღსანიშნავია სოლომონ I-ის, ერეკლე II-ისა და სოლომონ II-ის ღვანილი. როგორც ისტორიული წყაროები, ისე ხალხური ზეპირსიტყვიერება ცხადყოფს, რომ ტყვეთა სყიდვის დაუნდობელ მებრძოლად მოგვევლინა იმერეთის მეფე სოლომონ პირველი (1752-1784). მან თავისი პოლიტიკური მოღვაწეობა სწორედ ტყვეთა სყიდვის წინააღმდეგ ბრძოლით დაიწყო.

„სოლომონ მეფემ, როგორც კი გარდაიცვალა მამამისი, ქართველი ტყვეების თურქებისათვის მიყიდვა ყველა თავის ქვეშევრდომებს მკაცრი ჯარიმითა და თვით სიკვდილის სასჯელით აუკრძალა“, – აღნიშნულია რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს კოლეგის ერთ-ერთ ჩანაწერში (1761 წ.).

ვახტანგ ერეკლე მეორეს ძე ბატონიშვილი წერდა: „სოლომონმა სძლია სერასკერსა ხონთქრისასა, აგრეთვე, ლეკთა დიდთა მხედრობათა შთასრულსა იმერეთად... განყარნა მუნ მყოფნი თურქენი, აღმოკვეთა კნინდა ორნი დიდი ბოროტმოქმედებანი სრულიად იმერეთსა შინა, ე.ი. კაცთა კვლა და მპარაობა. გარნა მესამე უბორეტესი ე.ი. ტყვის სყიდვა დროსა თავისსა სრულიად უჩინო ჰყონ“. ცელიანი განვითარება

თვით სოლომონ მეფეც მიუთითებდა, რომ ტყვეებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლამ მართლაც გამოილო გარკვეული შედეგი. 1769 წლის 23 ივნისს თარიღით რუსეთის იმპერატორ ეკატერინესადმი გაგზავნილ მიმართვაში იგი აღნიშნავდა: „ხვანთქრის სერასკირებსა და ფაშებს ჩემგან მრავალგზის ტყვის ხარჯვა და ტყვე უთხოვიათ, და რომ არ მიმიცია, ზამთარ და ზაფხულ ომი გვექნებია ძლიერიო. თექვსმეტი წელი სრულ იქნა, რომ ოსმანთ ბრძოლაში ჩემი ხალხის გაუსყიდველობისათვის ვიჭირვი და ვეშურებიო“. ხალხიც დიდი მეფის ამ ღვაწლს ხედავდა და თვით მეფეს ათქმევინებდა:

„ამის ავი კაცი ვიყავ, ტყვე არვის ვაყიდვინეო,  
გლეხი ვასუქე, ვადიდე, ჩეროს ქვეშ დავაძინეო“.

ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ მიზანმიმართულად იბრძოდა ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II (1762-1798). სწორედ ერეკლეს მიერ მოსახლეობის მატებისათვის გატარებულ მნიშვნელოვან ღონისძიებათა შორის უნდა დასახელდეს ოსმალობა-ყიზილბაშობის დროს განახლებული ყმათა უმამულოდ გაყიდვისა და ტყვეებით ვაჭრობის აკრძალვა (1772 წ.). მეფემ პირდაპირ მოუწოდა თანამემამულებს, რომ ადგილზე გაენადგურებინათ ყველა, ვინც მათი ცოლისა და შვილის დატყვევებას განიზრახავდა. მანვე მიღო ქმედითი ზომები ომებში ტყვედ ჩავარდნილთა თუ უცხოეთში ღალატით გაყიდულთა დასაბრუნებლად. თვითონ ათი ათასამდე ტყვე დაიხსნა, რაც 400 000 მანეთი დაუჯდა. ერეკლე მეფე პირადად ხელმძღვანელობდა არაერთ ბრძოლას ლეკების განუწყვეტელი თავდასხმების აღსაკვეთად... ტყვეებით ვაჭრობის აღსაკვეთად მედგრად იღვწოდა იმერეთის მეფე სოლომონ II-ც (1789-1810), მაგრამ ტყვეებით ვაჭრობა იმდენად მომგებიანი და სარფიანი ყოფილა მოღალატე თავადაზნაურებისათვის, რომ მეფის მუქარამ მათ ამ ჩვევაზე ხელი ვერ ააღებინა.

– ადამიანებით ვაჭრობა ეს დიდი ცოდვა იყო. თქვენ ბრძანეთ, რომ მორწმუნენი მღვდლებსაც კი ჰყიდდნენო. რა ღონისძიებებს მიმართავდა საქართველოს ეკლესია ამ სამარცხვინო ქმედების აღსაკვეთად?

– ამ საშინელი ცოდვისა და ბოროტების შემყურე, ცხადია, ეკლესია ვერ იქნებოდა გულხელდაკრეფილი. მითუმეტეს, რომ ეს პროცესი ქრისტიანობის დასუსტებისკენ იყო მიმართული და მართული ოსმალეთისა და სპარსეთისაგან. „წარმოდგენაც კი ძნელია, – წერს დონ ჯუსტი პრატო, – რამდენად დიდია სპარსეთისა და კონსტანტინოპოლელი თურქების სიხარპე ყმანვილი ქრისტიანებისადმი. ამ მხარეში ვერავინ ბედავს, გადაიყვანოს ბიჭები ერთი ადგილიდან მეორეში, მაშინაც კი, როდესაც მას მიჰყება საკუთარი მამა, მცირე მოწყალების ფასად (სპარსელები და თურქები) ართმევენ მათ ბავშვებს, არა მარტო იმიტომ, რომ იყოლიონ ბავშვები, არამედ იმ მიზნით, რომ აიძულონ ისინი, უარი თქვან ქრისტიანულ სარწმუნოებაზე, რომელიც მეტად სძულთ.“

ევროპელი მისიონერების დაკვირვებიდანაც ჩანს, რომ ოსმალებსა და სპარსელებს საქართველოდან ტყვეთა და ყმათა გაყიდვა, უპირველესად, ქრისტიანობისა და ქართველობის გასანადგურებლად უნდოდათ.

ამიტომაც იყო, რომ წმინდა ეკლესიას ამ უსაშინლესი ცოდვის აღმოსაფხვრელად თავი-დანვე განგაში აუტეხავს. XVI საუკუნის შუა წლებში (1543-1549) შედგა საეკლესიო კრება, რომელსაც საგანგებოდ უმსჯელია კაცის სყიდვის თაობაზე და, სჯულის კანონის შესაბამისად, შემდეგი განჩინება გამოუტანია:

„1. ქ. რამან კაცმან გაყიდოს, ანუ დიდმან, ანუ მცირემან, ანუ თავადმან, ანუ აზნაურ-მან და ან გლეხმან, წმინდათა კრებულითაგან შეჩვენებული იყოს და განხდილი“ (ქართული სამართლის ძეგლები, I, 1963 წ. გვ.393).

დასავლეთ საქართველოში დამლუპველი სენის – ტყვეთა სყიდვის გახშირების გამო 1759 წლის 4-5 დეკემბერს მეფე სოლომონ I-ის ინიციატივით გაიმართა დასავლეთ საქრთველოს საეკლესიო კრება, რომელმაც ტყვის გამყიდველი შეაჩვენა. ტყვეთა გამოსასყიდად სოლი-დური თანხა საქართველოს ეკლესიამაც გაიღო. რა თქმა უნდა, ეკლესის ძალისხმევით ტყვეთა და ყმებით ვაჭრობა რამდენადმე შემცირდა, თუმცა მძლავრად მოდებული ეს მძიმე სენი სრულად უერ აღიკვეთა.

### – საბოლოოდ რამ ისხნა საქართველო ამ ე.ნ. ჭირისგან?

– ისტორიულ წყაროებზე, სამეცნიერო ლიტერატურაზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ ამ სამარცვინო და ქართველი ერის გამანადგურებელ სენს, თავადაზნაურთა თავნებობას, ოსმალთა და ირანელთა პარპაშს როგორადაც არ უნდა უღერდეს დღეს საბოლოოდ წერტილი დაუსვა რუსეთის ხელისუფლებამ. ამ მრავალსაუკუნოვანი პრობლემის მოსაგვარებლად რუ-სეთს საკმაოდ მასშტაბური და პრინციპული ღონისძიებების გატარება დასჭირდა.

რუსეთის საიმპერატორო კარის, კერძოდ, იმპერატორ ალექსანდრე I-ის ძალისხმევით, 1801 წელს თურქეთისაგან გამოხსნილი და დაბრუნებული იქნენ თურქეთში წარტყვევნილი ქა-რთველები. 1804 წლის 16 ივნისს რუსეთის წარმომადგენელმა სამეგრელოში – ლიტვინოვმა გამოაქვეყნა ბრძანება და მოწოდება ადამიანების გატაცებისა და ტყვეებით ვაჭრობის წინააღმდეგ. ამ ბრძანებით ლიტვინოვი აცხადებდა, რომ ტყვეთა გამყიდველები დაისჯებიან რუსეთის კანონთა მიხედვით, ე.ი. მთელი ოჯახის წევრებთან ერთად სიკვდილით დასჯითო.

1809 წელს გენერალმა ორბელიანმა სამეგრელოს, გურიისა და აფხაზეთის მთავრების დახმარებით ფოთი აიღო. საქართველოს მთავარმართებელი ტორმასოვი პეტერბურგში გრაფ რუმიანცევს სწრდა: „ფოთის აღებით აღიკვეთა ყოველგვარი ბოროტებანი, რომლებიც აქა-მდე არსებობდნენ ქრისტიანი ტყვეების გაყიდვის სახით, რომელთა წარტყვევნა ხდებოდა იმერეთიდან, გურიიდან და სამეგრელოდან და რომელიც მიჰყავდათ ირანს, თურქეთსა და ეგვიპტეში“. პოლკოვნიკი ბებუთოვი 1819 წელს მოითხოვდა, რომ „სამურზაყანოში სწრაფად იქნას შეყვანილი რუსთა ჯარი, რასაც შეუძლია დაბადოს შიში და შეემნას მყუდროება, რის შედეგადაც დასჯის მოშიშარნი ხელს აიღებდნენ ტყვეებით ვაჭრობაზე და ყაჩალობა-მტა-ცებლობაზე“. 1846 წელს გურიაში გამოავლინეს დამნაშავეთა ორგანიზებული ბანდა, რო-მელიც სხვა დანაშაულებრივ ქმედებებთან ერთად საქართველოდან გოგო-ბიჭებს იტაცებდა და თურქეთში ჰყიდდა. ასეთი დანაშაულებრივი ქმედებისათვის 18 კაცი დაუსჯიათ.

1847 წელს გატარდა ღონისძიებანი სამურზაყანოში ტყვეებით მოვაჭრეთა ლიკვიდაცი-ისათვის. ანალოგიური ღონისძიებანი გაატარეს საქართველოს სხვა კუთხეებშიც. 1850-იანი წლების ბოლოსთვის საქართველოში ლევიანობას ბოლო მოეღო. ბატონიშვილის გადავარდნის (1864 წ.) შემდგომ, განსაკუთრებით რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომში რუსეთის გამარჯვების შემდეგ, 1870-იანი წლების ბოლოსთვის, ფაქტობრივად, სრულად აღიკვეთა და დასრულდა საქართველოში ტყვეთა და ყმათა ვაჭრობა, რაშიც განუზომელი იყო რუსეთის როლი.

### – დასასრულ, ბატონო ავთანდილ, სამწუხაროდ, დღესაც ბენვის ხიდზე გვიწევს გავლა ქა-

როველებს – აშკარა საფრთხე ექმნება ქართულ ზე-ჩვეულებებსა და ტრადიციებს. ზემონათქვამიდან გამომდინარე, თქვენი აზრით, ყველა ის უბედურება, რომლებიც თავს ატყდება ხოლმე ჩვენს ერს, შეიძლება ქართულ ხასიათს დავაპრალოთ?

– დღევანდელობასთან პარალელს თუ გავავლებთ, იქნება ეს ლგბტ-თა პროპაგანდა, მარიხუანის ლეგალიზება და სხვა მანკიერებანი – ეს ყველაფერი აშკარა საფრთხეს უქმნის ქართველ ერს, ქართულ გენს. ამას ემატება სიდუხჭირის გამო ქართველთა მიგრაცია, რომელსაც ხელისუფლებამ სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციოს, თორემ დარჩება საქართველო ქართველების გარეშე.

როგორც „ქართლის ცხოვრება“ მოგვითხრობს, რომ „იყო ხდომა და შური ურთიერთას, აოხრებდნენ ქვეყანასაო“, დღესაც ასეა: ვაიპოლიტიკოსები ხელისუფლებაში მოსასვლელად ბრძოლის გზაზე ანადგურებენ ყველაფერს – ერისთვის ღირებულსა და ფასეულს, მოქმედებენ უცხოელთა კარნახით და მათ გულის მოსაგებად სამშობლოს ყიდიან. ასე რომ, პარალელს თუ გავავლებთ, განსხვავების პოვნა გაგვიჭირდება. გამოდის, რომ დღეს პევრი გვყავს არა სამასი არაგველისა და მისნაირთა შთამომავალი, არამედ შადიმანებისა და მამულის სხვა გამყიდველთა გენის მატარებელი.

## თამუნა ჩხერიძელი

### თაობა, რომელმაც შექმნა ისტორია

**რუპრიკის სტუმარია, ტიციან ტაბიძის შვილიშვილი, ბატონი ნიკოლოზ (გივი) ანდრიაძე  
გივი ანდრიაძე – მუშკეტერი მსოფლიო ჩემპიონის ტიტულით და ექიმის დიპლომით**



**ნიკოლოზ (გივი) ანდრიაძე** იმ თაობის ნარმომადგენელია, რომელიც საქართველოს უახლოეს ისტორიაში, თამამად შეგვიძლია მოვიხსენიოთ თაობად, რომელმაც შექმნა ისტორია. თაობა, რომელმაც გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან დაწყებული, საუკუნის ბოლომდე უამრავ ნარმატებას მიაღწია მეცნიერებაში, სპორტში, ხელოვნებაში. თავად ბატონი გივი მთელი ცხოვრება ორი მუზის „მსახური“ იყო – ნარმატებული იყო მისი სპორტული კარიერა ფარიკაობაში. მის სახელთან არის დაკავშირებული ქართული ფარიკაობის არაერთი აღიარება, რის გამოც მას სპორტის რაინდის წოდება ერგო. სპორტული ცხოვრების მიღმა ნარმატებული იყო მისი, როგორც ექიმის კარიერა. ბატონი გივი, ცნობილი კარდიოლოგი ათეული წლები ეხმარებოდა ადამიანებს ყველაზე მთავარის – სიცოცხლის გადარჩენაში.

ცნობილი მუშკეტერი ექიმის დიპლომით – ეს გივი ანდრიაძის პორტრეტის გამორჩეული შტრიხებია. თუმცა, ამის მიღმა იყო კიდევ ერთი მთავარი – მას „მემკვიდრეობად“ ტიციან ტაბიძის შვილიშვილობა ერგო, რისი წყალობითაც ცხოვრებამ შეახვედრა ლეგენდარულ ადამიანებს, ვისთანაც ძვირფასი მოგონებებით არის დაკავშირებული.

და კიდევ, ერთი შტრიხი პორტრეტისთვის - 77 წლის ასაკში გივი ანდრიაძე გინესის რეკორდსმენი ხდება იმ უნიკალური რეკორდისთვის, რომელიც მან დაამყარა ფარიკაობის ისტორიაში – ის 20 წლის ასაკში გახდა მსოფლიო ჩემპიონი რაპირაში, 56 წლის შემდეგ კი, უკვე, ვეტერანის რანგში მოიპოვა ევროპის ჩემპიონის ტიტული – ფარიკაობის სამივე სახეობაში (რაპირა, დაშნა, ხმალი). აი, რას გვიამბობს ის თავისი მრავალფეროვანი და საინტერესო ცხოვრების შესახებ...

ნინო მაყაშვილი, ტიციან და ნიტა ტაბიძეები



#### ვერა, ბავშვობა, ოჯახი

„ვერაზე, ძნელაძის ქუჩაზე დავიბადე... 14 წლის ვიყავი, როდესაც გოგებაშვილის ქუჩაზე გადავედით საცხოვრებლად, ე.ნ. მწერლების სახლში. ჩვენი მეზობლები იყვნენ – იოსებ ნონეშვილი, პავლე ინგოროვა, შალვა აფხაძე, ვიქტორ გაბისკირია. პატარა ბიჭი ყოველდღე ამ დიდ ადამიანებს ვხედავდი. იმ ასაკში გაცნობიერებული არ მქონდა, რომ ტიციან ტაბიძის შვილიშვილი ვიყავი. ჩვეულებრივი ბავშვობა მქონდა, ჩემი მშობლები ისე მზრდიდნენ, ვერ ვხვდებოდი, რომ გამორჩეულად დიდი წინაპარი მყავდა. დედაჩემი ნიტა ტაბიძე ხშირად მესაუბრებოდა ბაბუაზე. მთელი ცხოვრება ცრემლით იგონებდა 1937 წლის 15 დეკემბრის ცივ ღამეს, არ ავინყდებოდა მამის დანაბარები, რომელიც მან უთხრა ატირებულ მეუღლეს ნინო მაყაშვილს და დედას, სანამ ჩეკისტები მას სახლიდან წაიყვანდნენ: იცოდეთ, ჩემი სახელის ხსენების და ხალხის თვალებში შეხედვის თქვენ არასოდეს შეგრცხვებათო. დედა მაშინ 16 წლის ყოფილა, მე ექვსი წლის შემდეგ დავიბადე ნიკოლოზ ანდრიაძის ოჯახში. ბაბუაჩემი პირველი ინფექციონისტი და ძალიან ცნობილი ექიმი იყო. მის სახელთან არის დაკავშირებული საქართველოში ამ დარ-

გის ჩამოყალიბება და განვითარება. ბაბუაჩემის სახელს ატარებს ბავშვთა ინფექციური საავად-მყოფო, რომელიც მისი დაარსებულია. ექიმი იყო მამაჩემიც, ალექსი ანდრიაძე.

დედას და მამას განსაკუთრებული ურთიერთობა ჰქონდათ, საოცარი სიყვარული აკავ-შირებდათ, გიუდებოდნენ ერთმანეთზე. ნიტა კეთილი და თბილი ქალი იყო, მის მიმართ ყვე-ლა დიდი პატივისცემით და სიყვარულით იყო განმსჭვალული. უამრავი სტუმარი ჩამოდიოდა ხოლმე მასთან რუსეთიდან, უკრაინიდან, სასომხეთიდან, ყველა მისი ახლობელი და მეგობარი იყო, ვისაც კი პოეზიასთან კავშირი ჰქონდა. მახსოვს ლენინგრადიდან სტუმრად იყო ჩამო-სული მწერალი ნატალია სოკალოვსკაია, ინტერვიუ უნდა აეღო დედასთან, მაგრამ მერე ისე დამეგობრდნენ ქალბატონი ნატალია ოთხი წელი ცხოვრობდა ჩვენთან. დედას მიმართ ყვე-ლას განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა, დღეს იშვიათია ადამიანის მიმართ ასეთი სიყვარული..."

### **არჩევანი, რომელიც იქცა ცხოვრების მთავარ მუზად ...**


„12 წლის ვიყავი, როდესაც მშობლებმა პიონერთა სასახლეში ფარიკაობის წრეზე შემი-ყვანეს. იქამდე ჭადრაკზე დავდიოდი ვახტანგ ქარსელაძესთან. იმ ასაკში პუტკუნა ბიჭი ვიყა-ვი. მშობლებმა იფიქრეს, უფრო აქტიური სპორტით თუ დავკავდებოდი, წონაში დავიკლებდი და მიმიყვანეს ანატოლი ფიოდოროვთან, რომელიც ცნობილი მწვრთნელი იყო. მან დამაყენა ბილიკზე და მასწავლა ფარიკაობის ანა-ბანა. მაშინ ჩემი მშობლები რას წარმოიდგენდნენ, რომ სპორტის ამ სახეობას მთელ ცხოვრებას მივუძლვნიდი, გავხდებოდი მსოფლიოს, ევროპის, საბჭოთა კავშირის ჩემპიონი. მამაჩემი ტანმოვარჯიშე იყო. მას ჩემს სპორტულ კარიერაში არა-პირდაპირ, მაგრამ დიდი წვლილი მიუძღვის. 1962 წელს ეგვიპტეში გაიმართა მსოფლიო ჩემპი-ონატი ფარიკაობაში 20 წლამდე ასაკში. ფინალში შევხვდი ფრანგ მოფარიკავეს კურტილიას. მაშინ ეგვიპტეში ქართველების ყოფნა იშვიათობა იყო. ტურნირის დროს ვიღაცამ ზურგიდან დამიძახა: ბიჭო, ქართველი არ ხარ, მიდი შეუტიერ. მოვიხედე, რომ დამენახა ვინ იყო, ამ დროს კურტილიამ დრო იხელთა და ჩხვლეტა მომაყენა. ის ბრძოლა წავაგე. იმ წელს კურტილია ჩემპიონი გახდა, მე მეხუთე ადგილი ავიღე. თბილისში რომ ჩამოვედი, თითქმის მთელი წელი, მამა ნორმალურად არ მელაპარაკებოდა, ნაწყენი იყო, როგორ ვერ გაიმარჯვეო – მეტყოდა ხოლმე, ვითომ ხუმრობით. ეს ისე დამამახსოვრდა, რომ მომავალ წელს, მსოფლიო პირველო-ბაზე, რომელიც ბელგიის ქალაქ გენტში გაიმართა, პირველი ადგილი ავიღე და მსოფლიო ჩემპიონი გავხდი. რამდენჯერაც გამინელდებოდა შეჯიბრებაზე გამოსვლა, იმ წამსვე მამა მახსენდებოდა. ფინალში ისევ კურტილიას შევხვდი. მას უამრავი გულშემატკივარი ჰყავდა ჩამოყვანილი საფრანგეთიდან, მე ჩემი მწვრთნელი ბიჭიკო მესხი და რამდენიმე ადამიანი მახლდა. კურტილიას გულშემატკივრები დარწმუნებულები იყვნენ, რომ ის აუცილებლად მოიგებდა ჩემპიონატს და ისევ გახდებოდა მსოფლიო ჩემპიონი, მაგრამ ზუსტად ერთ წუთში მოვიგე ეს შეხვედრა 5-1 ანგარიშით. უბედნიერესი კაცი ვიყავი. როცა კვარცხლბეკზე ავედი, ჰიმნის დაკვრის დროს მე მხოლოდ იმაზე ვფიქრობდი, რომ მამას თვალებში თამამად შევხე-დავდი და ის ჩემზე ნაწყენი აღარ იქნებოდა.

ასე დაიწყო ჩემი გზა ფარიკაობაში. იმ დროს ფარიკაობა ძალიან პოპულარული იყო, ელი-ტურ სპორტად ითვლებოდა. ჩემს ახალგაზრდობაში საბჭოთა კავშირის პირველობაზე ძალიან ბევრი ხალხი იღებდა მონანილეობას, კარგი სპორტსმენები ჰყავდა უკრაინას, ბელორუსიას. ჩვენც გვყავდა უფროსი თაობის გამორჩეული მოფარიკავეები – გურამ კოსტავა, იურა ოსიპო-ვი, რეზო ცირეკიძე, ძმები გოგელიები. იმ დროს ტურნირი რომ მოგევო ძალიან ბევრი უნდა გევარჯიშა. მე დღემდე ასე ვარ – აქტიურად ვვარჯიშობ, ვცურავ, დავრბივარ, რომ სპორ-ტულ ფორმაში ვიყო. ახალგაზრდობაში სამჯერ გავხდი საბჭოთა კავშირის ჩემპიონი, 1963 წელს კი მოვიგე მსოფლიო პირველობა. ეს იყო ჩემი სპორტული კარიერის პირველი და წარმატებული ეტაპი. 2002 წელს გავიგე, რომ ამერიკაში ტარდებოდა მსოფლიო პირველობა

ვეტერანებში, ძალიან გამიხარდა, მოვემზადე და ჩავედი ამერიკაში. ფლორიდის შტატის ქალაქ ტამპაში ტარდებოდა მსოფლიო ჩემპიონატი. მას შემდეგ არც ერთხელ არ გამომიტოვებია ვეტერანების მსოფლიო პირველობები. თავიდან მეზუთე – მერვე-მეათე ადგილებზე გავდიოდი, შემდეგ დავიწყე შედეგების გაუმჯობესება. 2013 წელს იტალიაში ჩატარდა ევროპის ჩემპიონატი, სადაც ავიღე მესამე ადგილი. ვეტერანებში ასეთი მიღწევა ძნელია. 2014 წელს უნგრეთის ქალაქ დებრეცენში ჩატარდა მსოფლიო პირველობა, სადაც ისევ მესამე ადგილზე გავედი. 70 წელს გადაცილებული ვიყავი, როცა დაშნით და ხმლით ფარიკაობა ვისწავლე, გუნდი არ გვყავდა და ჩემ თავზე ავიღე. მთელი ცხოვრება რომ რაპირით ფარიკაობ და გუნდის სახელის დასაცავად დაშნა – ხმლით ფარიკაობას ისწავლი, ამას გაბედვა უნდა. 2015 წელს გერმანიაში, ლაიფციგში მედიკოსების ჩემპიონატზე ჩავედი, იქ მოვიპოვე ევროპის ჩემპიონის წოდება რაპირით ფარიკაობაში, 2019 წელს კი ისევ გერმანიაში გავხდი ევროპის ჩემპიონი როგორც ხმლით, ასევე რაპირით და დაშნით ფარიკაობაში. მე თვითონ მიკვირდა ასეთი დიდი წარმატების, ეს მე ვარ-მეტქი, ვხუმრობდი... ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია სპორტის რაინდის წოდება. 2019 წელს ფარიკაობის ფედერაციაში წარმადგინა ამ ტიტულზე და მინისტრმა მიხეილ ჩხერიძემა დაადასტურა. ტიტულები არ მაკლდა, მაგრამ ეს მართლაც ძალიან სასახელო წოდებაა, რომელსაც სპორტსმენებს იშვიათად ანიჭებენ. სპორტის რაინდის მედალს საპატიოდ ვინახავ“...

### ერთი წუთის „თეორია“...

„გენეტიკამ იმარჯვა და პროფესიულად ბაბუის და მამის გზა გავაგრძელე. მთელი ბავშვობა ვხედავდი პაციენტებს, რომლებიც ჯერ ბაბუასთან, შემდეგ მამასთან მოდიოდნენ და მეც გამიჩნდა ინტერესი მედიცინის, უფრო მეტად კარდიოლოგიის მიმართ. სკოლის დამთავრების შემდეგ ჩავაბარე სამედიცინო ინსტიტუტში, შემდეგ წავედი მოსკოვში. ძალიან გამიმართლა, რომ მოვხვდი, მიასნიკოვის სახელობის კარდიოლოგიის ინსტიტუტში, რომელიც ერთ-ერთი უძლიერესი ინსტიტუტი იყო. 1970 წელს დავიცავი საკანდიდატო დისერტაცია აკადემიკოს ევგენი ჩაზოვის ხელმძღვანელობით. ბატონი ჩაზოვი წლების განმავლობაში იყო მეოთხე სამმართველოს უფროსი, მის ხელში გამოიარა გენსეკის ხუთმა მდივანმა – ის იყო ბრეჟენევის, ჩერნენკოს, ანდროპოვის, გორბაჩოვის, ელცინის პირადი ექიმი. წარმატებული იყო, ჩემი, როგორც პრაქტიკოსი ექიმის კარიერა. უამრავ პაციენტს ვეხმარებოდი, ვმკურნალობდი. მე დღემდე ვმუშაობ რესპუბლიკურ საავადმყოფოში კარდიო-ქირურგიული დეპარტამენტის ექიმ-კონსულტანტად და სახელმწიფო დაწესებულებებთან ურთიერთობის მენეჯერად. 2017 წელს ამირჩიეს საქართველოს ჰუმანიტარულ და სახელოვნებო მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად, აკადემიკოსად.



მთელი ჩემი ცხოვრება მედიცინას და ფარიკაობას მიღუძლვენი. ვერ ვიტყვი, რომელი საქმე უფრო მნიშვნელოვანი იყო, ორივეს თანაბარი ადგილი ეკავა ჩემს ცხოვრებაში. ბევრჯერ უკითხავთ, რა აქვს საერთო ამ ორ საქმეს – ეს არის ის ერთი წუთი, რომელიც წყვეტს ყველაფერს. კარდიოლოგიაში დრო ძალიან მნიშვნელოვანია, ასეა ფარიკაობაშიც. როდე-საც მოსკოვში აკადემიკოს ჩაზოვთან ვმუშაობდი, ჩემი მორიგეობის დროს მძიმე ავადმყოფი შემოიყვანეს, ცნობილი ინსტიტუტის დირექტორი იყო. მოულოდნელად ამ კაცს გული გაუ-ჩერდა, კვდებოდა უკვე. ერთ წუთში მივიღე გადაწყვეტილება – ჩაუტარე ელექტროშოკი – დეფიბრილაცია, რომელიც მაშინ ახალი მეთოდი იყო და პაციენტი გადარჩა. იმ ერთმა წუთმა გადაწყვიტა ყველაფერი. მე რომ სწრაფად არ მიმეღო გადაწყვეტილება, მეყოყმანა, დამაგვი-ანდებოდა. ასეა როცა საქმე სიცოცხლეს, გულს ეხება, უნდა იჩქარო. ასეა ფარიკაობაშიც – ერთ წუთში უნდა შეაფასო მონინააღმდეგე, მოიფიქრო, რა გააკეთო, რომ მოიგო ბრძოლა, ეს არის ჩემი ერთი წუთის თეორია“...

### **მოგონებები წარსულზე და ლეგენდარულ ადამიანებზე ...**

„უკვე დიდი ვიყავი, როდესაც ჩვენთან სახლში ბორის პასტერნაკი ჩამოვიდა. ის მეუღე-ლესთან ერთად ერთი თვე ცხოვრობდა ჩვენთან. მაშინ მოსკოვში ინგლისის პრემიერ-მინისტრი ჩამოდიოდა. ხრუშჩოვმა პირდაპირ მოთხოვა პასტერნაკს, პრემიერ-მინისტრს შენთან შეხვე-დრა უნდა, მოსკოვში ვერ დარჩები, სადმე უნდა წახვიდეო. პასტერნაკმა და მისმა მეუღლემ ზინაიდა ნიკოლაევნამ თბილისში ჩამოსვლა არჩიეს. მათი მასპინძელი ბებია ნინო მაყაშვილი იყო. მათ ძალიან ახლო ურთიერთობა ჰქონდათ, დიდი მეგობრები იყვნენ. თბილისში სტუმ-რობიდან ერთი წლის შემდეგ, პასტერნაკი ბებიას ხელში გარდაიცვალა, სიკვდილამდე არ მოშორებია მას ნინო ბებია. პასტერნაკების ოჯახს დიდი წვლილი მიუძღვის პირადად ჩემზეც. მოსკოვში სწავლის დროს, როდესაც საკანდიდატო დისერტაციაზე ვმუშაობდი (ბინა რომ არ დაგვექირავებინა), ხუთი წელი მათ ბინაში ვცხოვრობდი.

ნინო მაყაშვილი თავადის ქალი იყო, დახვეწილი, გონიერი. ზაფხულს მის მშობლიურ ყვარელ-ში ვატარებდი ხოლმე, მის ნათესავებთან, მაყაშვილების მამულებში. ძალიან მიყვარდა ყვარელი, წლების შემდეგ ჯერ ყვარლის, მოგვიანებით კი ვანის საპატიო მოქალაქედაც კი ამირჩიეს. ნინო ბებიას სიკვდილამდე უყვარდა ტიციანი, მას სულ ჰქონდა იმედი, რომ ის დაბრუნდებოდა, ბოლომდე ვერ იჯერებდა, რომ ტიციანი დახვრიტეს. ბებია ინახავდა მაგიდის საათს, რო-მელიც გაჩერდა მაშინ, როდესაც ტიციანი წაიყვანეს. ეს საათი ჯერ ინახებოდა ბებიას სახლში, შემდეგ კი 1985 წელს, როდესაც მერიის და ირაკლი ანდრიაძის დახმარებით გრიბოედოვის ქუჩაზე გაიხსნა ტიციან ტაბინის სახლ-მუზეუმი, საათი სხვა ტიციანის კუთვნილ ნივთებთან და ექსპონატებთან ერთად მუზეუმში მოხვდა. ბებია მეგობრობდა ნიკოლოზ ტიხონოვთან, პავლე ანტონოვლისკითან, კონსტანტინე სიმონოვთან, სერგეი ესენინთან. ბებია მათთან ჩადიოდა ხოლმე, ისინიც ჩამოდიოდნენ საქართველოში, ერთად დადიოდნენ ზღვაზე. ბებია ვერ მოესწრო ტიციანის მუზეუმის გახსნას. დედა იყო ამ მუზეუმის დირექტორი წლების განმავლობაში, 2006 წლიდან, მისი გარდაცვალების შემდეგ მუზეუმს ჩემი და ნინო ანდრიაძე უძღვება.“

### **ტაბინის და ანდრიაძების „მემკვიდრეობა“**

„ბედნიერი კაცი ვარ, რომ ორივე გვარიდან, როგორც ტაბინისგან, ასევე ანდრიაძეებისგან „მემკვიდრეობით“ მერგო ძალიან მნიშვნელოვანი და მთავარი თვისება – სიცოცხ-ლის სიყვარული. ყველას თავისი გვარი უყვარს, მაგრამ სიამაყით ვიტყვი, რომ ანდრიაძებს დიდი გვარი გვაქვს, წარმატებული, შეკრული და მეგობრული ურთიერთობები. გვაქვს ჩვენი საგვარეულო დროშა, ჰიმნი. რაც შეეხება ტაბინისგან მიღებულ „მემკვიდრეობას,“ ტიციან ტაბინის შვილიშვილობა სიამაყესთან ერთად იყო დიდი პასუხისმგებლობა. რომ მოგენდომე-ბინა, ცუდად ვერ მოიქცეოდი. ეს იყო ფარი, რომელიც გიცავდა შეცდომებისგან, გადაცდენის-

გან. პოეზია ჩვენს ოჯახში სულ იყო, რადგან ტიციანი და პოეზია განუყოფელია, თუმცა ვერ გეტყვით, რომ ჩვენ, მის შთამომავლებს წერის ნიჭი დაგვყვა. ხომ ამბობენ, გენი ოთხი-ხუთი თაობა ისვენებს და შემდეგ, შესაძლოა ისევ „გაიღვიძოსო“, ვნახოთ, როგორ იქნება. საინტერესო ცხოვრება მქონდა. გული არაფერზე მწყდება, მყავს კარგი შვილები ლექსო და მარიამ ანდრიაძები. ერთადერთი რაც მანუხებს, ადრე წავიდა ამ ქვეყნიდან ჩემი მეუღლე მანანა ანდრიაძე. ჩემი მეუღლე ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, კონსერვატორის პროფესორი და პროფესიონალი იყო, შესანიშნავად უკრავდა, მღეროდა. მოღვაწეობდა ქართული სასულიერო მუსიკის სფეროში. ის იყო მუსიკისმცოდნე, პირველი ქართველი ქალი, რომელმაც ამ სფეროში დოქტორის სამეცნიერო ხარისხი მოიპოვა. მანანამ დააარსა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში საეკლესიო მუსიკის კათედრა და შექმნა ქართული საგალობლების კვლევის სკოლა.



სამწუხაროდ, მანანა 2013 წელს გარდაიცვალა 62 წლის ასაკში. ჩემი მეუღლე ძალიან უყვარდა ჩვენს უწმინდესს და უნეტარესს, ის მანანას დაკრძალვის დღეს, ქაშუეთის ეკლესიაში მობრძანდა და თავად გადაუხადა მანანას სულის მოსახსენებელი პანაშვიდი“.

**მანანა ანდრიაძე პატრიარქთან შეხვედრაზე**

#### **თაობა, რომელმაც შექმნა ისტორია...**

„არ მინდა ტრაბახში ჩამითვალოთ, მაგრამ ჩვენს თაობას ნამდვილად გამორჩეული როლი ერგო, 60-70-იან

წლებში უზარმაზარ წარმატებებს მივაღწიეთ სპორტში, მეცნიერებაში, მედიცინაში, ხელოვნებაში, სხვადასხვა დარგებში. იმ დროს, ჩაკეტილ საბჭოთა სამყაროში იოლი არ იყო წარმატების მიღწევა, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მსოფლიო ასპარეზზე, მაგრამ ქართველებს მაინც ბევრი წარმატება გვექონდა. ადამიანები თავიანთი ნიჭიერებით სრულიად განსხვავებულ ისტორიებს ქმნიდნენ, რომელთაც დროს, ათეულ წლებს გაუძლეს“...

**ინდირა გოგოძე –** უურნალისტი, ვანის ისტორიის,  
ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრის თანამშრომელი

## კორონა (კოვიდ-19) – საუკუნის გლობალური დაავადება და მთკიცეული გამოწვევა მუნიციპალიტეტის რეალობაში...

როგორც ცნობილია, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ, კორონავირუსის ეპიდ-აფეთქება, 2020 წლის 11 მარტს პანდემიად გამოაცხადა. აქვე შევახსენებთ მკითხველს, რომ ეპიდემია ეწოდება გარკვეულ საზოგადოებაში ან რეგიონში, დაავადების სტანდარტულ რაოდენობაზე მეტი შემთხვევის არსებობას. პანდემია კი, ვირუსის ან დაავადების გლობალურ გავრცელებას. მსოფლიოს მრავალი გამოცდილება აქვს პანდემიურ რეზიმებთან დაკავშირებით. ზოგადად, დედამინამ ოთხი ცნობილი პანდემია იცის XX-XXI საუკენეებში: 1918 წლის ესპანური გრიპი, 1957 წლის აზიური გრიპი, 1968 წლის ჰონგ-კონგის გრიპი და 2009 წლის ლორის გრიპი. რიგით მესუთე, „ახალი“ კორონავირუსი არის, კორონავირუსის ახალი შტამი, რომელიც პირველად ჩინეთის ქალაქ უხანში დაფიქსირდა 2019 წლის დეკემბერში და აქედან გავრცელდა დედამინის ხუთივე კონტინენტზე. საქართველოში კი 2020 წლის 26 თებერვალს გამოვლინდა პირველი ინფიცირებული პირი. 2020 წლის 11 მარტს კი, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ კორონავირუსის ეპიდემია გლობალურ პანდემიად გამოაცხადა. დღემდე ისმის კითხვა – რამ გამოიწვია ამ დაავადების ასე სწრაფი გეოგრაფიული გავრცელება. პასუხი ერთადერთია – თავიდანვე არასწორად, არასათანადო შეაფასა საზოგადოებამ ვირუსის უარყოფითი მხარე და მისგან გამოწვეული შედეგები. ამიტომაც სათანადო შედეგმაც არ დააყოვნა და მიუხედავად იმისა, რომ ინფექცია 85%-ს უსიპტომოდ გადააქვს, ჩვენი პატარა ქეყნისთვის ეს პროცესი განსაკუთრებული მტკიცნეულობის შეგრძნებით მიმდინარეობს. არაერთხელ, და თანაც ძალიან დაფასებულადაც, გადაუხადა ჯანდაცვის სამინისტროსა და სრულიად საქართველოს მედპერსონალს ჩვენმა საზოგადოებამ დამსახურებული, სათანადო ლირსების მქონე მადლობა თავგანწირვისთვის, რადგან თავიანთი სიცოცხლის რისკის ქვეშ დაყენების ფასად იბრძოდნენ და დღესაც იბრძვიან თითოეული პაციენტის გადასარჩენად. რისკი კი, ხშირ შემთხვევაში, როგორც ყველასათვის ცნობილია, სიცოცხლის დასრულებით დამთავრდა. ასეთმა ფატალურად დასრულებულმა ბრძოლებმა კოვიდის ნინააღმდევ და რეალურობის გასიგრძეგანებამ, როგორც იქნა ჩამოაყალიბა ადამიანთა სწორი პასუხისმგებლობა, როგორც თავიანთი ოჯახების მიმართ, ასევე სხვათა დამოკიდებულებაშიც. ის ფაქტი, რომ თავიდანვე სარისკო ასაკთა რიცხვს ხანდაზმულები მიეკუთვნებოდნენ, უმრავლესობას მაინც მითი ეგონა და შედეგმაც არ დააყოვნა. საკუთარი თუ სხვათა სათანადო უყურადღებობის გამო, ბევრი ჩვენთვის საყვარელი და საპატივცემულო ადამიანი გამოგვეცალა ხელიდან. კრებულ „მატიანესთვის“, უაღრესად დიდი დანაკლისია, ვანის რაიონის ისტორიისა და ეთნოგრაფიის კვლევის ცენტრისა და მისი კრებულ „მატიანეს“ თანადამფუძნებლის, პროფესორ თემიურაზ სურგულაძის გარდაცვალება. მისი ღვაწლი, ზოგადად, ქართულ მეცნიერებაში, მხოლოდ ჩვენი კრებულის ფურცლებიდანაც შეიგრძნობა. ყოველგვარ განსაკვლულობასთან ერთად, ის თვისისობრივად, ადამიანური თვალსაზრისითაც გამორჩეული პიროვნება იყო. ჩვენს სამეცნიერო დასსთან ერთად, ის ერთ-ერთი გამორჩეული, მაღალი გონებრივი განზომილების მქონე სამეცნიერო დასის წარმომადგენელი, ბატონი თემიურაზი ერთ-ერთია, იმ არამრავალრიცხოვან ქართველ მეცნიერთა შორის, რომელმაც დაამთავრა მსოფლიოში ცნობილი მოსკოვის მ. ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტის ასპირანტურა და აქვე დაიცვა საკანდიდატო და სადოქტორო-სამეცნიერო დის-ერტაციები. ვანელთა საამაყოდ აკადემიკოსი, არქეოლოგი ბატონი გურამ ლორთქიფანიძეც იგივე რანგის მეცნიერთა ჯგუფს მიეკუთვნებოდა. იგი მთელი ცხოვრება პოზიტივს ასხივებდა

და სიცოცხლის ბოლო წამამდე ოპტიმიზმით იყო სავსე. წარმატებული მეცნიერი და თავისი დარგის გამოჩენილი სპეციალისტი, არის რვა სახელმძღვანელოსა და ათეულობით სამეცნიერო სტატიის ავტორი, უამრავი თაობის მაღალპროფესიონალურად აღმზრდელი პედაგოგი, თითოეული დოქტორანტის კეთილგონიერი მრჩეველი და მეგობარი. „დაუჯერებელია რომ ვერ შევხვდებით... გარდაცვალება ადგილის გამოცვლას ნიშნავს. ადამიანი უკვდავია ბატონო თემურ. უკვდავია ჩვენი მეგობრობაც“ – ეს სიტყვები პროფესორ ტარიელ ფუტკარაძეს ეკუთვნის, რომელიც სამწუხაროდ რამდენიმე დღის წინ დაიღუპა ასევე კოვიდ ინფექციით...

მოულოდნელი იყო ჩვენი მუნიციპალიტეტის მცხოვრებთათვის, რაიონის მეორე პირის, მერის პირველი მოადგილის, ბატონი გონიერი მეფარიშვილის გარდაცვალება, რომელიც აგრეთვე კორონას ინფექციურ დაავადებას ემსხვერპლა. ბატონი გონიერი, კეთილსინდისიერი, ყურადღებიანი, სიკეთის დაუმადლებლად, უხმაუროდ მკეთებელი პიროვნება გახლდათ. მისი ახოვანი, ძლიერი ფიზიკური აღნაგობით თუ ვიმსჯელებთ, მართლაც ძნელია დაიჯერო მომრევი ძალა ნებისმიერი დაავადებისა. ამანაც განაპირობა ის ფაქტი, რომ მას ბოლომდე არ სჯეროდა ვირუსის ვერაგი თვისებების. ამიტომ, დაავადების გართულებული პროცესის გამო, სამწუხაროდ დასასრული ფატალური აღმოჩნდა. ბატონი გონიერი, ზედმინევნით დახვეწილად და დიდი შემართებით ართმევდა თავს მასზე დაკისრებულ თანამდებობრივ მოვალეობებს, რადგან არაჩვეულებრივი ორგანიზატორული ნიჭით იყო დაჯილდოებული. იგი თანაბარი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა ყველა სამსახურეობრივ მიმართულებას და მათ შორის, ჩვენი კრებულის მეცნიერულ დონეზე მიღწეული წარმატებებიც ძალიან ახარებდა. არ არსებობდა სამთავრობო დონეზე დაგეგმილი სიახლე, რომელსაც ის მშობლიურ რაიონს არ გაუზიარებდა, რადგან ალლოს ყოველგვარ მოღვაწეობას სწრაფად და ადვილად უღებდა, საქმედ გარდაქმნიდა. არსებულ პანდემიას შეეწირა აგრეთვე საქართველოს პარლამენტის არაერთგზის მოწვევის დეპუტატი ვანის მაჟორიტარული ოლქიდან, ბატონი მელორ ტყეშელაშვილი. იგი წლების მანძილზე მუშაობდა უმთავრეს საპასუხისმგებლო მაღალჩინოსანთა რანგის თანამდებობებზე. ბუნებით ლიონალურ და თბილ ადამიანს, მიუხედავად თავისი დატვირთული სამუშაო გრაფიკისა, არასოდეს დაუტოვებია უყურადღებოდ ვანი და ვანელები. ბატონმა მელორმა პოლიტიკური მოღვაწეობა 1999 წელს დაასრულა თბილისის ვიცე მერობიდან დაწყებული, სამომხმარებლო ბაზრის რეგულირების საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობით. ამის შემდეგ მას აუარებელი საქველმოქმედო საქმე აქვს გაკეთებული, განსაკუთრებით თავისი მშობლიური კუთხისთვის. ბატონ მელორს ბევრი სახელმწიფო ჯილდო აქვს მიღებული, მათ შორის ღირსების ორდენიც...

რაოდენ საზარელი მოსასმენიც არ უნდა იყოს, ფაქტია, რომ გამართლდა ეს სიტყვები – „სიკვდილი გაახალგაზრდავდა“... და ეს ჩვენი მუნიციპალიტეტის ცხოვრებაშიც სამწუხაროდ არაერთხელ დამტკიცდა.

გიორგი ბუაძე-ახალგაზრდა, 23 წლის ექიმი იყო, რომელიც მარნეულის „ავერსის“ კლინიკაში მუშაობდა. მან კოვიდი წარმატებით გადაიტანა, ყოველგვარი გართულების გარეშე. ათი დღის შემდეგ კი სამსახურს დაუბრუნდა. სამი დღის გადაბმულად მუშაობის შემდეგ, იგი სამსახურში გარდაცვლილი იპოვეს. მიზეზი კი სავარაუდოდ თრომბია, რომელსაც არსებული ინფექციისაგან გარდაცვლილთა შორის, ყველაზე ხშირ მიზეზად ასახელებენ ხოლმე. გიორგის ოჯახიც არ ჰქონდა შექმნილი და ამასთან ერთად, მისი სამომავლო ცხოვრებისეული ოცნებებიც, ალბათ, ცაიტნოგრაფიული საცდებოდა – იგი ხომ უჭირავების, სერიოზული და დიდი მომავლის მქონე ექიმი იყო(აქ ვერ ჩამოვთვლით იმდენ დადებითს, რასაც მის პროფესიონალიზმზე და ადამიანურ თვისებებზე სწერს სხვადასხვა წერითი და ინტერნეტ სივრცითი საინფორმაციო საშუალებები). გიორგი ჩვენი მუნიციპალიტეტის ჯანდაცვის სამსახურის უფროსის, ბატონ გიგა ბუაძის ვაჟიშვილია და აქ ვინმეს შვილობა ტყუილად არ მიხსენებია. ეს ფაქტი, კიდევ ერთი დასტურია კორონას ვერაგი თვისებებისა, რომელმაც შოკისმომგვრელი შედეგი დადო ჩვენს რაიონში...

არა კორონა ვირუსით, მაგრამ ასევე მძლავრი დარტყმა მიიღო მუნიციპალიტეტმა პედ-

აგოგიური ინტელიგენციიდან დანაკარგის სახით. განუკურნებელ სენს ემსხვერპლა სოფელ ტობანიერის სკოლის დირექტორი, უაღრესად საქმიანი და გამოცდილი პიროვნება თემურ გე-გიძე. ყოფილი მოსწავლის ტრაგიკული სიკვდილის განცდის მსხვერპლი გახდა წარმატებული, სერთიფიცირებული პედაგოგი ფიზიკოსი ნარგიზა ღვაბერიძე

და ბოლოს...

და ბოლოს, კიდევ და კიდევ შეგონება თითოეულ ქართველს, რომ დავიცვათ ჰიგიენური წესები, დაწესებული რეგულაციები, შევინარჩუნოთ სიმშვიდე და პანიკის გარეშე აღვასრულოთ ჩვენი მოვალეობები, გადავარჩინოთ საკუთარი და სხვათა სიცოცხლეც... გვახსოვდეს, რომ მხოლოდ სიცოცხლე არ განმეორდება მეორედ, დანარჩენს ყოველთვის დავეწევით, ყველაფერს მოვასწრებთ ჯანმრთელები...

გვახსოვდეს, რომ ცისქვეშეთში სიცოცხლეზე ძვირფასი არაფერია...

ან უკვე, ზეციური საქართველოს მოქალაქეებს კი, უფალმა განუსვენოთ იქ, სადაც მართალი განისვენებენ... ამინ!

**ავთადილ ინოლეიგილი** – პროფესორი, აკადემიკოსი, ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანლი

## თემურ სურგულაძის ხსოვნას

დღევანდელი მსოფლიოსთვის ჯერჯერობით დაუძლეველ განსაცდელად ქცეულმა ვირუსულმა კოვიდ-ინფექციამ, რომელმაც მილიონობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, საქართველოც აქცია ამ ტრაგიკული მოვლენის ნაწილად და ასეულობით ჩვენი თანამოქალაქეც გამოასალმა სიცოცხლეს. ერთ-ერთი მათგანი აღმოჩნდა ცნობილი მეცნიერი, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი და დოქტორანტურის განყოფილების ხელმძღვანელი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი თემურაზ (თემურ) სურგულაძე. იმ მიღწევებიდან გამომდინარე, რითაც ბატონი თემური საკმაოდ წარმატებული თავისი სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობით გამოირჩეოდა არა მარტო ჩვენს უნივერსიტეტში, არამედ მთელი ჩვენი ქვეყნის მასშტაბითაც, მისი გარდაცვალება გადაუჭარბებლად უნდა მივიჩნიოთ მნიშვნელოვან დანაკლისად. ბატონი თემურის ღვანლის წარმოჩენის დროს ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ იგი მნიშვნელოვანი პოტენციალის მქონე მეცნიერი-მათემატიკოსი იყო, თავისი სამეცნიერო ნაშრომებით არა მარტო საქართველოში ცნობილი და აღიარებული სწავლული, არამედ უცხოეთშიც, სადაც არაერთი ნაშრომი ჰქონდა გამოქვეყნებული. ცალკე, საგანგებოდ, უნდა აღინიშნოს მეტად მნიშვნელოვანი ის დამსახურება, რომელიც მას ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში დოქტორანტურის განყოფილების მაღალ ორგანიზებულ დონეზე ჩამოყალიბებისა და ფუნქციონირების საქმეში მიუძღვის. მისი უშურელი მზრუნველობითა და აქტიური თანადგომით მრავალმა დოქტორანტმა გაიკვალა გზა მეცნიერებაში. ბატონი თემურის პიროვნული ღირსებების წარმოჩენის დროს აქ ფართო მასშტაბების მომცველი მისი ერუდიციაცა და მრავალმხრივი განათლებაც უნდა აღინიშნოს. იგი ღრმად განსწავლულ და ვინრო პროფესიული ინტერესებით შემოუზღუდავ პიროვნებას წარმოადგენდა, რომელიც ისე სიღრმისეულადაც კი იყო გაცნობილი ლიტერატურისა და ხელოვნების რჩეულ ნიმუშებს, რომ ამ დარგის პროფესიონალებთანაც შეეძლო აღნიშნული მიმართულებით მსჯელობა. ცალკე უნდა აღინიშნოს მისი დიდი სიყვარული და ქომაგობა სპორტისადმი. მეტად გულსატკენია და დასანანი, რომ იგი ნააღრევად, თავისი ინტელექტუალური შესაძლებლობების ზეობის დროს, გამოაკლდა ჩვენს რიგებს. ღმერთმა ნათელში დაამკვიდროს მისი სული!

„ვანის რაიონის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრი“

## მადლობას უხდის:

- ვანის მუნიციპალიტეტის მერს ბატონ ალექსანდრე გოგორიშვილს, მუდმივი ყურადღების, დახმარებისა და კრებულ „მატიანეს“ მე-19 წლის გამოცემის დაფინანსებისათვის.
- ვანის მუნიციპალიტეტის საფინანსო სამსახურის უფროსს ბატონ ივანე მამფორიას, გვერდით დგომისა და თანამშრომლობისათვის.
- ბატონებს: ბეჟან წაექაძეს – საქართველოს პარლამენტის წევრს.  
ზაურ თათვიძეს – ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატს, ბიზნესმენს.  
ბიჭიკო პაიკიძეს – ბიზნესმენს სისტემატიური დახმარებისა და ყურადღებისათვის.
- ვანის მუნიციპალიტეტის მერიასა და საკრებულოს.
- „მატიანეში“ გამოქვეყნებული ყველა სტატიის, კვლევისა და წერილის ავტორს.
- „კვლევის ცენტრის“ მეცნიერ-კონსულტანტებს გვერდით დგომისა და დახმარებისათვის.
- სახელოვნებო, განათლებისა და ტურიზმის განვითარების ცენტრს.
- მადლობას ვუხდით „მბმ პოლიგრაფის“ ხელმძღვანელობასა და მათ თანამშრომლებს „მატიანეს“ ხარისხიანად გამოცემისათვის.

რედაქტორი – ომარ კაპანაძე (კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი)

## სარედაქციო კოლეგია:

- ავთანდილ ნიკოლეიშვილი – ფილოლოგის მეცნიერებათა დოქტორი, ქალაქ ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი, აკადემიკოსი.
- გურამ ყიფიანი – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პალეოურბანული არქეოლოგიის ლაბორატორიის ხელმძღვანელი, სოფელ ციხესულორის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი.
- თეიმურაზ ადეიშვილი – პროფესორი, საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი.
- ომარ ძაგნიძე – ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
- ურია დვალიშვილი – პროფესორი, ქალაქ ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი.
- დავით შავიანიძე – ქალაქ ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ეთნოლოგი.
- ომარ გაბუნია – ვანის არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალის დირექტორი.

პასუხისმგებელი მდივანი: თამილა მუგანაძე.

კორექტორები: ბელა ცაბაძე, ინდირა გოგოძე.

კომპიუტერული ვერსია – ბელა ცაბაძე

„მატიანეს“ გარე ყდაზე – ვანის ნაქალაქარის კარიბჭე

ფოტოილუსტრაცია – სალომე ტოხვაძის

კრებულში გამოქვეყნებულ მასალებზე პასუხისმგებელია ავტორი

კრებულში გამოქვეყნებულ მასალებზე პასუხისმგებელია ავტორი  
კრებული გამოდის 2014 წლიდან



დაიბეჭდა მამუკა ფიფხაძის სახელთბის სტამბაში

ბაკუში კილაბის მიერ

მის: ქ. ქუთაისი, ავ. წერეთლის ქ. №186

ტელ: 0431 23 45 54